ყოველკვირეული ჟურნალი. გამოდის ოთხშაბათობით

სარკე

ფასი: 1 ლარი
№29
17-23.VII
2013

„ჩემი ქმრის ზოგი თაყვანისმცემელი ზღვარს გადადის“

განო მელითაური: „მე და ჩემი დაქალები კოტეს ხელში გავიზარდეთ“

სოფო ხალვაში: „ჩემი ქმარი ჩვენი გოგონას დაბადებას დაესწრო და გულზე დაინვინა“ გვ.8

გიორგი ვარდოსანიძე ნინი ცნობილაძეს საცეკვაო გამოცდილებას უზიარებს გვ.25

მაკა ძაგანია ქართული ქეიფის ფანია გვ.31

რა გაუხდა სანანებელი კოტე თოლორდავას ცოლს გვ.6

ეკა ბერიძე: „კარგი გარეგნობა იაფი არ ჯდება“ გვ.36

ნინო ბურჯანაძე: „შვილიშვილი უფრო მინდა, ვიდრე რძალი...“ გვ.14

გიგა ტაბიძე: „ქალს ჩემი თუნდაც სისულელე უნდა ესმოდეს“ გვ.23

სარკე
+
„მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა“
მე-6 ტომი
ჰეროდოტე
ფასი ჟურნალთან ერთად
10 ლარი

ISSN 1987-9369
9 771987 936002

„ყოფილ ქმარზე შურისძიების სურვილმა მრუშობის ცოდვაში ჩამაგდო“ გვ.13

დასასვენებლად გადაწყვიტეთ წასვლა?

1/714/GE/23.05.2013

ლინექსი
არ დაგავიწყდეთ

Bifidobacterium infantis,
Lactobacillus acidophilus,
Enterococcus feacium

ლინექსი აღადგენს ნაწლავის ნორმალურ მიკროფლორას, რომელიც შესაძლოა დაირღვეს კლიმატის ცვლილების შედეგად

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს

პრეპარატ ლინექსის® სამედიცინო გამოყენების მოკლე ინსტრუქცია
შემადგენლობა: ერთი კაფსულა შეიცავს არანაკლებ 1,2X107 ცოცხალ ლიოფილიზირებულ ბაქტერიას Bifidobacterium infantis Lactobacillus acidophilus (sp. L. gasseri) და Enterococcus faecium. **გამოყენების ჩვენებები:** პრეპარატი ლინექსი რეკომენდებულია კუჭ-ნაწლავის მიკროფლორის ნონასწორობის დარღვევის - დისბაქტერიოზის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის. დისბაქტერიოზი ხასიათდება შემდეგი სიმპტომებით და ნიშნებით, როგორიცაა: დიარეა (ფაღარათი), საკვების მონელების სხვა დარღვევები (დისპეფსია), ყაბზობა, მეტეორიზმი (გაზების სიჭარბე კუჭ-ნაწლავში), გულისრევა, ღებინება, გულზიდვა, მუცლის ტკივილი და ალერგიული გამონაყარი. **უკუჩვენებები:** არ მიიღოთ პრეპარატი, თუ გაქვთ მომატებული მგრძნობელობა (ალერგია) პრეპარატის ნებისმიერი კომპონენტის ან რძის პროდუქტების მიმართ. **განსაკუთრებული მითითებები და სიფრთხილის ზომები:** ლინექსის კაფსულების მიღების წინ გაიარეთ კონსულტაცია მკურნალ ექიმთან შემდეგ შემთხვევებში, როგორიცაა: 38°C-ზე მაღალი სხეულის ტემპერატურა, განავალში ფარული სისხლის ან ლორწოს არსებობა, დიარეა, რომელიც ორ დღეზე მეტ ხანს გრძელდება, მწვავე დიარეა, რომელსაც თან სდევს დეჰიდრატაცია და წონის დაკარგვა, მწვავე დიარეა, რომელსაც თან სდევს მუცლის ძლიერი ტკივილები, სხვა ქრონიკული დაავადებები (დიაბეტი) ან იმუნოლოგიური უკმარისობა (შიდსი, აიე). წინააღმდეგნაჩვენებია 3 წელზე უმცროსი ასაკის ბავშვებისათვის სამედიცინო კონტროლის გარეშე. **გამოყენების წესი:** ჩვილი ბავშვები და ბავშვები 2 წლამდე: 1 კაფსულის შემადგენლობა დღეში სამჯერ; ბავშვები 2-დან 12 წლამდე: 1 ან 2 კაფსულის შემადგენლობა დღეში სამჯერ, ჭამის შემდეგ; მოზრდილები და 12 წელზე უფროსი ბავშვები: რეკომენდებულია 2 კაფსულა დღეში სამჯერ, ჭამის შემდეგ; მკურნალობის ხანგრძლივობა დამოკიდებულია დისბაქტერიოზის განვითარების მიზეზზე და ორგანიზმის ინდივიდუალურ თავისებურებებზე. **პრეპარატის არასასურველი ეფექტები:** პრეპარატი კარგად გადაიტანება, შეტყობინებები არასასურველი ეფექტების შესახებ არ არსებობს. ურთიერთქმედება სხვა სამკურნალო საშუალებებთან: ლინექსის სხვა წამლებთან არასასურველი ურთიერთქმედება აღნიშნული არ ყოფილა. პრეპარატის ლინექსი შემადგენლობა მისი ანტიბიოტიკებთან და ქიმიოთერაპიულ საშუალებებთან ერთდროულად მიღების საშუალებას იძლევა. **შენახვის პირობები:** ლინექსი ინახება არაუმეტეს 25°C ტემპერატურაზე, მშრალ ადგილას. **ვარგისიანობის ვადა:** 2 წელი.

არაჩვეულებრივი დასვენება იწყება ლინექსთან ერთად!

SANDOZ
a Novartis company

თბილისი, გ. ტაბიძის №18
ტელ.: 298 27 30, 298 27 50

ნომერში

მეორე ნახევარი

რა გაუხდა სანანებელი კოტე თოლორდავას ცოლს 6

ოჯახური სიხარული

■ სოფო ხალვაში: „ჩემი ქმარი ჩვენი გოგონას დაბადებას დაესწრო და გულზე დაიწვინა“ 8

■ ანნა იმედაშვილი: „მე და დათოს ძალიან საყვარელი სათამაშო გაგვიჩნდა!“ 9

გულახდილი საუბრები 12-13

პერსონა

რატომ ცხოვრობდა ნინო ბურჯანაძის შვილი პატრიარქთან 14

პოლიტიკა

■ გია ხუსაშვილი: „არ გამოვრიცხავ, დაკითხვებზე ძალადობა ხდებოდეს“ 16

■ დიმიტრი ლორთქიფანიძე: „კბილაშვილის გაწირვა „ოცნებას“ სერიოზულ დარტყმას მიაყენებს“ 18

■ ლევან ბერძენიშვილი: „მოგვცეს მაგალითი სააკაშვილმა და დასახლდეს შევარდნაძის გვერდით!“ 20

სკანდალის გმირი

ლადო ბედუკაძე: „ცხენში მუშაობისას საკუთარ თავს ვაგინებდი“ 21

შოუმენი

როგორ აღმოჩნდა ფარმაცევტი გიგა ტაბიძე იუმორისტულ შოუში 23

საერგობრო

გიორგი ვარდოსანიძე ნინი ცნობილაძეს საცეკვაო გამოცდილებას უზიარებს 25

კინოფოსტალგია

„მე ბებია, ილიკო და ილარიონი“ — ფილმი, რომელმაც ზურიკელას და მერის ისტორია ეკრანის მიღმაც გააგრძელა 26

მოზარდები 28-29

არტისტული ცხოვრება

ვაბა კილაძე: „არ ვარ ტიპი, რომელიც „ფეშენ“ ცხოვრებით იცხოვრებს“ 30

საზარეული

მაკა ძაგანია ქართული ქეიფის ფანია 31

ნაცნობი სახე

გია ჯაჯანიძეს ტყუილი სინამდვილედ ექცა 32

ეტაპი

რა პრობლემები აქვს გურამ ლომიძეს ყოფილ ცოლთან ამერიკაში 34

ცოლ-ქმრის კლუბი

ხატია სიჭინავა: „როგორც ჩანს, ქალაქში გაზულუქებული წყვილის შთაბეჭდილებას ვტოვებთ“

სარკის წინ

ეკა ბერიძე: „კარგი გარეგნობა იაფი არ ჯდება“ 36

ავტომოყვარული

რატომ მისდევდა ქალ მძღოლს ფეხით ონისე ონიანი 38

ცხოვრება ჩემოდნებზე

როგორ გაათცა ლეგენდარული ლივერპულელი მწვრთნელის ვაჟი ზაზა ხუციშვილმა 43

მეგზური

პეტრა — იორდანიის ქვის დედოფალი 45

მხოლოდ ქალებისთვის 48

დედიკოების სკოლა 49

ჩემი მშვენიერი ლედი

მიშა ცინცაძე: „ვადამეტებული ჯამბაზობა გოგოსთან არ გამომადგა“ 50

სპორტის მილვა 51

ადამიანის ინსტიტუტი 53

ცოტ-ცოტა ყველაფერზე 52

შეშლილი, შეშლილი, შეშლილი მსოფლიო 54-55

რას ემსხვერპლა მამუკა მიქაუტაძე — პოლიციის შეცდომას თუ პროვოკაციას?

39 წლის მამუკა მიქაუტაძის თვითმკვლელობამ მთელი საქართველო აალაპარაკა. 6 ივლისს ის თბილისის ზღვის ტერიტორიაზე ხეზე ჩამომხრჩვალი იპოვეს. ორი შვილის მამამ წინასწარ შეატყობინა ახლობლებს, რომ ამ საშინელ ნაბიჯს დგამდა. მისი შეჩერება ვერ მოახერხეს. ამ ტრაგედიას წინ უძღოდა პოლიციაში დაკითხვის ფაქტი, სადაც მამუკას, როგორც ჩანს, ღირსება შეულახეს. ახალგაზრდა კაცის თვითმკვლელობის მიზეზიც, სავარაუდოდ, ეს გახდა, თუმცა მის ცოლს, ზიზი ეძგვერაძეს, გარკვეული გარემოებები ეჭვს აღუძრავს, ხომ არ იყო ეს მკვლელობა ან თვითმკვლელობა იძულებით.

ზიზი ეძგვერაძე:

„მეკვლეობის ვეჩხიამდე, იცით, ხას მივყავარ? ამდენ უზუსტობას. შეიძლება ვინმეს ხელი ახ მოეჯიდია და ხეზე ახ ჩამოეჯიდია, მაგრამ იმ მომენტში მასთან ერთად ვიღაც იმყოფებოდა, ხალხს სთხოვდა ან იმას აიძულებდა, ხასაც ის ახ გააკეთებდა“.

გვ.10

სახალისო 56-57

იყავით ჯანმრთელი 58-59

ქალური მოთხრობები

■ თინათინ ბონი — „ეიფორია“ (გაგრძელება, დასაწყისი №7-28) 66

■ ლელა ცუცქირიძე — „განსხვავებული საქმე“ 68

წმინდანები

სარწმუნოებაში ეჭვი ყველაზე დიდი საფრთხის მატარებელია 72

კითხვები მოძღვარს

„ყველაფერი, რაც ბავშვშია, პირდაპირ თუ არაპირდაპირ ჩვენი ანარეკლია“ 73

დიდი აფერა

მაია რჩეულიშვილი: „ამ ამბავში დიდი დოზით გიგი უგულავა ურეკია“ 74

გზა ტაძრისაკენ

მამა შალვა: „ჩემს ცხოვრებაში არ ყოფილა დღე, რომ ღმერთს მივეტოვებინე“ 76

№29(795) 17 — 23 ივლისი, 2013

ჟურნალი სტამბას დასაბეჭდად გადაეცა 15.07.2013, 21.00 სთ-ზე.

ილია II: „უნდა შეჩერდეს განკითხვა!“

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ 12 ივლისს სამების საკათედრო ტაძარში ქადაგებაზე განაცხადა, რომ უნდა შეჩერდეს განკითხვა, ცოდვების გამოძიება. უწმინდესი წუხს, რომ მთელი საქართველო სასამართლოდ არის ქცეული და ეს სიკეთეს არ მოგვიტანს; ადამიანები ბოროტებას საკუთარ თავში ვერ ხედავენ და ცდილობენ, სხვები გამოასწორონ, სინამდვილეში კი, გამოსწორება საკუთარი თავიდან უნდა დაიწყონ.

— უცოდველი ადამიანი არ არსებობს დედამიწაზე, მაგრამ ჩვენ ჩვენი სიკეთით უნდა დავფაროთ ის ნაწილი, რომელიც სხვებს აქვთ. წმინდა პავლე მოციქული ამბობს, ურთიერთსიმძიმე იტვირთეთ და ასევე აღასრულეთ სჯული ქრისტესიო. ამიტომ ყველას მოგიწოდებთ, იფიქროთ ხალხზე. უნდა შეჩერდეს განკითხვა, ცოდვების გამოძიება. თითქმის მთელი საქართველო სასამართლოდ იქცა. ვთხოვ პრესას, ტელევიზიას, მედიას, ბევრი რამ კეთდება კეთილი საქართველოში და ნახეთ, აჩვენეთ ეს სიკეთე ხალხს, თორემ ნებისმიერ დროს მოსახლეობას უფრო მეტად ცუდი ესმის, ვინ დააკავეს და რომ უნდა დაისაჯოს.

მე მინდა, ვთხოვო ხელისუფლებას, ხალხს, იფიქრონ გაჭირვებულ ადამიანებზე, ადამიანების დასაქმებაზე, განათლებაზე, ვიფიქროთ ობლებზე და ეს ყველაფერი შეცვლის ადამიანებს... ეკლესიამ უნდა აჩვენოს ამ სიკეთის კეთების მაგალითი, — იქადაგა კათოლიკოს-პატრიარქმა.

უწმინდესმა ასევე შეგვახსენა, რომ დედამიწაზე ყველაფერი იცვლება, მაგრამ უცვლელი არის ერთი ჭეშმარიტება — ღმერთი, სამშობლო, ადამიანი. არსებობს ჭეშმარიტი სარწმუნოება და არსებობს ურწმუნოება, არსებობს ადამიანი, რომელსაც მიაჩნია, რომ მეორე ადამიანი ღვთის ქმნილებაა და არსებობს ადამიანი, რომელიც ადამიანს სასიკვდილოდ იმეტებს, ასევე არსებობს სამშობლო და არსებობს კოსმოპოლიტიზმი.

სხვის პირად ცხოვრებას თავდაცვის სამინისტროშიც ილებდნენ

თავდაცვის მინისტრმა, ირაკლი ალასანიამ, ჟურნალისტებთან შეხვედრაზე განაცხადა, რომ პირადი ცხოვრების ამსახველი მასალები საქართველოს თავდაცვის სამინისტროშიც აღმოაჩინეს.

— ეს ის მასალები არ არის, რომლებიც შსს-მ აღმოაჩინა ცოტა ხნის წინ. ეს სხვადასხვაა, მაგრამ, რამდენადაც მე მაქვს ინფორმაცია, დამგეგმავები და განმახორციელებლები, სავარაუდოდ, ერთი ჯგუფია. როგორც კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტში, ასევე სამხედრო პოლიციაში ფაქტობრივად ერთი ფიგურანტები იყვნენ, მიგრაცია იყო ერთი უწყებიდან მეორეში. მე ვერ გეტყვით, გამოძიება რა ეტაპზეა, მაგრამ ვინც კი სავარაუდო ეჭვმიტანილი შეიძლება იყოს ასეთ ქმედებებში, არც ერთი არ არის სამხედრო პოლიციაში, — განაცხადა ალასანიამ.

პაატა ბურჭულაძე საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭს არ იყრის

ამ სოფლიოში ცნობილი ქართველი საოპერო ბანი, პაატა ბურჭულაძე, პოლიტიკაში ჩართვაზე უარს ამბობს და საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭს არ იყრის. ამის შესახებ მან საგანგებო განცხადება უკვე გააკეთა და ყველა იმ შეკითხვას უპასუხა, რომლებიც ბოლო დროს საზოგადოებაში დაისვა.

„მინდა, კიდევ ერთხელ დაგიდასტუროთ, რომ წლების განმავლობაში ვიღებდი შემოთავაზებებს ჩემი პოლიტიკურ პროცესებში ჩართვის შესახებ, მაგრამ ყოველთვის უარს ვამბობდი და ჩემი ეს პოზიცია არც არასოდეს მინანია. ბოლო დროს ეს შემოთავაზებები ძალიან გააქტიურდა, მასში ჩაერთო ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილი, ასევე მომმართეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა და სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებმა.

გულწრფელი მადლობა მინდა, გადავუხადო ყველა ადამიანს, საქართველოს ყველა მოქალაქეს, ვინც ამ პერიოდში პირადად გვიკავშირდებოდა თუ წერილებს გვწერდა. უღრმესი მადლობა გამოხატული ნდობისა და პატივისცემისათვის, მათ შორის ბატონ ჯონდი ბაღათურიასა და კახა კუკავას, რომლებმაც საზოგადოების ეს მოსაზრება გაახმოვანეს.

ვფიქრობ, რომ დღეს ჩემი პოლიტიკაში ჩართვის აუცილებლობა არ დგას და იმ საზოგადოებრივი საქმიანობით, რომელსაც ვეწევი, ბევრად უფრო მეტ სარგებელს მოვუტან ჩვენს ხალხსა და ქვეყანას. მე ყოველთვის ვიდექი და ვიდგები ჩემი ერის სამსახურში და თუ ოდესმე ყველანი ერთად მივიჩნევთ, რომ ჩვენს ქვეყანას სხვა სფეროში მეტად სჭირდება ჩემი ყოფნა და გამოცდილება, გპირდებით, რომ მზად ვიქნები, ეს ნაბიჯი გადავდგა“, — ნათქვამია განცხადებაში.

შსს ისევ გვისმენს!

მინაგან საქმეთა სამინისტროში არსებული ფარული ვიდეოჩანაწერების განადგურების კომისიის წევრ ლაშა ტუღუშის განცხადებით, შსს ისევ ძველებურად ისმენს და, როგორც ადრე, ახლაც ყველა ინფორმაცია აპარატურას გადაეცემა.

— ახლაც მუშაობს ეს სისტემა, შსს-ში არსებობს ე.წ. ყუთი, რომელიც ავტომატურ რეჟიმში აფიქსირებს მოქალაქეების მიერ განხორციელებულ სატელეფონო საუბრებს და მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს. შესაძლოა, ამ ყველაფერს უკვე აღარავინ იყენებს, მაგრამ ფაქტია, რომ ეს მახინჯი მეთოდი ისევ მოქმედებს, — განაცხადა ტუღუშმა და დასძინა, რომ მსგავსი ტიპის მოსმენების აკრძალვისთვის აუცილებელია საკანონმდებლო ნორმატივების შემოღება, რადგან მხოლოდ ამ გზით შეიძლება უკანონო მოსმენების პრევენცია.

სარკე ჟურნალი გამოდის 1998 წლის 23 იანვრიდან

დამფუძნებელი
მთავარი რედაქტორი
კომერც. დირექტორი

შპს „სარკე“
მედეა სანაია
ვაჟა შენგელია

მთავარი რედაქტორის მოადგილეები – ირინე მჭედლიძე, ირმა გოგინაძე, ავთო ჩიტიძე.

პოლიტიკა – მანანა გეგია. საზოგადოება, სამართალი, შოუბიზნესი – ირინე მჭედლიძე, რუსუდან ალვაძე, ლანა კიკნაძე, სოფიო ბოჭორიძე, მანანა ნოდია, ავთო ჩიტიძე, ქეთი დინოშვილი, ეკა ლემონჯავა, თათია ბოჭორიძე. მედიცინა – ია გაგოშიძე, ნათია ტოტიკაშვილი. ფიზიო – ქეთი ყირიმლიშვილი. მხატვარი – ქეთი ხარატიშვილი.

კომპიუტერული მომსახურება: დაკბადონება – ირმა გოგინაძე, ნონა კანდელაკი. ოპერატორი – მარინა ჯღენტი, მია ფიფია. კორექტურა – ლანა გაბუნია, მია ფიფია. სარეკლამო სამსახური – მაჩუკა ბარბაქაძე; 599 975-699; e-mail: mgb7@mail.ru მდივანი – ია ბარბაქაძე.

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის ქ.№50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 296-75-43. ფაქსი: 296-75-43.
ელ.ფოსტა: SARKE@MAIL.RU ვებგვერდი: SANA.GE

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. სტატიაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. ჟურნალისტის მიერ ჩაწერილი აუდიო მასალა ინახება 14 დღის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ სტატიის შესახებ პრეტენზიები არ მიიღება. „სარკეში“ გამოქვეყნებული ნაბეჭდი და ფოტომასალის გამოყენება რედაქციასთან შეუთანხმებლად აკრძალულია.

Cyan Magenta Yellow Black

დაპატიმრებული თენგიზ გუნავა მადლობას იხდის

პატიმრობაში მყოფი სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი თენგიზ გუნავა საქართველოს იმ მოქალაქეებს უხდის მადლობას, ვისაც მისი უდანაშაულობის სჯერა და რაიმე ფორმით გამოხატა მის მიმართ თანადგომა.

— ჩემთვის ქვეყანა, ოჯახი და მეგობრები ის ღირებულებებია, რისთვისაც უნდა იცხოვროს ადამიანმა. დღევანდელმა ხელისუფლებამ ყველა უკანონო ბერკეტი გამოიყენა ჩემ წინააღმდეგ: ჩამიდეს ნარკოტიკი, იარაღი და ბოლოს სახელმწიფო ქონების მითვისება დამაბრალეს, რათა შემეწყვიტა ბრძოლა ჩემი ქვეყნის კეთილდღეობისა და მთლიანობისათვის. ასევე მოექცნენ ჩემს არაერთ მეგობარს და განსასჯელის სკამზე სხედან 2008 წლის გმირები — ბაჩო ახალაია, გიორგი კალანდაძე და არაერთი სხვა. მინდა, განვაცხადო, რომ ვერანაირი გარიგებით პროკურატურასთან და ვერანაირი ზეწოლით ვერ აგვაღებინებენ ხელს და ვერ გვათქმევინებენ უარს ქვეყნის თავისუფლებისთვის ბრძოლაზე. ბრძოლა არის ბოლომდე, არც ერთი ნაბიჯი უკან, — ნათქვამია გუნავას განცხადებაში.

განათლების სამინისტროს თამარ სანიკიძე უხელმძღვანელებს

უკვე გარკვეულია, ვინ შეცვლის „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატ გიორგი მარგველაშვილს განათლების მინისტრის პოსტზე. როგორც თავად კანდიდატმა განაცხადა, შემცვლელის საძებნელად შორს წასვლა არ დასჭირვებია, მისი რჩეული მისივე პირველი მოადგილე, პროფესიით დასავლეთევროპული ენების მცოდნე თამარ სანიკიძეა. მარგველაშვილის შეფასებით, ის სანიკიძეზე უკეთეს მენეჯერს ვერსად იპოვიდა.

გიორგი მარგველაშვილმა ახალი კანდიდატურა პრემიერთან უკვე შეათანხმა და პოსტს მალე დატოვებს, რის შემდეგაც აქტიურ წინაარჩევნო მარათონში ჩაებმება.

გიორგი მარგველაშვილი პრეზიდენტად ამომრჩეველთა 29 პროცენტს სურს

ექვდიაი საპრეზიდენტო რეიტინგებს აქვეყნებს. შედეგების თანახმად, გიორგი მარგველაშვილი საქართველოს პრეზიდენტად მოსახლეობის 29%-ს სურს. მეორე ადგილზე ნაციონალური მოძრაობის კანდიდატია 10%-ით; მესამეზე — ნინო ბურჯანაძე 5%-ით. შემდეგ მოდიან გიორგი თარგამაძე — 4%; შალვა ნათელაშვილი და სალომე ზურაბიშვილი — 3-3%. გამოკითხულთა 26%-მა არ იცის, რომელ საპრეზიდენტო კანდიდატს დაუჭერს მხარს, ხოლო გამოკითხულთა 7%-ს არც ერთი მოსწონს.

კვლევის თანახმად, საქართველოს მოსახლეობის 52% მიიჩნევს, რომ მის შეხედულებებთან ყველაზე ახლოს კოალიცია „ქართული ოცნება“ დგას, 10% კი ფიქრობს, რომ ნაციონალური მოძრაობა. 15%-ს არც ერთი მოსწონს.

საინტერესოდ ჩანს პიროვნული რეიტინგებიც. პრემიერმინისტრ ბიძინა ივანიშვილის მოწონების მაჩვენებელი 75%-დან 69%-მდე შემცირდა. შემცირებულია პარლამენტის თავმჯდომარის, დავით უსუფაშვილის მოწონების მაჩვენებელიც — 66%-დან 61%-მდე. კვლევის თანახმად, პირველ ადგილზე ისევ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II-ა, იგი გამოკითხულთა 92%-ს მოსწონს.

კვლევის შედეგებით, ეკა ბესელიას 52% ერგო, თინა ხიდაშელს — 51%, დავით ბაქრაძეს კი 48%. პრეზიდენტობის კანდიდატების, გიორგი მარგველაშვილის მოწონების მაჩვენებელი 45%-ია, სალომე ზურაბიშვილის — 38%, გიორგი თარგამაძის — 32%.

რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილს, მისი მოწონების მაჩვენებელი, მარტის კვლევის მსგავსად, კვლავ 23%-ია.

კვლევა 12-26 ივნისს ჩატარდა და 2.338 ადამიანი გამოიკითხა.

თეა წულუკიანი არჩილ კბილაშვილის გადაყენებას არ აპირებს

საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი მიხეილ სააკაშვილის იმ წერილს პასუხობს, სადაც პრეზიდენტი მთავარი პროკურორის, არჩილ კბილაშვილის გადაყენებას ითხოვს და ბედუკაძისთვის ბრალის სრულად მოხსნის გამო აკრიტიკებს. წულუკიანი საპასუხო წერილში წერს, რომ ის არ აპირებს კბილაშვილის გადაყენებას.

„როგორც იუსტიციის მინისტრისთვის, ჩემთვის სახელმწიფო პრიორიტეტი დამოუკიდებელ, კომპეტენტურ და ძლიერ პროკურორთა კორპუსის ყოლაა. ამიტომ არ მივიჩნევ მიზანშეწონილად, გამოვიყენო „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით მონიჭებული უფლებამოსილება და შემოვიდე წარდგინებით მთავარი პროკურორის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, მიუხედავად იმისა, პირადად მე, როგორც პოლიტიკურ ფიგურასა და ადამიანის უფლებათა სფეროს სპეციალისტს, მომწონს თუ არა ის გადაწყვეტილება, რომელიც მთავარმა პროკურორმა უფლებამოსილების ფარგლებში სრულიად დამოუკიდებლად მიიღო და რომელიც, სხვათა შორის, აგრეთვე სრულიად დამოუკიდებლად დაამტკიცა მოსამართლემ. რა თქმა უნდა, უკეთესი იქნებოდა, მთავარი პროკურორი წინასწარ დამლაპარაკებოდა ამ თემაზე, მაგრამ ის არის პროკურორი და თქვენც ჩემთან ერთად მოგიწევთ პროკურორებისა და მოსამართლეების პატივისცემა. საქართველოში აღარ უნდა ითვლებოდეს, რომ პროკურორი ან მოსამართლე დოქია, რომელსაც, საითაც პრეზიდენტებს, მინისტრებსა და სხვა პოლიტიკოსებს მოესურვებათ, იქით მოაბამენ ყურს.

მოსამართლე, პროკურორი და ადვოკატი — ეს არის ის სამი პროფესია, რომელთაც თქვენც და მეც პატივი უნდა ვცეთ, თუკი მართლმსაჯულების რეალური დამოუკიდებლობა გვსურს. ჩემი კონკრეტული მოვალეობა სხვაცაა — რიგითი პროკურორების კომპეტენციის ამაღლება, პროფესიული სინდისის განმტკიცება და მათთვის დაცულობის განცდის შექმნა, რაც ადრე არ გაკეთდა, რადგან პროკურორი ჩემს წინამორბედს მხოლოდ უკანონო დავალებების შესასრულებლად და შემდეგ გასაწირავად უნდოდა“, — ნათქვამია წერილში.

წულუკიანი პრეზიდენტისადმი მიწერილ წერილში იმ წლებს იხსენებს, როცა მის სამუშაო მაგიდაზე სტრასბურგის სასამართლოში წლების განმავლობაში ყოველდღე ორმოცამდე ნაწამები თუ უკანონო პატიმრობამისჯილი ადამიანის საქმე იყრიდა თავს.

„თქვენი მხრიდან ახლა ადამიანის უფლებებზე აპელირება დაგვიანებულია. თქვენ რომ თქვენს მთავრობაში „სადისტები და მოძალადეები შეგეპარნენ“, ჩვენი მთავრობის საქმეს არ აადვილებს. ჩემი, მთავრობის ერთი რიგითი წევრის, მოკრძალებული შემოთავაზება იქნებოდა, მოგვცეთ საშუალება, მივხედოთ იმ მძიმე მემკვიდრეობას, რაც დაგვხვდა. თქვენ ჩემსავით კარგად უწყით, რომ საქართველოს სახელმწიფოს სასიცოცხლოდ სჭირდება, რაც შეიძლება მალე გადაშალოს ცხრაწლიანი მმართველობით გამოწვეული ნეგატიური შედეგების ფურცელი, მას ერთხელ და სამუდამოდ დაარქვას „წარსული“ და მხოლოდ მომავლისკენ გაიხედოს“, — წერს იუსტიციის მინისტრი წერილში.

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

რა გაუხდა სანანებელი კოტე თოლორდავას ცოლს

„ჩემი ქმრის ზოგი თაყვანისმცემელი ზღვარს გადადის“

ამსახიობმა კოტე თოლორდავამ ექვსი წლის წინ მეორედ შექმნა ოჯახი და ცხოვრება განო მელითაურს დაუკავშირა. ინტერვიუებში ხშირად აღნიშნავს, რომ ნამდვილი მეორე ნახევარი იპოვა და რთული პერიოდების დაძლევა სწორედ მისი დახმარებით შეძლო. პროფესიით რეჟისორ განოს არ უჭირს ქმრის გაგება. ცოლ-ქმარს არც ის ავიწყდებათ, რომ სიყვარულს ფერების შემატება ყოველთვის სჭირდება. მათი ურთიერთობა რომანტიკულობას ინარჩუნებს. განოს თქმით, კოტემ იცის, ცოლი როგორ გაანებივროს. ქმრისგან ყველაზე დიდი მხარდაჭერა მშობიარობისას იგრძნო — კოტე ორივე შვილის, ტასოს და თარაშის დაბადებას დაესწრო და როცა შვილები ევლინებოდნენ ქვეყანას, ცოლის ხელი ეჭირა.

კოტე თოლორდავას მეორენახევრობის ტვირთსა თუ ბედნიერებაზე განო მელითაური გვესაუბრება.

— განო, რას ნიშნავს, იყო მსახიობის მეორე ნახევარი?

— კოტე ჩემთვის, პირველ რიგში, საყვარელი ადამიანია, მერე არის მსახიობი, წარმატებული მამაკაცი და ა.შ. ჩემი პროფესიის ქალისთვის მსახიობის ცოლობა არც ისე რთულია, რადგან გადასაღებ მოედანზე გავიზარდე. მშობლებიც რეჟისორები მყავს. გარდა ამისა, მე და კოტეს ბევრი საერთო ინტერესი გვაერთიანებს.

— დღის დიდ ნაწილს საქმეების გამო ცალ-ცალკე ატარებთ. ურთიერთობაში ეს სართულს ხომ არ ქმნის?

— სირთულე ის არის, რომ ერთმანეთი მუდმივად გვენატრება. ვცდილობთ, საღამოს მეტი დრო დავუთმოთ ერთიმეორეს. კოტეს კარგად შეუძლია თავისი საქმისა და პირადი ცხოვრების გამიჯვნა. საღამომდე თუ ვერ ვახერხებთ გათავისუფლებას, ერთმანეთს ვეხმიანებით, რომ სადმე მაინც დავსხდეთ სავახშმოდ.

— სერიალ „ჩემი ცოლის დაქალებში“ კოტეს პერსონაჟი დიტო, საკმაოდ რთული ხასიათისაა. თქვენ ქმარშიც ხომ არ იჭერთ მსგავს თვისებებს?

— კოტე და დიტო ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისგან, მაგრამ ის მამაკაცური თვისებები, რაც დიტოს აქვს და რაც ქართველ მოზარდ გოგონებს მოსწონთ, კოტეს ნამდვილად ახასიათებს. ზოგადად დიტოთი ამგვარად აღფრთოვანების მიზეზად ის მიმაჩნია, რომ საქართველოში მამაკაცურობის დეფიციტია, მაგრამ ჩემი ქმარი დიტოსნაირი „ბნელი“ ნამდვილად არ არის.

— რა სჭირდება კოტეს ოჯახში ან პირადად თქვენგან?

— მას არ აქვს განსაკუთრებული მოთხოვნები. მასთან ცხოვრება ძალიან კომფორტულია. ჩვენს ოჯახში არ არსებობს დოგმები და კანონები, მაგალითად, ქალმა საჭმელი უნდა გააკეთოს, კაცმა კი პროდუქტი მოიტანოს. პასუხისმგებლობებს და მოვალეობებს თანაბრად ვინაწილებთ სიტუაციის მიხედვით. ორივეს გვიყვარს შოპინგი.

— ყველაფერში ერთნაირი გემოვნება გაქვთ?

— კოტეს ერთ-ერთი დადებითი თვისება არის ის, რომ ძალიან გემოვნებიანია. ჩვენი გემოვნება თითქმის ყველაფერში ემთხვევა. ჩემს გარდერობზე ხშირად კოტე ზრუნავს. ამბობენ, რომ კაცებს არ უყვართ სამოსის ყიდვა, მაგრამ ჩემს ქმარს ეს არ ეხება.

— თქვენს ოჯახში რიგორ არის მიღებული, აუცილებელია, ქმარს ცხელი სადილი დახვდეს თუ აქაც ერთმანეთ ენაცვლებით?

— 6 წელია ცოლ-ქმარი ვართ და მოთხოვნები და პრეტენზიული დამოკიდებულებები არასდროს გვქონია. რა კერძებსაც

განო მელითაური: „მე და ჩემი დაქალები კოტეს ხელში გავიზარდეთ“.

ვაკეთებ, კოტეს ყველაფერი მოსწონს. თვითონაც ძალიან კარგი კულინარია. რომ გავთხოვდი, კვერცხის შეწვაც არ ვიცოდი. ქმარმა კი ბევრი კერძის გაკეთება მასწავლა. ის ძალიან კარგად ამზადებს სოკოს და სტეიკს.

— რიგორც ჩანს, ნასიათით უფრო ეერიოპელის ტიპის ქმარი გყავთ.

— მე ვიტყოდი, რომ ჩემი ქმარი სწორად მოაზროვნე მამაკაცია. კოტე კლასიკური ქართველი „მურთაზი“ არ არის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე არ ვიცი, რაღაცეებს შორის სად გადის ზღვარი. კოტეს მოსწონს, როცა მოკლე კაბა მაცვია, მაგრამ, ამასთანავე ვიცი, სად რა ჩავიცვა. კოტე ისეთი ადამიანია, რომც გინდოდეს, სხვანაირად ვერ მოიქცევი. ასე რომ, აზიატიც არის და ევროპელიც.

— მაგალითად, რაში შეიკავებთ თავს და „ზღვარს“ არ გადასცდებით?

— მგონია, რომ საზღვარგარეთ მარტოს არ გამიშვებს. მეორე მხრივ, არც მე მინდა კოტეს გარეშე უცხოეთში წასვლა. არის საკითხები, რასთან დაკავშირებითაც კოტეს თავისი პრინციპული აზრი აქვს. ცოტა ეჭვიანობაც ახასიათებს.

— თქვენ არ ეჭვიანობთ?

— არ ვარ ეჭვიანი. ერთი, რომ საკუთარ თავში დარწმუნებული ვარ და მეორე, კოტე არ მაძლევს ეჭვიანობის საბაბს.

— არც გაგიზიანებთ ქმრის თაყვანისმცემელთა რაოდენობა და მათი გადაჭარბებული ყურადღება?

— მიხარია, კოტეს რომ თაყვანისმცემლები ჰყავს, რადგან რეალური შოუ „შეგირდის“ მერე ეს პერიოდი მეც გამოვიარე, თუმცა ჩემი გულშემატკივრები, კოტეს ქომაგებისგან განსხვავებით, გარკვეულ ზღვარს არ გადადიოდნენ. თავიდან ჩემი ქმრის რამდენიმე გულშემატკივარს გულუბრყვილოდ მივეცი მისი ტელეფონის ნომერი. მერე აღმოჩნდა, რომ ზოგი ზღვარს გადასულია. შეუძლიათ, ღამის ორ საათზე დარეკონ ან გაუთავებლად რეკონ, მიუხედავად იმისა, რომ კოტე არ პასუხობს, ან მესიჯები წერონ დ ა.შ. ეს ცოტა გამაღიზიანებელია.

— ცოლის დაქალების მიმართ რა დამოკიდებულება აქვს კოტე თოლორდავას?

— მე და ჩემი დაქალები კოტეს ხელში გავიზარდეთ. მათთან არაჩვეულებრივი ურთიერთობები აქვს. კოტე ერთ-ერთ საუკეთესო მრჩევლად ითვლება მათთვის. გათხოვებამდე ჩემი ცხოვრება მეგობრების გარეშე ვერ წარმომედგინა და, საბედნიეროდ, ამის წარმოდგენა არც დამჭირდა. მეც ძალიან ახლოს ვარ კოტეს მეგობრებთან.

— ერთ-ერთ ინტერვიუში თქვით, რომ საკმაოდ ხშირად კინკლაობთ. რა არის ამის მიზეზი?

— ყოველდღიურობა, სამსახური, ბავშვები გამორიცხავს კამათის არარსებობას, მაგრამ ეს არ არის გრანდიოზული და გლობალური მასშტაბის კონფლიქტი. ამგვარი რამ ყველა ოჯახში ხდება. ბოლო პერიოდში შემოვიღეთ წესი — ჩხუბის პირას მყოფნი ერთმანეთს ვუყურებთ, სამჯერ ჩავისუნთქავთ და ასე ვუბრუნდებით ძველ განწყობას. ერთ-ერთს აუცილებლად გვეცინება და იქვე ვრიგდებით.

„ნახმოედგენელ სიტუაციებში ჯოტეს ისე შეუტრიალებია ყველაფერი, რომ მიკმხვდარხვარ, მისი სახით როგორი საყრდენი მყავდა“.

— ექვსწლიანი ოჯახური ცხოვრება რიგორ აისახა თქვენს ურთიერთობაზე — რა შემატა ან რა დააკლო მას?

— ყველამ იცის, კოტეს როგორ უყვარს სიურპრიზების მოწყობა. მას არაფრისგან შეუძლია დღესასწაული შექმნას. ვერც ვხვდები, რომ ჩვენი ქორწინებიდან ექვსი წელი გავიდა, რადგან ყველაფერი მხოლოდ უკეთესობისკენ იცვლება და რომანტიკულობა ძალიან დიდი დოზით გვაქვს ურთიერთობაში.

— ვიცი, რომ ამ ხნის განმავლობაში გქონდათ რთული პერიოდებიც. ასეთ დროს რიგორ იქცევა კოტე, რა თვისებებს აჟღერებს?

— გვქონია რთული და გამოუვალი სიტუაციებიც კი და ასეთ დროს კოტე გაასმაგებულად ემოციური და ფეთქებადია. საკუთარ თავზე იმდენად არ ნერვიულობს, რამდენადაც ჩემსა და ბავშვებზე. წარმოუდგენელ სიტუაციებში კოტეს ისე შეუტრიალებია ყველაფერი, რომ მივმხვდარვარ, მისი სახით როგორი საყრდენი მყავდა. კოტე და მე, პირველ რიგში, მეგობრები ვართ.

— ცოლ-ქმრის შორის ურთიერთობა რომ არ გაბნელდეს, რა არის საჭირო?

— გრძნობა და ენება. შენი მეორე ნახევრისთვის ყოველთვის სასურველი უნდა იყო. ამასთან ერთად, თუ რამე უპატიებელი შეცდომა არ დაუშვა, პატარა მიზეზების გამო დათმობაზე წასვლა არ უნდა გაგიჭირდეთ.

— დაბოლოს, გაუსვამთ თქვენი და კოტეს თანაცხოვრებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი წუთები.

— ასეთი ბევრი წუთი მახსენდება, მაგრამ განსაკუთრებით მახსოვს ბავშვების დაბადება, როცა კოტე ჩემ გვერდით იყო თავისივე სურვილით და ხელს არ მიშვებდა.

✓ მანანა ხოდია

Cyan Magenta Yellow Black

თბილისის ლუდის ფესტივალი „ნატახტარისაგან“ — ტრადიციად ქცეული სიამოვნება

ბევრი ლუდი, კარგი მუსიკა და გართობა შუაგულ თბილისში

თბილისის ლუდის ფესტივალი „ნატახტარისაგან“ უკვე ტრადიციად ქცეული სიამოვნებაა შუა ზაფხულში. ორი დღის განმავლობაში ვარდების მოედანზე დიდი რაოდენობის ლუდი დაილია, საინტერესო მუსიკა ჟღერდა და უამრავი გალაღებული ადამიანი ერთობოდა.

კომპანია „ნატახტარმა“ ლუდის ფესტივალის ტრადიცია 4 წლის წინ შემოიღო. თბილისის ლუდის ფესტივალი მსოფლიოში არსებული სხვა ანალოგების მსგავსად, სრული საფესტივალო სტანდარტით ჩატარდა. ლუდის მოყვარულებს „ნატახტარმა“ ბევრი საფესტივალო ატრიბუტი, ორიგინალური ქუდები, მაისურები, სათვალეები და ლუდის კათხები შესთავაზა. ფესტივალის სტუმრების განწყობაზე ეს მხიარული ატრიბუტები საუკეთესოდ მოქმედებდა. ორი დღის განმავლობაში „ნატახტარმა“ თავისი ყველაზე პოპულარული 5 ლუდი („ნატახტარი“, „მთიელი“, „კოზელი“, „ეფესი“ და „კაიზერი“) შესთავაზა სტუმრებს.

კარგი ლუდის დაგემოვნება წარმოუდგენელია ასევე კარგი მუსიკის გარეშე. ეს ფესტივალის ორგანიზატორებმაც შესანიშნავად იცოდნენ და ამიტომაც მუსიკალური პროგრამა საინტერესოდ იყო შედგენილი. ორი დღის განმავლობაში ლუდის ფესტივალის სტუმრების განწყობაზე ზრუნავდნენ ცოცხალი მუსიკის შემსრულებლები — „მელოუ“, „სვანსიხი“, „ლაუდსფიქერსი“, „სალიო“, „ზარები“, „ზურგი“ და ელენე კალანდაძე. ფესტივალი კი ჯგუფმა „შინ“-მა დახურა.

ფესტივალს თან ახლდა უამრავი სახალისო შეჯიბრება და გათამაშება, სადაც საუკეთესო ლუდის მსმელებიც გამოვლინდნენ.

ნინო სურმაპა, „ნატახტარის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელი:

— ლუდის ფესტივალი „ნატახტარისგან“ ყოველწლიური ტრადიციაა და ლუდის მოყვარულებს წელს უკვე მეოთხედ ვუმასპინძლეთ. ამ ფესტივალის შექმნის იდეა ჩვენი კომპანიის მხრიდან ერთგვარი მადლობის გამოხატულება იყო მომხმარებლების მისამართით. გვინდოდა, შუა ზაფხულში გაგვეკეთებინა ღონისძიება, სადაც ჩვენი მომხმარებელი დროის მხიარულად, საინტერესოდ გატარებას და თავისი საყვარელი ლუდის დაგემოვნებას შეძლებდა. პირველივე ლუდის ფესტივალის ჩატარების შემდეგ მივხვდით, რომ ეს ღონისძიება ყოველწლიური უნდა გამხდარიყო. უკვე მეოთხე წელია, ლუდის მოყვარულებს ვმასპინძლობთ და ვცდილობთ, წლიდან წლამდე უფრო საინტერესო პროგრამა შევთავაზოთ ფესტივალის სტუმრებს. ლუდის მოყვარულებისათვის ყველანაირი კომფორტი შევქმენით, „ნატახტარის“ ყველაზე პოპულარული ლუდებიდან 5 სახეობა შევარჩიეთ და 50 მეტრი სიგრძის ბარი გავაკეთეთ. მომხმარებლებისათვის შევქმენით უფრო იოლი ტალონების სისტემა, რათა ლუდის ჩამოსასხმელებთან ფულისა და ხურდის პრობლემა არ ყოფილიყო. ჩვენი მიზანია, ყოველი შემდგომი ლუდის ფესტივალი წინანდელს ჯობდეს, ამ პროგრესით მივდივართ წინ.

— მსოფლიოს არც ერთ ლუდის ფესტივალს არ აქვს ცალკე მოედანი ბავშვებისათვის, სადაც ისინი ლიმონათით გაგრილდებიან.

— ნამდვილად, ეს „ნატახტარის“ უნიკალურობაა. ჩვენ მსოფლიოში ლუდის მწარმოებლებისგან იმითაც განვსხვავდებით, რომ გემრიელ ლიმონათს ვაწარმოებთ, ამიტომაც ლუდის ფესტივალის ფარგლებში ცალკე ტერიტორია გამოვყავით ბავშვებისა და მათი საყვარელი ლიმონათისათვის. ეს ჩვენს მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, ლუდის ფესტივალზე მთელი ოჯახით მოვიდნენ და ისიამოვნონ.

— თამამად შეიძლება ითქვას, რომ თბილისში ლუდის ფესტივალის ტრადიცია „ნატახტარს“ ეკუთვნის.

— ოთხი წლის წინანდელ მონაცემებთან შედარებით, როცა ლუდის ფესტივალი „ნატახტარმა“ პირველად ჩაატარა, წელს სტუმრების რაოდენობა ორნახევარჯერ არის გაზრდილი. შარშან ლუდის ფესტივალს 25 ათასზე მეტი სტუმარი ჰყავდა, წელს ეს რიცხვი კიდევ რამდენიმე ათასით გაიზარდა. ლუდის ფესტივალის ერთ-ერთი მიზანი ისიც იყო, რომ ლუდის მოხმარების კულტურა დაგვეხვეწა საქართველოში. როგორც ლუდის ბაზრის ლიდერებს, ჩვენ საქართველოში ეს მოვალეობა გვაკისრია და სიამოვნებით ვიღებთ ამ პასუხისმგებლობას. ლუდი იძლევა იმის საშუალებას, რომ კეთილად და მხიარულად გავერთოთ.

გიორგი, 38 წლის, ლუდის მოყვარული:

— თბილისის ლუდის ფესტივალის მუდმივი სტუმარი ვარ. ამის რამდენიმე მიზეზი მაქვს: პირველ რიგში, მიყვარს კარგი ლუდი, შემდეგ მიყვარს კარგი მუსიკა, მეგობრები და გართობა. ამ ყველაფერს კი ფესტივალის ფარგლებში მშვენივრად ვახერხებ. არც ერთი ფესტივალი არ გამომიტოვებია და ვხვდები, რომ ორგანიზატორები სულ უფრო მეტად ზრუნავენ სტუმრების გართობაზე. მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქების ლუდის ფესტივალებზე ვარ ნამყოფი და იქიდან ყოველთვის ჩამომაქვს საფესტივალო ატრიბუტები. ყველაზე მეტად მაინც ის მეამაყება, რომ აქ, შუაგულ თბილისში, შემიძლია საქართველოში ჩამოსხმული ლუდით ვისიამოვნო და ქართული ლუდის აქსესუარებით ვიხალისო. ამისათვის დიდი მადლობა „ნატახტარს“.

Cyan Magenta Yellow Black

სოფო ხალვაში: „ჩემი ქმარი ჩვენი გოგონას დაბადებას დაესწრო და გულზე დაიწვინა“

„დედობის განცდას ამ ასაკში უფრო შევიგრძნობ“

ომღერალი სოფო ხალვაში მეორე ქალიშვილის დედა გახდა. მარიამ ძოძუაშვილი 5 ივლისს დაიბადა. ამ დღისთვის ყველაზე გულმოდგინედ სოფოს უფროსი გოგონა, 5 წლის ქეთო ემზადებოდა. მთელი ის პერიოდი, რაც დედა ახალშობილთან ერთად სამშობიაროში იყო, გვერდიდან არ მოსცილებია.

სოფო 22 წლის იყო, როცა პირველი შვილი შეეძინა, ამჟამად 27 წლისაა და ამბობს, რომ დედური ინსტინქტი ახლა უფრო გაძლიერებული აქვს. ოჯახში მატებით გამოწვეულ სიხარულზე მომღერალი „სარკესთან“ საუბრობს.

— სოფო, გილოცავთ მეორე შვილის შეძენას და ბედნიერ დედობას გისურვებთ. როგორი გოგონა დაიბადა?

— 5 ივლისს, 10 საათს 20 წუთი აკლდა, როცა ჩემი ქალიშვილი მოევლინა ქვეყანას. „სარკეს“ წინა ინტერვიუს დროს ვუთხარი, რომ სახელი ჩემმა უფროსმა გოგონამ შეურჩია — მარიამი და მას დავარქმევდით. ასეც მოვიქეცით. ჩაჩავას კლინიკაში ვიმშობიარე, ჩემი ექიმი ზურა დარახველიძე გახლდათ. მარიამი წონით პატარა დაიბადა — 2 კილოგრამი და 600 გრამი, 46 სანტიმეტრი. ძალიან მოცუცქნული გოგო მყავს, სამაგიეროდ აქტიურია.

„სამშობიაროდან რომ გამოვედი, ხმის ჩამწერ სტუდიაში მივედი. ალბომზე ვმუშაობ, პირველი სიმღერის ჩანერა დანყებული მაქვს“.

— მშობიარობამ გართულებების გარეშე ჩაიარა?

— პირველი შვილიც საკეისრო კვეთით გავაჩინე, რადგან მჯდომარე მდგომარეობაში იყო. მაშინ ნარკოზი გამიკეთეს და ისე ამოიყვანეს ქეთო მუცლიდან. ამჯერად საკეისრო კვეთა სპინალური ანესთეზიით გამიკეთეს და ამ შედეგით ბევრად კმაყოფილი ვარ. არაფერი გამიგია, ყველაფერმა ძალიან კარგად ჩაიარა.

— როგორ შეხვდა ქეთო დის დაბადებას, ხომ არ ეჭვიანობს?

— ქეთო მარიამს ძალიან კარგად შეეგება. შეჩვეული იყო იმ აზრს, რომ მალე ოჯახში ახალი წევრი გვეყოლებოდა. არ ეჭვიანობს, პირიქით, ზედმეტად ზრუნავს დაზე. სამშობიაროში გვერდიდან არ მოსცილებია, ყოველ ღამე ჩემთან რჩებოდა. ორივე შვილი თან მყავდა. კლინიკაში ქეთო ყველამ გაიცნო. ექიმები მარიამს რომ გაიყვანდნენ, ქეთოც თან მიჰყვებოდა. მარიამი ერთ ღამეს გაიყვანეს და დილას ქეთომ თავისი და რომ ვერ ნახა საწოლში, ერთი ამბავი ატეხა. უვლის და მასზე ზრუნავს.

„ქეთო რომ დაიბადა, მიშიკოს ასლი იყო და დღემდე მამას ჰგავს. მარიამს კი ჩემს თავს უფრო ვამსგავსებ“.

— როგორც ჩანს, დის დაბადებისთვის ფსიქოლოგიურად კარგად მოამზადეთ.

— კი, საკმაოდ მომზადებული დახვდა. სანამ მარიამი დაიბადებოდა, ერთად წავედით მაღაზიებში და პატარა დისთვის ძალიან ბევრი რამ შეარჩია, მათ შორის საზაფხულო კაბა და ფეხსაცმელები. მოგეხსენებათ, ახალშობილებს სცივათ და ქეთოს ნაყიდ სარაფანს ჯერ ვერ ვაცმევ. ამის გამო ისე ბრაზობს, ვერ გადმოგცემთ. დის გარდერობში ფერების მიხედვით კიდებს კაბებს. სტუმრებს მარიამისთვის საჩუქრები რომ მოაქვთ, კაბებს ქეთო ახარისხებს.

— წარმომიდგენია, მარიამმა რამხელა სიხარული შემოიტანა ოჯახში.

— მარიამს ძალიან კარგი, ღირსეული დახვედრა მოუწყვეს. ოჯახში ყველაზე პატარა წევრი ის არის, ამიტომ ყველა განსაკუთრებით ეფერება და ზრუნავს მასზე.

— თქვენი ქმარი დაესწრო მშობიარობას?

— საკეისრო კვეთის დროს მიშიკო სამშობიარო ბლოკში შემოვიდა და მარიამის დაბადებას დაესწრო, შემდეგ კი გულზე დაიწვინა.

— მეორე შვილის გაჩენისთვის დავასაჩუქრათ?

— ჩვენ უკვე ორი შვილი გვყავს და ეს საჩუქარი არ არის? ჯერჯერობით სხვა მატერიალურ საჩუქრებზე ვერ ვფიქრობთ. სულ რამდენიმე დღეა, რაც სახლში დავბრუნდი.

— როგორი შეგრძნებაა, როცა აცნობიერებთ, რომ უკვე ორი შვილის დედა ხართ?

— როცა ქეთო დაიბადა, 22 წლის ვიყავი და დედობრივ ინსტინქტს მაშინ ასე მძაფრად ვერ შევიგრძნობდი. თურმე უფრო დაბნეულიც ვყოფილვარ, ვიდრე ახლა. უკვე 27 წლის ვარ, მეორე შვილი ქალისთვის საკმაოდ შეგნებულ ასაკში, თან 5 წლიანი პაუზის შემდეგ გავაჩინე. მშობიარობის მეორე დღეს ჩემი ორივე შვილი ერთად რომ დავინახე, ვერ გეტყვით, რა გრძნობა დამეუფლა! რთულია უცებ ამის გააზრება. მიჭირს ამ სიხარულის გადმოცემა. დედობის განცდას, მგონი, არანაირი სიტყვა არ შეეფერება.

— თქვენი პირველი და მეორე ორსულობა განსხვავდებოდა?

— ქეთოზე ორსულად რომ ვიყავი, მომწონდა ნამცხვარი შუ, რომელიც დღემდე ძალიან მიყვარს, მიუხედავად იმისა, რომ ტკბილეულის მოყვარული არ ვარ. მარიამზე უაზროდ ვჭამდი ნაყინს, სხვათა შორის, ახლა ისე ძალიან აღარ მომწონს. ქეთოზე უპრობლემოდ გაიარა 9 თვემ, მარიამზე კი ჯანმრთელობის თვალსაზრისით, ცოტა ცვლილებები მქონდა, მაგრამ არც ჩემთვის იყო საშიში და არც ნაყოფისთვის.

— ბოლო თვემდე შესანიშნავად გამოიყურებოდით. დიეტურად იკვებებოდით?

— კომპლიმენტისთვის დიდი მადლობა! პირველ ორსულობაზე მხოლოდ 16 კილო მოვიმატე, ამჯერად კი 14 კილოზე მეტი არ მომიმატია. ახლა ცოტა მაქვს მომატებული, მაგრამ ამას პრობლემად არ აღვიქვამ. დიეტაზე არასოდეს ვყოფილვარ, ქეთოს გაჩენის შემდეგ თავისით ჩავდექი ფორმაში და, იმედია, არც ახლა გამიჭირდება.

— მართალია, ბავშვი, სანამ გაიზრდება, მრავალნაირად შეიცვლება, მაგრამ მაინც ვისკენ უფრო იხრება მარიამი გარეგნობით — დედისკენ თუ მამისკენ?

— თავიდან მეგონა, რომ მარიამი ქეთოს ჰგავდა, მაგრამ შევცდი. აბსოლუტურად სხვანაირია. დარწმუნებული ვარ, დები მომავალში რადიკალურად განსხვავებულები იქნებიან. ქეთო რომ დაიბადა, მიშიკოს ასლი იყო და დღემდე მამას ჰგავს. მარიამს კი ჩემს თავს უფრო ვამსგავსებ. ვნახოთ, შემდეგ როგორი იქნება... რამდენიმე დღეა, რაც სახლში ვარ და ჯერ ბოლომდე არ მოვსულვარ აზრზე. სამშობიაროდან რომ გამოვედი, ქეთო ავად გამიხდა, საავადმყოფოში გადასხმები გავუკეთეთ. დიდი ქაოსური პერიოდი გავიარე და ცოტა დაბნეული ვარ.

— ქმარი თუ გეხმარებათ?

— რასაკვირველია, მეხმარება, ხან ერთ შვილთან ვართ, ხან — მეორესთან.

ნათელმხილველი ნელი ბიჩიკაშვილი

ამ პრობლემებით სავსე საუკუნეში თუ ბევრი გასაჭირი დაგატყდათ თავს, როგორიცაა უბარაქობა, ბედის ჩაკეტვა, ჯადოს ზემოქმედება, ნარკომანია, ლოთობა, კაზინოდამოკიდებულება და სხვ. მიმართეთ ნათელმხილველ ნელი ბიჩიკაშვილს. ქნი ნელი იმ ერთეულთა შორისაა, ვისაც შეუძლია უზუსტესად იწინასწარმეტყველოს თქვენს თავს დატეხილი უბედურების მიზეზი და ამ მიზეზის განეიტრალება მოახდინოს. მიმართეთ ქალბატონ ნელის და მისი წინასწარმეტყველების წყალობით თქვენ ჯერ გაოცებული დარჩებით, ხოლო შედეგით – ძალიან კმაყოფილი და ბედნიერი.

ჩაწერა ხდება წინასწარ.

☎ 214-20-65 (ბინა), 593-30-65-51, 599-20-37-64.

Cyan Magenta Yellow Black

— ორი შვილის მამობამ მიშიკო თქვენ მიმართაც შეცვალა?

— როდესაც ოჯახში ბავშვი იბადება, უფრო დიდი სითბო ჩნდება, ურთიერთობები უფრო მყარდება, მეტი სტაბილურობაა. წლებთან ერთად ცოლქმრული ურთიერთობებიც სხვანაირი ხდება.

— ჯერ ადრეა ამაზე ლაპარაკი, მაგრამ ოჯახს ალბათ სურს, გვარის გამგრძელებელი გაჩნდეს.

— თუ ღმერთი ინებებს, ამ სიამოვნებაზე ნამდვილად არ ვიტყვი უარს, მაგრამ ეს ახლო მომავლის გეგმებში არ შედის. ჩვენი ოჯახის წევრებს, რა თქმა უნდა, სურთ გვარის გამგრძელებელი. მეორე ორსულობის დროს სანამ სქესს გავიგებდით, ვგეგმავდით, თუ ბიჭი იქნებოდა, ჩემი მამამთილის პატივსაცემად რეზო დაგვერქმია და ოჯახში პატარა რეზო ძოძუაშვილი გვყოლოდა. ჯერ რა გითხრათ, ახლა ამაზე ლაპარაკი და ფიქრი ადრეა.

— შემოქმედებაში ახლა ალბათ ცოტა ხნით პაუზა გექნებათ.

— გაგიკვირდებათ და, სამშობიაროდან რომ გამოვედი, ანუ რამდენიმე დღის წინ, ხმის ჩამწერ სტუდიაში მივედი. ალბომზე ვმუშაობ, პირველი სიმღერის ჩაწერა დაწყებული მაქვს. სტუდიაში ინსტრუმენტების ჩაწერა მიმდინარეობდა და მოსასმენად მივედი. მაინტერესებდა, რა და როგორ გაკეთდებოდა. არ ვიცი, ალბომი როდის გამოვა, ჯერ მხოლოდ პირველ სიმღერას ვწერ. ასე რომ, ამ მხრივაც ძალიან აქტიური ვარ და არა მგონია, ორი შვილის დედობამ საყვარელ საქმეს ჩამომაშოროს. ჩემი აზრით, ერთი მეორეს ხელს არ შეუშლის.

> „ქეთო ზედმეტად ზრუნავს დაზე. სამშობიაროში გვერდიდან არ მოსწილლებია, ყოველ ღამე ჩემთან რჩებოდა. ორივე შვილი თან მყავდა“.

— სახლში დამხმარე გყავთ?

— კი, ეს ქალბატონი ქეთოს დაბადებიდან ჩვენს ოჯახშია და ახლა მარიამის გაზრდაში დამეხმარება. მეტწილად პატარა სულ ჩემთანაა, დედამ უკვე პირველი იავნანა უმღერა.

მადლობა ჩვენს ახლობლებს, მეგობრებს, ნათესავებს, რომლებმაც ჩვენი სიხარული გაიზიარეს. უამრავი მოლოცვა მივიღე. ძალიან ბედნიერი ვარ. ქალის ცხოვრებაში შვილი უმთავრესია, ამაზე კარგს რას გააკეთებ? ყველას ვუსურვებ ბედნიერებას და გამრავლებას!

✓ ლანა კიკნაძე

ანნა იმედაშვილი: „მე და დათოს ძალიან საყვარელი სათამაშო გაგვიჩნდა!“

ცნობილი ანნა იმედაშვილი და ტელეპროდიუსერი დათო იმედაშვილი 2 ივლისს ბიჭუნას, პეტრეს მშობლები გახდნენ. პატარას 12 ივლისს, პეტრეპავლობის დღესასწაულზე ელოდებოდნენ, მაგრამ პეტრემ სხვაგვარად გადაწყვიტა და დროზე ადრე საკეისრო კვეთით დაიბადა. ახალბედა დედამ ბავშვის მოვლის შესახებ ორსულობის პერიოდში წინასწარ იმდენი რამ შეიტყო, მისი მოვლა არ უჭირს, მით უმეტეს, რომ ქმარიც ეხმარება, რომელიც ამ სფეროში გამოცდილია. ანნასათვის პეტრე პირველი შვილია, დათოსთვის კი — მესამე.

— ანნა, ცოტა ხნის წინ „სარკეში“ დაზუსტებით ამბობდით თარიღს, როცა თქვენი შვილი უნდა დაბადებულიყო — 12 ივლისს, პეტრეპავლობას. ვადაში შეცდით თუ პეტრემ მუცელში ყელარ გაძლო და „იჩქარა“?

— მუცელში ძალიან ცელქი ბიჭი იყო, ჭიპლარი შემოიხვია, რის გამოც 2 ივლისს საკეისრო დამჭირდა. ამხელა ნამდვილად არ გვეგონა, 4 კილო და 51 სმ გაჩნდა. ცოტაც რომ დაგვეცადა, კიდევ უფრო გაიზრდებოდა. როგორც წინა ინტერვიუში გითხარით, ფიზიოლოგიურ მშობიარობას ვაპირებდი, ამისთვის ვემზადებოდი, მაგრამ საკეისრო გარდაუვალი გახდა. ახლა ვხვდები, რომ რაც მოხდა, ძალიან კარგია. პეტრე წონით დიდი ბავშვი დაიბადა და ფიზიოლოგიურად მშობიარობა გამიჭირდებოდა. დროზე ადრე შეგვატყობინა, არ ვარ ისეთი პატარა, თქვენ რომ გგონიათო.

— ყველაფერი თქვენ თვალწინ მოხდა თუ გეძინათ ოპერაციის პროცესში?

— არ მეძინა, ყველაფრის მომსწრე გავხდი. მშობიარობას დათო არ ესწრებოდა, მაგრამ ჩემთან ერთად ექიმი, შორენა მაისურაძე იყო, ჩემი დაქალი სოფო ლილუაშვილი კი ამ ყველაფერს იღებდა, ის ჩემი მემატიანეა. ამბობს, პეტრე რომ გაიზრდება, მისი დაბადება უნდა ვაჩვენოო.

— შვილის დაბადებაზე დასწრების სურვილი დათოს არ ჰქონდა?

— ალბათ არ უნდოდა. ამის სურვილი არც მე მქონია. ეს თემა არც განგვიხილავს. სამშობიაროში გულშემატკივრების მთელი არმია მყავდა.

— ეს თქვენი პირველი შვილია. რა იგრძენით, როცა ახალდაბადებული პეტრე დაინახეთ?

— საოცრება იყო! ამ შეგრძნებას ენით ვერასოდეს აღვწერ. დედობა ყველაზე მაგარი ყოფილა. რომ ჩავიხუტე და სითბო ვიგრძენი, ხომ საერთოდ! კი ბევრი მსმენია შვილზე, მაგრამ ასეთი მაგარი თუ იქნებოდა, ვერასოდეს წარმოვიდგენდი.

— მამამ პატარა მაშინვე ნახა?

— პეტრე ვნახე თუ არა, ასაწონად და მოსაწესრიგებლად წაიყვანეს. დათოს პატარა მაშინ აჩვენეს და ბევრი ფოტოც გადაუღო. პირველივე წუთიდან მეც უამრავი ფოტო გადავუღე. როცა დათომ პეტრე ხელში აიყვანა, ერთად ვიყავით. მამა-შვილი ერთად რომ დავინახე, ძალიან მაგარი რეაქცია მქონდა, რაღაცნაირი თბილი შეგრძნებაა! მამამისი პეტრეს თავს ევლება. მისი ძმა, ლუკა, ხომ გიჟდება. პეტრე ლუკას ხელში თავს ძალიან მშვიდად გრძნობს. 6 ივლისს სამშობიაროში დათო და ლუკა მოვიდნენ და სახლში დავბრუნდით. დაიკო დასასვენებლადაა წასული და ისიც მალე ინახულებს.

— ალბათ სახლში უამრავი სტუმარი დაგხვდათ.

— სხვათა შორის, ასე არ მომხდარა. სანამ ბავშვი ცოტა არ წამოიზრდება, მნახველებსაც ვერიდებით. პეტრე, ოჯახის წევრებისა და ახლო მეგობრების გარდა, არავის უნახავს და მის ფოტოებს არც სოციალურ ქსელში ვდებ.

— პატარას გაზრდაში ვინმე გეხმარებათ?

— დედა მეხმარება, მაგრამ პეტრეს გაზრდაში მე და დათო აქტიურად ვართ ჩართულნი. ჩემი დედამთილი ავად გახდა და ბავშვთან ურთიერთობას ერიდება, მაგრამ ძალიან მგულშემატკივრობს.

სახლში რომ დავბრუნდით, პირველად დათომ აბანავა, რადგან ამ პროცესის მე ცოტა მეშინოდა. ახლა უკვე ერთად ვაბანავებთ ხოლმე. დათოს უნდა, პეტრე სულ ხელში ეჭიროს. პირველ ღამეს ბავშვი რომ გაიღვიძებდა, დათო უფრო სწრაფად რეაგირებდა, ვიდრე მე. ძალიან საყვარელი სათამაშო გვყავს — ოჯახის ახალი წევრი! დათოს ნახევარი საათიც რომ გამოუჩნდეს თავისუფალი დრო, პეტრეს სანახავად მორბის. სანამ სამშობიაროდან გამოვედით, დათოს საწოლიც აუწყვია და პეტრეს ოთახი მომზადებული დაგვახვედრა. ისეთი კომფორტული საწოლია, მეც მინდა ხოლმე, ჩავწვე. ბავშვს ცალკე ოთახი აქვს და ძალიან მშვიდადაც სძინავს. ვფიქრობ, სწორად ვიქცევი.

— დედობა სრულად გააცნობიერეთ?

— ნელ-ნელა ვაცნობიერებ. ძალიან მშვიდი და საყვარელი ბიჭია, არ მაბრაზებს. მის სახელსაც ძალიან იოლად შევეგუე. პეტრე ბუნებრივ კვებაზეა, ბიჭისთვის ძალიან კარგი ყოფილა. კვების პროცესი საოცარი შეგრძნებაა. ეს კიდევ ცალკე თემაა, დედა-შვილის ძალიან ინტიმური ურთიერთობა.

— მშობიარობის შემდგომი დეპრესია არ გეტყობათ.

— დეპრესია ნამდვილად არ მქონია. დეპრესია მაშინ ეწყებათ, როცა ქალი დედობისთვის მზად არ არის. მადლობა ღმერთს, ეს პრობლემები არ მანუხებს.

— როგორც თქვით, წონაში ბევრი მოიმატეთ. როგორ აპირებთ ფორმაში ჩადგომას?

— 10 კილო სამშობიაროში დავტოვე, რაც ძალიან მახარებს. ძალიან ცოტაღა მაქვს დასაკლები. ძველი ტანსაცმელი ისევ მეტევა. ჭრილობა შემიხორცდა და ნელ-ნელა ფორმაში ვდგები.

— ცხოვრების აქტიურ რიტმს როდის დაუბრუნდებით?

— მინდა, პეტრეს დიდი დრო დავუთმო. სექტემბერში „ახალი ხმის“ მეორე სეზონი იწყება და ისევ წამყვანი ვიქნები.

✓ სოფიო ბოჭორიძე

მამაკაცებისთვის!

სქესობრივი სისუსტის, პროსტატის დაავადებების: პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (ხშირი შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი), ვირუსული და მიკრობული დაინფიცირების მკურნალობა. ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, დეპრესიის, შიშების, უძილობის მკურნალობა; ორგანიზმის გაწმენდა უჯრედულ დონეზე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებისა და გვერდითი მოვლენების გარეშე. შედეგი და ანონიმურობა 100%-იანია.

ექიმი ქალბატონი მზია

☎ 514-246-446, 218-48-99

Cyan Magenta Yellow Black

რას ემსხვერპლა მამუკა მიქაუტაძე — პოლიციის შეცდომას თუ პროვოკაციას?

გამოცხადებული თვითმკვლელობის ქრონიკა

ზიზი ეძგვერაძე

39 წლის მამუკა მიქაუტაძის თვითმკვლელობამ მთელი საქართველო აალაპარაკა. 6 ივლისს ის თბილისის ზღვის ტერიტორიაზე ხეზე ჩამომხრჩვალი იპოვეს. ორი შვილის მამამ წინასწარ შეატყობინა ახლობლებს, რომ ამ საშინელ ნაბიჯს დგამდა. მისი შეჩერება ვერ მოახერხეს. ამ ტრაგედიას წინ უძღოდა პოლიციაში დაკითხვის ფაქტი, სადაც მამუკას, როგორც ჩანს, ღირსება შეულახეს. ახალგაზრდა კაცის თვითმკვლელობის მიზეზიც, სავარაუდოდ, ეს გახდა, თუმცა მის ცოლს, ზიზი ეძგვერაძეს, გარკვეული გარემოებები ეჭვს აღუძრავს, ხომ არ იყო ეს მკვლელობა ან თვითმკვლელობა იძულებით.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე, თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით აღძრა. შსს-ს 8 თანამშრომელი უკვე დაიკითხა.

მამუკა მიქაუტაძის საქმის შესწავლა ომბუდსმენის აპარატმაც დაიწყო. სახალხო დამცველ უჩა ნანუაშვილის შეფასებით, საქმეში სერიოზული დარღვევები ჩანს. განგაში ატეხეს არასამთავრობო ორგანიზაციებმაც. მომხდარს საქართველოს მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილიც გამოეხმაურა. მისი განცხადებით, ის შს მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს ესაუბრა, საქმე გადასცემოდა თუ არა პროკურატურას, მაგრამ, ღარიბაშვილის თხოვნით, საქმე შსს-ში დარჩება და მას გენერალური ინსპექცია გამოიძიებს. ღარიბაშვილი აცხადებს, რომ სიმართლის დადგენა მისი უწყების ღირსების საქმეა.

მიქაუტაძის ცხედარს ექსპერტიზა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ჩაუტარდა. შედეგები რამდენიმე კვირაში გახდება ცნობილი. დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნით კი, გარეგანი დათვალიერებით ცხედარზე ფიზიკური ზემოქმედების ნიშნები იკვეთება.

გარდაცვლილის მეუღლე, **ზიზი ეძგვერაძე,** გვიამბობს:

— მამუკა პროფილაქტიკაში, გლდანის ხიდებთან მუშაობდა. იქ სატვირთო მანქანების სადგომია. იმ დღეს თურმე გელა მანჯგავიძე, რომელიც ერთ-ერთი სატვირთოს მძღოლია, ეზოში შევიდა და მამუკას დაუძახა. ის გამოვიდა

„ახლა ჰომ ვუფიქრდები, აღბათ გამოსამშვიდობებელი იყო ის, ჰაც მითხრა, ძალიან ცუდად ვარ, ბული მტკივა, ხვალიდან ცხოვრების გაგრძელება მარტოს მოგინევსო... მაინც ვეჰც ეჰთი ნამით ვიფიქრე, ჰომ თავს მოიკლავდა! ბავშვებს ეძინათ. მახსოვს, ჰომ ჩაკოცნა".

და მისალმებაც კი ვერ მოასწრო, თავზე ორი სამართალდამცავი დაადგათ. მამუკაც დაეკავეს და გელაც. სამართალდამცავებმა მამუკას უთხრეს, ვიცით, რომ ამ კაცს შენთვის „მარიხუანა" მოჰქონდაო. ჩხრეკისას „მარიხუანა" არც ერთს აღმოაჩნდა. ჩხრეკის პროცესში (ჩემმა მეუღლემაც დაინახა და თვითმხილველიც არსებობს) ერთი სამართალდამცავი სატვირთოსკენ წავიდა, დაიხარა, ვითომ რაღაც აიღო თუ მართლა აიღო, არ ვიცი... მოკლედ, პატარა შეკვრა მოიტანა და გელას უთხრა, ეს არის „მარიხუანა", რომელიც შენ მამუკასთვის მოგქონდაო.

„მამუკამ მითხრა, ხელი მკრეს, კედელზე მიმახეთქეს, შემდეგ ძირს დავვარდი, წაქცეულს ერთ-ერთმა ცხვირზე წიხლი დამაჭირა და შემდეგ უმოწყალოდ შემდგნენ... სასტიკი ცემის შემდეგ იატაკზე ჩვენება დამიდეს, ხელი მოაწერეო".

როგორც დაკითხვაზე მამუკას უთხრეს, გელას დიდი ხნის განმავლობაში უთვალთვალებდნენ, მაგრამ მისი დაკავება ვერ მოახერხეს. გელა იმ დღეს რაიონიდან მოდიოდა, მის მანქანაში ორი მეზობელი ქალი იჯდა.

მე არ ვიცოდი, რომ ჩემი ქმარი დაკითხვაზე ჰყავდათ წაყვანილი. სამსახურიდან (სტილისტ-კოსმეტოლოგი ვარ, სილამაზის სალონში ვმუშაობ) სახლში რომ დავბრუნდი, მამუკა წამოწოლილი იყო, კარგ განწყობაზე არ ჩანდა. მან ეს ამბავი მომიყვა, მაგრამ, როგორც ვხვდები, ყველაფერი არ მოუყოლია. ამიტომ ბევრი კითხვა მაქვს.

— ქმრის ჩვენებას გაეცანით და კითხვები ასს გავიჩინეთ?

— იმ ჩვენებას 10 წლის ბავშვიც კი არ მოაწერდა ხელს. იქ წერია, რომ გელამ მას 10 დღით ადრე „მარიხუანა" მიუტანა. როგორც ვიცი, ნარკოტიკი ადამიანის ორგანიზმიდან 40 დღის განმავლობაში არ გადის. ნარკოლოგიურმა სამსახურმა მამუკას ორგანიზმში ნარკოტიკი ვერ აღმოაჩინა. ამას გარდა, როცა ჩემი ქმარი ქალაქის ცენტრალურ სამმართველოში დაკითხვაზე მიიყვანეს, გამშვებ პუნქტზე არ გააფორმეს, არადა იქ ისე არავის უშვებენ. როცა მამუკა აწამეს, სასურველი ჩვენება მიიღეს და გამოუშვეს, გამოსასვლელში ერთ-ერთს უკითხავს, აქ საიდან გაჩნდი, როგორ შემოხვედიო. ერთმანეთში დაუწყიათ საუბარი, ხომ იცით, ამის გამო ან დაგვხსნიან, ან დაგვხოცავენო. სასწრაფო წესით დაუწყიათ მისი საშვის გაფორმება.

— რა ვიამბოთ მამუკას დაკითხვის პროცესის შესახებ, რა ხდებოდა იქ?

— თურმე უთხრეს, ამ კაცს მაინც დავიჭერდით, მაგრამ შენი ჩვენებაა აუცილებელი, რომ „მარიხუანა" პატივისცემის მიზნით შენთან მოჰქონდაო. მამუკამ ამის დაწერაზე უარი განაცხადა, რადგან მასთან გელას ნარკოტიკი არ მიჰქონდა, ის ნარკოტიკების მომხმარებელი არ იყო. უთხრეს, არ გვაინტერესებს, ეს უნდა დაწერო, თორემ 9 წლიან სასჯელზე წახვალო. მამუკა ჩვენების მიცემაზე მაინც არ დათანხმდა. სამართალდამცავებმა უთხრეს, სატელეფონო ჩანაწერები გვაქვს, რომ გელამ შენ დაგირეკა და გითხრა, გამოგივლიო, ამ ფაქტებს დაგიდებთ და ამის შემდეგ ვერაფერს უარყოფო. შეიძლება გელამ მართლა დაურეკა, გამოგივლიო, მაგრამ ის მძღოლი იყო, მამუკა კი — ხელოსანი და ერთმანეთთან ხშირი შეხება ჰქონდათ. მამუკას დაკითხვა 40 წუთის განმავლობაში მიმდინარეობდა.

— მაგიჟეთ, როგორ აწამეს?

— მითხრა, ხელი მკრეს, კედელზე მიმახეთქეს, შემდეგ ძირს დავვარდი, წაქცეულს ერთ-ერთმა ცხვირზე წიხლი დამაჭირა და შემდეგ უმოწყალოდ შემდგნენო. ძალიან ბევრი კითხვა დამრჩა, რომელზეც მამუკამ არ მიპასუხა. მან ალბათ ყველაფერი ისე მიამბო, რომ არ გავგიჟებულიყავი და არ მეფიქრა, რომ ის თავს მოიკლავდა... მითხრა, სასტიკი ცემის შემდეგ იატაკზე ჩვენება დამიდეს, ხელი მოაწერეო. დაბეჭდილი, გამზადებული ჩვენება დაუდეს, რომელსაც არ გასცნობია. ძალიან განიცდიდა, რომ ზეწოლის შედეგად გელას წინააღმდეგ ასეთი ჩვენება მისცა.

— იმ დღეს თვითმკვლელობა არ უსაუბრია თქვენთან?

— იმ ღამეს მის დამშვიდებას ვცდილობდი და თითქოს გამომივიდა. ტელეფონი არასდროს გამოურთავს, იმ ღამეს კი არ ჩაურთავს. ტელეფონი მოვპარე. მინდოდა, მისი მეგობრისთვის დამერეკა, მაგრამ დამინახა, მითხრა, სასწრაფოდ გათიშე, ვინმემ არ დამირეკოსო. არეული თვალები ჰქონდა. თითქმის დილის 6 საათამდე ვსაუბრობდით. მითხრა, კლიენტი დილით დავიბარე, დავიძინოთო. დილით, 10-ის ნახევარზე გავიღვიძე და სახლში აღარ იყო.

— საუბრის დროს არაფერთ მოუსმენია, რომ რაღაც უკვე ჰქონდა გადწყვეტილი?

— ახლა რომ ვუფიქრდები, ალბათ გამოსამშვიდობებელი იყო ის, რაც მითხრა, ძალიან ცუდად ვარ, გული მტკივა, ხვალიდან ცხოვრების გაგრძელება მარტოს მოგინევსო. ეს არ მომეწონა, მაგრამ ვიფიქრე, დეპრესია აქვს და ამიტომ ამბობს-მეთქი. მთელი ღამე სწორედ ამიტომ ვესაუბრე, მისი ამ მდგომარეობიდან გამოყვანას ვცდილობდი. მეუბნებოდა, შენ ძლიერი ხარ და

„მეკვეცლობის ვეჰსიამდე, იცით, ჰას მივყავაჰ? ამდენ უზუსტობას. შეიძლება ვინმეს ხელი აჰ მოუკიდია და ხეზე აჰ ჩამოეკიდია, მაგჰამ იმ მომენტში მასთან ეჰთად ვიღაც იმყოფებოდა, ჰაღაცას სთხოვდა ან იმას აიძულებდა, ჰასაც ის აჰ გააკეთებდა".

მჯერა, ჩვენი შვილებისთვის ყველაფერს გააკეთებო. მაინც ვერც ერთი წამით ვიფიქრე, რომ თავს მოიკლავდა! ბავშვებს ეძინათ. მახსოვს, რომ ჩაკოცნა.

— დილით სახლში რომ აღარ იყო, შეეშინეთ?

— 10-ის ნახევარზე დავურეკე, სამსახურში ვარო. ვთხოვე, რომელიმე თანამშრომელი დამალაპარაკე-მეთქი. არა, გვერდით ვარ გასული, რაღაც ვერ ვარ და ცოტას გავივლიო. ეს რომ მითხრა, არ მომეწონა და ცოტა ხანში კიდევ დავურეკე, სამსახურში მოვდივარ, ნანახავ, დაგამშვიდებ და წამოვალ-მეთქი. მიპასუხა, არ წამოხვიდე, მე უკვე იქიდან წამოვედიო. სამსახურში მაინც მივედი, მაგრამ არ დამხვდა. კიდევ რომ დავურეკე, ვიღაც ბავშვმა მიპასუხა, იმ ძიამ მანქანასთან დამტოვა, თვითონ მაღაზიაშია გადასული და აი, მოდისო. იქიდან მამუკას ხმაც მომესმა, უთხარი, 10 წუთში გადავურეკავო და გამითიშა. სანამ მამუკას ხმას გავიგონებდი, მოვასწარი, ამ ბავშვისთვის მეკითხა, სად ხართ-მეთქი. თბილისის ზღვაზე, კორპუსებთან ვართო. მამუკას ერთ-ერთ მეგობარს დავურეკე, ვთხოვე, მოსულიყო. ისიც ესაუბრა ტელეფონით...

მოკლედ, თბილისის ზღვაზე წავედით. მამუკამ 10 წუთში მართლა დამირეკა. ვიბანავე, გავშრები, ცოტა გულს გადავაყოლებ და ნახევარ საათში სახლში მოვალო. ვთხოვე, უბრალოდ გნახავ და

Cyan Magenta Yellow Black

წამოვალ-მეთქი. ვერ მიპოვი, სახლში წადიო, ტელეფონი გამითიშა. ვეძებეთ იმ ადგილებში, სადაც თავის მეგობრებთან ან ჩემთან ერთად ოდესმე ყოფილა. ტელეფონზეც აღარ მპასუხობდა.საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრში სამსახურში დავრეკე, სადაც მითხრეს, თუ თბილისის ზღვაზე ხართ და ისიც მანდ არის, თქვენ თვითონ მოძებნეთო და ტელეფონი გათიშეს. ჩხუბის შემდეგ საპატრულოში გადაგვრთეს, საპატრულო ეკიპაჟი დააახლოებით 20-25 წუთში

„მამა იაკობმა წესის აგების უფლება მომცა... ამ ადამიანმა თავისი სიცოცხლის ფასად სხვისი სიცოცხლე გადაარჩინა, მითხა მამამ".

მოვიდა. როცა ისინი მონაცემებს იწერდნენ, მამუკას მეგობარმა თქვა, როცა ველაპარაკე, ასე მითხრა, წყალში გადავარდა, მაგრამ თავის დაბრრჩობა ვერ შეეძელი, ახლა თოკი და არაყი ვიყიდე, რომ გამბედაობა მომემატოს, თავი უნდა მოვიკლაო. მეგობარმა უთხრა, გამოსავალი ერთად მოვძებნოთო. აზრი არაფერს აქვსო, უპასუხა და ტელეფონი გაუთიშა.

საპატრულომ ასმეთაური გამოიძახა, მან ცალკე შეავსო მონაცემები, ვერ დაადგინეს, ეს საქმე დიდი დიღმის საპატრულოსთვის გადაეცათ თუ ლოტკინის საპატრულოსთვის. ამ ყველაფერში ზუსტად საათნახევარზე მეტი გავიდა. ვთხოვდი, ეკიპაჟი გაეშვათ მოსაძებნად, რადგან წამები წყვეტდა ადამიანის სიცოცხლეს, მაგრამ...

— რიგორი იპოვეს მისი ცხედარი?

— თუ არ ვცდები, მეთევზემ იპოვა. მე უკვე საპატრულოში ვიყავი, როცა ეს ამბავი გავიგე. ძალიან ბევრი კითხვა და უზუსტობაა. მამუკა „საბუქსირე" თოკითაა ჩამომხრჩვალი, ის კი მხოლოდ სარაჯიშვილის მეტროსთან იყიდება. ადამიანი, რომელიც წყალში გადახტა, ამოვიდა, სველი იყო, ასეთ მდგომარეობაში ჩავიდა თოკის საყიდლად? როგორც ვიცი, მამუკას მანქანაში ერთი სათადარიგო საბურავი ჰქონდა. ის იმ საბურავზეა დამდგარი და ხეზე ჩამოკიდებული. ეს ის სიმაღლე არ არის, რომლითაც ადამიანი თავს ჩამოიხრჩობს.

— ანუ ყარაულობთ, რომ შეიძლება ის იქ მარტო არ იყო?

— არ ვიცი. ძალიან დიდი კითხვის ნიშანია ბავშვთან დაკავშირებითაც. ვინ იყო და საერთოდ იყო თუ არა ის ბავშვი? 7-8 წლის ბიჭის ხმა ჰქონდა. მეეჭვება კი არა, 100 პროცენტით ვარ დარწმუნებული, მამუკა ამ ასაკის ბავშვს მაღაზიასთან გაჩერებულ მანქანასთან სადარაჯოდ არ დააყენებდა. საიდან მოვიდა ის ბავშვი? ტელეფონი, მანქანა ბავშვს დაუტოვა და რისი გულისთვის?..

ცხედრის გარეგანი დათვალიერებით, ექსპერტმა ალექსანდრე გეჯაძემ დაადასტურა, რომ მას სიცოცხლეშივე მიყენებული ძალადობის კვალი აღენიშნება ცხვირზე. სავარაუდოდ, იყო ფეხის ტერფებზეც, მაგრამ გაკვეთის შემდეგ დადგინდება, ეს გვამური ლაქებია თუ წამების კვალი.

— რიგორც ჩანს, ეჭვი გაქვთ, რომ ეს თვითმკვლელობა კი არა მკვლელობა იყო.

— მასზე ფსიქოლოგიური ზეწოლა იყო, ვიღაცის ზარის საშინლად ეშინოდა. ბოლოს ერთისთვის უთქვამს, მეჩქარება, ისევ იქ ვარ დაბარებულიო. არ ვიცი, იმ დილით ისევ იქ იყო მისული და კიდევ მოხდა მასზე ზეწოლა... თუ დადასტურდა, რომ მან თავი მოიკლა, ეს იქნება ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგი.

მკვლელობის ვერსიამდე, იცით, რას მივყავარ? ამდენ უზუსტობას. შეიძლება ვინმეს ხელი არ მოუკიდია და ხეზე არ ჩამოუკიდია, მაგრამ იმ მომენტში მასთან ერთად ვიღაც იმყოფებოდა, რაღაცას სთხოვდა ან იმას აიძულებდა, რასაც ის არ გაკეთებდა.

მამუკა ძალიან გაწონასწორებული, ოპტიმისტი ადამიანი იყო და თავს არ მოიკლავდა. ქირით ვცხოვრობთ, თვითონაც ნახეთ, როგორ პირობებში ვართ, მაგრამ ამითაც ბედნიერები ვიყავით. მამუკა ამბობდა, ყველაფერი გვექნება, მთავარია, ჯანმრთელები და ცოცხლები ვართო. 13 წელია ცოლ-ქმარი ვართ. ორი შვილი, 12 წლის ანი და 5 წლის ნია გვყავს. თუ ის თვითმკვლელობამდე მიიყვანეს და იქ არავინ იყო, ერთ-ერთი ვერსია შეიძლება ის იყოს, რომ მას ოჯახით ემუქრებოდნენ, პოლიციასთან ეთანამშრომლა.

მამა იაკობმა წესის აგების უფლება მომცა. იმ დღეს თუ შეიძლება ადამიანი ბედნიერი ყოფილიყო, მე ვიყავი, რადგან ამის ნებართვა მოგვცეს. როცა მამაოს ეს ყველაფერი ვუამბე, მითხრა: „აუგეთ წესი". ასე მხოლოდ ომებში ხდებოდა, როცა ადამიანებს ავალებდნენ, რომ ვიღაცეები ან „ჩაუშვათ", ან მოეკლათ, ამას რომ ვერ აკეთებდნენ, თავს იკლავდნენ. ამ ადამიანმა თავისი სიცოცხლის ფასად სხვისი სიცოცხლე გადაარჩინაო, მითხრა მამამ.

მამუკა ძალიან სუფთა სულის ადამიანი იყო, მე კი ისიც საბრძოლველი გამიხდა, რომ მისი სული ჯოჯოხეთში არ წასულიყო. ისეთი ადამიანის სიმართლის დამტკიცება მიწევს, რომელსაც შვილიც კი არასდროს მოუტყუებია.

■

საბვირთო მანქანის მძღოლი გელა მანჯავიძე, 2000 ლარიანი გირაოთი გათავისუფლეს. „სარკე" მის ადვოკატს, **ამირან გიგუაშვილს** ესაუბრა, რომელმაც შემდეგი გვითხრა:

— იმ დღეს გელა მანჯავიძემ მოახერხა, ჩვენს საადვოკატო ბიუროს დაკავშირებოდა. ჩვენი ადვოკატი, თამარ კვინტრაძე, ადგილზე გამოცხადდა, თუმცა საშუალება არ მისცეს, რომ დაკავების პროცესს დასწრებოდა. მანჯავიძე და მიქაუტაძე საგამოძიებო იზოლატორში გადაიყვანეს, სადაც ადვოკატი შესაბამისი ორდერით გამოცხადდა,

„გამოძიებამ უნდა დაადგინოს, სინამდვილეში ხა მოხდა — ეს იყო საბედისწერო შეცდომა სამართალდამცავების მხრიდან და ტრაგიკული მოვლენების დამთხვევა თუ მიზანმიმართული პროვოკაცია".

მაგრამ მას დაახლოებით 7 საათის განმავლობაში საშუალება არ მისცეს, რომ თავის დაცვის ქვეშ მყოფს შეხვედროდა. არაერთხელ სცადა, გამომძიებელს დაკავშირებოდა, მაგრამ ის ტელეფონზე არ პასუხობდა. შემდეგ ადვოკატს განუმარტეს, რომ იმ გამომძიებელს ტელეფონი წყალში ჩაუვარდა... ბევრი პროცედურული დარღვევაა, რაზეც აქცენტს გავაკეთებთ და სასამართლოს წარვუდგენთ, როცა ამ საქმის არსებითი განხილვა იქნება. სასამართლო 26 აგვისტოსაა ჩანიშნული.

— დაკითხვისას მანჯავიძეზეც განხორციელდა რაიმე სახის ზეწოლა?

— მის მიმართ ფიზიკური — არა, მაგრამ ფსიქოლოგიური ზეწოლა იყო. როგორც მანჯავიძე ამბობს, ეუბნებოდნენ, რომ თუ ბრალს არ აღიარებდა, მისთვის უფრო ცუდი იქნებოდა... მანჯავიძის მანქანაში, უკანა სავარძელში, ორი ქალბატონი იჯდა, რომლებიც ბრალდებამ დაკითხა. ბრალდების ვერსიით, გელა მანჯავიძე მძღოლის მხარეს, ფანჯრიდან ესაუბრებოდა მამუკა მიქაუტაძეს, რა დროსაც დაინახა, რომ მას პოლიციის თანამშრომელი უახლოვდებოდა და მის ხელთ არსებული ნარკოტიკული საშუალება, რომლის გადაცემასაც მამუკა მიქაუტაძისთვის აპირებდა, მეორე

■ მამუკა შვილებთან ერთად

ფანჯრიდან გადაადგო. მანქანაში მსხდომი ორივე ქალბატონი ადვოკატის მონაწილეობის გარეშეა დაკითხული, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მათ დაცვის მითითებით კი არ უარყვეს ის ფაქტობრივი გარემოება, რომ არ დაუნახავთ გელა მანჯავიძის მიერ ნარკოტიკული საშუალების მოშორების ფაქტი, არამედ მათ თვითონ მისცეს ასეთი ჩვენება. ეს საქმის მასალებშიც არის.

ჩვენთვის ცნობილი არ არის, ბრალდების მხარეს აქვს თუ არა, დაქტილოსკოპიური, ანუ ანაბეჭდების ექსპერტიზის პასუხები. ეს ნივთმტკიცება ადგილიდან იქნა ამოღებული და დალუქული. იქ მძღოლების თავშეყრის ადგილია და თვითმხილველები არსებობენ, რომლებიც სასამართლოს ობიექტურ ჩვენებას მისცემენ.

— რატომ უფალლოვალებდნენ გელა მანჯავიძეს, როგორც ეს მიქუტაძისთვის პოლიცას უთქვამს? სასამართლოდან ან ნარკოტიკული საშუალების მოხმარებაში შემჩნეული?

— არასოდეს. სად არის მაშინ ეს მასალები? მანჯავიძის მიმართ თუ მართლაც ხორციელდებოდა თვალთვალი და დევნა, ეს დოკუმენტაცია საპროცესო წესით ჩვენთვისაც უნდა გადმოეცათ. რადგან დღეს ეს მასალები არ გვაქვს, არ შეიძლება ის გამოყენებული იქნეს, როგორც მტკიცებულებები.

გელა მანჯავიძე ერთი ჩვეულებრივი ადამიანია, მძღოლია. გაურკვეველია, მის მიმართ რა ინტერესი უნდა ჰქონოდათ. რაიმე ინტერესი არც მიქაუტაძის მიმართ უნდა ყოფილიყო. გამოძიებამ უნდა დაადგინოს, სინამდვილეში რა მოხდა — ეს იყო საბედისწერო შეცდომა სამართალდამცავების მხრიდან და ტრაგიკული მოვლენების დამთხვევა თუ მიზანმიმართული პროვოკაცია.

✓ **ეკა ლემონჯავა**

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

„ძმამ დედა არ დამატირებინა“

ძმა 7 წლით უმცროსია ჩემზე. მასზე ძალიან დიდი ამაგი მაქვს. ჩემს კალთაში გაიზარდა. მის სახელს ვიფიცებდი, მასზე ამომდიოდა მზე და მთვარე. საბჭოთა ჯარში რომ წაიყვანეს, იმ დღეს მეგონა, ყველაფერი დაცარიელდა. დავდიოდი და ჭირისუფალივით ვტიროდი. შუა აზიაში მსახურობდა და იქ რამდენჯერმე ჩავაკითხე. მის მიმართ მშობლიური გრძნობა მქონდა. ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ ჩვენ შორის შავი კატა გაირბენდა, მაგრამ თურმე რასაც არ ელი, ზუსტად ის დაგატყდება თავს. „შავი კატა“ კი მისი ცოლის ოჯახი აღმოჩნდა.

თავიდანვე წინააღმდეგი ვიყავი, რომ ის მოეყვანა ცოლად. ვთვლიდი, რომ ჩვენი ოჯახის შესაფერისი არ იყო. პირველად დამიჯერა და ჩამოშორდა, მაგრამ იმ გოგომ ისე იაქტიურა, მოაჯადოვა, რომ იტყვიან, სახლში ძალით შემოგვავარდა. ბუნებრივია, მასთან თბილი ურთიერთობა ვერ მექნებოდა, რადგან ისიც მტრად მთვლიდა და მასზე მეც იგივენაირი წარმოდგენა მქონდა, თუმცა თავს ვიკავებდი. ვფიქრობდი, ახლა მთავარია, ჩემი ძმა იყოს კარგად, დანარჩენს კი მნიშვნელობა არ აქვს-მეთქი. პირველი ომი კი სწორედ მან წამოიწყო.

ერთ დღეს გამომიცხადა, რომ მათ სახლში ხშირ-ხშირად არ უნდა მევლო, რადგან მისი ოჯახის საქმეებში ცხვირს ვყოფდი. მამა მაშინ უკვე გარდაცვლილი მყავდა, დედის სანახავად დავდიოდი და თურმე არ უნდა მივსულიყავი. მითხრა, დედაშენი თუ მოგენატრება, რამდენიმე კვირით წაიყვანე, მოეფერე და მერე ისევ გამოუშვიო. ყურებს არ ვუჯერებდი. ძმას შევხედე, ვიფიქრე, ახლა ცოლს შუაზე გაგლეჯს-მეთქი, მაგრამ ის აქეთ წამეჩხუბა, ჩემს ცოლს ვერ იტან, თავიდანვე აითვალწუნე, ახლა გინდა, სახლიდან გამიგდო, ამის უფლებას არ მოგცემო. გაოცებული ვუყურებდი, ხმასაც კი ვერ ვიღებდი. დედამ მითხრა, თავი დაანებე, ვერაფერს შეაგნებინებ, იმას ლაპარაკობენ, რაც აწყობთო.

მშობლების სახლიდან ასე ამომიკვეთეს ფეხი. დედამ ჩემს ძმას გამოუცხადა, რადგან ჩემს შვილს აქ მოსვლას უკრძალავ, მაშინ სოფლის აგარაკს მას ვაჩუქებ, მშობლების სახლში იქ მაინც მივაო. დედას ეს რომ მანამდე გაეკეთებინა, თავს გავიგიჟებდი, საჩუქარს არაფრით გამოვართმევდი, ძმას არაფერში შევეცილებოდი. პირიქით, მე რაც მქონდა, ისიც ძმისთვის მინდოდა. მათმა უმადურობამ კი ისე გამამწარა, სოფლის სახლის ჩემზე გადმოფორმება დედას დავაჩქარებინე. ვიფიქრე, რომ რძალი ღირსი არ იყო ჩემი მშობლების წვალებით აშენებულ აგარაკზე დაესვენა. ეს ამბავი ჩვენი საბოლოო დაშორების და უთანხმოების მიზეზი გახდა. ჩემი ძმა ცოლის ოჯახმა სულ გადარია. ამხელა კაცი დადიოდა და ამბობდა, ჩემი მშობლები სიდედრი და სიმამრი არიან, ისინი მიდგანან გვერდითო. არადა ჩემმა საცოდავმა დედ-მამამ რამდენი იწვალეს, რომ კაცად ქცეულიყო, გზაზე დამდგარიყო.

რამდენიმე თვის წინ დედა გარდამეცვალა. ეს ტკივილი ღმერთმა ნურავის განაცდევინოს, მაგრამ ვისაც მსგავსი რამ გადატანილი აქვს, კარგად მიხვდება, რა დღეში ჩავვარდებოდი. ჩემი მოხუცი დედა ამქვეყანაზე ყველაზე კარგი მეგონა. მასავით აღარავინ მომეფერება, მასავით აღარავინ ჩამიკრავს გულში. ეს საშინელი ამბავი რომ შემატყობინეს, მაშინვე დედის სახლისკენ გავიქეცი. გარეთ ჩემი ძმა და რძალი დამხვდნენ და გამომიცხადეს, აქ არ შემოხვიდეო. წარმოიდგინეთ, დედა არ დამატირებინეს! პანაშვიდებზე ქუჩაში ვიდექი და იქიდან ვტიროდი. გარეთ რომ გამოასვენეს, მერე დავემხე მის ცხედარზე...

გული, იცით, როგორ გამეყინა? მანამდე ძმის მიმართ მაინც სითბოს და სიყვარულს ვგრძნობდი. ვფიქრობდი, რომ ცოლმა აურია ტვინი, მაგრამ ამის შემდეგ მის მიმართ გავცივდი. თითქოს სრულიად უცხო ადამიანია, რომელსაც არასოდეს ვიცნობდი. ასეთ საქციელს ვერასოდეს ვაპატიებ და ვერც ვერასოდეს გავამართლებ! შვილებს ვუთხარი, რომ მოვკვდები, ჩემს ძმას და მის შვილებს არც შეატყობინოთ-მეთქი...

მაპატიეთ, თუ გული დაგიმძიმეთ, მაგრამ არ შემეძლო, სახალხოდ არ მომეყოლა ის, რაც ადამიანმა არასოდეს უნდა ჩაიდინოს.

თქვენი ერთგული მკითხველი

გამოხმაურების მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე:
296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იკითხეთ ირინე მჭედლიძე
ან იზა ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.

თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:

1. ეწვიეთ საიტ sana.ge-ს, დააწკაპუნეთ ღილაკს „მოგვწერეთ“ და დაბეჭდეთ თქვენი ისტორია.
2. გამოგზავნეთ სმს-ით ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან. 1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.
3. ელფოსტაზე:irmchedlidze@mail.ru

ანონიმურობა დაცულია

„დედამთილ-მამამთილმა მე და ჩემი ქმარი სახლიდან გამოგვყარეს“

ამ გაგანია სიცხეში ორი პატარა შვილით ხელში სახლს დავეძებ, ბინის დაქირავება მინდა. აქამდე მეგონა, რომ სახლ-კარი მქონდა, მაგრამ ახლა სხვა რეალობის წინაშე აღმოვჩნდი. დედამთილ-მამამთილმა გამოგვიცხადეს, თქვენ აქ ვერ იცხოვრებთო.

ჩემს ქმარს ერთი და ჰყავს, გათხოვილია. მათ ოჯახში რძლად რომ შევედი, მითხრეს, ერთი ბიჭი გვყავს და ამან ჩვენთან უნდა იცხოვროსო. გაურემონტებელი, ნახევრად დანგრეული სახლი ჰქონდათ. პირველი შვილი რომ გავაჩინე, წვიმის დროს მის საწოლს აქეთ-იქით დავატარებდი, რომ წყალი არ დასხმოდა. სახურავიდან დაწყებული, ყველაფერი გასაკეთებელი იყო. ჩემი მშობლები, ბიძაშვილი გვერდით დამიდგნენ, სახლი გამაკეთებინეს, გამარემონტებინეს. წარმოიდგინეთ, თან ორ შვილს ვზრდიდი, თან ხელოსნებს საჭმელს ვუკეთებდი, თან მასალებზე დავრბოდი, ჩემი დედამთილ-მამამთილი კი არხეინად იყვნენ წამოწოლილი და მარტო ბრძანებებს იძლეოდნენ.

ყველაფერს რომ მოვრჩით და უკვე ავეჯის ყიდვაზე დავიწყეთ ფიქრი, იქიდან გამოგვაძევეს. ჩემი დედამთილი ძალიან რთული ხასიათის ადამიანია, მამამთილი კი მას შესაციცინებს თვალებში და რასაც ის იტყვის, ყველაფერს ასრულებს. დედამთილთან მომივიდა უთანხმოება, რადგან ჩემი მშობლები ცუდად მოიხსენია. ჩხუბის დროს მამამთილმა ჩემი და ჩემი შვილების ნივთები ქუჩაში გამიყარა, აქედან მომწყდითო. ჩემს ქმარს გამოუცხადა, შენი ცოლი ამ კარს თუ გადმოაბიჯებს, თავში რამეს ჩავარტყამო.

გარემონტებულ სახლში ახლა თვითონ ნებივრობენ. ჩემი მული ძალიან ნერვიულობს, მათ ნაცვლად ბოდიშებს მე მიხდის. მშობლებს ისიც ეჩხუბა, ასე როგორ იქცევითო. მამამისმა კი გამოაცხადა, მოვიდეს, თავისი შპალერები აახიოს კედლებს და წაიღოს, ჩვენ მაგისთვის სახლის გარემონტება არ გვითხოვიაო. ამ ყველაფერზე რომ ვფიქრობ, მეტირება. ჩემს ქმართან აღარაფერს ვამბობ, რადგან ისიც ძალიან ნერვიულობს.

არ ვიცი, როგორ მოვიქე ან ეს ბოღმა როგორ გადავხარშო. ჩემი მონათხრობიდან თუ ვინმემ გამოსავალი დაინახა, იქნებ მომწეროთ. მართლა არ ვიცი, როგორ მოვიქცე. იურიდიულად იქნებ შეგვიძლია, ჩვენი უფლებები დავიცვათ.

მკითხველი

Cyan Magenta Yellow Black

„ყოფილ ქმარზე შურისძიების სურვილმა მრუშობის ცოდვაში ჩამაგდო“

ცხოვრების თავიდან დაწყების საშუალება რომ მქონდეს, მომავალს ალბათ სხვანაირად დავგეგმავდი, თუმცა არ ვიცი, შევძლებდი კი შეცდომების თავიდან აცილებას. ცხოვრება თავის ჭკუაზე გვათამაშებს და თამაშ-თამაშში ზოგჯერ უფსკრულის პირამდეც მივყავართ. მეც ასე მაბურთავა ბედმა და ახლა, 44 წლის ასაკში, ბევრი რამ მაქვს სანანებელი. მოძღვარი მამშვიდებს, სინანულისთვის დრო უკანასკნელ ამოსუნთქვამდე არისო. იქნებ მეც მაქვს დრო მონანიებისთვის და ამ წერილითაც პატიების თხოვნა მინდა მათთვის, ვისაც გული ვატკინე.

პირველად მე მიღალატეს, მერე მე ვუღალატე სხვებს. 23 წლისა გავთხოვდი, უფრო სწორად, მომიტაცეს. სამამამთილოს მოვეწონე, თავის ბიჭს შეუჩნდა, კარგი გოგოა, ხელიდან გაგიფრინდება და ცოლად დროულად მოიყვანეო. იმ დღეს თვითონ მართავდა საჭეს. მანქანა რომ გამიჩერა, საეჭვო ვერაფერი შევნიშნე, რას ვიფიქრებდი, რომ ამ ხნის კაცი ჩემს მოტაცებას გადაწყვეტდა. ავტომობილში ჩავუჯექი და... ჩემი ნების წინააღმდეგ გავთხოვდი. ქმარი არ მიყვარდა და არც მას ვუყვარდი. ერთ დღეს გავიგე, რომ საყვარელი ჰყავდა. ვეცადე, იმ ქალს ჩამოშორებოდა, მაგრამ ვერაფერს გავხდი. სახლში დილით ან შუადღისას მოვიდოდა, დაიბანდა, მოწესრიგდებოდა და მერე ისევ იმ ქალთან გარბოდა. მამამთილი მეუბნებოდა, ცოტა მოითმინე, ისევ შენთან მოვაო. დედამთილი კი ნიშნისმოგებით ამბობდა, კარგ ქალს ქმარი ასე არ მოექცევაო. მის ირონიაზე საერთოდ წყობიდან გამოვდიოდი. ყველაფერი ერთმანეთს მიეწყო და ქმრის ოჯახში ვეღარ გავძელი. ღალატით მოყენებულ ტკივილს დიდხანს ვიყუჩებდი, მერე კი დინებამ თავის ჭკუაზე წამიღო.

კაცებს განათხოვარი ქალი რატომღაც ადვილად მისაწვდომი ჰგონიათ ხოლმე. ჩემ გარშემო იმდენი მამაკაცი გაჩნდა, გათხოვებამდე რომ არ ყოფილა. თავიდან მათ ყურადღებას არ ვაქცევდი, მაგრამ მერე თამაშში მეც ავყევი. მეუღლისგან უარყოფილ, დაწუნებულ ქალს კაცების ყურადღება მსიამოვნებდა. ამით ყოფილ ქმარზე შურისძიების საშუალება მეძლეოდა. იმას კი ვერ ვხვდებოდი, რომ, პირველ რიგში, საკუთარ მომავალს ვისპობდი. კაცებთან ფლირტი თანდათან ხორციელ ტკბობაში გადავიდა. პარტნიორთან ყოფნის შემდეგ საოცარი კმაყოფილების შეგრძნება მქონდა, ჯერ ერთი, ვფიქრობდი, რომ ყოფილ ქმარს სამაგიეროს ვუხდიდი და მეორეც, ქალად ვგრძნობდი თავს. ქმარი სულ იმას მეუბნებოდა, არაფრად ვარგიხარ, შენ ყველა ქალი გჯობიაო, დედამთილიც ყოველ წუთში მიმანიშნებდა, რომ მისი შვილისთვის უინტერესო არსება ვიყავი, არაფრად ვვარგოდი. სულ ვფიქრობ, დედამთილს ასე რატომ ვძულდი. იქნებ იმიტომ, რომ პირველად მის ქმარს მოვეწონე. რა ვიცი, რას გაუგებ ქალებს...

მრუშობის ცოდვაში ისე ჩავეფლე, კარგად ვერც გავაცნობიერე, ჩემი ცხოვრება საით მიმყავდა. ერთ დღეს დაქალმა გამომიცხადა, შენთან ვეღარ ვიმეგობრებ, ქვეყნის დასაცინი გახდიო. მერე კი საკუთარმა ოჯახმაც გამომიკეტა კარი. მითხრეს, სანამ ასე ცხოვრობ, ჩვენი სახელი არ ახსენოო.

ყველა რომ დამიპირისპირდა, სათითაოდ ყველას შევებრძოლე. ჯიუტად გავიძახოდი, ეს ჩემი ცხოვრებაა და რაც მინდა, იმას გავაკეთებ-მეთქი. ორჯერ სერიოზულად შემიყვარდა. ორივე შემთხვევაში ტყუილის მსხვერპლი გავხდი. მატყუებდნენ, რომ ჩემთან სერიოზული ურთიერთობა სურდათ, მაგრამ მერე ისინიც ისევე მომექცნენ, როგორც სხვები — მიმატოვეს.

რამდენიმე წლის წინ ძუძუსთან სიმაგრე შევნიშნე. ერთმა ნაცნობმა ქალმა მითხრა, ეგეთი კვანძი დედაჩემს მთელი ცხოვრება ჰქონდაო. მეც თავიდან ყურადღება არ მივაქციე, მაგრამ ტკივილმა რომ შემაწუხა, ექიმთან მივედი. სიმსივნე აღმომაჩნდა. მკერდი მომკვეთეს და ქიმიოთერაპია დამინიშნეს. მაშინ მივხვდი, რომ ჯიუტ თხასავით აქეთ-იქით სირბილი, მარტო საკუთარ თავზე ფიქრი არ შეიძლება. გარშემომყოფებს, ოჯახს პატივი უნდა სცე, მათი აზრი გაითვალისწინო, რადგან შენი ტკივილი ყველაზე მეტად მათ სტკივათ, თუ დაგჭირდება, პირველ რიგში, ისინი დაგიდგებიან გვერდით.

ასეთ მდგომარეობაში რომ აღმოვჩნდი, ისევ ჩემები დამიდგნენ გვერდით, მოვიდნენ, მიპატრონეს. დღეს მათი წყალობით ვარ ცოცხალი. ფიზიკური თუ სულიერი ტკივილი მათ გადამატანინეს.

ახლა ეკლესიურად ვცხოვრობ. შვებას მხოლოდ ლოცვაში ვპოულობ. მოძღვარი მეუბნება, უფალმა არ გაგწირა, განსაცდელი მოგივლინა, რომ არასწორი გზიდან მართალ გზაზე დაეყენებინეო. მადლობა უფალს ამისთვის! იქნებ ეს წერილი ვინმეს იმის მაგალითადაც გამოადგეს, ქალმა როგორ არ უნდა იცხოვროს.

ჟურნალ „სარკეს“ დიდ მადლობას ვუხდი, რომ ჩემი ტკივილის გამოქვეყნების საშუალება მომცა. ღმერთმა მოგცეთ ძალა, რომ ადამიანებს თეთრისა და შავის, ნათლისა და ბნელის გარჩევაში დაეხმაროთ.

თქვენი ერთგული მკითხველი

✓ რუბრიკა მოამზადა ირინე მჭედლიძემ

გამოხმაურება

„ასაკით უფროსი ქმარი ეჭვიანობით სიცოცხლეს მიმწარებს“

ეხმაურები ჟურნალ „სარკის“ 27-ე ნომერში გამოქვეყნებულ წერილს — „პატარა გოგო მხოლოდ იმიტომ შემირთო, რომ მისთვის შვილები გამეჩინა“. ქმარი 21 წლით უფროსია ჩემზე. 22 წლის ვიყავი, ცოლად რომ გავყევი. მისი დაბრძენებული საქციელი მხიბლავდა. ცანცარა, უჭკუო გოგო არც მე ვიყავი და ვფიქრობდი, რომ ურთიერთობას კარგად ავაწყობდით. მშობლები ჩემი არჩევანით დიდად არ მოიხიბლნენ, მაგრამ წინააღმდეგობაც არ გაუწევიათ. მითხრეს, შენი გადასაწყვეტიაო.

ქმარმა თავიდანვე საშინელი ეჭვიანობა გამოამჟღავნა. ქორწილის დღეს თამადას აუშარდა, ჩემი ცოლი რომ დაიხარა, მკერდი გამოუჩნდა და შენ თვალი არ მოაშორეო. თამადა ჩემი სიძის ნათესავი იყო და კაცი გადაირია. უთხრა, მაგ მკერდს შენზე ადრე მე ვხედავდი და სხვანაირად რომ მეფიქრა, ახლა მის გვერდით შენ არ იქნებოდიო. იმ დღესვე მივხვდი, რომ მის გვერდით ცხოვრება იოლი არ იქნებოდა.

ჩემი ქმარი პათოლოგიური ეჭვიანია. მაიძულებს, რომ ქუჩაში თავდახრილმა ვიარო. ვინმე თუ შემომხედავს, მეჩხუბება, შენ გამოიწვიე, შენ მიაშტერდიო. როცა გაბრაზებულია, ჩემს ცემასაც არ ერიდება. სამი შვილი ზედიზედ მიმაყოლებინა. ღმერთმა მაპატიოს, მაგრამ მესამე შვილის გაჩენა არ მინდოდა. მან მოძღვარი მომიყვანა, რომელმაც მიქადაგა, როგორი მადლია მრავალშვილიანი დედობა.

ქმარი სულ ცდილობს, სახლში გამომკეტოს და მხოლოდ მასზე და შვილებზე ვიფიქრო. ჩემთვის დრო არ უნდა გამოვძებნო. სილამაზის სალონშიც კი არ მიშვებს. მეუბნება, თავს სახლშიც მოუვლიო. კოსმეტიკის გამოყენებაზე ლაპარაკი ზედმეტია, პომადაც კი არ უნდა წავისვა. ამას წინათ ჩემმა დამ მითხრა, ქმარზე ასაკოვნად გამოიყურებიო. თვითონ იპრანჭება, სახეზე ათას რამეს ისვამს, მე კი კრემიც არ უნდა ვიხმარო.

მისი ასეთი საქციელი სიცოცხლეს მიმწარებს. მეუბნება, რა გინდა, რა გაკლიაო. მართლაც საუკეთესო სახლი გვაქვს, ბავშვებისთვის ყველაფერი საუკეთესო მოაქვს, ყოველ სეზონზე უცხოეთის კურორტებზე მივყავართ, მაგრამ მასთან თავს მაინც ცუდად ვგრძნობ. მირჩევნია, ამის მესამედი მქონდეს, მაგრამ თავისუფალი ვიყო.

„სარკის“ ერთგული მკითხველი

სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური პროგრამები. 2-დან 25 წლამდე!

3-5 სმ-ის მომატება კურსით. ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინების, ამინომჟავების კომპლექსით! ვარჯიშები, ზრდის ზონების გააქტიურებით. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს.

გახდომა-გასუქება თვეში 8-20 კგ-ით!

დიეტის და ვარჯიშის გარეშე მადის დარეგულირება, ცხიმების აქტიური წვა, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება. მიღებული შედეგის შენარჩუნება მხოლოდ მცენარეული პრეპარატებით. შედეგები 100 %-იანია.

593-44-58-65. ექიმი. ქალბატონი დეა

Cyan Magenta Yellow Black

რატომ ცხოვრობდა ნინო ბურჯანაძის შვილი პატრიარქთან

„სარკეს“ გოგოებიც კითხულობენ და მათთვის მინდა ვთქვა“

 პრეზიდენტობის კანდიდატი, საქართველოს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე, ნინო ბურჯანაძე, საპრეზიდენტო არჩევნების მარათონშია ჩაბმული. სანამ ამ ეტაპამდე მოვიდოდა, გრძელი გზა გამოიარა, „მოქალაქეთა კავშირიდან“ დაწყებული ვარდების რევოლუციით გაგრძელებული, შემდეგ კი ნაციონალებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში იყო ჩაბმული. ბევრი „სამსალა“ იგემა მან და მისმა ოჯახმა და ამიტომ ბევრს უკვირს — რა რჯის ანზორ ბურჯანაძის მდიდარ ოჯახში ნებიერად გაზრდილ ქალიშვილს, ეცხოვრა თავის ქმარ-შვილში მშვიდად, მის მდგომარეობას ხომ ათასობით ქალი შენატრის?

— ქალბატონო ნინო, გულწრფელად გინდათ პრეზიდენტობა და, თუ ასეა, რისთვის გჭირდებათ ეს ტვირთი?

— პრეზიდენტობა არ არის ფოჩიანი კანფეტი და მე არ ვარ პატარა ბავშვი, რომ ეს ფოჩიანი კანფეტი მინდოდეს ან არ მინდოდეს. პრეზიდენტობა ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა. უნდათ თუ არა პრეზიდენტობა, ეს კითხვა იმ ადამიანებს უნდა დაუსვათ, რომლებსაც კონსტიტუციაში კარგად არც აქვთ წაკითხული, რა ფუნქციები აქვს პრეზიდენტს და თავიანთ თავს უნდა დაუსვან კითხვა, მზად არიან თუ არა, რომ ეს ფუნქციები თავიანთ თავზე აიღონ. მე ვიცი, რამდენად დიდი პასუხისმგებლობაა პრეზიდენტობა და პირდაპირ შემიძლია გითხრათ, ნამდვილად ვარ ის ადამიანი, ვისაც შეუძლია იმ პრობლემების ადგილიდან დაძვრა და გადაწყვეტისკენ წაყვანა, რაც ჩვენი ქვეყნის წინაშე დგას. კარგად ვიცი, რომ ეს დიდი ტვირთია და თან — ძალიან უმადურიც. შედეგები მაშინვე არ მოიმკობა ხოლმე. ბევრი რამ იქნება გასაკეთებელი იმისთვის, რომ ადამიანებმა პროგრესი დაინახონ.

ბევრი ვერ აცნობიერებს, რომ საუბარია სახელმწიფოზე და არა — ტერიტორიაზე. როცა ლაპარაკია იმაზე, რომ თურმე პრეზიდენტი პოლიტიკოსი არ უნდა იყოს, ეს ძალიან დიდ ეჭვს აჩენს. ვინც ასე ფიქრობს, საკითხავია, წარმოდგენილი აქვს თუ არა, რა არის სახელმწიფო. როცა გვთავაზობენ არაპროფესიონალ პოლიტიკოსს ქვეყნის მმართველად, მხოლოდ ორი აზრი მიჩნდება — ან ეს კეთდება შეგნებულად, რომ მართლაც ერთი ადამიანის ხელში იყოს ყველა ბერკეტი და პრაქტიკულად მისი გუნება-განწყობით იმართებოდეს ქვეყანა და მეორე, მათ არ იციან, რამდენად მნიშვნელოვანი როლი აქვს პრეზიდენტს. ამ ორივე შემთხვევაში ეს სასიკეთო არ იქნება ქვეყნისთვის.

— „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი ერთ დროს თქვენი თანაგუნდელი იყო. რა მოხდა, რომ დღეს თქვენ გვერდით აღარ არის?

— არაფერი მომხდარა. ისევ ნორმალური, ჩვეულებრივი ურთიერთობა გვაქვს. ყოველ შემთხვევაში, მე არ ვიცი, რა მოხდა და ამის თაობაზე არც გიორგის უთქვამს რამე. ის ხშირად იყო ხოლმე ჩვენთან ოფისში. მერე კი თანდათან უფრო იშვიათად ჩნდებოდა ჩვენ გვერდით. როცა ამის შესახებ ვეკითხებოდით, გვპასუხობდა, რომ ძალიან უნდოდა მოსვლა და ხვალ გამოივლიდა. ვერ ვახერხებ, დრო არ მაქვს და ა.შ. დღემდე კეთილგანწყობილი ვართ მის მიმართ. ყოველ შემთხვევაში, ჩემი მხრიდან ნამდვილად ასეა და არც გიორგის მხრიდან შემიმჩნევია სხვა რამ. პიროვნულად პატივს ვცემ. ნამდვილად ბევრი კარგი, დასაფასებელი თვისება აქვს. გონიერი ადამიანი, საინტერესო პიროვნებაა და ბევრ ადგილას და ბევრ საქმეში შეიძლება გამოადგეს ჩვენს ქვეყანას, მაგრამ კატეგორიულად არა — პრეზიდენტის რანგში! გულწრფელად შემიძლია გითხრათ, რომ გაოცებული ვიყავი, როცა გავიგე, გიორგი მარგველაშვილი ამას დათანხმდა. თავად ჰკითხეთ ბატონ გიორგის, რა თვისებების გამო თვლის, რომ ის შესაფერისია საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობისთვის. რამდენადაც ვიცი, ერთადერთი კრიტერიუმი, რომელიც მან თქვა, ის არის, რომ ბიძინა ივანიშვილმა დაასახელა.

„ჯაჭვად იკიან, ჩემთვის ჰამდენად მნიშვნელოვანია მეუღლის გვეჰდით ყოფნა ემოციეჰად, ადამიანეჰად, მოჰალეჰად... ჰამდენჯეჰმე ღია ტექსტით შემოგვითვალეს, თუ ah გაჩეჰდებით, ან ეჰთს მოგალვთ, ან მეოჩეს, ahკ ისე ჰთულია სადმე, მიუნჩენის სადგუჰზე, ჰომელიმეს მოჯვალო“.

■ ნინო ბურჯანაძე და ბადრი ბინაძე

— ფიქრობთ, რომ რომ მას დამარცხებას შეძლებთ?

— დარწმუნებული ვარ, რომ თუ არჩევნები მინიმალური სტანდარტების დაცვით მაინც ჩატარდება, მოვუგებ. თუ ბიძინა ივანიშვილი არ გადაწყვეტს, რომ გიორგი მარგველაშვილი ხელიხელჩაკიდებული ატაროს ისე, როგორც ამას თავის დროზე შეევარდნაძე აკეთებდა საკაშვილთან დაკავშირებით — დაატარებდა უბან-უბან და ქუჩა-ქუჩა და ხალხს ეუბნებოდა, ჩემი ხათრით, ჩემ მერე პრეზიდენტად საკაშვილი აირჩიეთო და ასეც მოხდა... თუ ივანიშვილი არ გადაწყვეტს, რომ მარგველაშვილის გასაპრეზიდენტებლად დახარჯოს ნახევარი მილიარდი დოლარი, აუცილებლად მოვუგებთ!

— პრეზიდენტის მძიმე ტვირთის ტარება, როგორც ქალს, არ გაგიჭირდებათ?

— კაცებმა ხომ იმისთანა ხეირი მოგვიტანეს, რომ პირდაპირ აღარ ვიცით, საქართველო, როგორც განვითარებული ქვეყნის მოდელი, როგორ წარმოვაჩინოთ! რა შუაშია ქალი და კაცი?! აქ არის ლაპარაკი კომპეტენციაზე, გამბედაობაზე, უნარებზე, რომლებიც უნდა ჰქონდეს პრეზიდენტს და მე ნამდვილად შემიძლია გითხრათ, რომ კლასიკურად კაცური ფუნქციები — სიტყვის პატრონობა, გამბედაობა, ვაჟკაცობა და პატიოსნება — გაცილებით ცოტა კაცისთვის თუ შემიმჩნევია პოლიტიკაში.

არ მინდა, კაცები მთლად ასე მოვიმდურო, რადგან ისინი მაინც ამომრჩევლები არიან, მაგრამ ალბათ ყველა დამეთანხმება, რომ პოლიტიკოსმა მამაკაცებმა თავი ვერც ვაუკაცობით, ვერც გამბედაობით და ვერც სიტყვის პატრონობით თუ წესიერებით გამოიჩინეს და ქვეყანა იქამდე მივიდა, სადაც ახლა ვართ. ასე რომ, ქალობა არც წინაღობაა და არც გადამწყვეტი კრიტერიუმი. პრეზიდენტისთვის, ისევე როგორც ნებისმიერი პროფესიონალისთვის, გადამწყვეტი კრიტერიუმი არის კომპეტენცია, გამოცდილება და გამბედაობა, რომ ხშირ შემთხვევაში გადადგას არაპოპულარული, მაგრამ ისეთი ნაბიჯი, რომელიც აუცილებელია, რომ ხვალ და ზეგ კარგი შედეგი დადგეს.

„ყველაზე მნიშვნელოვანია, ჰოცა მეუღლეს უყვაჰხაh. ქალის მომავალი ნაჰმატებისთვის, ოჯახის სიძლიეჩისთვის ეს უპჰიჩველესია და ყველას ვუჩჩევ, მხოლოდ სიყვაჰველით შექმნან ოჯახი, თუ უნდათ, ჰომ ბევაh სიჰთულეს ღიჰსეველად გაუძლონ“.

— ძლიერი ქალი ხართ, მაგრამ სისუსტეებიც გაქვთ ალბათ. ცრემლი, ქალური ჭირვეულობა... რამდენად დამახასიათებელია თქვენთვის?

— ძლიერი ვარ თუ სუსტი, ამის თვალნათელი მაგალითი, ვფიქრობ, ძალიან ბევრი იყო ბოლო პერიოდის განმავლობაში. ჩვეულებრივი მოკვდავი ვარ და არც მესიანობაზე და არც ღმერთქალობაზე, ღვთის წყალობით, პრეტენზია არ მაქვს. ბუნებრივია, ყველა ის თვისება, რაც ნორმალურ ადამიანს უნდა ჰქონდეს, მეც მაქვს. განსხვავება შეიძლება ის იყოს, რომ მე უფრო მეტად შემიძლია საკუთარი თავი ვაკონტროლო და ხელში ავიყვანო. მაქვს ნებისყოფა, რომ ჩემი განცდები და ემოციები ადამიანებს არ მოვახვიო თავზე და არც იმისკენ მაქვს მიდრეკილება, ვითარება დავამძიმო და ტრაგიკულად წარმოვაჩინო. ვთვლი, რომ პრაქტიკულად არ არსებობს გამოუვალი მდგომარეობა თუ, რა თქმა უნდა, ეს არ ეხება სიკვდილ-სიცოცხლეს და იმას, რაც მხოლოდ ღვთის ნებაა.

ძალიან მომწონს გამოთქმა — როცა გაქვს იმის განცდა, რომ ღმერთმა კარი დაგიკეტა, უნდა იცოდე და გახსოვდეს, რომ სარკმელს ცოტათი მაინც ტოვებს ღიას. ყოველთვის ბოლომდე უნდა იბრძოლო იმის მისაღწევად, რაც სწორად მიგაჩნია. ეს ეხება ოჯახსაც, შვილების აღზრდასაც, ქვეყნის მსახურებასაც და ა.შ.

— და მაინც, თქვენს სუსტ მხარედ და ყველაზე დიდ შეცდომად რას თვლით?

— ადამიანებს ზედმეტად ვენდობი, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ მათ ყოველთვის უნდა მისცე შანსი, რომ უფრო კარგად მოიქცნენ, ვიდრე ცუდად. თუმცა ეს მიდგომა ყოველთვის არ ამართლებს. უშეცდომო არავინ არის. ასეთი ჩვენი პატრიარქი მგონია, მაგრამ თავად თვლის, რომ არც ის არის უშეცდომო. ქრისტიანული მრწამსის მთავარი საფუძველი ის გახლავთ, რომ ადამიანი, ღმერთისგან განსხვავებით, შეცდომას

Cyan Magenta Yellow Black

უშვებს და მერე ამას ინანიებს. თუ ქართველი ერი დაიწყებს უშეცდომო ადამიანის ძებნას, ჩვენ მოგვიწევს პრეზიდენტად, საუკეთესო შემთხვევაში, 5 წლამდე ბავშვის არჩევა ან შეიძლება ამ ასაკისაც ვერავინ ვნახოთ. ადამიანის ცხოვრებას თან სდევს ბევრი გამოცდა და განსაცდელი, მაგრამ არჩევანი უნდა გაკეთდეს ადამიანის უნარებზე, გამოცდილებაზე, კეთილსინდისიერებაზე და ისიც უნდა გაითვალისწინონ, რამდენად შეუძლია მას სხვის და საკუთარ შეცდომებზე დასკვნების გაკეთება.

■ დედა-შვილი — ნინო და ანზორიკო

— 2011 წლის 26 მაისის შემდეგ თქვენმა მეუღლემ, ბატონ ბაწაძემ საქართველოს დატოვა და მხოლოდ „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ შეძლო სამშობლოში დაბრუნება. რიგორ გამოხატა ეს პერიოდი თქვენმა ოჯახმა, რიგორ ასერხებდით ქმართან კონტაქტს?

— ჩემი მეუღლე ნაციონალებმა აიძულეს, რომ ქვეყნიდან წასულიყო. მათ კარგად იციან ჩვენი ოჯახის წევრების დამოკიდებულება ერთმანეთის მიმართ, ისიც კარგად იციან, ჩემთვის რამდენად მნიშვნელოვანია მეუღლის გვერდით ყოფნა ემოციურად, ადამიანურად, მორალურად. მათ ყველაფერი გააკეთეს, რომ ძალიან მძიმე პერიოდში ამ მხარდაჭერის გარეშე ვყოფილიყავი. წუწუნი არ მიყვარს, მაგრამ ის პერიოდი მძიმე იყო ბევრი თვალსაზრისით.

მქონდა ბედნიერება, რომ ამ დროსაც კი მენახა ხოლმე. ხშირად ჩავდიოდი ევროპაში. უმეტეს შემთხვევაში ეს იყო საქმიანი ვიზიტები ევროპელ კოლეგებთან. ყოველი ასეთი ჩასვლის დროს ან ბადრი ჩამოდიოდა, სადაც მე ვიყავი, ან პირიქით, მე ჩავდიოდი. ეს ჩვენი განშორების სირთულეს მნიშვნელოვნად ამსუბუქებდა.

ჩვენ არ გვქონდა არანაირი უსაფრთხოების გარანტია. რამდენჯერმე ღია ტექსტით შემოგვითვალეს, თუ არ გაჩერდებით, ან ერთს მოგკლავთ, ან მეორეს, არც ისე რთულია სადმე, მიუნხენის სადგურზე, რომელიმეს მოკვლაო, მაგრამ კარგად დაინახეს, რომ ამ ტიპის მუქარით ვერ გაგვაჩერებდნენ.

მადლობელი ვარ რამდენიმე ევროპული ქვეყნის, რომლებიც აქტიურად ჩაერთნენ ამ პროცესში. ერთი ქვეყნის ხელისუფლებამ, რომელსაც ახლა არ დავასახელებ, ჩვენს ხელისუფლებას პირდაპირ დაუყენა საკითხი, რომ ისინი პასუხისმგებლები იქნებოდნენ, თუ ჩემს ქმარს ვინმე ფიზიკურად შეეხებოდა.

ვისი ოჯახებიც ნაციონალებმა ქვეყნიდან გააქციეს, ისინი კარგად წარმოიდგენენ, რას ნიშნავს, როცა მუდმივად ტელეფონზე ხარ ჩამოკიდებული, რომ გაიგონო შენი ახლობელი ადამიანის ხმა და რას ნიშნავს, როცა ის ტელეფონზე არ ან ვერ გპასუხობს.

ბადრის ჰყავს ხანშიშესული დედა, რომელმაც დიდი ტრაგედია გადაიტანა, რადგან მეუღლე და ახალგაზრდა შვილი — ჩემი უმცროსი მაზლი — გარდაეცვალა. ყოველ დილით მხოლოდ იმას ფიქრობდა, რომ თავის შვილს როგორმე ცოცხალი დახვედროდა. არავის ვუსურვებ იმის გამოცდას, რაც ჩვენ გადავიტანეთ.

— თქვენი შეილების მისამართით რა მექარა ან სიფრთხე იყო?

— დანამდვილებით ვიცი, რომ შსს-ს ერთ-ერთ თათბირზე იხილებოდა საკითხი, თუ როგორ გაეჩერებინათ ბურჯანაძე. ითქვა ისიც, რომ მე ვერ მომკლავდნენ, რადგან ნამეტანი იქნებოდა ვარდების რევოლუციის ორი ლიდერის გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვალება. 26 მაისს კი ჩემი დასახიჩრება უნდოდათ. იმ დღეს მანქანას, სადაც ჩემი უფროსი ვაჟი, ანზორიკო, იჯდა, ნამდვილი ტყვიები ესროლეს. დაცვის თანამშრომლის ჯავშანჟილეტიდან ამ-

„აღბათ იყო ჯიდევ ხალაც, ხაც მეც არ ვიცოდი, ხადგან მისმა უნმინდესობამ საჭიროდ ჩათვალა, ხომ 26 მაისის მოვლენების შემდეგ ანზორიკოს დაახლოებით ათი დღით თავისთან, საპატრიარქოში დაეტოვებინა. საპატრიარქოში მივიდნენ, ანზორიკოს ნაყვანა უნდოდათ დაკითხვაზე. უნმინდესმა ჩვეული სიმშვიდით უთხრა, ჯარგი, მეც წამოვყვები და მერე ერთად დავბრუნდებითო. მიხვდნენ, რომ ჩემი შვილის წაყვანის უფლებას არ მისცემდა. მადლიერი ვარ პატრიარქის, რადგან არამარტო ფიზიკურად, არამედ სულიერად გადაარჩინა ჩემი შვილი, რომელიც იმ პერიოდში უმძიმეს მდგომარეობაში იყო. ის ნაძირლები, რომლებსაც ახლა ასე ეფერება ბიძინა ივანიშვილი, ანზორიკოს ტელეფონზე ურეკავდნენ და ასმენინებდნენ, მის მეგობრებს როგორ სცემდნენ.

■ რეზიკო დედასთან ერთად

„ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი ამბობს, ნაციონალებთან მე პრობლემა არ მაქვსო. არ აქვთ პრობლემა იმიტომ, რომ მუდმივად შეკრულები იყვნენ ნაციონალებთან. კოაბიტაციის რეჟიმი 1 ოქტომბერს არ დაწყებულა. 2007 წლიდან მოყოლებული ასე ოლებულ იქნა ნამდვილი ტყვია. იმედია, ეს ხელისუფლება ამ ამბის გამოძიებას გვაღირსებს. დიდი ალბათობა იყო, რომ ეს ტყვიები ანზორიკოს ან მის რომელიმე მეგობარს მოხვედროდა.

იხილებოდა ის საკითხიც, რომ ანზორიკოსთვის იარაღი ან ნარკოტიკი ჩაედოთ. ავტოავარიასაც იხილავდნენ, მაგრამ ერთმა ადამიანმა, რომელიც კარგად მიცნობდა, თქვა, ეს ბურჯანაძეს სულ გააგიჟებს და საერთოდ ველარ გავაჩერებთო. შეთითხნეს ისეთი ბრალდებები, რაც მეც და ჩემს შვილსაც ლამის სიცოცხლის და ჯანმრთელობის ფასად დაგვიჯდა.

გარდა ამისა, ალბათ იყო კიდევ რაღაც, რაც მეც არ ვიცოდი, რადგან მისმა უწმინდესობამ საჭიროდ ჩათვალა, რომ 26 მაისის მოვლენების შემდეგ ანზორიკო დაახლოებით ათი დღით თავისთან, საპატრიარქოში დაეტოვებინა. საპატრიარქოში მივიდნენ და ანზორიკოს წაყვანა უნდოდათ დაკითხვაზე. უწმინდესმა ჩვეული სიმშვიდით უთხრა, კარგი, მეც წამოვყვები და მერე ერთად დავბრუნდებითო. მიხვდნენ, რომ ჩემი შვილის წაყვანის უფლებას არ მისცემდა. მადლიერი ვარ პატრიარქის, რადგან არამარტო ფიზიკურად, არამედ სულიერად გადაარჩინა ჩემი შვილი, რომელიც იმ პერიოდში უმძიმეს მდგომარეობაში იყო. ის ნაძირლები, რომლებსაც ახლა ასე ეფერება ბიძინა ივანიშვილი, ანზორიკოს ტელეფონზე ურეკავდნენ და ასმენინებდნენ, მის მეგობრებს როგორ სცემდნენ.

„შვილიშვილი უფრო მინდა, ვიდრე ძაღი, მაგრამ ძღის გარეშე შვილიშვილი ნამდვილად არ მინდა!“

„ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი ამბობს, ნაციონალებთან მე პრობლემა არ მაქვსო. არ აქვთ პრობლემა იმიტომ, რომ მუდმივად შეკრულები იყვნენ ნაციონალებთან. კოაბიტაციის რეჟიმი 1 ოქტომბერს არ დაწყებულა. 2007 წლიდან მოყოლებული ასე

იყო. პატიება ადვილია, როცა საპატიებელი არაფერია! ვინც ასე ეჟღურტულება ნაციონალებს, მათ არაფერი შეხებიათ, განსხვავებით საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისაგან.

— ქალბატონო ნინო, თქვენი ბიჭის უკვირს, მდიდარი და ვაჟლუსანი ოჯახის წარმომადგენელი პოლიტიკურ ბრძოლაში რატომ ჩაებით. რა ვრჯიდათ, მშვიდი და უზრუნველი ცხოვრება ხომ გარანტირებული გქონდათ?

— შემიძლია ვთქვა, რომ ოჯახში ძალიან გამიმართლა. ფინანსურად ძლიერად ვიყავით, რადგან მამაჩემი შეძლებული მეღვინეების ოჯახიდან იყო, მაგრამ გამართლებაში მატერიალურ უზრუნველყოფას არ ვგულისხმობ, არამედ იმ სითბოს და სიყვარულს, რომელიც ჩემს ოჯახში იყო. მშობლებს ძალიან უყვარდათ ერთმანეთი. ნანატრი შვილი ვიყავი. ტრაგედია იყო ოჯახში — ჩემს დაბადებამდე შვიდთვიანი სამი შვილი დაელუპათ. დაბადებიდან რამდენიმე დღეში იღუპებოდნენ. ჩემს გაჩენას თითქმის მთელი ქუთაისი გულშემატკივრობდა. მამა, რასაც მოვინდომებდი, ყველაფერს მისრულებდა. დედა კი საკმაოდ თავშეკავებული, მკაცრი იყო. მისი ხმამაღალი სიტყვა არ მახსოვს, მაგრამ მომთხოვნი კი გახლდათ. უფრო მამას ვგავარ, ვიდრე დედას. დედა ყოველთვის გამორჩეულად ლამაზი ქალი იყო და უკეთესი იქნებოდა, მას დავმსგავსებოდი.

ბედნიერი ვიყავი იმით, რომ ჩვენს ოჯახში თავს იყრიდა ქართული კულტურის მთელი ელიტა. ვერ წარმოვიდგენდი იმ სიბინძურეს, რაც მერე დავინახე, როცა გარანტირებული მეორე პირის თანამდებობიდან წამოვედი და პოლიტიკურ ბრძოლაში ჩავები. მრჯიდა ის, რომ ჩავთვალე, ჩემი ქვეყნისთვის ასე უკეთესი იქნებოდა. 26 მაისსაც ზუსტად იგივე მრჯიდა. თუ ვინმეს შეეძლო კოაბიტაცია ნაციონალებთან, ეს მე ვიყავი, მაგრამ მიმაჩნდა, რომ დამნაშავეებთან კოაბიტაცია ქვეყნისთვის საზიანოა.

დღესაც ვხედავ, საით მიდის ჩემი ქვეყანა. თანდათანობით ეს არა — დამოუკიდებელი სახელმწიფო, არამედ შუს საქართველო გახდება. მთავრობა საერთაშორისო

→16

„ლიგა“ სამკურნალო გაერთიანება
ლიგა
სექსოპათოლოგია
- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
- ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
- სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა
თბილისი, თაბუკაშვილის ქ. 19ა. ☎ 232 21 21, 8 790 32 21 21. www.league.ge

Cyan Magenta Yellow Black

ორგანიზაციებს თვალებში მისჩერება, აინტერესებს, მოეწონებათ მათ ჩვენი მოქმედება და შეგვაქებენ თუ არა. იმაზე კი არ ფიქრობენ, რომ საქართველოსნაირ ქვეყანას დაარბევს და დააქცევს ლგბტ პირების პროპაგანდა. ვერ ბედავენ იმის თქმას, რომ აქ არ უნდა ტარდებოდეს გეიაღლუმები. კი, ბატონო, უნდა დავიცვათ ყველას უფლებები, მაგრამ უნდა გვეყოს გამბედაობა, ევროპას ვუთხრათ, თქვენ თუ მოგწონთ, რომ ეთნიკურ უმცირესობად გადაიქცევით თქვენს კონტინენტზე, თქვენი ნებაა, მაგრამ ჩვენ გვინდა, ჩვენს ქვეყანაში იყოს ნორმალური ოჯახი, სადაც ბავშვს დედაც ჰყავს და მამაც! თქვენ ოდესმე თავში მოგსვლიათ აზრად, რომ გეყვირათ, შემომხედეთ, ქალი ვარო? ნუ ყვირიან და აყურებინებენ ბავშვებს და ნუ გვეუბნებიან, რომ ეს ნორმალურია!

— ამ განცხადებით ლგბტ პირების და მათი მხარდამჭერების სმენა დაკარგეთ.

— არა უშავს! პოლიტიკოსს უნდა ჰქონდეს იმის გამბედაობა, რომ ის თქვას, რასაც ფიქრობს. ჩემი პრეზიდენტობის დროს თუნდაც ერთი შემთხვევა თუ იქნება, როცა სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელს სასწავლებლიდან ან სამსახურიდან გამოაგდებენ, უფლებებს შეულახავენ, გარწმუნებთ, მათ დავიცავთ, მაგრამ იმ ჩარჩოებში, რის უფლებასაც გვაძლევს ჩვენი ეროვნული ტრადიცია.

„ჰა შეაშია ქალი და ჯაცი?!.. ჯერსიჯეჰად ჯაცური ფუნქციები — სიტყვის პატრონობა, გამბედაობა, ვაჟკაცობა და პატიოსნება — გაცილებით ცოტა ჯაცისთვის თუ შემიმჩნევია პოლიტიკაში".

ევროპაში არის ერთი ძალიან კარგი ქვეყანა — ფინეთი, ბევრი რამითაა საქართველოსთვის მისაბაძი, მაგრამ იქ მოქმედებს კანონმდებლობა — ღვიძლი დედა არ ითვლება ნათესავად, როგორც კი სრულწლოვანი გახდება შვილი. ეს ნორმალურია?! ის, რაც სადღაც, ევროპაში შეიძლება ნორმალური იყოს, საქართველოსთვის ვერ ჩაითვლება ნორმალურად და ნუ მივჩერებივართ მონურად, რას გვეტყვის დასავლეთი.

— თქვენი უფროსი ბიჭი იმ ასაკშია, როცა ნებისმიერ დროს შეიძლება გახდეთ დედამთილი და ბებია. ამისთვის მზად ხართ?

— შვილიშვილი უფრო მინდა, ვიდრე რძალი, მაგრამ რძლის გარეშე შვილიშვილი ნამდვილად არ მინდა. ჩემს შვილს და რძალს თუ ენდომებათ, ჩემთან ერთად იცხოვრონ, საწინააღმდეგო არაფერი მექნება. თუ ცალკე მოისურვებენ, არც ეს არის პრობლემა, მაგრამ ბავშვი თვითონ უნდა გაზარდონ, მიუხედავად იმისა, რომ მე ახლა ძალიან მინდა შვილიშვილი.

იყო პერიოდები, როცა მე და ჩემი მეუღლე დამოუკიდებლად ვცხოვრობდით და იყო პერიოდი, როცა — ჩემს მშობლებთან ერთად. ახლაც ჩემს მშობლებთან ერთად ვცხოვრობთ. ჩვენ არასოდეს შეგვქმნია პრობლემა. მთავარია, ვის რამდენად შეუძლია ერთმანეთის პატივისცემა და თუნდაც სხვისი მინუსების მიღება.

— ქმარი, ბატონი ბაჯრი, რამდენად გიწყობთ ხელს, რომ პრეზიდენტის საკრძალელი დაიკავოთ?

— ძალიან მიწყობს ხელს ადამიანურად, მორალურად, ფიზიკურად. თქვენს ჟურნალს გოგოებიც კითხულობენ და მათთვის მინდა ვთქვა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანია, როცა მეუღლეს უყვარხარ. ქალის მომავალი წარმატებისთვის, ოჯახის სიძლიერისთვის ეს უპირველესია და ყველას ვურჩევ, მხოლოდ სიყვარულით შექმნან ოჯახი, თუ უნდათ, რომ ბევრ სირთულეს ღირსეულად გაუძლონ.

✓ **რუსუდან ადვაძე**

გია ხუხაშვილი: „არ გამოვრიცხავ, დაკითხვებზე ძალადობა ხდებოდეს"

„ოდულის შენობაში შესვლიდან დაიწყო ჯოჯოხეთი. 12-მდე პიროვნება პერიოდულად შემოდიოდა, ვისაც რა უნდოდა — შეგინებით, შეურაცხყოფით გრძელდებოდა ზეწოლა 4 საათის განმავლობაში. პერიოდულად ვიღაც პიროვნება, რბილი ფორმებით, თითქოს ჩემზე ზრუნავდა, მირჩევდა, რაღაც მეთქვა. ისინი მპირდებოდნენ, რომ თუ მივცემდი ჩვენებას, გამათავისუფლებდნენ, თუ არა — დამაპატიმრებდნენ", — სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაკავებული მაღალჩინოსნების საქმეში ბრალდებულმა მამუკა ივანიაძემ ეს ინფორმაცია საჯაროდ გაავრცელა. ის ამბობს, რომ სოფლის მეურნეობის ყოფილი მინისტრის, დავით კირვალიძის წინააღმდეგ ჩვენების მიცემას აიძულებდნენ. ივანიაძის თქმით, ღამის საათებში მე-8 საპყრობილეში მასთან პროკურორი გიორგი დავითაშვილი მიდიოდა, რომლის კარნახითაც საბოლოოდ ჩვენება დაწერა.

პროკურატურის მიმართ მსგავსი ჩივილები ივანიაძემდეც იყო. თითქმის დღე არ გავა, რომ სამართალდამცავები მათთვის სასურველი აღიარების მისაღებად კანონსაწინააღმდეგო ქმედებაში არ დაადანაშაულონ. რატომ გახშირდა ჩივილები და ვის აწყობდა კირვალიძის „გაფუჭება"?

„სარკე" პრემიერმინისტრის მრჩეველ გია ხუხაშვილს ამ და სხვა აქტუალურ თემებზე ესაუბრა.

— ბატონო გია, პროკურატურაში დაკითხულები ძალადობაზე საუბრობენ. ბოლო ივანიაძე იყო, სოფლის მეურნეობის საქმეზე ბრალდებული. ალბათ გაქვთ ინფორმაცია, რა ხდება პროკურატურაში.

— ამ თემაზე გამოძიება მიმდინარეობს და ვამჯობინებდი, დაველოდოთ შედეგებს. არ გამოვრიცხავ არც ერთ ვარიანტს. სამწუხაროდ, სისტემა არ შეცვლილა და, რაც დაინერგა 9 წლის განმავლობაში, ამის რეციდივები სავსებით შესაძლებელია. მეორე მხრივ, ვერც იმას გამოვრიცხავ, რომ თვითონ ეს ადამიანი ცდილობდეს პოლიტიკურ კონიუნქტურაზე თავისი ქმედებების აგებას. ამ ბოლო დროს მოდაში რომ შემოვიდა წინასწარი ვერდიქტების გამოტანა, ჩემი აზრით, სახელმწიფოებრივად არ არის სწორი პოზიცია. როცა გამოძიება დასკვნას გამოიტანს, მერე შევაფასოთ, სანდო არის თუ არა ეს დასკვნა.

„მე მოვისმინე ჰოჯუჯოხის ჯაჰგად აგებული და ბიწყინვაღედ წაჰმოჩენილი ოჰგუმენტაცია, მაგჰამ ეს იყო უფჰო ბედუკაძის ადვოკატის პოზიცია და ახა — მთავაჰი ჰოჯუჯოხის".

— ამ ამბავში ერთი ყურადსაღები დეტალია — მან თქვა, რომ აიძულეს, კირვალიძის საზიანო რამ ჩაეწერა ჩვენებაში.

— გაკვირვებას იწვევს ეს საუბრები, რადგან კირვალიძე „ქართული ოცნების" გუნდის წევრია დღემდე. ამაში ლოგიკას ვერ ვხედავ. კითხვები მეც მიჩნდება, იყო თუ არა ზეწოლა და, თუ იყო, რა მიზნით. არ მინდა, განცხადებები წინასწარ ვაკეთო.

— ვერდიქტგამოტანილ საქმეზე გკითხავთ, რომელმაც გასულ კვირას ყველა თუმა გადაფარა — ბედუკაძის საქმეს ვგულისხმობ. როგორც ვიცი, მისთვის ბრალის სრულად მოხსნას არც თქვენ ეთანხმებოდით.

— არ ვიზიარებდი და არც არასოდეს გავიზიარებ, რადგან ჩემთვის ეს არის ფუნდამენტური საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ არ მინდა, ბედუკაძეს დავუკარგო ის დამსახურება, რაც აქვს ქვეყნის გაჯანსაღებაში, მაგრამ სრულად გათავისუფლება ბრალეულობისგან არ იყო სწორი.

— გამოდის, კბილაშვილის გარდა, ყველა ასე თვლიდა, მაშინ რატომ მოხდა, რაც მოხდა?

— არ ვიცი. მე მოვისმინე პროკურორის კარგად აგებული და ბრწყინვალედ წარმოჩენილი არგუმენტაცია, მაგრამ ეს იყო უფრო ბედუკაძის ადვოკატის პოზიცია და არა — მთავარი პროკურორის. ძალიან გამიჭირდება, ავუხსნა ეს გადაწყვეტილება იმ მოზარდს და იმ ხალხს, ვინც ამბობს, რომ ფირში ბედუკაძის ხმა ისმის. იმ არასრულწლოვანს როგორ უნდა ავუხსნათ ჩვენ, რომ არსებობს რაღაც უფრო დიდი ღირებულება, ვიდრე ის არის? ადამიანზე მაღალი ღირებულება არ არსებობს. ჩემი აზრით, შემსუბუქებაზე უნდა გვესაუბრა. შეიძლებოდა ძალიან მცირე სასჯელიც კი ჰქონოდა, მაგრამ მთლიანად გათავისუფლება, თან ისე, რომ არც უღიარებია დანაშაული, ამკვიდრებს ძალიან სახიფათო პრინციპს — მიზანი ამართლებს საშუალებას. როგორც კი ამის პრეცედენტს დავუშვებთ ქვეყანაში, მერე შეიძლება სხვა ფაქტებიც მივიღოთ. შეიძლება ადამიანმა კაცი მოკლას და თქვას, რომ მას ჩაფიქრებული ჰქონდა შენობის აფეთქება და ამით მეტი ადამიანი გადაარჩინა. ეს არის საშიში ლოგიკა. არსებობს დანაშაული, რომლის პატიება არ შეიძლება, რაც უნდა კეთილი მიზნები გამოძრავებდეს. ეს არის ფუნდამენტური პრინციპი და როგორც კი გადავალთ ამ ზღვარს, შეიძლება სრული განუკითხაობა დაიწყოს.

— რამდენად შესაძლებელია, ეს კბილაშვილის ერთპიროვნული გადაწყვეტილება ყოფილიყო?

— ერთი რამ შემიძლია დარწმუნებით გითხრათ, რომ პრემიერმა ეს ნამდვილად არ იცოდა. ალბათ უკვე მოასწარით, რომ გაგეცნოთ მისი პიროვნება და იცით, რომ რასაც ამბობს, გულწრფელია. ვინ იცოდა და ვინ — არა, ამ დეტალებში არ ვარ ჩახედული, მაგრამ ფაქტია, რომ მთავარი პროკურორი იცავს ამ პოზიციას, სხვა დანარჩენები კრიტიკულად არიან განწყობილი. აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ისინიც არ ეთანხმებოდნენ ამ გადაწყვეტილებას.

— გაუგებარია წულუკიანის პოზიცია. იმ დროს ხომ ის კბილაშვილის უშუალო ხელმძღვანელი გახლდათ, რატომ არ შეაჩერა, თუ არ ეთანხმებოდა?

— გასაგებია, რომ ის იყო ხელმძღვანელი, მაგრამ ეს ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, რომ წულუკიანს მაშინ გააგებინეს, როცა გადაწყვეტილება მიღებული იყო. ყოველ შემთხვევაში, მე ასეთი განმარტება მაქვს მოსმენილი. სინამდვილეში როგორ

Cyan Magenta Yellow Black

იყო, ვერ გეტყვით, მაგრამ მჯერა ქალბატონი თეასი, რომ ასე იყო.

— სამაგიეროდ ღარიბაშვილს სცოდნია — კბილაშვილმა თქვა.

— ირაკლი ღარიბაშვილი ამ საკითხთან კავშირში არ არის. კბილაშვილს მძიმე გადაწყვეტილება ჰქონდა მისაღები და შეიძლება აზრს სხვებს ეკითხებოდა, ღარიბაშვილსაც ჰკითხა, სხვებსაც, მათი აზრი

„შეიძლებოდა ძალიან მცირე სასჯელიც ჯი ჰქონოდა, მაგრამ მთლიანად გათავისუფლება, თან ისე, რომ არც ულიარებია დანაშაული, ამჯვიდრებს ძალიან სახიფათო პრინციპს — მიზანი ამართლებს საშუალებას".

მოისმინა, მაგრამ გადაწყვეტილება თვითონ მიიღო. შეიძლება სახლშიც იკითხა, ადამიანური მომენტია. როცა რაიმე მძიმე საკითხი მაქვს გადასაწყვეტი, მეუღლესაც ვკითხები აზრს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის ჩემი უფროსია. ის ვერ აგებს პასუხს ჩემს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. არც ის იქნება სწორი, რომ ვთქვა, ჩემი ცოლი დამეთანხმა-მეთქი. ღარიბაშვილი არც სუბორდინაციულად, არც თანამდებობრივად და არც კომპეტენციით ამ საკითხში არ მონაწილეობდა, თუმცა შეიძლება მას კბილაშვილმა რამე ჰკითხა. სიმართლე რომ გითხრათ, ძალიანაც გამიკვირდა, რატომ თქვა კბილაშვილმა ღარიბაშვილზე და არა — სხვებზე. ამ მომენტში მისი მოტივაცია ჩემთვის გაუგებარია.

— ხალხისთვის უფრო გაუგებარი დარჩა ის, რომ პრემიერმაც არაფერი იცოდა.

— პროკურატურა არის დამოუკიდებელი ინსტიტუტი და პრემიერი არ ერევა მის საქმიანობაში, არც ყოველდღიურ რეჟიმში აკონტროლებს. პროკურატურა რაღაც გადაწყვეტილებებს იღებს და პრემიერი მის შესახებ გარკვეული დროის შემდეგ იღებს ინფორმაციას. ნორმალურ ქვეყნებში ასეც უნდა ხდებოდეს, მაგრამ ეს ჩვენ გვიკვირს, ისე მივეჩვიეთ, რომ ერთი კაცი მართავდა ყველაფერს. ახლა ისე აღარ არის. მთავარ პროკურორს აქვს თავისი საქმე, კომპეტენცია, გადაწყვეტილებებს თავად იღებს და პასუხისმგებლობაც მასზეა. პრემიერმა გაიგო და გამოთქვა თავისი აზრი, მეტი არაფერი.

— მაგრამ თავისი გამოსვლაურებით უხერხულ სიტუაციაში ჩაიგდო თავი.

— პრემიერმინისტრი ხომ არ არის იურისტი. ის არ იყო ვალდებული, სცოდნოდა, არსებობს თუ არა გადახედვის მექანიზმი და რა იყო ამისთვის საჭირო. თქვა, რომ არ ეთანხმება ამ გადაწყვეტილებას და, თუ შესაძლებელია, გადახედოს პროკურორმაო. მან შეთავაზება გააკეთა და არა — იმპერატივი, რატომ არის უხერხული?

— და მომდევნო ნაბიჯი რა არის, კბილაშვილის გადადგომა, როგორც ამას არასაპარლამენტო ოპოზიცია მიიჩნევს?

— ერთი რამე უნდა იცოდეთ — არავინ არავის რაღაც მდგომარეობაში არ აყენებს, ყველა თვითონ იგდებს თავს რაღაც მდგომარეობაში. შეთქმულების თეორიების განვრცობა ამ შემთხვევაში სავსებით უადგილოა. არის კონკრეტული გადაწყვეტილება და მის მიმართ კონკრეტული დამოკიდებუ-

ლება. ერთი ადამიანი იღებს გადაწყვეტილებას და სხვები აფასებენ. ამის შემდეგ როგორ განვითარდება მოვლენები, ეს უკვე დამოკიდებულია პიროვნების პირად გადაწყვეტილებაზე. სააკაშვილის დროს რომ მომხდარიყო, გასაგებია, რომ სააკაშვილი ადგებოდა და პირდაპირ მოხსნიდა. მაგრამ ჩვენ თუ ინსტიტუციურად გვინდა, ქვეყანა დავალაგოთ, თუ ვხედავთ, რომ ადამიანმა რაღაც შეცდომა დაუშვა, მაგრამ ვხედავთ, რომ მას კანონი არ დაურღვევია, უნდა მივეჩვიოთ, რომ, გვაქვს თუ არა ბერკეტი, ავტორიტარულ ქმედებებს თავი დავანებოთ. პოზიციები გამოითქვა, იცის კბილაშვილმა ამის შესახებ, დანარჩენი ახლა მისი გადასაწყვეტია. თუ ის შინაგანად ძლიერად გრძნობს თავს და დარწმუნებულია თავის გადაწყვეტილებაში, მიუხედავად იმისა, რომ პირა-

„ნაციონალები 9 წლის განმავლობაში სულ სპექტაჯლებს დგამდნენ, ახლა ქვეყნის მასშტაბით ველარ ახერხებენ და პარტიაში პატარა სპექტაჯლს თამაშობენ. მათ ჯანდიდატს, არანაირი შანსი არ აქვს. მეორე ადგილზეც ჯი ვერ გავა".

დად მეც ვთვლი, რომ ამ შემთხვევაში შეცდომა დაუშვა, ნამდვილად არ მაქვს სურვილი, მოვითხოვო მის მიმართ რაღაც ადმინისტრაციული ღონისძიების გატარება. არც არავის აქვს ასეთი სურვილი, როგორც ჩანს.

— მაგრამ საკითხი რომ ისევ ღიად რჩება, იმას რაღა უშველება?

— არაფერი. საოცარი საზოგადოება ვართ. ერთი მხრივ, მოვითხოვთ დემოკრატიას, ღირებულებების დაცვას, მაგრამ შინაარსში ნაკლებად ვიყურებით. ძალიან ბევრი ადამიანისთვის, როგორც ჩანს, ბედუკაძე გმირია. ვიმეორებ, არ ვუკარგავ, რაც გააკეთა, მაგრამ არც ამის პატიება შემიძლია ბოლომდე. ეს არ ნიშნავს, რომ ციხეში ჩასვან. მე ამის სურვილი ნამდვილად არ მაქვს. უბრალოდ ვლაპარაკობ იმ ფუნდამენტურ ღირებულებებზე, რაც საზოგადოებაში უნდა იყოს დამკვიდრებული იმისათვის, რომ ასეთი რამ აღარ ხდებოდეს.

— კიდევ რა შეიძლება არ იცოდეს პრემიერმა?

— პრემიერმა ჩვენზე მეტი ნამდვილად იცის, მაგრამ შეუძლებელია ყველაფერი იცოდეს. კიდევ რა არ იცის, ჩავთვალოთ, რომ რიტორიკული კითხვაა.

— კითხვები, თან სერიოზული, გააჩინა ურეკის ბოლო შეხვედრამ — იანაშვილი-უსუფაშვილი-ბაქრაძის.

— დიდი შეთქმულების თეორია არც აქ უნდა განვავითაროთ. ჩვეულებრივი შეხვედ-

„პრემიერმინისტრი ხომ არ არის იურისტი. ის არ იყო ვალდებული, სცოდნოდა, არსებობს თუ არა გადახედვის მექანიზმი და რა იყო ამისთვის საჭირო. თქვა, რომ არ ეთანხმება ამ გადაწყვეტილებას და, თუ შესაძლებელია, გადახედოს პროკურორმაო".

რა იყო, სადაც ბაქრაძემ, როგორც ჩანს, გამოთქვა თავისი მოსაზრებები, მაგრამ რაიმე განსაკუთრებული არ ყოფილა.

— ის შეთანხმება, რომელიც შემომწირველების საქმის შეწყვეტას გულისხმობს, არ გამოიყურება მთლად არაგანსაკუთრებულად. რამდენად არის საქმის შეწყვეტის საკითხი პრემიერის განსახილველი?

— რა თქმა უნდა, პრემიერს ამის უფლება არ აქვს, უბრალოდ შეუძლია რეკომენდაცია მისცეს პროკურატურას, მაგრამ, რამდენადაც ვიცი, შეწყვეტაზე არც არის საუბარი.

— ბაქრაძემ გარკვევით თქვა, შეწყვიტეთ.

— არასწორი ინტერპრეტაციაა. საქმეების შეწყვეტა, თუ სისხლის სამართლის დანაშაულია, მხოლოდ კანონს შეუძლია. შეწყვეტაზე საუბარი ვერც იქნება, უბრალოდ საუბარია დროებით შეჩერებაზე, წინასაარჩევნო პერიოდში რომ არ იყოს დაძაბულობა და არჩევნებში ჩართულებმა არ იარონ დაკითხვებზე, რაც, სამწუხაროდ, წინა არჩევნების წინ „ქართული ოცნების" მიმართ ხდებოდა. ჩვენც მათ ხომ არ დავემსგავსებით?

— ოპოზიცია გაადიზიანა იმანაც, რომ ამ შეხვედრით ბაქრაძის, როგორც საპრეზიდენტო კანდიდატის, წინ წამოწევა მოხდა. ბლუს აქ იყო უსუფაშვილი, პარლამენტის თავმჯდომარე და არა — საგანელიძე, როგორც

→18

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

ეს ბაქრაძის ფიგურას შეეფერებოდა.

— პარლამენტის ფორმატში იყო ეს შეხვედრა და არა — პოლიტიკურში. იქ უსუფაშვილი და ბაქრაძე, როგორც პოლიტიკოსები, პარტიის წარმომადგენლები კი არ იყვნენ, არამედ, როგორც პარლამენტის სპიკერატის წარმომადგენლები, ანუ სპიკერი და მისი მოადგილე.

— კარგი, ასე იყოს. ისე, რუსუდან კერვალიშვილმა, „ცენტრ პოინტის“ მეპატრონემ და ყოფილმა ვიცესპიკერმა, თქვა, ბაქრაძე-იუანიშვილის შეთანხმების შემდეგ სასამართლოში ჩემი მისვლა გამიკვირდაო. რატომ გაიკვირვა?

— არ ვიცი, რა გაუკვირდა ქალბატონ კერვალიშვილს, თუმცა ვიცი, რომ ათასობით ადამიანია იმ პირამიდის მსხვერპლი, რომელსაც ჯერ „ცენტრ პოინტი“ აშენებდა და მერე „დექსუსი“. ნამდვილად არ ვიცი, რა უკვირს.

— ნაციონალები სამი კვირაა პრაიმერიზით საპრეზიდენტო კანდიდატს აყალიბებენ. როგორ აფასებთ მათ ამ ფუსფუსს?

— ნაციონალების პრაიმერიზი ღიმილისმომგვრელია, სახლობანას თამაშობენ. 9 წლის განმავლობაში სულ სპექტაკლებს დგამდნენ, ახლა ქვეყნის მასშტაბით ვეღარ ახერხებენ და პარტიაში პატარა სპექტაკლს თამაშობენ. მეტი რა შეფასება უნდა მივცე? საერთოდ არ არის საინტერესო და მათ კანდიდატსაც, ვინც უნდა იყოს, არანაირი შანსი არ აქვს. მეორე ადგილზეც კი ვერ გავა.

— ანუ ბურჯანაძეს მეტი შანსი აქვს, როგორც გამოკითხვებით დადგინდა?

— ამას ვერ დავაკონკრეტებ, მაგრამ ნაციონალებს

> **„სარჩელს ვამზადებ, ცხელი ზაფხული ელოდება ღაშა ამირეჯიბს. ახლაც იმუქრება, გამოჩნდებიან, ვინც ილაპარაკებენო. ვინ გამოჩნდებიან, ძალიან მაინტერესებს. მე ის ვიცი, რომ არაფერი მაქვს დასამალი საზოგადოებისთვის და მისი ბაქიბუქი არის თეთრი ძაფით ნაკერი“.**

რომ მცირე შანსი აქვთ, ეს კი ვიცი. არ მიხარია, მაგრამ ფაქტია, რომ არც მეორე ტური იქნება. ეს არჩევნები ახალი ხელისუფლების გამოცდაა, აჩვენებს, რა შეიცვალა ამ პერიოდში ქვეყანაში.

— პრემიერმაც გააკეთა მოწოდება არჩევნებზე სამართლიანობის დაცვაზე, მაგრამ არასამთავრობოებიც და არასაპარლამენტო ოპოზიციაც ხელს საარჩევნო კანონმდებლობისკენ იშვერს — უკვე დარღვეულიაო.

— გეთანხმებით, რომ ძალიან ბევრი რამეა შესაცვლელი, მაგრამ ასე მალე და მოკლე ვადაში არ იქნებოდა შესაძლებელი. სხვა ყველა პირობა იქნება დაცული და შესრულებული. ამაში დარწმუნებული ვარ.

— ღაშა ამირეჯიბზეც მინდა გკითხოთ, რომელიც გარკვეულ კლანებთან თქვენს ურთიერთობებზე საუბრობს.

— არ ვიცი, ეს ყველაფერი მისი ავადმყოფობის ბრალია თუ კიდევ სხვა რამესთან გვაქვს საქმე. მაგრამ ის ვიცი, რომ ყველაფერი არის სრული აბსურდი. სარჩელი მზადდება და ალბათ ამ დღეებში შევიტან, მოვითხოვ თანხას.

— რამდენს?

— რა სარგებელი შეიძლება ენახა ამ სიბინძურიდან ამირეჯიბს, დაახლოებით იქიდან იქნება დათვლილი. შევაფასებ ამ ყველაფერს. ისინიც, ვინც ასევე ფიგურირებენ, რომ „სოკარმა“ ბინა მომცა და გოგი ლიპარტელიანთან რაღაც მქონდა და ა.შ., როგორც ვიცი, აპირებენ სარჩელის შეტანას, რადგან მათი ღირსებაც არის შელახული. ასე რომ, ცხელი ზაფხული ელოდება ამირეჯიბს. ახლაც იმუქრება, გამოჩნდებიან, ვინც ილაპარაკებენო. გამოჩნდნენ! ვინ გამოჩნდებიან, ძალიან მაინტერესებს. მე ის ვიცი, რომ არაფერი მაქვს დასამალი საზოგადოებისთვის და მისი ბაქიბუქი არის თეთრი ძაფით ნაკერი.

— რატომ გდებთ ბრალს, რაში აწყობს?

— არ ვიცი, ეს უკვე ჩემს კომპეტენციას სცილდება. ისე, ამირეჯიბს აწყობდა თუ სხვას, ესეც გასარკვევია. გამოძიებას მე ვერ ჩავატარებ, ამისთვის სხვა ორგანოები არსებობს.

დიმიტრი ლორთქიფანიძე: „კბილაშვილის განირვა „ოცნებას“ სერიოზულ დარტყმას მიაყენებს“

საქართველოს მთავარმა პროკურორმა, არჩილ კბილაშვილმა, ვლადიმერ ბედუკაძესთან დადებული საპროცესო გარიგების შესახებ განმარტებები კი გააკეთა, მაგრამ კითხვა, რა იქნება შემდეგ, ისევ აქტუალური რჩება. ამ თემას ის უფრო ამძაფრებს, რომ განაჩენის გადახედვის არანაირი სამართლებრივი გზა არ არსებობს. ეს კი საკითხს უკვე სხვა კუთხით წარმოაჩენს, ანუ ვინ აგებს პასუხს გადაწყვეტილებაზე.

„თავისუფალი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერის, უფლებათადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძის აზრით, პრემიერმა მთავარ პროკურორს თავისი წერილით წითელი ბარათი უკვე აჩვენა და, წესით და კანონით, მორიგი სვლა კბილაშვილის საკუთარი ნებით გადადგომა უნდა იყოს.

— ბატონო დიმიტრი, თუ განაჩენის გადახედვის არანაირი სამართლებრივი მექანიზმი არ არსებობდა, რატომ მოუწოდა პრემიერმა პროკურორს საქმის გადახედვისკენ?

— ლადო ბედუკაძის საქმესთან დაკავშირებით საზოგადოება ვერ გაერკვა, რა ხდება. რეალურად ხდება ის, რომ ბედუკაძის მიმართ წარდგენილი იყო სისხლის სამართლის ის მუხლები, რომლებიც ითვალისწინებს განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულთა ერთობლიობას და რომლებიც წამებასთან და არაადამიანურ მოპყრობასთან არის კავშირში. როცა კბილაშვილი დაინიშნა თანამდებობაზე, მან ლადო ბედუკაძეს წითელი ცირკულარით ძებნა მოუხსნა და ის ბრიუსელიდან საქართველოში ჩამოვიდა.

ამის შემდეგ ბედუკაძის მიმართ აღმკვეთ ღონისძიებად გამოყენებულ იქნა გირაო მინიმალური, 2.000 ლარის ოდენობით და სხვა განსასჯელებთან ერთად დაელოდა საქმის არსებით განხილვას სასამართლოში. სასამართლოში კი მის მიმართ გამოყენებულ იქნა საპროცესო შეთანხმების დღემდე უპრეცედენტო ფორმა, რომლის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ ბედუკაძე სასამართლოს მიერ ფაქტობრივად ცნობილ იქნა დამნაშავედ, სასჯელის პირობების განსაზღვრის გარეშე სასჯელის დაკისრებისგან სრულად გათავისუფლდა. ჰქონდა კი ამის უფლებამოსილება მთავარ პროკურორს? რა თქმა უნდა, მას ასეთი უფლება ჰქონდა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით, მაგრამ რა შემთხვევაში შეიძლება განხილულ იქნეს ის მორალური კრიტერიუმები, რომლებიც წარმოადგინა მთავარმა პროკურორმა? მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ბედუკაძის მიმართ მტკიცებულებები არასაკმარისი და არასათანადო იქნებოდა.

ბატონმა კბილაშვილმა 6 კრიტერიუმი ჩამოთვალა და მათ შორის იყო ყურადსაღები მომენტები, რომ წამებაში მხილებული ძალიან ბევრი პირი დღეს არ არის მიცემული პასუხისგებაში, ზოგიერთი მათგანი კი დღესაც იკავებს თანამდებობას და ღირსეული მოქალაქის მანტიით დადის. მან ყურადღება გაამახვილა იმაზეც, რომ ბედუკაძემ გახსნა ეს საქმე და 7-ვე ეპიზოდში წარმოადგინა მტკიცებულებები და სისტემა ამხილა. მე ცალსახად არ ვაკეთებ განმარტებას, რომ კბილაშვილი სამართლის ნორმების გათვალისწინებით სწორად მოიქცა, რადგან წამება არის ის დანაშაული, რომლის მიმართაც, საერთაშორისო კონვენციებით და ჩვენი კანონმდებლობით, რაიმე შეღავათი აკრძალულია, მაგრამ აქ კიდევ არის ერთი მაგრამ, რომელზეც მედია არ ამახვილებს ყურადღებას.

— რა არის ეს „ყურადღებად დარჩენილი „მაგრამ“?

— ლადო ბედუკაძე წარდგენილ ბრალდებებში დამნაშავედ არ ცნობდა თავს და პირი, რომელმაც თავი დამნაშავედ არ ცნო, თავად ვერ გახდებოდა ინიციატორი საპროცესო შეთანხმებისა პროკურატურასთან. ესე იგი რა გამოდის? ეს შეთანხმება განახორციელა თვითონ კბილაშვილმა. ამიტომ, როცა ლაპარაკია, წამებაში ბრალდებული პირის მიმართ მსგავსი რამ არ უნდა გაკეთებულიყოო, კი, ბატონო, ვეთანხმები ყველას, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი სასამართლო გამოძიებით დადგინდებოდა, რომ ლადო ბედუკაძე არის დამნაშავე. ვინაიდან სასამართლოს არ მიეცა შესაძლებლობა, ბოლომდე ემსჯელა მოცემულ ბრალთან დაკავშირებით, ამ შემთხვევაში სასამართლო ვალდებული იყო, გაეთვალისწინებინა მხარეთა შორის დადებული საპროცესო შეთანხმების არსი ლადო ბედუკაძის სასარგებლოდ, რადგან მას ენიჭებოდა პრიორიტეტი.

— რატომ წაიდა არჩილ კბილაშვილი, როგორც თვითონ ამბობს, ერთპიროვნული გადაწყვეტილებით, ამ შეთანხმებაზე?

— ეს რომ არ იყო კბილაშვილის ერთპიროვნული გადაწყვეტილება, თავისთავად ცხადია და ამ გადაწყვეტილებაში მონაწილეობდა, მინიმუმი, მისი ხელმძღვანელი პირი — ქალბატონი თეა წულუკიანი.

— მაგრამ წულუკიანი ამას უარყოფს.

— მან რომ უარყო, არ ნიშნავს, არ იცოდა, ვინაიდან ბედუკაძის სისხლის სამართლის საქმე სცილდება ბედუკაძის ბედ-იღბალზე ზრუნვის თემას. ეს არის საკითხი, რომელიც ძალიან მნიშვნელოვან კითხვებს აჩენს გარკვეულ ასპექტებთან დაკავშირებით — ფირების გამოტანის, საზღვარგარეთ გატანის, შემდგომში გამომზეურების და ა.შ. თუ მთავარი პროკურორი, რომელიც იმ

Cyan Magenta Yellow Black

პერიოდში გახლდათ მოადგილე გენერალური პროკურორისა და ამავე დროს იუსტიციის მინისტრის, იღებდა ასეთ რეზონანსულ გადაწყვეტილებას და ეს ქალბატონი წულუკიანისთვის აბსოლუტურად უცნობი იყო, მაშინ ჩვენ სხვა საკითხზეც უნდა ვილაპარაკოთ — მის პოლიტიკურ პასუხისმგებლობაზე. რატომ არ იბარებდა ანგარიშს თავისი ქვეშევრდომისგან?

— თურმე არც არაფერი სცოდნია, სანამ ამ საკითხზე ივანიშვილს ჟურნალისტმა კითხვა არ დაუსვა.

— ამ რიგითი ჟურნალისტის კითხვა იყო მაპროვოცირებელი, რაზედაც პრემიერმინისტრს უნდა გაეცა ბრძნული ზოგადი პასუხი და არა — ნაჩქარევი, რითაც ფაქტობრივად უხერხულ მდგომარეობაში ჩაიყენა საკუთარი თავი და გუნდიც, ვინაიდან გუნდის ნაწილი იძულებული გახდა, მის სასარგებლოდ ეკეთებინა განცხადებები.

„მივესალმებოდი ეხთ-ეხთის დანიშვნას ახა — მთავარი პროკურორის, ახამედ იუსტიციის მინისტრის პოსტზე, ეს ახის კახი კახიშვილი. ხაც შეეხება მაია მნარიაშვილს, მისი სახელი და გვარი შევარდნაძის დროსაც გვხვდებოდა, მაგრამ არაფრისმთქმელია. ლაშა ნაცვლიშვილი კი გარკვეულ სკანდალებში უკვე არის გახვეული და გამიჭირდება, მის სასარგებლოდ პოზიცია დავაფიქსირო.

ამის გამო განტევების ვაცად აქციეს მთავარი პროკურორი, თითქოს მან ერთპიროვნულად მიიღო გადაწყვეტილება, თუმცა შემდგომში წულუკიანმა უკვე ახსენა ღარიბაშვილი.

— მაგრამ გადაწყვეტილების შესახებ იცოდა, არ უთქვამს.

— მაგრამ, სადაც ღარიბაშვილი ერთვებოდა ამ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, იქ მთავრობის სხვა წევრებს და, პირველ რიგში, იუსტიციის მინისტრს უნდა ჰქონოდათ ინფორმაცია.

— თუ არაფერი ეშველებოდა, რა აზრი ჰქონდა ამ დებატებს?

— სხვა პირების მიმართ — ვგულისხმობ ყაჭეიშვილს, ფაცაცის... პატიმრობის ვადის აღკვეთის სიმკირემ საზოგადოების სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია. პირებს, რომლებიც სისტემურ დანაშაულში იყვნენ მხილებული და არაერთგზის ჰქონდათ ჩადენილი დანაშაული, დაუდგინდათ 3-4 წელი, მაქსიმალური ვადა იყო 6 წელი და 6 თვე. მერე იყო ბედუკაძე. როცა მაპროვოცირებელი კითხვა დაისვა, არათუ გაიხსნა ეს ჭრილობა, არამედ ახალი ძალით წარმოჩინდა.

— მანამდეც ხომ იწერებოდა და ისმებოდა კითხვები?

— ზოგადი პასუხებით შემოიფარგლებოდნენ, მაგრამ, როცა ივანიშვილმა იკითხა, თუ წამებაში იყო ბრალდებული, როგორ დადგა ეს განაჩენიო, უკვე შეუძლებელი გახდა, რეაგირების გარეშე დარჩენილიყო, თუნდაც მედიის მხრიდან. ახლა მედიის ყურადღება გადატანილია პრემიერის რეაქციაზე, რას იზამს მას შემდეგ, რაც კბილაშვილმა ცალსახად განაცხადა, რომ ამოწურულია ყველანაირი სამართლებრივი ფორმა და შესაძლებლობა აღნიშნული განაჩენის გადახედვისა. ამ დროს სააკაშვილმა დრო იხელთა, პოლიტიკური მომენტი დაიჭირა და

ფეხის ბაკუნით განცხადებების კეთება დაიწყო, რომ ის მზად არის, ხელი მოაწეროს მთავარი პროკურორის გათავისუფლებას. მთავარი პროკურორის გათავისუფლებაზე განაცხადება კი უნდა წარადგინოს იუსტიციის მინისტრმა. შეიქმნა პოლიტიკური კაზუსი — კბილაშვილის გაწირვა „ქართულ ოცნებას“ სერიოზულ დარტყმას მიაყენებს. ხელისუფლება სააკაშვილს კბილაშვილს არ შეაჭმევინებს, მაგრამ მედია პრემიერს ყოველდღე ახსენებს, რომ საზოგადოებას აჩვენოს, თავისი პრინციპებისადმი როგორი ერთგულია.

— გამოსავლად რა გზა რჩება?

— მთავარმა პროკურორმა პრემიერი არ უნდა გააწბილოს, საზოგადოების წინაშე არ უნდა შეარცხვინოს, თავად მიიღოს გადაწყვეტილება გადადგომის თაობაზე და ამით დააკმაყოფილოს თავისი გუნდის ლიდერის მოთხოვნა. სიმართლე რომ გითხრათ, მისი გადადგომა არც არავის დასწყვეტდა გულს. ყველა ჩათვლიდა, რომ კბილაშვილი იყო კარგი ადვოკატი, მაგრამ არ აღმოჩნდა კარგი პროკურორი.

— ივანიშვილმა რომ კბილაშვილი უკვე გაწირა, მის სიტყვებშიც ხომ არ გამოჩნდა, როცა აღიარა, პროკურატურა უსუსურიაო?

— პროკურატურის უსუსურობა ერთგვარი წამახალისებელი აქტი იყო, რითაც კბილაშვილს ყვითელი ბარათი ამოუღეს. ის წერილი კი, რომლითაც პრემიერმა მთავარ პროკურორს მიმართა, უკვე არის წითელი ბარათი და კბილაშვილი, წესით და კანონით, უნდა გადადგეს. ამას კი ჯერ არ აკეთებს და საინტერესოა, რა მეთოდით და ფორმით აიძულებენ, რომ წავიდეს.

— მის გათავისუფლებას არჩევნების შემდგომ ვარაუდობენ. უკვე სახელდებიან კანდიდატებიც — მაია მწარიაშვილი, ლაშა ნაცვლიშვილი, კახი კახიშვილი...

— კანდიდატებზე ინფორმაცია არ მაქვს, თუმცა მივესალმებოდი ერთ-ერთის დანიშვნას არა — მთავარი პროკურორის, არამედ იუსტიციის მინისტრის პოსტზე, ეს არის კახი კახიშვილი. მისი პოზიცია, პოლიტიკური პლატფორმა და დამოკიდებულება კანონისადმი ყველასთვის ცნობილია და ეჭვი არავის ეპარება მის მაღალ კომპეტენციასა და პროფესიონალიზმში. რაც შეეხება მაია მწარიაშვილს, მისი სახელი და გვარი შევარდნაძის დროსაც გვხვდებოდა, მაგრამ არაფრისმთქმელია. ლაშა ნაცვლიშვილი კი გარკვეულ სკანდალებში უკვე არის გახვეული და გამიჭირდება, მის სასარგებლოდ პოზიცია დავაფიქსირო.

— ითქვა, რომ რესპუბლიკელებიც ოცნებობენ ამ პოსტზე.

— შესაძლებელია, მაგრამ მათ ახლა სხვა საზრუნავი უფრო აქვთ.

— რას გულისხმობთ?

— ძალიან კარგად იციან თავიანთი რეიტინგი და ისიც იციან, რომ ერთადერთი, რაც დააზიანებთ, ეს არის ვადამდელი არჩევნები, რომლის ჩატარების მოთხოვნა ჯანსაღი მოსახლეობის 10 პროცენტში ნამდვილად უნდა იყოს. დღეს ჩვენ ვთანხმდებით, რომ „ცოცხების პარტიამ“ ამოწურა საკუთარი თავი და მისი ადგილი პოლიტსივრცეში აღარ არის. თუ არჩევნები დაინიშნა, ამ პარტიას უკან გაჰყვება 40 პროცენტიანი ნაცმოძრაობაც. ასე რომ, რესპუბლიკელების უახლოესი მიზანი არის, კოაბიტაციის დადგმული სპექტაკლი გაგრძელდეს.

— კოაბიტაციაში ალბათ ურეკის შეხვედრასაც გულისხმობთ. ნაციონალების შემომწირველების საქმის შეწყვეტასთან დაკავშირებით რას ფიქრობთ?

— ჩემთვის გაუგებარია, რატომ მიეცა შესაძლებლობა საპრეზიდენტო კამპანიაში ჩართულ ბაქრაძეს ივანიშვილის სახელით ევაჭრა და გარკვეული ქულებიც მიეღო. შემომწირველთა საკითხის დასმა პრემიერსა და ბაქრაძეს შორის უკვე ნიშნავს, რომ მათ შორის გარკვეული კულუარული მოლაპარაკებები არსებობს.

— მიქაუტაძის საქმე ღარიბაშვილისთვის ისეთივე ხომ არ აღმოჩნდება, როგორიც გირგვლიანის გამოდგა მერაბიშვილისთვის?

— მიქაუტაძის საქმე მართლაც მნიშვნელოვანია ღარიბაშვილის კარიერისთვის. ამ ეტაპზე საქმის დეტალების გამჟღავნებისგან თავს შევიკავებ, მაგრამ ნამდვილად მაქვს დასაბუთებული ეჭვი, რომ მიქაუტაძეზე განხორციელდა ფიზიკური ზეწოლა, მისი გარდაცვალების მიზეზი ეს შეურაცხყოფა გახდა. ამ საქმეს მხოლოდ გირგვლიანის თემას არ შევადარებდი. მსგავსი საქმე ბევრი იყო, იგივე ქიმერიძის, სოფელ ქვიშხეთიდან, რომელიც ხაშურის პოლიციაში გარდაიცვალა თითქოს კიბის უჯრედიდან ჩამოვარდნის შემდეგ. გახსოვთ, როგორ გასაიდუმლოებულად ხდებოდა ამ საქმის გამოძიება. გასვენებაში მისულ ხალხს აჩერებდნენ, რომ ოჯახის წევრებთან კონტაქტში არ შესულიყვნენ. იმედს გამოვთქვამ, ღარიბაშვილი გაითვალისწინებს წინამორბედის არაგონივრულ ნაბიჯებს, ხელს შეუწყობს ობიექტურ გამოძიებას და მალე გააკეთებს ისეთივე განცხადებას, როგორიც გააკეთა გელა ხვედელიძის პასუხისგებაში მიცემასთან დაკავშირებით.

გახდომა 5-დან 20 კგ-მდე თვეში
გასუქება 2-დან 5 კგ-მდე თვეში

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე, შეინარჩუნებთ სტაბილურად შედეგს და საბოლოოდ დაივიწყებთ ამ პრობლემას.

სიმაღლეში ზრდის უახლესი პროგრამები: სწრაფი და ეფექტიური ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსით 3-ნსმ-ის მომატებით. ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა-დანიშნულებით. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. შედეგები 100%-იანია. ქ-ნი ქეთევანი.

☎ 577-29-37-41, 247-58-83

Cyan Magenta Yellow Black

ლევან ბერძენიშვილი: „მოგვცეს მაგალითი სააკაშვილმა და დასახლდეს შევარდნაძის გვერდით!“

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მოლდოვა მოინახულა. თურმე მასზე დიდი შთაბეჭდილება მასპინძელი ქვეყნის ყოფილი ლიდერების ურთიერთობამ და მათმა სახლებმა მოახდინა, რომლებიც პრეზიდენტის რეზიდენციის მახლობლად ერთმანეთის გვერდიგვერდ დგას. როგორც აღმოჩნდა, მოლდოვის ყოფილი და ახლანდელი ხელისუფალნი არამარტო მეზობლები, მეგობრებიც არიან — საღამოობით ერთმანეთთან ღვინის სასმელად დადიან. აი, ასეთი ცივილიზებული ურთიერთობაა საჭირო მოქმედ, ყოფილ და მომავალ ხელისუფლებას შორისო, დაასკვნა სააკაშვილმა. პრეზიდენტის აღმოჩენაზე რესპუბლიკელ ლევან ბერძენიშვილს ეღიმება — თურაშაულის პატრონი ტყეში ეძებდა პანტასაო.

— ბატონო ლევან, ჩვენს პრეზიდენტს ეტყობა, რომ მიმაყალი ძალიან აღელვებს, რადგან ყოფილი და ახლანდელი ხელისუფლებების ურთიერთობაზე დაფიქრდა.

— პირველი ნაბიჯი მან გადადგას და დასახლდეს ედუარდ შევარდნაძის გვერდით, ჰქონდეს მასთან ცივილური ურთიერთობა, მოგვცეს მაგალითი! სააკაშვილის ბოლო განცხადებები იმდენად მოკლებულია საღ აზრს, რომ კომენტირება შეუძლებელი გახდა. როგორ იცხოვრებს, ვისთან ერთად და რა ურთიერთობები ექნება, დიახაც, უნდა იფიქროს ამაზე. როცა პრეზიდენტი და ადამიანი ხარ, მზად უნდა იყო განსაცდელისთვის. მისთვის განსაცდელი დადგება, როცა არ იქნება პრეზიდენტი. ჭრიჭინასავით მოემზადა ზამთრისთვის და ცუდი გაგრძელება ექნება...

თურმე მისი დარდი ყოფილა, რომ არ შეხვდა ქალბატონ ირინა ენუქიძეს. არა, ეს მისი დარდი არ არის! მან იდარდა იმაზე, იმ ქალის შვილის მკვლელები როგორ გაეთავისუფლებინა ციხიდან. ამიტომ, სანამ რეალურად ვერ მიხვდება, რა დაეშავა, ისევ ამ ტანჯვაში იქნება. კი, ბატონო, იოცნებოს, რომ იცხოვრებს კარგად, რომ მასთან მივა ახალი ხელისუფალი და ჭკუას დაეკითხება. მანამდე კი უნდა მოაგვაროს თავისი ურთიერთობები ედუარდ შევარდნაძესთან, ხოლო შევარდნაძე უნდა შეურიგდეს იმ ქალბატონებს, ყოველდღე მასთან რომ მიდიან და ეუბნებიან: „იუდა!“, „იუდა!“.

„ვეფხისტყაოსნის“ ქვეყნის შვილებს არ გვჭირდება მოლდოვის მაგალითები, თურმე როგორ უნდა შევიყვაროთ ადამიანებმა ერთმანეთი. თურაშაულის პატრონი ტყეში ეძებდა პანტასაო, მაგაზეა ნათქვამი. საბედნიეროდ, სააკაშვილთან ერთად მალე ყველაფერი დამთავრდება.

— ნაციონალებს კი იმედი აქვთ, რომ მეორე ადგილზე მასაც გაჯლეს.

— ჩემთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს, ვინ გავა მეორეზე. ჩემთვის მნიშვნელოვანია, ვინ გაიმარჯვებს და მერე როგორი ტიპის პრეზიდენტი იქნება. ახალმა პრეზიდენტმა არ უნდა დაიწყოს გამოხდომები, არ გააკეთოს უაზრო პროვოკაციული განცხადებები და არ გადაგვკიდოს მეზობლებთან, ასევე უნდა იყოს ადამიანთა უფლებების გარანტი და ა.შ.

— ამ თვისებებს ბურჯანაძეში, თარგამაძეში ან სხვა კანდიდატებშიც ხედავთ თუ მხოლოდ მარგველაშვილში?

— მე შემიძლია პროგნოზი გამოვთქვა, რომელიც ასეთია, რომ ამ არჩევნებში აუცილებლად გაიმარჯვებს „ქართული ოცნების“ კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი. ჩვენ გვინდა გამარჯვება პატიოსან, სამართლიან არჩევნებში, სადაც ერთი ხმაც არ იქნება გაყალბებული, მაგრამ გიორგი თარგამაძე რომ ვერ მოიგებს არჩევნებს, ეს ჩემი ბრალი ნამდვილად არ იქნება. ჩვენ არავის ვგულშემატკივრობთ, ამას ხალხი გადაწყვეტს. თუ ნინო ბურჯანაძე გავა მეორეზე, არ მეწყინება და მეტსაც გეტყვით, გამიხარდება და მივესალმები ადამიანს, რომელმაც 2007 წლის 7 ნოემბერს პირადად ჩემი სიცოცხლე იხსნა.

— რადგან ირინა ენუქიძე ახსენეთ, იმასაც გკითხავთ, მართლა არსებობს მოწმე, რომელიც ამტკიცებს, რომ თაკო სალაყაიას ტელეფონით ასმენინებდნენ, როგორ აწამებდნენ სანდრო გარგელიანს? თქვენ ამის შესახებ განაცხადეთ.

— ჩვენ გვაქვს ცნობა სუფრასა და ტყეს შორის კავშირის შესახებ, რომ ტყიდან დაირეკა და კავშირი იყო 43 წუთი. რაზე მიმდინარეობდა საუბარი, ჩვენ არ ვიცით. ამას ამბობს მოწმე ჩვენთან საუბარში, მაგრამ, სამწუხაროდ, მან პროკურატურას ჩვენება არ მისცა. მე გამანდეს ეს ცნობა, როგორც პარლამენტის წევრს და, თუ არ მომცემს უფლებას, ვერ დავასახელებ. პროკურატურამ მომმართა, მაგრამ ვუთხარი, რომ არ მაქვს საშუალება, მივაწოდო ინფორმაცია. თუ აინტერესებთ, შეუძლიათ გამოიკვლიონ ეს საუბარი. დაირეკა დათა ახალაიას ტელეფონზე.

— რატომ ეძახლება პროკურატურას ის მოწმე?

— ალბათ იცის, რისი უნდა ეშინოდეს. მთლად წმინდანი რომ არ იქნება, ალბათ ხვდებით. სახელიც აქვს მას, გვარიც, სიმაღლეც, გამომეტყველებაც და ბიოგრაფიაც. იმ მოწმის ჩვენების გარეშეც კარგად ჩანს, რომ სააკაშვილმა და მერაბიშვილმა ყველაფერი გააკეთეს, რომ სიმართლე არავის გაეგო და რომ მკვლელები — როგორც დამკვეთები, ისე შემსრულებლები, კარგად ყოფილიყვნენ, ყოველდღე ეჭამათ გოჭის ხორცი და გათავისუფლებულიყვნენ დროზე ადრე. ამიტომ ევროსაბჭოში პირადად მე განვაცხადე წლების წინ, რომ ქართველი ხალხი ამ ადამიანებს არ აპატიებდა და ეს დრო დადგა. სააკაშვილს კი შევახსენებ, რომ შევარდნაძის გვერდით მართლაც არის საინტერესო ტერიტორიები.

— ცისეს გულისხმობთ, არა?

— დიახ, თუმცა არ ვარ განწყობით, ჩავსვათ და დავაპატიმროთ, მაგრამ მისი დესტრუქციული მოქმედება მისივე ქვეყნის წინააღმდეგ უმატებს და უმატებს ენთუზიაზმს იმ ადამინებს, ვისაც სძინავთ და ესიზმრებათ სააკაშვილი ციხეში. რაც მან მოლდოვაში გააკეთა... დადიოდა და გაიძახოდა, საქართველოს შანსი არ აქვს, ევროპაში შესვლისო. აქედან, თბილისიდან ფულემ უპასუხა — მითია, რომ საქართველოს შანსები არ აქვსო. სააკაშვილი ტყუისო, ფულემ თქვა!

— სააკაშვილის დესტრუქციაზე სტრასბურგი გამახსენდა. ნახეს ევროპელებმა გოგა ხაინდრავას ფილმი სააკაშვილზე?

— კი, მოეწყო ფილმის ჩვენება და მივაწოდეთ ევროპელ კოლეგებს ინფორმაცია, რა ტიპის კადრები არსებობს.

— როგორც ვიცი, სერიოზული წინააღმდეგობა შეგხვდათ სახალხო პარტიიდან.

— ევროპის სახალხო პარტიის ინიციატივა იყო აღეძრათ დებატები, სათაურით — „საქართველოში გაუარესებული მდგომარეობის შესახებ“. პირველ ეტაპზე ჩავარდა სათაურიდან სიტყვა „გაუარესებული“. მერე ითხოვდნენ დებატებს საქართველოს მდგომარეობის შესახებ და ბიუროზე, სადაც არ გვყავს არც ერთი წევრი, გაიტანეს. იქ ხმები გაიყო. ევროსაბჭოს თავმჯდომარემ, ბატონმა მინიონმა, დაუჭირა მხარი და გატეხა ის სიტყვა, რომელიც მანამდე ჩვენ მოგვცა. ისიც ევროპის სახალხო პარტიის (იპიპი-ს) წევრია და იმიტომ. იქაური წესების მიხედვით, დღის წესრიგში საკითხის შეტანას თუ დეპუტაცია ეწინააღმდეგება, ამ შემთხვევაში საკითხი დგება კენჭისყრაზე და საჭიროა 2/3. მათ კი საერთოდ წაგეს კენჭისყრა. ამით ევროსაბჭომ უთხრა იპიპი-ს, რომელიც ყველაზე დიდი ფრაქციაა ევროპის საბჭოში, ჩვენ ვენდობით საქართველოს ხელისუფლებასო.

ამის შემდეგ შეკრიბეს რამდენიმე კაცი და დაწერეს დეკლარაცია, რომლისთვისაც კენჭი არავის უყრია და არსად გავრცელებულა. მასში წერია, რომ ვინო მერაბიშვილის დაჭერა ეწყინათ იპიპი-ს წევრებს. იმ 22 კაციდან, ვინც ხელი მოაწერა, 3 უკვე აღარ არის ევროსაბჭოს წევრი, ანუ ხელი მოაწერეს ყოფილმა წევრებმაც. მერაბიშვილი იქნება თუ სააკაშვილი, მათ შესახებ უნდა ილაპარაკოს არა პოლიტიკოსებმა, არამედ კანონმა. ჩვენგან რასაც ითხოვენ, ესაა, არ იყოს შერჩევითი სამართალი.

— მაშან ბედუკაძის საქმეზე რას იტყვით?

— ნებისმიერ ქვეყანაში, სადაც გარიგებები ხდება, ბედუკაძისნაირს გამოუცვლიდნენ გარეგნობას, სახელს, გვარს და მისცემდნენ საზოგადოებაში სხვისი სახელითა და გვარით ცხოვრების უფლებას, მაგრამ ვერც ერთი ქვეყანა იზამდა იმას, რაც გააკეთა საქართველომ — გამოდის და პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებს. ეს არის სრულიად წარმოუდგენელი! ბედუკაძესთან დაკავშირებით ყველაფერი კანონიერად გაფორმდა, მაგრამ არსებობს დაუწერელი წესები, რომ ჯალათისგან არ ვაკეთებთ სპიკერს. მიუხედავად იმისა, რომ კარგად მოიქცა, ის მაინც არის ჯალათი.

კბილაშვილს კანონი არ დაურღვევია, დაირღვა ბალანსი. როცა მე და თქვენ — პოლიტიკოსი და ჟურნალისტი კი არა, ჯალათი ლაპარაკობს, პოლიტიკურ პარტიას როგორი რეიტინგი უნდა ჰქონდეს და საერთოდ, ცხოვრება როგორ უნდა იყოს მოწყობილი, ეს არის ნონსენსი! მას აქვს დამსახურებაც და დანაშაულიც! ვურჩევდი, პოლიტიკაში ნუ ჩაერევა, ეს არ არის მისი სფერო. აი, აქედან გვეტყობა, რომ ორღობის პოლიტიკაში ვართ შესული და ეს ძალიან ცუდია, დაბალი კლასის ნიშანია.

— ამ ბოლო დროს ჯადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე საუბრობენ, ამბობენ, რესპუბლიკელებს ნაციონალებთან კოალიტაცია იმიტომ გაწყობთ, რომ გაჯლეს ჯადამდელი არჩევნებით არ დაკარგოთ.

— ჩვენი პარტია დღეს უფრო პოპულარულია, ვიდრე 2012 წელს იყო და რატომ ვერ მოვალთ? უბრალოდ, რა მოტივით უნდა ჩატარდეს ეს არჩევნები და რატომ უნდა შეირცხვინოს საქართველომ ცხვირი, რომ არ შეუძლია, 4 წელი ჰყავდეს ერთი პარლამენტი? „ქართულ ოცნებაში“ ვინც აყენებს საკითხს, რომ აუცილებლად მოხდება პარლამენტში, არ შეცდეს — ბიძინა ივანიშვილმა ახლა ასეთი სია დაწერა და მერე ისეთ სიას დაწერს? არც კოალიციიდან ვაპირებთ წასვლას. ისე კი, დეპუტატი, რომელიც პარლამენტის დაშლას გულშემატკივრობს, აზრზე არ არის, რა არის პარლამენტი. თუ ჯონდი ბაღათურია არ არის პარლამენტში და ამიტომ დაიღუპება საქართველოო, ამ ლოგიკით როგორ დავშალოთ? ეს არის ლაყე, უაზრო ლაპარაკი. თუ ნაციონალები არიან პრობლემა, არის სხვადასხვა გადაწყვეტაც. მაგალითად, ზვიად გამსახურდიამ გარიცხა პარლამენტიდან კომუნისტური პარტია. წავიდეთ ამ გზით? მერე არავის ახსოვს, ამას რა მოჰყვა?

ექსპერტი ბევრია, მაგრამ ჭკუაა ცოტა. დღევანდელ პარლამენტს ბევრი ვინმე აკლია. პარლამენტში იყო სამი ადგილი, კახა კუკავამ არჩევნებში მიიღო მონაწილეობა, მაგრამ თამარ კორძაიამ დაამარცხა და რა ვქნა ახლა მე? მე ვგულშემატკივრობ კორძაიას, რადგან ვიცი, რომ მისგან შესანიშნავი დეპუტატი დადგება და ცუდი არაფერი მომხდარა, რომ მან გაიმარჯვა.

✓ **პოლიტიკის რუბრიკა მოამზადა მანანა გეგიამ**

Cyan Magenta Yellow Black

ლადო ბედუკაძე: „ციხეში მუშაობისას საკუთარ თავს ვაგინებდი“

ციხეში პატიმრების წამების კადრების გადამღები და გამავრცელებელი, ლადო ბედუკაძე, „ოცნების“ ხელისუფლებისთვის ისევ დიდ თავსატეხად რჩება. საზოგადოების დიდი ნაწილი მას გმირად ნათლავს, თითქმის იმდენივე — ჯალათად. „მთავარი სადისტი“ — ასე უწოდებს ბედუკაძეს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. მთავარ პროკურორ არჩილ კბილაშვილისთვის კი ის არის ადამიანი, რომელმაც დანაშაულებრივი სისტემა უშიშრად ამხილა და ამიტომ ამ სისტემაში მუშაობა ეპატიება. ბედუკაძისთვის ბრალეულობის მოხსნის გამო ოპოზიცია კბილაშვილის გადადგომას ითხოვს. პრემიერმინისტრ ბიძინა ივანიშვილს კი არც მწვადის დაწვა სურს და არც შამფურის — თუ დამნაშავეა, დააპატიმრონ, თუ არ არის დამნაშავე, არაო.

ამ სიტუაციის წინაისტორია რომ გავიხსენოთ, ლადო ბედუკაძემ ციხეში წამების ამსახველი კადრები, სადაც მისივე ხმა, საკმაოდ უცენზურო სიტყვებიც ისმის, ციხიდან მოიპარა და ყოფილ პატიმარს, ბიზნესმენ გიორგი ლომიას გადასცა, ლომიამ — ჟურნალისტ ირმა ინაშვილს. ამის შემდეგ მეგობრებმა ბედუკაძე ბელგიაში გადამალეს და მის მეგობრებსა და ციხის თანამშრომლებს, დავით აკობიასა და ბორის ფარულავას, ე.წ. კარანტინის კადრების გადაღება შეუკვეთეს. ამისთვის ლომიამ სპეციალურად შეიძინა პატარა კამერა, ე.წ. ღილი, რომლითაც აკობიამ აღნიშნული კადრები გადაიღო. ლომია და აკობია დღეს თითქმის არავის ახსოვს. თავის დროზე კი ბედუკაძესა და ლომიას შორისაც გაირბინა შავმა კატამ. ბედუკაძე ლომიას კადრების გაყიდვაში ადანაშაულებდა.

ლადო ბედუკაძე 1976 წელს დაიბადა თბილისში. ჰყავს ცოლი და ორი შვილი — 14 წლის ბიჭი და 6 წლის გოგონა. მამამისი — მძღოლი, დედა კი დიასახლისია. როგორც გვითხრა, ბავშვობიდან ვერ იტანდა უსამართლობას და დაჩაგრული ადამიანების დახმარების სურვილი ჰქონდა. სკოლის დამთავრების შემდეგ პოლიციის აკადემიაში ჩაირიცხა და ერთ-ერთ წარჩინებულ მოსწავლედ ითლებოდა. ერთი წელი საგზაო პოლიციის მთავარ სამმართველოში იმუშავა. მერე საკუთარი ნებით დაწერა პატაკი და წავიდა, რადგან ამბობს, იქ წარმოუდგენელი რაღაცეები ხდებოდაო. 2001 წლიდან კი სასჯელაღსრულების სისტემაში დაიწყო მუშაობა. „ეს სისტემა იუსტიციის სამინისტროსთვის ახალი გადაცემული იყო და ვფიქრობდი, რომ მის მშენებლობაში ჩემს წვლილს შევიტანდი, მაგრამ იქ საგზაო პოლიციაზე უარესი ჯოჯოხეთი დამხვდა“, — იხსენებს ბედუკაძე.

„2006 წელს უცბათ შეიცვალა ციხეში სიტუაცია და ქურდული სამყარო სააკაშვილის მაფიოზურმა კლანმა ჩაანაცვლა. ის, რაც ყველამ ნახა, ძალიან მცირე შთაბეჭდილებას ტოვებს იმასთან შედარებით, რაც რეალურად იქ ხდებოდა. წელიწადში 140-150 პატიმარი იღუპებოდა და ამბობდნენ, რომ ამდენი ადამიანი ბუნებრივი სიკვდილით, სიბერით კვდებოდა. ჩემ თვალწინაც იხოცებოდნენ ადამიანები, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ ვერაფერს იზამდი. ხმას ამოიღებდი და შენც გაგანადგურებდნენ მისნაირად“, — ამბობს ბედუკაძე. მისი თქმით, კასეტა, რომელზეც თავად იღებდა პატიმართა წამების კადრებს, მოიპარა. მერე მივიდა ციხეში, პატაკი დაწერა — ავადმყოფობის გამო გამათავისუფლეთო და წამოვიდა. გავრცელებულ ვიდეოფირებში მისი ხმაც ისმის. ამაზე ბედუკაძე ამბობს, რომ პატიმართა წამების გადაღების ბრძანება ციხის ხელმძღვანელობისგან მოდიოდა.

„ჩემი ხმა რომ ისმის, იმის გამო დაიღუპნენ ეგენი! ფიქრობდნენ, რადგან ჩემი ხმა ისმოდა, ვერ გავიტანდი, საკუთარ თავს ვერ ვამხელდი. ხმაზე არიან ჩაციკლულები, ეგეც ჯალათიაო. იპოვონ პატიმარი, რომელიც მე მიწამებია! 6 წელი კი ვუყურებდი ამ ყველაფერს, მაგრამ მაშინ მე კამერა არ მქონდა. წელიწადნახევრით ადრე დაიწყო გადაღებები და მაშინვე დავიწყე ფიქრი ამ ამბის გარეთ გამოტანაზე“, — იხსენებს „სარკესთან“ ბედუკაძე.

— ბრძოლის ხასიათზე ვარ! უნდა ვებრძოლო ისევ იმ ბოროტ ძალას, რომელიც მთელი 9 წელია ქვეყანას ანგრევს. ჩემდაუნებურად მოვხვდი ორი დიდი პოლიტიკური ძალის დაჯახების შუაში, ფაქტობრივად ყოველგვარი დაცვის გარეშე. ასეთ დროს, როგორც წესი, ადამიანი დიდხანს ვერ გასტანს ხოლმე. მე ჯერჯერობით ღმერთი მმფარველობს. წინა ხელისუფლება აბსურდულ ბრალდებებს მიყენებს, მათთვის მთავარია საზოგადოებაში იმიჯი შემილახონ და ამით არიან დაკავებული ქვეყნის პირველი პირიდან დაწყებული, მისი პარტიის ყველაზე უკანასკნელი წევრით დამთავრებული. ყველას ჩემი სახელი და გვარი აკერია პირზე. ჯერ კიდევ სექტემბერში აპირებდნენ, ჩემი გამოყენებით დაეკავებინათ ირაკლი ღარიბაშვილი, ბრალი დაემძიმებინათ გენერალ თამაზაშვილისთვის. ამ ყველაფერში უნდოდათ ჩაერთოთ ბიზნესმენი ელიზბარაშვილი.

„კარანტინის კადრების“ გადამღები აწამეს და მისგან მიიღეს აღიარებითი ჩვენება, რომ ამ კადრების გადაღება მე დავუკვეთე. ბორის ფარულავას, რომელიც ასევე დაგვეხმარა კასეტის გარეთ გამოტანაში, ფეხებზე ფრჩხილები

„შემეძლო, ჩემი ხი ახა, სხვისი ხასეტა გამომეტანა. 5 ხასეტა იდო ეთთად და თითოეულს სახელი და გვახი ენერა. სხვისი ხომ მომეპახა, ჩემი ხმა ახ იქნებოდა და ვეხავინ დამადანაშაულებდა, მაგხამ ეს ახ გავაკეთე“.

დააძრეს. მისგან ითხოვდნენ, რომ ჩემი და ღარიბაშვილის კონტაქტი დაედასტურებინა. ფარულავამ ეს არაფრით აღიარა. ახალმა პროკურატურამ გამოძიება ამ ფაქტებზე დაყრდნობით გააგრძელა. ახლა პირველადი, სექტემბერში მოპოვებული მტკიცებულებებით მედავებიან, რომ თურმე პატიმრებს ვაწამებდი. ეს ძველი მტკიცებულებები მიიღო სასამართლომ! სულ შვიდი ეპიზოდია ამ საქმეში და შვიდივე ეპიზოდში მედება ბრალი. იცით, რაში მდებენ ბრალს? ზოგ ეპიზოდში არც ვჩანვარ, არც ჩემი ხმა ისმის და კადრს რომ ვიღებ, ეს ყოფილა ჩემი დანაშაული.

— კი, მაგრამ ამ ამბის თანამონაწილე არ გამხდისართ?

— არა! არ უარვყოფ, რომ ჩემი გადაღებულია. მარტო მე კი არ ვიღებდი! 18-ვე დაწესებულებაში სამ-სამი თანამშრომელი იღებდა. ვადასტურებ, რომ ჩემი ხმაა კადრებში, მაგრამ წამებაში მონაწილეობა არ მიმიღია!

— მაგრამ ის ფრაზები, რაც კადრებში ისმის, წამების ერთ-ერთი მეთოდია — ფსიქოლოგიური გავლენა ადამიანებზე.

— იქ, სადაც ადამიანებს ასე ექცევიან, შენ ტირილს ვერ დაიწყებ, რადგან აღარ გადაგაღებინებენ. ვინ დაგიჯერებს?! იდგე, ტიროდე, ნანობდე და იღებდე, წარმოგიდგენიათ?! მე რაც გადავიღე, ყველაფერი მოვიპარე და გამოვიტანე. ოპერატიულ მორიგეს უნდა გადაეღო. მენდობოდნენ, ჩემში ეჭვი არ ეპარებოდათ, მაგრამ შეცდნენ. მეკითხებიან, განცხადება რატომ არ დაწერე და რატომ არ წამოხვედიო. ვინც დაწერა და წამოვიდა, რა გააკეთა?! რომ გამოვქცეულიყავი, სააკაშვილი ხომ ისევ ერის მამა იქნებოდა?! მე რომ ეს ფირები არ გამომეტანა, ვინმე მიხვდებოდა და გაიგებდა ჩემი ბრალეულობის შესახებ?! ვიქნებოდი ქვეყნის რიგითი მოქალაქე და შეიძლებოდა ახლა ისევ გლდანის ციხეში მემუშავა.

როგორც კი კასეტების მოპარვის საშუალება მომეცა, ეს მაშინვე გავაკეთე. შემეძლო, ჩემი კი არა, სხვისი კასეტა გამომეტანა. 5 კასეტა იდო ერთად და თითოეულს სახელი და გვარი ეწერა. სხვისი რომ მომეპარა და გამეხმაურებინა, ჩემი ხმა არ იქნებოდა და ვერავინ დამადანაშაულებდა, მაგრამ ეს არ გავაკეთე. უნდათ, ჯალათად წარმომაჩინონ.

— თავად ამბობთ, წარმოუდგენელია ამ სისტემაში ასე იმუშაო, რაც იქ ხდება, მასში მონაწილეობა არ მიიღია. მე რომ მიმითითებს რეადექციას, ტყეელი ჭეერი, ამას ჯერჯერობით გავაკეთებ, ეს არანაირ ანაზღაურებად არ მიღირს. თქვენ ადასტურებთ, რომ წლები უყურებდით ადამიანების წამებას და ჩუმად იყავით.

— თქვენს ადგილას სხვა ხომ უკეთესად დაწერს ტყუილს?! ერთმა პროკურორმა მითხრა, მე დავწერე პატაკი და წამოვედი, რადგან ასე მუშაობა არ შემეძლოო. ჯკითხე, თქვენს ადგილას ხომ მივიდა სხვა პროკურორი და იმაზე ბევრად უარესი გააკეთა-მეთქი და, კიო, მიპასუხა. ამით გამოასწორა რამე?! ამხილა ვინმე?! დაუნახაობის მეჯლისია ქვეყანაში. ხალხს თვალებზე ლიბრი აქვს გადაკრული. ჯალათიაო, ამბობენ და ჩემს დაპატიმრებას მოითხოვენ. მე თუ ამ კოაბიტაციას ხელს ვუშლი, პრობლემა არ არის, მართლა ჩავჯდები. სამი პატიმარი ყვება

→22

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

ჩემზე და სამივე საპყრობილეშია დაკითხული ადვოკატის გარეშე. სამივე ამბობს, რომ მხოლოდ ბედუკაძე აწამებდა, სხვა არავინ დაგვინახავსო. წარმოუდგენელი სისულელეები უწერიათ.

— კასეტების მიბარვაზე რა რეაქცია ჰქონდა ცისას ხელმძღვანელობას?

— რომ გაიგეს, კასეტა დაიკარგა, მაშინ ატყდა ერთი ამბავი. გამოტანით კი გამოვიტანე, მაგრამ უკან ვეღარ შევიტანე. სხვებთან ერთად მეც ვთქვი, დაიკარგა და არ ვიცი, სად არის-მეთქი. მაშინვე ჩამოგვართვეს ვიდეოკამერები. 2012 წელს გადაღება აღარ ყოფილა. ყველაფერი 2011-ში იყო გადაღებული. მასობრივი სცენების კადრები ჩემს კასეტაში არ იყო. ამიტომ ვუთხარი ფარულავას, რომ ეს კადრები გვჭირდებოდა. ფარულავამაც და აკობიამაც თავი გადადეს, რომ ეს ყველაფერი გამომეღავნებულიყო და დღეს მწამებლების სახელი აქვთ. ვერც ერთი თანამშრომელი იტყვის, რომ ხელი არ აქვს დადებული პატიმარზე. ცემა და წამება კი სხვადასხვაა. ისეთი ჩაკეტილი და ბინძური სისტემა იყო, იქიდან თავისი ნებით არავინ მიდიოდა, რადგან არსად იღებდნენ. მგლის საბუთივით იყო. ან უნდა დაჯახებოდი და შეგეწირა თავი, ან ისე უნდა გეცხოვრა.

სააკაშვილი ამბობს, რომ თურმე მე მიმიცია ბიძგი ივანიშვილისთვის, რომ პოლიტიკაში წასულიყო. ეს ადამიანი სამკურნალო არ არის?! 2011 წელს დავიწყე ინფორმაციების გადაცემა „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტ ზაზა დავითაიასთვის. იცით, რამხელა რისკი იყო ჟურნალისტისთვის იმის თქმა, ამა და ამ ოთახში ესა და ეს ასე აწამეს-მეთქი? ამ ჩაკეტილი სისტემიდან ინფორმაცია არ გადიოდა და თათბირებზე ერთი ამბავი ატყდა, ამბები ვის გააქვსო. იდგნენ და იგინებოდნენ, იმის დედა, ვისაც ინფორმაცია გააქვსო. მეც იმავეს ვაკეთებდი, ფაქტობრივად ჩემს თავს ვაგინებდი. რამხელა რისკთან იყო დაკავშირებული, ამას მხოლოდ ის მიხვდება, ვისაც ამ სისტემასთან შეხება ჰქონია. სასჯელაღსრულების ყოფილი მინისტრი ხათუნა კალმახელიძე ამბობს, ეს ამბავი არ ვიცოდი, ეს ფირები ჩემთან რომ მოეტანათ, ერთ ამბავს ავტეხდიო. თუ არ იცოდა, ესეც დანაშაულია!

— ამბობენ, კალმახელიძე წამებას ესწრებოდა ხილვაო. ეს მართალია?

— ასეთ დროს ხათუნა იქ არ მინახავს. ჭორმართალი ირევა ერთმანეთში, ათას სისულელეს ამბობენ. გამოძიებას უნდობლობას ვუცხადებ. რადგან გენერალურმა პროკურორმა კბილაშვილმა გამამართლა, ხომ არ გგონიათ, ხუთიანზეა ჩემი საქმე? სისტემური დანაშაული არ გამოძიებულა. უფრო მეტ ადამიანზე გასვლა შეიძლება. მორალური უფლება არ ჰქონდა ყოფილ მოსამართლეს და დღეს პროკურორ ნადოის ჩემთვის ბრალი დაედო. ეს კაცი ციხეში ზანგებივით ასამართლებდა ადამიანებს. სააკაშვილმა გაათავისუფლა და დღეს პროკურორად მოგვევლინა! ამ ადამიანს კბილაშვილთან მიჰქონდა ჩემზე ამბები, ამაყია და დანაშაულს არ ინანიებსო. რა უნდა მომენანიებინა?! შიმშილობა გამოვაცხადე სასამართლოს უნდობლობის გამო. ნაციონალური მოძრაობა მოითხოვს ჩემს დაპატიმრებას.

— არამარტო ნაციონალური მოძრაობა, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლთა დიდი ნაწილიც ასე ფიქრობს.

— ივანიშვილმა თქვა, თუ დადასტურებულია მისი მონაწილეობა წამებაში, ციხეში უნდა იჯდესო. ვინ დამიდასტურა წამებაში მონაწილეობა?!

— პირდაპირ ეთერში პატიმარ რატი რეხვიაშვილის დედა დგებოდა პირზე, რომ მისი შვილი აწამეთ. ნაციონალებიც ამბობენ, რომ წამებაში თქვენს მონაწილეობას ათასობით პატიმარი ადასტურებს.

— ათასობით ადამიანი აწამა ბედუკაძემ?! თუ ამას ვინმე დაადასტურებს, ჩემი ფეხით წავალ ციხეში! ჩემზე ლაშა ბერულავამ ისიც დაწერა, ბავშვი გააუპატიურაო. მერე თქვა, მე არ დამიწერია, „ინტერმედიიდან“ გადავხეჭდეო. იქ ეწერა, თურმე ეს ამბავი ჩემმა სიმამრმა რომ გაიგო, მაგრად მცემა. რაც შეეხება რატი რეხვიაშვილს, ამ ადამიანმა მოკლა ერთი პოლიციელი და მეორე სასიკვდილოდ დაჭრა. ეს ამბავი თბილისის ცენტრში, ოქროს ბირჟაზე მოხდა. ზუსტად არ ვიცი, მეორეც გარდაიცვალა თუ არა.

„რუსთავი 2“-ში ერთი პატიმარიც ამბობდა ჩემზე, გამაუპატიურაო. მერე კი გაქრა, აღარ ჩანს და იმავეს აღარ ამბობს. ამ რატის დედასაც დაავალეს, ჩემზე ის ეთქვა, რაც ეთერში ილაპარაკა, მით უმეტეს, რომ ის ნაციონალების კოორდინატორი გახლდათ. მივიდეს და იმ ადამიანებს ჩახედოს თვალებში, ვისაც მისმა ბიჭმა შვილი თუ მამა მოუკლა და მერე ილაპარაკოს! როგორც ვიცი, ერთ მოკლულს ორი პატარა ბავშვი დარჩა.

— ცემასა და წამებას შორის განსხვავებად რა ითვლება?

— ზუსტი დეფინიცია არ მახსოვს. წამება, მგონი, გულისხმობს ტკივილის მიყენებას 3-დან 5 წუთამდე და ზემოთ. საპყრობილეში სანამ ახალ თანამშრომელს მიიღებდნენ, პირველ რიგში, ეკითხებოდნენ, პატიმარს თუ სცემო. მიჰყავდათ და გამოცდას უტარებდნენ — პატიმარს აცემინებდნენ.

— თქვენც ჩაგიტარეთ ასეთი გამოცდა?

— არა, რადგან მე მანამდე ვიყავი იქ მისული, სანამ ასეთი გამოცდები დაიწყებოდა. მე ვერ

„იმედი მაქვს, ივანიშვილი ფოიმებით დამაპატიმებენ. მეჰე ერი, ვანო მეჰაბიშვილთან ეთიად ერამეჰაში... მე ზემოთ წამოვწვები და საკანს მეჰაბიშვილი დაგვის! ვანოს ვეტყვი, ერაგად გამოგავე, ბიჭო, თოჰემ მაგ ცოცხს...“.

გამომიშვეს იქიდან ინტრიგანობის გამო. ინტრიგანის სახელი მქონდა.

— რას ინტრიგანობდით?

— ვამბობდი, თუ გამიშვებთ, ათ კაცს გაგიყოლებთ-მეთქი. ამას ისეთებთან ვლაპარაკობდი, ვიცოდი, რომ დირექტორს ამბავს მიუტანდნენ და ასეც იყო. მერე ფიქრობდნენ, ნეტა, ვინ ჰყავს ასეთი მფარველი, ამდენს რომ ბედავსო.

— ახლა რაგორ ცხოვრობთ? ალბათ მშვიდად ვერასოდეს იქნებით.

— ჩემი მისამართით ხანდახან ისეთი რამეები მესმის, ვფიქრობ, ეს ხალხი იმაზე მეტის ღირსი იყო, რასაც უკეთებდნენ. უმადურობას და სიბინძურეს ვხედავ. მე მხოლოდ ჩემი ქვეყნის სიყვარული, პატრიოტიზმი მამოძრავებდა. თუ ვინმეს ეს მაღალფარდოვანი სიტყვები ჰგონია, ჯანდაბას, ეგონოს! ყოფილი პატიმრები ხშირად მხვდებიან ქუჩაში და მათგან აგრესია არასოდეს მიგრძვნია.

— თუმცა დაცვის გარეშე ვერ ერევა.

— დაცვის გარეშე სიარული პრობლემა არაა, მაგრამ არ მინდა, სააკაშვილმა თქვას, ნახეთ, მწამებელი, ჯალათი ასეთ შარში გაეხვაო. მშვიდად როგორ იცხოვრებს ადამიანი, რომელიც ამხელა ბოროტებას დაუპირისპირდა?! ამის მიუხედავად, არ მეშინია. მთავარია, როგორ წახვალ ამქვეყნიდან, თორემ ადრე თუ გვიან, ეს მაინც მოხდება.

— გაგიკვლია ჭირი, რომ თქვენს ცოლს ამ ამბების გამო ფსიქიატრების დახმარება დასჭირდა.

— ინერვიულა ძალიან და დღესაც ნერვიულობს ჩემი გვარის ხსენებაზე, მაგრამ ჭკუიდან არ შეშლილა. ჭკუიდან შეიშალოს სააკაშვილის ბებია თავისი შვილიშვილის ქმედებების გამო! ჩემი შვილები ამ ყველაფერს მწვავედ განიცდიან. გოგო იმდენად ვერ ხვდება, ჯერ პატარაა, მაგრამ ბიჭს ყველაფერი ესმის და ნერვიულობს. პატარა მეუბნება ხოლმე სააკაშვილზე, მამა, შენ რომ აგინებ, ის კაცი გამოდის ტელევიზორშიო.

— თქვენზე ისიც გაიგე, ცოლს სცემსო.

— ჰო, ეგეც ლაშა ბერულავას სტატიაში ეწერა. თავიდან მეცინება ხოლმე, მაგრამ, რომ დავფიქრდები, მერე ვბრაზდები. ოჯახში ძალიან მშვიდი და წყნარი ვარ. ცოლი მეუბნება, საერთოდ ნერვები თუ გაქვსო. სახლში არასოდეს ვბრაზდები, მორჩილი ქმარი ვარ.

— ცხენში იმ საშინელებებს ყოველდღე უყურებდე, სახლში მისულმა კი სიმშვიდე შეინარჩუნო, ნერვები მართლა არ უნდა გქონდეს.

— მაშინ საშინელ დღეში ვიყავი, ყოველდღე დამამშვიდებელს ვსვამდი. ორი ექიმი იყო, ვინც წამალს მინიშნავდა. ისინი დაადასტურებენ, როგორ დღეშიც ვიყავი. აგვისტოს ომის მერე ჯარისკაცები, ასმეთაურები დაიჭირეს და მათთან ლაპარაკში ღამეები მითენებია. ცალკე თემაა, იმ ომის დროს რა საშინელება ჩაიდინეს... მათაც აწამებდნენ. საოცრებები ხდებოდა!

— დამამშვიდებლები ახლაც გჭირდებათ?

— არა, აღარ მჭირდება. ახლა ღამეც მშვიდად მძინავს და არც კოშმარები მესიზმრება.

— საჭმე ისე მდგის, იმხელა პრიოტესტია თქვენი პატიმრების მიმართ, რომ შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს დაგაპატიმრონ. რაგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი საპატიმროში?

— იმედი მაქვს, ცივილური ფორმებით დამაპატიმრებენ. მერე კი, ვანო მერაბიშვილთან ერთად კამერაში... მე ზემოთ წამოვწვები და საკანს მერაბიშვილი დაგვის!

— ცოცხი არ დაგაყოლონ.

— ვანოს ვეტყვი, კარგად გამოგავე, ბიჭო, თორემ მაგ ცოცხს...

— რაგორ ცხოვრობთ, ფასანსურად ვის უზრუნველგყოფთ ახლა, რაცა საჭიროა ალარ გაქვთ?

— მეგობარი, ყოფილი ბიზნესმენი, თამაზ ელიზბარაშვილი მეხმარება. იმ თანხას მიხდის ყოველ თვე, რომელიც საპყრობილეში მუშაობისას მქონდა. რიგითი თანამშრომლის ხელფასის ოდენობას ვიღებ მხოლოდ. ამ ამღვრეულ სიტუაციაში სამსახურს ვერავის ვთხოვ და დარტყმას ვერავის მივაყენებ ჩემი იქ მუშაობით. ახლა ძირითადად სახლში ვარ და ვეომები ე.წ. სექტანტებს.

— დაცვა ვის დაგანიშნათ?

— ამ თემაზე ხუმრობით გეტყვით — პუტინმა გამომიყო სააკაშვილის დასამხობად!

— ცდილობთ ხუმრობით აირიდოთ პასუხი?

— მაინც ეს არის სიმართლე, პუტინმა გამომიყო. ეს ჩემი პირადი დაცვაა რუსეთის სპეცსამსახურისგან დაკომპლექტებული.

— თავის დროზე, რიცა კაცები გაგიკვლდა, თქვენ დაპირისპირება მოგიგიდათ იმ ადამიანებთან, ვისაც კასეტა მიაწოდეთ — ვალიგი ლიმბასთან და ირმა ინანაშვილთან. ახლა კი თქვენ შორის ურთიერთობა კვლავ დათბა. რა მოხდა, რამ გამოიწვია თქვენი დაპირისპირება? აქამდე ერთმანეთს მერაბიშვილის ჯაშუშებს უწოდებდით.

— ორივე მხარე დავრწმუნდით, რომ ჩვენ კი არ ვართ მერაბიშვილის ჯაშუშები, ისაა ჩვენი ჯაშუში და ჩვენი ურთიერთობის დათბობაც ამან გამოიწვია. როგორც გინდათ, ისე გაიგეთ ჩემი ნათქვამი.

— ადამიანის უფლებათა დაცვა გვდაწყდეთ, არასამთავრობო ორგანიზაციის დარსება გინდათ, რამაც ასეც დიდი ირონია გამოიწვია.

— ეგ ირონია შეინახონ სააკაშვილისთვის! უამრავი ე.წ. ექსპერტი ჰყავთ, რომლებიც აზრზე არ არიან და ყველაფერზე აზრს მაინც მათ ეკითხებიან. მე ვაპირებ, დავაარსო არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც სხვა არასამთავრობოებს არ დაემსგავსება და არამხოლოდ ლაპარაკით დაკავდება. ეს იქნება საზოგადოებრივი მოძრაობა, რომელიც ძალოვან უწყებებში მონიტორინგს ჩაატარებს და იქ მომუშავეთა უფლებებს დაიცავს.

— დამფინანსებლები უკვე გყავთ?

— იმედია, გამოჩნდებიან. არ ვიქნებით ისეთ ფონდებზე დამოკიდებული, რომელთა გამოც გარკვეულ ვალდებულებებს ავიღებთ. პატრიოტი ბიზნესმენები არსებობენ, იარსებებენ და მათი იმედი მაქვს.

✓ **რუსუდან ადვაძე**

Cyan Magenta Yellow Black

როგორ აღმოჩნდა ფარმაცევტი გიგა ტაბიძე იუმორისტულ შოუში

„ქალს ჩემი თუნდაც სისულელე უნდა ესმოდეს"

„კომედი შოუში", სხვები ნუ გვიწყენენ, მაგრამ გარეგნობით ყველასგან გამორჩეული ყმაწვილკაცი გამოჩნდა. 23 წლის გიგა ტაბიძის სპორტული აღნაგობა, შეუძლებელია, შეუმჩნეველი დაგრჩეს. ეს იმის დამსახურებაა, რომ გიგა საქართველოს ორგზის ჩემპიონია მკლავჭიდში. არადა პროფესიით ფარმაცევტია! წარმოიდგენდით მას აბებისა და მიქსტურების გარემოცვაში? ალბათ ვერა. ეს თავადაც ვერ წარმოუდგენია. სამედიცინოზე ჩაბარებით და ფარმაცევტის დიპლომით ბებიის და დედის გული გაახარა, „კომედი შოუში" მუშაობის დაწყებით კი — მამის, გია ტაბიძის, რომელიც ქუთაისში იუმორით არის განთქმული და ცნობილი ძველი „კავეენშიკია".

თავის არჩევანზე, ოჯახსა და სხვა ამბებზე გიგამ „სარკეში" ისაუბრა.

— გიგა, გვიამბეთ, როგორ აღმოჩნდით „კომედი შოუში".

— „კავეენ"-ში ვთამაშობდი. ალბათ ამ საკითხში კომპეტენტურმა ადამიანებმა შემამჩნიეს და „რუსთავი 2"-ში სცენარისტად ამიყვანეს. მაშინ სერიალი „ალუბლების ქუჩა №12" გადიოდა, რომლის ერთ-ერთი სცენარისტი ვიყავი. შემდეგ სერიალი დაიხურა, რამდენიმე ხანი შესვენება მომიწია, იმ გუნდთან ერთად აღარ ვიყავი, მაგრამ დამირეკეს, არ დამკარგეს. ახლა სცენარისტობასთან ერთად მსახიობიც ვარ და ამ გუნდთან ერთად კიდევ რამდენიმე გადაცემაზე ვმუშაობ.

— ტელევიზიაში პირველი ნაბიჯების გადადგმა არ გაგიჭირდათ?

— რა თქმა, უნდა, ასეთი იუმორისტული ტიპის შოუ საკმაოდ განსხვავებული აღმოჩნდა „კავეენ"-ისგან. აქ უფრო მსახიობური მონაცემები გჭირდება. იქ ისეთი ხუმრობებია, რომლებიც აქ არ გამოდგება და პირიქით, მაგრამ, მგონი, ადაპტაცია ადვილად გავიარე. თავიდან კომპლექსი მქონდა, რომ ადამიანები, რომლებსაც წლების განმავლობაში ეკრანზე ვხედავდი, უცებ ჩემ გვერდით აღმოჩნდნენ და მათთან ერთად უნდა მეთამაშა, მაგრამ ესეც დავძლიე. ახლა ყველასთან ვმეგობრობ, აქ ძალიან მეგობრული გუნდია.

— როლებს ადვილად ერგებით?

— არა. რაღაც პერიოდი მჭირდება, რომ როლს შევეგუო, მაგრამ, რადგან გადაცემა ყოველკვირეულია, დრო არ არის, რომ დიდი ხნის განმავლობაში ვიზეპირო. პირველ სკეტჩში თამაში განსაკუთრებით გამიჭირდა.

— რა პროფესიის ხართ და იუმორის სფეროში როგორ აღმოჩნდით?

— საინტერესო პროფესია მაქვს. სამედიცინო უნივერსიტეტი, ფარმაცევტული ფაკულტეტი დავამთავრე. მეოთხე კურსზე მივხვდი, რომ ეს პროფესია არ გამომადგებოდა. უნივერსიტეტი რომ დავამთავრე და დიპლომი ავიღე, მამაჩემმა დამირეკა, ეგ დიპლომი „რუსთავი 2"-ში მიიტანეო. გამიკვირდა, იქ ეს დიპლომი რად მინდა-მეთქი. მიპასუხა, მეც მაგას გეუბნები, ეგ დიპლომი რად გინდაო.

— ასე რატომ გითხრათ, ზარმაცი სტუდენტი ხომ არ იყავით?

— სტუდენტობისას, მთელი ოთხი წლის განმავლობაში, ოჯახის ყველა წევრს ისე მოვუშალე ნერვები, მეუბნებოდნენ, ოღონდ დიპლომი აიღე და, თუ არ გინდა, შენი პროფესიით არ იმუშაო. თავიდანვე მეტყობოდა, რომ ეს პროფესია არ მომწონდა და ყველანაირად ვცდილობდი, სხვა სფეროში წავსულიყავი. თუმცა გამოცდებზე პრობლემა არასოდეს შემქმნია, უნივერსიტეტი წარჩინებით დავამთავრე, სტიპენდიანტი არ ვყოფილვარ, მაგრამ კარგად ვსწავლობდი. გამოცდაზე სხვასაც კი დავხმარებივარ.

— როდის აღმოაჩინეთ, რომ თქვენში იუმორისტი უფრო იყო, ვიდრე ფარმაცევტი?

— იუმორი ჩემს ცხოვრებას სულ თან სდევს. ქუთაისში დავიბადე და გავიზარდე, 17 წლამდე იქ ვცხოვრობდი. მოგეხსენებათ, ამ ქალაქში „კავეენ"-ის ტრადიციაა. მთელი ბავშვობა ამ სფეროსთან მქონდა შეხება, რადგან მამაჩემი ამ საქმით იყო დაკავებული, „პიკასოს ბიჭების" ხელმძღვანელი გახლდათ. იმ თაობასთან ერთად ვიზრდებოდი, რომელიც დღეს „კომედი შოუშია" — ნიკა არაბიძე და კიდევ რამდენიმე. „კავეენ"-ში სკოლის პერიოდშივე ვთამაშობდი.

„უნივერსიტეტი ხომ დავამთავრე და დიპლომი ავიღე, მამაჩემმა დამირეკა, ეგ დიპლომი „რუსთავი 2"-ში მიიტანეო. გამიკვირდა, იქ ეს დიპლომი რად მინდა-მეთქი. მიპასუხა, მეც მაგას გეუბნები, ეგ დიპლომი რად გინდაო".

როცა უნივერსიტეტში ჩავაბარე, იმ პერიოდში იქ „კავეენ"-ის გუნდი ყალიბდებოდა, საბედნიეროდ, იმ ადამიანებთან მოვხვდი. საზღვარგარეთაც ვიყავით, საქართველოს ჩემპიონები გავხდით „კოზა ნოსტრას" სახელით.

— ესე იგი მამის კვალს გაჰყოლიხართ.

— რა თქმა უნდა. მამაჩემის ცხოვრების სტილი ხუმრობაა. ის ძალიან მიყვარს და რაც მამას უყვარს და გამოსდის, მის მიმართ დადებითად ვარ განწყობილი. ერთი სეზონი, როცა მე „კოზა ნოსტრაში" ვთამაშობდი, მამა გვეხმარებოდა, ჩვენთან მუშაობდა. ბაბუაც ძალიან კარგად ხუმრობს. დღემდე თავისი გამონათქვამებით, ფრაზებით, იმერული სხარტულებით გვახალისებს.

— როგორ აფასებს მამა თქვენს შესაძლებლობებს, მოსწონხართ ეკრანზე?

— არასდროს გამოხატავს ემოციას, მაგრამ მის ჩვეულებრივ მიმიკაზეც ვხვდები, რა მოეწონა და რა — არა. რაღაც მომენტში უამაყია კიდეც ჩემით.

— როცა სამედიცინოზე აბარებდით, მამამ არ გააპროტესტა, მან ხომ კარგად იცოდა, რისკენ გქონდათ მიდრეკილება?

— ეს ბებიაჩემის დიდი სურვილი იყო, დედაჩემიც ფარმაცევტია, მერე დედაც ბებიას აჰყვა. მამაჩემმა ორივეს წინააღმდეგობა ვეღარ გაუწია, მეც მეტი ვერსია არ მქონდა და ასე ჩავაბარე სამედიცინოზე.

— თქვენი პროფესიით მუშაობას →24



Cyan Magenta Yellow Black

„ვფიქრობ, ალბათ პერიოდის შემდეგ მეცოდინება, როგორი გოგონები მომწონს. არ ვიცი, როგორი მანდილოსანი მინდა, რომ ჩემ გვერდით იყოს. ზოგადად, არეული ადამიანი ვარ, შეიძლება ეს იმის ბრალია, რომ აქამდე გოგონებს კარგად არ ვაკვირდებოდი".

გამორიცხავთ, მას არასოდეს დაუბრუნდებით?

— არ ვიცი, შეიძლება მომიწიოს კიდეც, არ გამოვრიცხავ, მაგრამ ამ ეტაპზე ჩემი თავი ფარმაცევტის ამპლუაში ვერანაირად წარმომიდგენია. როცა ვაბარებდი, იმედი მქონდა, რომ ეს პროფესია გამომადგებოდა. ახლა მაგისტრატურაზე მინდა სწავლის გაგრძელება. სხვათა შორის, ჟურნალისტიკაზე ჩავაბარე კიდეც, მაგრამ სწავლა ვეღარ განვაგრძე, ფინანსურმა და სხვა პრობლემებმა სწავლის გაგრძელების საშუალება არ მომცა, თუმცა მომავალში ამას აუცილებლად მივხედავ.

— სპორტმა როდის გაგიტაცათ?

— სპორტის ყველა სახეობაში ვცადე ბედი. მკლავჭიდზე ჩემი მეგობრები დადიოდნენ. ერთ დღეს მათ გავყევი და მას შემდეგ 5 წელი ვვარჯიშობდი. ახალგაზრდებში, როგორც გითხარით, საქართველოს ორგზის ჩემპიონიც გავხდი.

— რატომ დაანებეთ თავი?

— სტუდენტი ვიყავი და ისეთი ინტენსიობით ვეღარ ვახერხებდი ვარჯიშს. ნელა-ნელა ჩამოვშორდი, თუმცა სულ ვცდილობ, ფორმაში ვიყო, ვვარჯიშობ. შეიძლება რომელიმე შეჯიბრზე დავბრუნდე კიდეც, ამას არ გამოვრიცხავ.

— როცა ფარმაცევტის დიპლომით „კომედი შოუში" აღმოჩნდით, ბებიამ და დედამ რა გითხრეს?

— ძალიან გაუხარდათ. ტელევიზორში ჩემს გამოჩენას „კავეენ"-იდან იყვნენ შეჩვეული. მამას კი ყველაზე ძალიან გაუხარდა, რადგან იმ ადამიანების ხელში მოვხვდი, ვისთან ერთადაც წლების განმავლობაში მუშაობდა, ასე ვთქვათ, მეგობრებს მიმაბარა. ბებიას რაც შეეხება, მას ფარმაცევტის დიპლომი ჩავუტანე. შესაბამისად, ისიც გახარებულია. ბაბუას უნდა, რომ სწავლა კიდევ გავაგრძელო, ძველი ყაიდის ადამიანია და სურს, კარიერას მივხედო. ალბათ ტელევიზიის განხრით განვაგრძობ სწავლას, რადგან ეს სფერო ძალიან მაინტერესებს.

— მამა ახლაც გეხმარებათ, რჩევებს გაძლევთ?

— კი და საყვედურებსაც არ მაკლებს. ცოტა ზარმაცობა მიყვარს, არ ვიცი, საიდან, მაგრამ ჩემზე რაღაც ინფორმაციები მისდის ხოლმე და მსაყვედურობს. თუ ხუმრობა არ მოეწონა, მეუბნება, მარიგებს, უკეთესი როგორ შეიძლებოდა ყოფილიყო. მოკლედ, ჩემი აქამდე განვლილი გზა მამაჩემის განვლილ გზას ძალიან ჰგავს. მამაც სპორტსმენი იყო, შემდეგ ხელოვანი გახდა, პროფესიის მხრივ ისიც ვერ აეწყო. ჩვენ შორის ერთადერთი განსხვავება ის არის, რომ 23 წლის ასაკში მამას უკვე მე ვყავდი. მას ახლა საბავშვო სტუდია აქვს. მყავს 17 ნლის ძმა, რომელიც წელს ჟურნალისტიკაზე აბარებს, როგორც ჩანს, ჩემი გამოცდილება მისთვის მაგალითი იყო და იმაზე აბარებს, რაც სურს. მგონი, სტუდენტი გახდება, რადგან ყველა გამოცდიდან კმაყოფილი გამოვიდა.

— ასეთ სიმპათიურ ბიჭს შეყვარებული ნამდვილად გეყოლებათ.

— არა, ჩემს პირადში ამ ეტაპზე სრული თავისუფლებაა. რაღაცეები ვერ აეწყო. ურთიერთობაში დამთმობიც ვარ, მაგრამ რაღაც-რაღაცეები ჩემებურად მესმის, რთული ვარ. ზოდიაქოს ნიშნით თევზი გახლავართ და, როგორც ყველა თევზი, მეც რთული ვარ.

— როგორი გოგონები მოგწონთ?

— სტერეოტიპები ჯერ კიდევ არ მაქვს სრულად ჩამოყალიბებული. ვფიქრობ, რაღაც პერიოდის შემდეგ მეცოდინება, როგორი გოგონები მომწონს. არ ვიცი, როგორი მანდილოსანი მინდა, რომ ჩემ გვერდით იყოს. ზოგადად, არეული ადამიანი ვარ, შეიძლება ეს იმის ბრალია, რომ აქამდე გოგონებს კარგად არ ვაკვირდებოდი. კარგი გოგონები მომწონს. შეიძლება იყოს მაღალიც და დაბალიც, მაგრამ ინტელექტით უნდა გამოირჩეოდეს. პირველად მაინც ვიზუალი მხვდება თვალში, შემდეგ ყურადღებას ხასიათს ვაქცევ. არ მიყვარს, როცა იმას თამაშობენ, რაც არ არიან.

— თქვენთან უთამაშიათ ქალებს?

— როგორ არა! ამას მალევე ვხვდები, მაგრამ თვითონ ფაქტი ცუდია.

— შეყვარებული ბევრჯერ ყოფილხართ?

— კი. ახლა რომ ვუფიქრდები, სერიოზულად ალბათ ერთადერთხელ მიყვარდა. ეს უნივერსიტეტის პერიოდში იყო. მაქსიმალურად თავისუ-

„მამაჩემის ცხოვრების სტილი ხუმრობაა. ბაბუაც ძალიან ჯაჭგად ხუმრობს. ღღემდე თავისი გამონათქვამებით, ფიცხებით, იმეხელი სხარტელებით გვახალისებს".

ფალი ადამიანები მომწონს, იუმორის გრძნობა უნდა ჰქონდეს და კონტაქტში, ურთიერთობაში ადვილად შემოდიოდეს. ჩემი თუნდაც სისულელე ესმოდეს.

— გეტყობათ, მამათქვენისგან განსხვავებით, ამ ასაკში დაოჯახებაზე არ ფიქრობთ.

— არა, ბევრი რაღაც მინდა, მოვასწრო. შეიძლება არც მწვევია ისეთი გრძნობა, რომ ამ ნაბიჯის გადადგმაზე მეფიქრა.

— ქალებისგან ყურადღებას გრძნობთ?

— ყურადღებას ვგრძნობ, ამას უნივერსიტეტშიც ვამჩნევდი. როცა ვხედავ, ვინმეს მოვწონვარ, ვცდილობ, არ ვაგრძნობინო, რომ ამას ვხვდები. თუ თბილად მესაუბრება, ანალოგიურად ველაპარაკები. ხასიათის რადიკალური ცვლილებები მახასიათებს, კარგი განწყობა შეიძლება უცებ ცუდით შემეცვალოს, თან ძალიან ფეთქებადი ვარ. ასეთ დროს განმარტოება მშველის.

✓ ეკა ლემონჯავა

ქრისტინე იმედაძე უკრაინაში გადაბარგდა

ომოლერალი ქრისტინე იმედაძე რამდენიმე თვეა კიევშია. ამბობს, რომ მისი პროფესიის ადამიანისთვის იქ მეტი მასშტაბებია. ახალ სიმღერებს წერს, კლიპის გადაღებას აპირებს და იმედი აქვს, რომ წარმატებასაც მიაღწევს. ცოტა ხნის წინ თბილისში ჩამოვიდა, შვილი ბებიას ჩამოუყვანა საქართველოში ზაფხულის გასატარებლად, თვითონ კი უკან გაბრუნებას აპირებს. მანამდე „სარკეს" თავის გეგმებზე ესაუბრა.

— ჩემმა მეგობარმა დიმკა თეიმურაზოვმა სიმღერები დამიწერა და მათზე ვმუშაობ. უახლოეს მომავალში კლიპის გადაღებასაც ვაპირებ. ერთი სიტყვით, დროებით კიევში ვაგრძელებ საქმიანობას. იქაურობას ადვილად შევეგუე იმიტომ, რომ იქ ჩემი ბევრი მეგობარი ცხოვრობს. უკრაინაში ჩემი პროფესიის ადამიანებისთვის მეტი მასშტაბები და შესაძლებლობებია. იქ ბევრი დრო მრჩება საკუთარი თავისთვის. ვვარჯიშობ და ვცდილობ, ყველა საინტერესო კულტურულ ღონისძიებას დავესწრო.

ჩემი შვილი, ტაისია, ძირითადად ჩემთან ერთადაა. დიდხანს ვერ ვძლებთ უერთმანეთოდ. ახლა ზაფხულში დასასვენებლად წავა ბებიასთან ერთად, ამიტომ ჩამოვიყვანე კიევიდან. ტაისია ყოველ ზაფხულს რაჭაში ისვენებს. მერე ისევ ჩემთან დაბრუნდება, — გვითხრა მომღერალმა.

✓ მანანა ნოდია

Cyan Magenta Yellow Black

„ნინიმ თავისი უბრალოებით მომხიბლა“

■ ნინი და გიორგი

გიორგი ვახტანგაძე ნინი ცნობილაძეს საცეკვაო გამოცდილებას უზიარებს

ახალგაზრდა, მაგრამ უკვე პოპულარულ მსახიობ გიორგი ვარდოსანიძისა და დამწყები მომღერლის, ნინი ცნობილაძის ნაცნობობა ერთ თბილ და კეთილ საღამოზე დაიწყო. იმ დღეს ორივე სცენაზე იდგა და მსახიობ გიორგი ყორღანაშვილის დასახმარებელ საქველმოქმედო კონცერტში მონაწილეობდა. პირველივე ნახვისას დადებითად განეწყვნენ ერთმანეთის მიმართ და ეს გრძნობა დღემდე არ განელებიათ. დარწმუნებულები არიან, რომ მათი ურთიერთობა მთელი ცხოვრება გასტანს. ბევრი საერთო თვისება აქვთ, მათ შორის საქმის უზომო სიყვარული. როცა გიორგი პროექტში „ცეკვავენ ვარსკვლავები“ მონაწილეობდა, თურმე ნინის ფავორიტი სწორედ ის იყო, გიორგი კი მას კონკურს „ახალ ხმაში“ გულშემატკივრობდა. მაშინ ვერც წარმოიდგენდნენ, რომ ერთმანეთს ასე დაუახლოვდებოდნენ და ამისთვის სულ რაღაც სამი თვეც საკმარისი აღმოჩნდებოდა.

ახლა ნინის ჯერია კონკურსში „ცეკვავენ ვარსკვლავები“ მონაწილეობის მისაღებად და უკვე გამოცდილი გიორგი მას სასარგებლო რჩევებს აძლევს.

ნინი: გიორგი ჩემი ბავშვობის მეგობარს ძალიან ჰგავს და მასთან დამეგობრება ამიტომ უფრო გამიადვილდა.

გიორგი: ნინი კი არავის ჰგავს. საყვარელი ბავშვია. ძალიან ვაფასებ მის შემოქმედებას. პირველად რომ იმღერა კონკურს „ახალ ხმაში“, ვთქვი, ძალიან მაგარია-მეთქი. განსხვავებული ხმა აქვს. მინდოდა, ფინალში ყოფილიყო. გული დამწყდა, რომ ვერ გაიმარჯვა, მაგრამ მჯერა, მისი ნიჭი არ დაიკარგება.

ნინი იუმორის გრძნობით სავსეა. კეთილია და კარგი საქმეების კეთება არ ეზარება. გიორგი ყორღანაშვილს კარგად არ იცნობდა, მაგრამ უცხო ადამიანის პრობლემა გულთან ახლოს მიიტანა. ეს ძალიან დასაფასებელი თვისებაა.

— თქვენი გაცნობა და პირველი დაკონტაქტება როგორ გახსოვთ?

გიორგი: ნინი რომ გავიცანი, მაშინვე აღვნიშნე, რომ ძალიან კარგი და უბრალო ადამიანია. უბრალოება კი ჩემთვის ადამიანის ყველაზე დიდი ნიჭია. ამიტომ ადვილად

> **ნინი: „კონკურსის ფორმატი საერთოდ არ მომწონს, მაგრამ დღეს გვინევს ასეთ პროექტებში მონაწილეობა, რადგან ქართულ შოუბიზნესში მეტი არაფერი ხდება“.**

დავმეგობრდით. იქიდან მე წამოვიყვანე ნინი თბილისში. გზაში პატრულმა გაგვაჩერა და ამაზეც ბევრი ვიცინეთ.

ნინი: მთელი გზა გიორგის ანეკდოტებზე ვიცინოდით. დღეს მე და გიორგის ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს. გიორგის იუმორის გრძნობა ძალიან მომწონს. ნიჭიერი მსახიობია.

— ნინა, გიორგის სპექტაკლებს ესწრებით?

ნინი: სამწუხაროდ, გიორგის სპექტაკლები ჯერ არ მინახავს.

გიორგი: თეატრალური სეზონი დაიწყება და ამას გამოვასწორებთ.

— ერთია, პირველი შთაბეჭდილება და მეორე, შემდგომი ურთიერთობა, რასაც ზოგჯერ იმედგაცრუებებიც ახლავს...

გიორგი: ნინი როგორი საყვარელიც მეგონა, ისეთი აღმოჩნდა. ჩვენ ახლა ვიწყებთ მეგობრობას. დარწმუნებული ვარ, წლების მერეც ძალიან კარგი ურთიერთობა გვექნება.

ნინი: ამ დროის მანძილზე ახალი არაფერი აღმომიჩენია გიორგიში.

— ამჟამად რა ხდება თქვენს შემოქმედებაში, რაიმე სიახლეები გაქვთ?

ნინი: ამ მხრივ, ჩემკენ ბევრი სიახლეა, სიმღერებზე ვმუშაობ. ვაპირებ, იურმალაში წავიდე სალომე ქათამაძის საგულშემატკივროდ.

გიორგი: ჩემკენ სიახლე ის არის, რომ დაიწყო ახალი გადაცემა „გააცინე და მოიგე“, რომელსაც უკვე დიდი გამოხმაურება მოჰყვა (გიორგი ამ შოუს წამყვანია. ავტ.). თეატრში გასტროლები გვაქვს, ედინბურგის ფესტივალზე მივდივართ.

— ნინა, გიორგი „ახალ ხმაში“ გგულშემატკივრობდათ. თქვენ თუ ქომაგობდით მას პროექტში „ცეკვავენ ვარსკვლავები“?

ნინი: მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთს არ ვიცნობდით, გიორგის მართლა ვგულშემატკივრობდი. ისე დაემთხვა, რომ კონკურსებში ორივე მეორე ადგილზე გავედით.

— ნინა, თქვენ არ აპირებთ, გახდეთ „მოცეკვავე ვარსკვლავი“?

ნინი: დიდი სიამოვნებით მივიღებდი ასეთ პროექტში მონაწილეობას და შეიძლება მივიღო კიდეც.

— მაშინ გიორგის რჩევებიც დაგჭირდებათ.

ნინი: კი, ცოტა ხნის წინ რაღაც ვკითხე ცეკვებთან დაკავშირებით და სრული პასუხი მივიღე. გიორგი თვლის, რომ აუცილებლად უნდა მივიღო ამ კონკურსში მონაწილეობა, მაგრამ მაფრთხილებს, რთული და შრომატევადი იქნებაო.

გიორგი: რჩევებს მეკითხება და ვეუბნები, რომ ნერვებს გაუფრთხილდეს, რადგან ამ კონკურსს საკმაოდ დიდი სტრესი ახლავს თან, თუმცა ცხოვრებისეული პრაქტიკაა და გამარჯვებაც არ არის ცუდი, ამბობენ, კარგიაო. ვეუბნები, რომ წონაში ცოტა მოიმატოს, რადგან კონკურსში მონაწილეობისას აუცილებლად დაიკლებს. მე 20 კილო დავიკელი და ნინი ამ წონით რომ მივიდეს, იმ სამი თვის განმავლობაში მისგან ალბათ მარტო თმა დარჩება.

— ნინა, გიყვართ ცეკვა?

ნინი: ძალიან მიყვარს, მაგრამ პროფესიონალურად არასოდეს მიცეკვია. ჩემთვის მთავარი ყოველთვის სიმღერა იყო.

— ნინა, ეს მეორე კონკურსი იქნება თქვენთვის. რა ხიბლს ხედავთ ასეთ პროექტებში?

ნინი: კონკურსის ფორმატი საერთოდ არ მომწონს, მაგრამ დღეს გვიწევს ასეთ პროექტებში მონაწილეობა, რადგან ქართულ შოუბიზნესში მეტი არაფერი ხდება. რა თქმა უნდა, მირჩევნია, ჩემი საქმე ვაკეთო.

— ნინა, „ახალი ხმის“ კონკურსანტ პროექტს „საქართველოს ვარსკვლავს“ როგორ აფასებთ?

ნინი: ვუყურებდი და კონკურსანტები ძალიან მომწონდა. წინა წლებისგან განსხვავებით, ძლიერი ბავშვები იყვნენ. განსაკუთრებით ლევან მასპინძელაშვილს ვგულშემატკივრობდი.

> **გიორგი: „ნინის ვეუბნები, რომ წონაში ცოტა მოიმატოს, რადგან კონკურსში მონაწილეობისას აუცილებლად დაიკლებს. მე 20 კილო დავიკელი და ნინი ამ წონით რომ მივიდეს, მისგან ალბათ მარტო თმა დარჩება“.**

— ამ კონკურსშიც ხომ არ სცდით ბედს?

ნინი: არა, რადგან „ახალი ხმა“ საერთოდ განსხვავებული პროექტია და მე სწორედ ამგვარ კონკურსში მინდოდა მონაწილეობა.

გიორგი: ნინი ძალიან ნიჭიერია. მინდა, რომ „ცეკვავენ ვარსკვლავები“-ს ახალი სეზონის გამარჯვებული გახდეს.

✓ მანანა ნოდია

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

„მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ — ფილმი, რომელმაც ზურიკელას და მერის ისტორია ეკრანის მიღმაც გააგრძელა

„როცა ჩვენ შეყვარებულები გავხდით, ამით თენგიზ აბულაძეს სურვილი ავუხდინეთ“

„მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ — 1962 წელი
დამდგმელი რეჟისორი: თენგიზ აბულაძე
სცენარის ავტორები: ნოდარ დუმბაძე, თენგიზ აბულაძე
დამდგმელი ოპერატორი: გიორგი (ტიტო) კალატოზიშვილი
დამდგმელი მხატვრები: გივი გიგაური, კახი ხუციშვილი
კომპოზიტორები: არჩილ კერესელიძე, ნუგზარ ვაწაძე
ხმის რეჟისორი/ოპერატორი: რაფიელ კვეზერელი
მონაწილეობენ: სერგო ორჯონიკიძე (ზურიკელა), სესილია თაყაიშვილი (ოლღა ბებია), სანდრო ჟორჟოლიანი (ილიკო), გრიგოლ ტყაბლაძე (ილარიონი), მანანა აბაზაძე (მერი), კირა ანდრონიკაშვილი (ცირა), თენგიზ დაუშვილი (კუკური), სოსო გოგიჩაიშვილი (აგიტატორი), შალვა ხერხეულიძე (ამბაკო), ალექსანდრე გომელაური (ანტიფო), ვახტანგ სულაქველიძე (ქიმიის მასწავლებელი), როლანდ (მიხო) ბორაშვილი (რომული), ეკატერინე ვერულეიშვილი (სოფლელი ქალი), ნანი ჩიქვინიძე (მოწაფე), გია კიტია და სხვები.

ფილმი გადაღებულია ნოდარ დუმბაძის ამავე სახელწოდების ნაწარმოების მიხედვით. სიუჟეტი გურიაში ვითარდება და ობოლ ბიჭს ეხება. ის ოლღა ბებიის და მეზობლების, ილიკოსა და ილარიონის გარემოცვაში იზრდება. ილიკო და ილარიონი იუმორით სავსე ადამიანები არიან, ერთმანეთთან საოცრად თბილი ურთიერთობა აქვთ და ამავე დროს სულ კამათობენ. ზურიკელას ცხოვრება ამ ადამიანების გვერდით საინტერესოდ მიედინება. მას უყვარდება თანასოფლელი და კლასელი გოგონა მერი, წერს პირველ ლექსს, აბარებს მისაღებ გამოცდებს... ზურიკელას სევდიან-მხიარული თავგადასავალი გურული სხარტი იუმორის ფონზე ვითარდება. მას შემდეგ თითქმის 50 წელი გავიდა, მაგრამ ეს იუმორი და ადამიანური ღირებულებები — ერთდროულად მარტივიც და გენიალურიც — მაყურებელს დღემდე იზიდავს და ატყვევებს, კეთილშობილ გრძნობებს აღუძრავს. ალბათ ეს არის ფილმის წარმატების საიდუმლოც. და, რა თქმა უნდა, ქართული კინოსა და თეატრის ვარსკვლავები, რომლებიც თენგიზ აბულაძემ „მე, ბებია, ილიკო და ილარიონში“ შეკრიბა.

ფილმმა მისი ახალგაზრდა გმირების რეალური ცხოვრებაც შეცვალა. პოპულარობასა და წარმატებასთან ერთად დიდი გრძნობაც მოუტანა. სერგო ორჯონიკიძეს და მანანა აბაზაძეს თავად დიდი რეჟისორი უბიძგებდა ერთმანეთისკენ, თითქოს გრძნობდა, რომ ისინი მართლაც ერთმანეთისთვის იყვნენ დაბადებული.



■ კადრები ფილმიდან

ქუჩაში ნაპოვნი ზეიმელი

სერგო ორჯონიკიძე:

— 13 წლის ვიყავი, როდესაც „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ სინჯებზე წამიყვანეს. მოსამზადებელი პერიოდი და გადაღებები 2 წელი გრძელდებოდა და ამასობაში გავიზარდე. თავიდან მეტრი და 85 სანტიმეტრი ვიყავი, იმ 2 წელში კი სიმაღლეში კიდევ მოვიმატე.

ფილმში ასე მოვხვდი: 1961 წლის მარტში ჩემი სახლიდან (ფიქრის გორაზე ვცხოვრობდი და ახლაც იქ ვცხოვრობ) 56-ე სკოლაში მივდიოდი, რომელიც ფალიაშვილის ქუჩაზე მდებარეობდა. უნივერსიტეტის წინ შევჩერდი, ვფიქრობდი, სკოლაში წავსულიყავი თუ უნივერსიტეტის ეზოში შევსულიყავი. უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში საკალათბურთო მოედანი იყო და იქ დავდიოდი ხოლმე. ამ ფიქრებში რომ ვიყავი, ჩემთან ორი მამაკაცი მოვიდა. ესენი იყვნენ

სეიგო ოჩჯონიკიძე: „ენდა გენახათ, მე და მანანა ჰამლეტ ხანს გავდიოდით ჰეპეტიციებს, ძალიან სასაცილო სანახავები ვიყავით. ნღების შემდეგ თენგიზი ამბობდა, თქვენი სიყვარული ჩემი ხელშეწყობით მოხდა, ოღა სასტუმროს ოთახში ჩაგეტეთო“.

ალიკა რონდელი, რომელიც მაშინ რეჟისორის თანაშემწე გახლდათ და თამაზ გომელაური — რეჟისორის ასისტენტი. ჯერ ასაკი მკითხეს, ვუთხარი, 14 წლის ვარ-მეთქი, რადგან 2 კვირაში მისრულდებოდა 14 წელი. შემდგომში თამაზი იხსენებდა, ასაკი რომ ვკითხეთ, გაწითლდაო. მითხრეს, კინოს ვიღებთ სოფლელ ბიჭზე და, ხომ არ გინდა, შენც გადაგიღოთო. ძალიან გამიკვირდა. „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ წაკითხული არ მქონდა და არც გიგა ლორთქიფანიძის ამავე სახელწოდების სპექტაკლი მქონდა ნანახი.

კინოსტუდიაში დამიბარეს და მეორე დღეს დათქმულ დროს მივედი. სამუშაო ოთახს, სადაც გადამღები ჯგუფი იმყოფებოდა, „სოფლელი ბიჭი“ ეწერა. რომ შევედი, პატარა ოთახში იჯდა ერთი კაცი (შემდეგ გავიგე, რომ ის თენგიზ აბულაძე იყო), გარშემო სხვები ისხდნენ, მათ შორის — ალიკა და თამაზი. მათ თენგიზს უთხრეს. ეს არის ის ბიჭი, ჩვენ რომ ვიპოვეთო. ისიც გამჭოლი მზერით მაკვირდებოდა, მერე გამესაუბრა, ვინაობა გამომკითხა. ვუთხარი, რომ ხელოვნებასთან საერთო არაფერი მქონდა, მხოლოდ ერთადერთი გატაცება გამაჩნდა — კალათბურთი. შემდეგ ლექსიც წავიკითხე, მაგრამ შევატყვე, რომ ამით დიდად არ აღფრთოვანებულან. თავჩაქინდრულები მისმენდნენ.

ფილმის დამდგმელი მხატვარი გივი გიგაური გახლდათ. მან ასანთის ღერი დაწვა და ნახშირით სახეზე ულვაშები დამახატა. ფოტოები გადამიღეს. მეორე დღეს კინოსტუდიაში ისევ დამიბარეს. ბავშვური ლოგიკით დავასკვენი, რომ ეპიზოდურ როლში გადამიღებდნენ, კადრში მხოლოდ ერთხელ გამოვჩნდებოდი. ამის გამო ძალიან დავღონდი. ლექსიც ცუდად წავიკითხე და ვფიქრობდი, რომ აღარ ამიყვანდნენ. სახლში ყურებჩამოყრილი წავედი.

მეორე დღეს თენგიზის კაბინეტში რომ შევედი, მაგიდაზე სურათები ეყარა. ოთახში სამუშაო ჯგუფის სხვა წევრებიც ისხდნენ. მათ შორის იყო რობიკო სტურუაც, რომელიც მაშინ კინოთი გახლდათ გატაცებული. უცებ თენგიზმა ჩემი ფოტოები გულისჯიბიდან ამოიღო, რამაც ძალიან გამაკვირვა — მაგიდაზე მთელი გროვა იყო ფოტოების, ჩემები კი ჯიბეში ელაგა. მითხრეს, შენი ფოტოები კარგი გამოვიდაო და სცენარი გადმომცეს. სცენართან ერთად ჟურნალი „ცისკარიც“ მომცეს, რომელშიც თავის დროზე ეს ნაწარმოები დაიბეჭდა.

ილიკო და ილარიონი

— გადაწყვეტილი იყო, რომ ილიკოს როლზე სანდრო ჟორჟოლიანს აიყვანდნენ. ილარიონის როლისთვის კი კაკო კვანტალიანს სინჯავდნენ. იმ პერიოდში ბატონი კაკო უკვე ძალიან პოპულარული იყო, ფილმებში ილებდნენ, ესტრადაზეც გამოდიოდა. ძალიან ვამაყობდი, რომ მასთან ერთად მიღებდნენ. მერე ილარიონის როლისთვის გრიგოლ ტყაბლაძე გადაიღეს. ეს რომ შევიტყვე, ძალიან გამიკვირდა, რადგან კაკო კვანტალიანის გარდა ამ როლზე სხვა ვერ წარმომედგინა.

მოკლედ, დაიწყო ჩემი და ბატონი გრიგოლის სცენის გადაღება, სადაც ის მეკითხება: „რაო, რა გითხრა იმ ბრუციანმა?“. ეს სიტყვები ისე წარმოთქვა, ყბა ჩამომივარდა. მაშინ მივხვდი, რომ ეს ადამიანი ზუსტად ილარიონის ტიპაჟი იყო და თავის როლს საკმაოდ რეალისტურად ასრულებდა.

როგორც მახსოვს, სანდრო ჟორჟოლიანმა მანამდე გიგა ლორთქიფანიძის სპექტაკლში „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ ილიკოს როლი შეასრულა. აქაც ამ როლზე გასინჯეს, მაგრამ თენგიზ აბულაძეს არ მოეწონა და სხვა მსახიობების ძებნა დაიწყო, ვახტანგ ნინუა და გიზო სიხარულიძეც გასინჯეს. თურმე სანდრომ ეს რომ გაიგო, კინოსტუდიაში მივიდა და თქვა, აბა, კიდევ ერთხელ გამსინჯეთო. მეორე სინჯებზე შესანიშნავად ითამაშა და ილიკოს როლზე ისევ ის დაამტკიცეს.

სესილია

— ერთადერთი მსახიობი, ვისაც სინჯები არ გაუვლია, სესილია თაყაიშვილი იყო. მას კონკურენტი არ ჰყავდა. მახსოვს ის დღე, როცა ამ უდიდეს მსახიობს პირველად შევხვდი. კინოსტუდიის ეზოში იჯდა.

— ქალბატონო სესილია, ეს სერგოა, რომელსაც ზურიკელას როლისთვის ვსინჯავთ და გვინდა, ერთად გადაგიღოთ ფოტო, — უთხრა თენგიზ აბულაძემ.

— აა, მე მსინჯავთ?

— არა, თქვენ არა. როგორ გეკადრებათ! უბრალოდ გვაინტერესებს, თქვენ და სერგო ერთმანეთს როგორ შეეფერებით, — ღიმილით უთხრა რეჟისორმა და ეზოში მე და ქალბატონ

Cyan Magenta Yellow Black

სესილიას ფოტოები გადაგვიღეს.

სესილია თაყაიშვილი განუმეორებელი მსახიობი და პიროვნება იყო. სიცოცხლის ბოლო წლებში გულით ავადმყოფობდა. მე უკვე დამწყები ექიმი ვიყავი. მას ვინ მანდობდა, მაგრამ ხშირად მირეკავდა ხოლმე. თავის ავადმყოფობაზე მიყვებოდა და მეც რჩევებს ვაძლევდი. ფილმის გადაღების შემდეგ მასთან ოჯახით ვახლობლობდი.

ჩემი მეხი

— ფილმის გადასაღებად სოფელი ლაილაში ამოარჩიეს, რომელიც ლეჩხუმის რაიონში მდებარეობს. ფილმის გამოსვლის შემდეგ რეჟისორსა და ოპერატორს ბევრი აკრიტიკებდა, ეს ხრიოკი რატომ აარჩიეს, საქართველოში ბევრი ლამაზი ადგილიაო. თენგიზს და ტიტოს კი უნდოდათ, რომ სწორედ ასეთი ადგილას გადაეღოთ.

1961 წლის 11 მაისს გადამღები ჯგუფი სოფელ ლაილაშში წავედით. მსახიობი გოგი ქავთარაძეც გვახლდა, რომელიც ჩემთან ერთად განიხილებოდა ზურიკელას როლზე. დღემდე ვერ ვხვდები, რეჟისორმა გოგი რატომ არ აირჩია. საცდელ კადრებს იღებდნენ. მერე ეს კადრები თბილისში ჩამოჰქონდათ, ნახულობდნენ, ვარგოდა თუ არა და მერე ისევ ლაილაშში ბრუნდებოდნენ.

ერთ-ერთი ასეთი მგზავრობის დროს გადამღები ჯგუფი ავარიაში მოყვა და ავტობუსის მძღოლი ადგილზე გარდაიცვალა. ამის გამო რეჟისორსაც და ოპერატორსაც გული აუცრუვდათ და სხვაგან უნდოდათ გადაღება. უკვე შემოდგომა მოდიოდა და ისეთი ადგილის მონახვა იყო საჭირო, სადაც გაზაფხული დიდხანს იგრძნობა. ზღვისპირას წავიდნენ ადგილების შესარჩევად და მანანაც სწორედ იქ აღმოაჩინეს. მას სხვა ფილმში იღებდნენ. თენგიზმა მანანა რომ ნახა, ძალიან მოეწონა. ამ დროს მე უკვე თბილისში ვიყავი და რეჟისორმა „ჩემი“ მერიც ჩამომიყვანა.

თავიდან გადაღებები პავილიონში მიმდინარეობდა, მერე კი — სოფლებში. ახალი წლის შემდეგ გადაწყვიტეს, ზამთრის სცენები გადაეღოთ. ბაკურიანში გავემგზავრეთ. სიყვარულის ახსნის სცენა უნდა გადაგვეღო, მაგრამ მე და მანანას არაფერით გამოგვდიოდა. თენგიზი ძალიან გაბრაზდა. იმ დროს ბაკურიანში პირველი სამთო-სათხილამურო შეჯიბრი ტარდებოდა. ამის გამო გადაღებები 2 კვირით შეწყდა, შეჯიბრის დასრულების შემდეგ კი თენგიზს ახალი თოვლი უნდოდა, მაგრამ არა და არ მოთოვა.

მანანა აბაზაძე: „ბატონ თენგიზთან უთანხმობა ფილმზე მუშაობით ახ დამთავრებულა, მეხე უფრო დავუახლოვდით მას. ის ჩვენზე ისე ზრუნავდა, როგორც მამობელი. მე და სერგო მისი საკუთრება ვიყავით, ძალიან ვუყვარდით და ჩვენი ხელიდან გაშვება ახ უნდოდა“.

მე, მანანა, თენგიზი და ტიტო ლენინგრადში (ახლანდელი პეტერბურგი) წავედით, რომ ეს სცენა იქ მაინც გადაგვეღო. ამ ეპიზოდის რაღაც ნაწილი ბაკურიანშია გადაღებული, ნაწილი — ლენინგრადში, სადაც საშინლად ცივოდა, 25 გრადუსიანი ყინვა იყო. გვინდოდა, მალე მოვრჩენილიყავით, მაგრამ მე და მანანას არაფერი გამოგვდიოდა. ამაზე თენგიზი სულ გადაირია. მე და მანანა თავის ოთახში ჩაგვკეტა, თვითონ შეხვედრაზე წავიდა და დაგვიბარა, რომ 11 საათზე დაბრუნდებოდა და მის მოსვლამდე რეპეტიციები გაგვევლო. გადაღებისთვის ერთი დღეღა გვქონდა დარჩენილი. თანაც ისიც გვითხრა, ერთი სცენა კოცნით უნდა დამთავრდეს, მეორე — კოცნის გარეშე და მერე მე გადავწყვეტ, რომელი აჯობებსო.

უნდა გენახათ, მე და მანანა რამდენ ხანს გავდიოდით რეპეტიციებს, ძალიან სასაცილო სანახაობები ვიყავით. წლების შემდეგ თენგიზი ამბობდა, თქვენი სიყვარულიჩემი ხელშეწყობით მოხდა, როცა სასტუმროს ოთახში ჩაგკეტეთო. მეორე დღეს ის სცენა, როგორც იქნა, გადავიღეთ და თბილისში დავბრუნდით. გაზაფხულზე ისევ განახლდა გადაღებები.

ჰეაღეჩი სიყვარული

— გადაღებები რომ დამთავრდა, რეჟისორმა მოსკოვში მესამე მსოფლიო კინოფესტივალზე წაგვიყვანა, იქ უკვე ჩემსა და მანანას შორის სხვანაირი ურთიერთობა ჩამოყალიბდა და გრძნობაც გაჩნდა. შემდეგ მანანა სუხიშვილების ანსამბლში აიყვანეს, ბევრს მოგზაურობდა და ხშირად ვეღარ ვხედავდი. მერე ისევ განვახლეთ ურთიერთობა და 1968 წელს დავქორწინდით.

სულ ორ ფილმში ვითამაშე, აქედან „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ ჩემთვის უმნიშვნელოვანესი იყო. ისე მოხდა, რომ რაღაცნაირად ზურიკელას დავემსგავსე. ოლღა ბებია ხომ ოცნებობდა, მისი შვილიშვილი დოხტური გამოსულიყო. მე მართლაც ექიმი გავხდი, მაგრამ ეს დედაჩემის სურვილით მოხდა. ზურიკელას და მერის სიყვარული კი მე და მანანამ ცხოვრებაში გავაგრძელეთ და ამით თითქოს ფილმიც გაგრძელდა. თენგიზი სულ გვეუბნებოდა, ვიცი, რომ თქვენ დაქორწინდებითო. ნოდარ დუმბაძე ამბობდა, თქვენი ოჯახი ჩემი შექმნილიაო.

ჩემი ოფიციალური სახელი სერგოა, მაგრამ პატარაობიდან ყველა ბიჭის მეძახდა. თენგიზ აბულაძემ ტიტრებში ზურაბ ორჯონიკიძე დაწერა, მითხრა, ფილმის გამოსვლის შემდეგ ნამდვილ სახელს მაინც აღარავინ დაგიძახებსო. ამდენი წელი გავიდა და მართლაც ხშირად მეძახიან ზურაბსაც, ზურიკელასაც, გაგიკვირდებათ და, ზოგჯერ სოსოიასაც. რატომღაც ჰგონიათ, ფილმში „მე ვხედავ მზე“ სოსოს როლს მე ვასრულებ.

თენგიზ აბულაძის ფოთის ქვეშ გაზრდილი გოგონა

მანანა აბაზაძე:

— იმ პერიოდში მიღებდნენ ფილმში „შავი თოლია“, ერთ-ერთ მთავარ როლს ვასრულებდი. მას ლენინგრადელი რეჟისორი კოლდუნოვი შავ ზღვაზე იღებდა. ამ დროს თენგიზ აბულაძე და მისი გადამღები ჯგუფის წევრები ჩამოვიდნენ, თავიანთი ფილმისთვის გადასაღებ ადგილებს ეძებდნენ. ბატონმა თენგიზმა რომ გაიგო, ქართველი ვიყავი, ყურადღება მომაქცია და თავის ფილმში გადაღება შემომთავაზა. თავიდან უარზე ვიყავი, მეშინოდა, რომ იქიდან არ გამიშვებდნენ. თენგიზი დამპირდა, მაგ საქმეს მე მოვაგვარებო. მაშინ მხოლოდ 13 წლის ვიყავი. მართლაც ერთ კვირაში ისევ ჩამოვიდნენ, ყველაფერი მოაგვარეს ჩემს მშობლებთან, ლენინგრადელ რეჟისორთან და თბილისში წამომიყვანეს.

მე და სერგო თანატოლები ვიყავით, ამიტომ საერთო ენა ადვილად გამოვძებნეთ.თავიდან მეგობრები ვიყავით, გრძნობა კი მერე და მერე მოვიდა. ამაში ბატონმა თენგიზმაც დიდი წვლილი შეიტანა. როცა მოსკოვში მესამე მსოფლიო კინოფესტივალზე წაგვიყვანა, ყველგან თან დაგვატარებდა. კინოფესტივალის შემდეგ მე და სერგო შეყვარებულები გავხდით. თენგიზ აბულაძეს სურვილი აეუხდინეთ, რადგან მას ძალიან უნდოდა ჩვენი საბოლოოდ ერთად ყოფნა.

ბატონ თენგიზთან ურთიერთობა ფილმზე მუშაობით არ დამთავრებულა, მერე უფრო დავუახლოვდით მას. ის ჩვენზე ისე ზრუნავდა, როგორც მშობელი. უნდოდა, სერგოს კინოსარეჟისოროზე ჩაებარებინა, ყველანაირად ხელს გვიწყობდა. ასევე ძალიან უნდოდა, ერთად კიდევ გადავეღეთ რომელიმე ფილმში, ვითომ ჩვენთვის სცენარს წერდნენ და სცენარისტებს გვახვედრებდა კიდეც. მე და სერგო მისი საკუთრება ვიყავით, ძალიან ვუყვარდით და ჩვენი ხელიდან გაშვება არ უნდოდა.

ბატონ თენგიზთან ურთიერთობა ჩემს მომავალზეც აისახა, რადგან ის იყო დიდი პიროვნება და ბევრ რამეს გვასწავლიდა. ხშირად მეუბნებოდა, იცოდე, მამაშენს, როგორც ყვავილი, ისე უყვარხარ, მე შენი ნამდვილი მამა ვარო. მგონი, ბატონ თენგიზს ჩემ მიმართ ეჭვიანობის მომენტიც ჰქონდა. იმ პერიოდში ბევრი მოწვევა მქონდა სხვადასხვა ფილმებიდან, მაგრამ სულ მეუბნებოდა, არ ღირს იქ წასვლაო. ბატონი თენგიზი ჩვენი მფარველი იყო. 13-15 წლის ასაკში ბავშვი ყალიბდება და როცა ამ პერიოდს ასეთი დიდი ადამიანის გვერდით გაატარებ, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს.

სერგო ოჩჯონიკიძე: „თენგიზ აბულაძემ ტიტრებში ზურაბ ოჩჯონიკიძე დაწერა, მითხრა, ფილმის გამოსვლის შემდეგ ნამდვილ სახელს მაინც აღარავინ დაგიძახებსო“.

როცა ტელევიზიით „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ გადის, მე და ჩემი მეუღლე სულ ვუყურებთ. ადრე სხვა რეაქცია გვქონდა, ახლა სხვანაირად ვუყურებთ. ზურიკელას და მერის სხვა ადამიანებად აღვიქვამთ, თითქოს ეს ჩვენ არ ვართ. ხშირად ვტირით კიდეც. ჩვენს თავზე კი არა, ფილმის სიუჟეტსა და მთავარ გმირებზე გვეტირება.

დედის შეჯეჩილი ჯაბა

ჯერა ანდრონიკაშვილი:

— ამ ფილმში ცირას როლზე რომ ამიყვანეს, აბიტურიენტი გახლდით და უნივერსიტეტში გამოცდებს ვაბარებდი. ცირას როლისთვის მე და ზეინაბ ბოცვაძეს გვსინჯავდნენ. მიუხედავად იმისა, რომ კონკურენტები ვიყავით, ეს ჩვენ შორის არასოდეს იგრძნობოდა. შური, ცუდი სიტყვა და მსგავსი რაღაცეები არ მახსოვს. ერთმანეთთან ვმეგობრობდით და თბილი ურთიერთობა გვქონდა.

ეს ფილმი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი გახლდათ. ჯერ ერთი, რომ ეს იყო ნოდარ დუმბაძის ნაწარმოების მიხედვით და მეორეც, მას იღებდა ძალიან ნიჭიერი რეჟისორი თენგიზ აბულაძე.

მაშინ ძალიან უკმაყოფილო ვიყავი იმით, რომ ფილმში მეტად მუქი კადრებია, რაც არ მიხდება და სხვანაირი ვჩანვარ. ჩემს ამხანაგებსაც არ მოვწონდი, თუმცა ახლა, როცა ეკრანზე ამ ფილმს ვხედავ, მიხარია. დღეს რომ მიღებდნენ ამ ფილმში, სულ სხვანაირად ჩავიცვამდი და გამოვიჩარანჭებოდი. მაშინ ამ მხარეს რატომღაც დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ, ეკრანზე ჩვენს სილამაზეს სათანადოდ არ აჩენდნენ. ამ ფილმის გადაღებებზე დედაჩემის შეკერილი კაბა მეცვა.

ჯერა ანდრონიკაშვილი: „დღეს ხომ მიღებდნენ ამ ფილმში, სულ სხვანაირად ჩავიცვამდი, გამოვიჩარანჭებოდი. მაშინ ეკრანზე ჩვენს სიღამაზეს რატომღაც სათანადოდ არ აჩენდნენ. ამ ფილმის გადაღებებზე დედაჩემის შეკერილი კაბა მეცვა“.

რატომღაც ყველა ფილმში ერთი ბედი დამყვა — ბიჭები მტოვებდნენ. აქაც ზურიკელა მატარებლის სადგურზე მტოვებს და თვითონ მიდის. გადაღებების დროს მე და სერგო ძალიან დავმეგობრდით. რაც შეეხება მერის, რომელმაც ბიჭი „წამართვა“, დღეს ჩემი ძალიან ახლობელი ადამიანია. თავიდანვე დავმეგობრდით. თანაც ჩვენი მამები ერთად მუშაობდნენ.

მოგეხსენებათ, სერგო კარდიოლოგია და ხშირად მეუბნება, არ გინდა, გული გაგისინჯოო. სერგო ჩემი ოქროა, მაგრამ იმედი მაქვს, მისი პაციენტი არასოდეს გავხდები და გული არასოდეს შემაწუხებს. მანანას ხუმრობით ვეუბნები ხოლმე, მართალია, ზურიკელამ შენ გამო მიმატოვა, მაგრამ მე მაინც ძალიან მიყვარხარ და ამას გაპატიებ-მეთქი.

✓ **თეონა კენჭაშვილი**

Cyan Magenta Yellow Black

„კლასელებმა დაბადების დღეზე თავი დამაპატიჟებინეს და არ მოვიდნენ“

ჩემი კლასელები ძალიან ცუდად მომექცნენ. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, ასეთ მდგომარეობაში თუ ჩამაგდებდნენ. ივლისის დასაწყისში ვარ დაბადებული. ამ დროს ყოველთვის არდადეგები გვაქვს, ბავშვები ისვენებენ, ამიტომ დაბადების დღეს კლასელების გარეშე ვიხდი.

წელს კლასელებმა მითხრეს, შენს დაბადების დღეზე კიდეც რომ არ დაგვპატიჟო, აუცილებლად მოვალთ, რადგან არასოდეს ვყოფილვართო. მთელი წელი მეუბნებოდნენ, უნდა გადაიხადოო. გეგმებსაც კი აწყობდნენ, როგორ გაერთობოდნენ. ჩემს მშობლებს

გამოვუცხადე, რომ ეს დღე ყველა შემთხვევაში უნდა აღმენიშნა. ისინიც დამპირდნენ, გულს არ დაგწყვეტთო, გადაგიხდითო.

წინა დღეებში კლასელები ისევ შემეხმიანენ, შენი დაბადების დღე მოდის და რას აპირებო. ყველა დავპატიჟე. ძალიან გაუხარდათ, მითხრეს, რომ აუცილებლად მოვიდოდნენ.

ჩემი მშობლები ამ დღისთვის განსაკუთრებულად მოემზადნენ. მამამ თქვა, ჩვენს გოგოს კლასელები არასოდეს დაუპატიჟია დაბადების დღეზე, თანაც 15 წლის ხდება და მინდა, ეს დღე დაამახსოვრდესო. ძალიან კარგი პურმარილი გაამზადეს. სალაპარაკო კი არ არის, მაგრამ მეზობლისგან ფული ისესხეს, რომ სუფრას არაფერი დაჰკლებოდა. ძალიან დიდი და ლამაზი ტორტი შეუკვეთეს, რადგან, წესით, თითქმის მთელი კლასი უნდა მოსულიყო. სახლში დიდი სუფრა გავშალეთ.

იმ დღეს ძალიან ბედნიერმა გავიღვიძე. ვიფიქრე, ზუსტად ისეთი დაბადების დღე მექნებოდა, როგორზეც ვოცნებობდი. მუსიკის შერჩევა დავიწყე, რომელსაც მოვუსმენდი. შუადღის შემდეგ კლასელებმა მესიჯებით დამიწყეს მოლოცვა. ჯერ ერთმა მომილოცა და მითხრა, ბოდიში, დღეს ვერ მოვდივარო, მერე მეორემ მომწერა, დღეს ცუდად ვარ და ვერ წამოვალო... მოკლედ, მთელ კლასს იმ დღეს რაღაც „შეემთხვა“, რის გამოც ვერ მოდიოდნენ.

ძალიან გავმწარდი და ტირილი დავიწყე. ჩემი მშობლები გადაირივნენ. მე დამიწყეს ჩხუბი, რატომ კარგად არ გაარკვიე, მოდიოდნენ თუ არა, ამხელა სუფრა რატომ გაგვაშლევინეო. ავუხსენი, რომ ისინი მაძალებდნენ ამ დღის აღნიშვნას. დედა გამწარდა და ჩემს რამდენიმე კლასელს დაურეკა, თქვენ ვინ აიგდეთ მასხრად, ასე როგორ მოიქეცითო. ამის შემდეგ დამირეკეს, მოვდივართო, მაგრამ ვუთხარი, მე სახლში არ ვიქნები, ნუ მოხვალთ-მეთქი. დედაჩემმაც უთხრა, თავს ნუ შეიწუხებთ, შინ არ დაგხვდებითო.

მამამ გამამხნევა, მეზობლებს, რამდენიმე ნათესავს დაუძახა და შუაღამემდე კარგად გაერთნენ.

წლევანდელი დაბადების დღე მართლაც არასოდეს დამავიწყდება. კლასელებს ვერასოდეს ვაპატიებ, რომ ასეთ მდგომარეობაში ჩამაგდეს. თუ მოსვლა არ უნდოდათ ან არ შეეძლოთ, ორი დღით ადრე მაინც ეთქვათ. სექტემბრიდან თუ კიდევ მათ კლასში ვისწავლე, პირობას ვდებ, რომ დაბადების დღეს არც ერთ კლასელს მივულოცავ!

„სარკის“ მკითხველი

გამოხმაურების მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე:
296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იკითხეთ ირინე მჭედლიძე ან ია ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.
თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:
1. ეწვიეთ საიტ sana.ge-ს, დააწკაპუნეთ ღილაკს „მოგვწერეთ“ და დაბეჭდეთ თქვენი ისტორია.
2. გამოგზავნეთ სმს-ით ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან.
1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.
3. ელფოსტაზე: irmchedlidze@mail.ru
ანონიმურობა დაცულია

„პაპამ კნუტები გადამიყარა“

12 წლის გოგო ვარ. მინდა, ეს წერილი „სარკეში“ დაიბეჭდოს, რადგან გული ძალიან მაქვს ნატკენი. არ მეგონა, პაპა ასეთი სასტიკი თუ იქნებოდა. ვთხოვე, რომ ჩემი ფისუნიებისთვის ხელი არ ეხლო, მაგრამ არ დამიჯერა.

თბილისში ვცხოვრობ, მაგრამ ყოველ ზაფხულს ბებიასთან და პაპასთან სოფელში ჩავდივარ. იქაურობა ძალიან მიყვარს. არდადეგების დაწყება იმიტომ მიხარია, რომ იქ მივდივარ. სოფელში უამრავი მეგობარი მყავს და კარგადაც ვერთობით.

ბებიას ძაღლიც ჰყავს და კატაც. რომ ჩავედი, ჩვენმა კატამ მალე გააჩინა კნუტები. ყველა საოცრად ლამაზი იყო. პაპას ვთხოვე, მე მოვუვლი, მერე კი სხვებს ვაჩუქებ, ბოლომდე ვუპატრონებ, ოღონდ არ გადამიყარო-მეთქი. ისიც შემპირდა, რომ ასე მოიქცეოდა. მათ მართლაც ძალიან ვუვლიდი. ყველას შევარქვი სახელი, რძეს ვასმევდი, ვეფერებოდი. ბავშვები მათ სანახავად შემოდიოდნენ. ყველა მთხოვდა, მე მომეცი. უკვე ვიცოდი, რომელი კნუტი ვისთვის უნდა მიმეცა. ერთს უნდოდა, თბილისში ბებიასთვის წამოეყვანა. ის ქალიც ელოდებოდა, მაგრამ...

ერთ დილას რომ გავიღვიძე და მათ სანახავად გავიქეცი, იქ აღარ დამხვდნენ. მოვიკითხე, მაგრამ არავინ არაფერი მითხრა. ბებიამ მიპასუხა, არ მინახავს, ეტყობა, დედა კატამ სადმე გადამალაო. პაპას რომ ვკითხე, ასე მითხრა, კატა ბრაზდებოდა, მის შვილებს ასე რომ ეფერებოდით და ამიტომ გადამალა, თქვენ ვეღარ იპოვითო. ძალიან დავღონდი. ვინერვიულე, რომ კატას ჩემ გამო კნუტების წაყვანა მოუხდა. თურმე სიმართლე სულ სხვა რამ ყოფილა.

ამ ამბიდან რამდენიმე დღე იყო გასული, ჩემი მეზობლის გოგო რომ შემოვიდა და მითხრა, პაპაშენს კნუტები ხევში გადაუყრიაო. არ დავიჯერე. მან კი მომიყვა, ჩემმა ძმამ ნახა, პარკში ჩაყრილი რომ მიჰყავდა ხევისკენ და იქ დაყარაო. ტირილი დავიწყე, ბებომ მითხრა, არ ინერვიულო, გამოჩნდებიანო. პაპამ კი სიმართლე ვეღარ დამალა და მითხრა, რამდენ კნუტსაც დაყრის, იმდენი თუ სახლში გავაჩერე, ჩემი კარმიდამო საკატეთად გადაიქცევაო. ბევრი ვიტირე, ხევშიც წავედი და ვეძებე, მაგრამ ვერსად ვიპოვე.

ვნერვიულობ, იქნებ რამემ შეჭამა ან შიმშილით დაიხოცნენ. იქ ქვეწარმავლებიც ბუდობენ, ხომ შეიძლებოდა, მათ დაეგესლათ. კი მეუბნებიან, არ მოკვდებოდნენ, კატები ეგრე უპატრონოდ იზრდებიანო, მაგრამ არ მჯერა. ისეთი უსუსურები იყვნენ, თავიანთ თავს როგორ მიხედავდნენ?

მინდა, იმ მკითხველებს, ვისაც კატები ჰყავთ, ვკითხო, კნუტებს გადარჩენის შანსი ჰქონდათ? შეიძლება, რომ არ მომკვდარიყვნენ და ერთ დღეს გამოჩნდნენ? ძალიან მინდა სიმართლის გაგება და გთხოვთ, არ მომატყუოთ!

თქვენი ერთგული მკითხველი

გამოხმაურება

„დაქალის ბებია ჩემზე ჭორებს იგონებს“

ჟურნალ „სარკის“ 28-ე ნომერში წავიკითხე მოზარდის წერილი, სათაურით „მეგობრის დედა ჩემდამი შურს ვეღარ მალავს“. შეიძლება ვინმემ თქვას, რაში გენაღვლება, მეგობრის დედა შენზე რას ფიქრობსო, მაგრამ ასე არ არის საქმე. კარგად ვიცი, ეს რასაც ნიშნავს, რადგან ჩემი დაქალის ბებია მოსვენებას არ მაძლევს, პირდაპირ ვიტყვი, რომ შურით სკდება.

ჩემი დაქალი ძალიან კარგი გოგოა, ერთმანეთი გვიყვარს, მაგრამ ბებიამისი ყოველთვის ცდილობს, ჩვენ შორის შუღლი ჩამოაგდოს. ამისთვის ჭორების მოგონებასაც კი არ ერიდება. ჩვენს საერთო მეგობრებთან ლაპარაკობს, რომ ვითომ მის შვილიშვილს ვიყენებ. ჩემზე სულელურ ჭორებს იგონებს. რამეს რომ ვიყიდი, ამბობს, შეყვარებულმა აჩუქაო. შვილიშვილი ეჩხუბება, მაგრამ ვერაფერი შეაგნებინა.

მათთან სახლში აღარ მივდივარ. ზოგჯერ ვფიქრობ, მეგობარს ჩამოვშორდე, რადგან ჩემ გამო უხერხულ სიტუაციაში ხშირად ვარდება.

თქვენი ერთგული მკითხველი

Cyan Magenta Yellow Black

„დედა თავისი ჩაცმულობით მარცხვენს“

ძალიან ძნელია, როცა დედაშენს დასცინიან, მით უმეტეს, თუ ბიჭი ხარ. შეიძლება გოგოსთვისაც მძიმე იყოს, მაგრამ განსაკუთრებით აუტანელი ბიჭისთვის არის. ამ წერილს 14 წლის ბიჭი გწერთ. მოგიყვებით, რაც მაწუხებს.

დედა ბოლო დროს ძალიან გასუქდა, მაგრამ შარვლებს მაინც იცვამს. ამბობს, ჯინსების გარეშე ცხოვრება არ შემიძლიაო. ისეთი სამსახური აქვს, რომ ფიზიკური დატვირთვა უწევს, ამიტომ ურჩევნია, თავისუფლად იყოს. მამა ხშირად ეხუმრება, რომ შარვალი აღარ უხდება, მაგრამ დედას ეს სულ არ ანაღვლებს. რამდენჯერმე მეც ვუთხარი, რომ კაბა ჩაეცვა, მაგრამ ვითომ ვერ გაიგონა.

ივნისში ექსკურსიაზე წავედით. ვეხვეწე, ნუ წამოხვალ, იქ არაფერში მჭირდები-მეთქი, მაგრამ მკაცრად მითხრა, უნდა წამოვიდე, მარტოს ვერ გაგიშვებ, თანაც ცოტას გავერთობიო. ვთხოვე, მაშინ შარვალს ნუ ჩაიცვამ-მეთქი. ყურადღება ისევ არ მომაქცია და ჯინსის შარვლით წამოვიდა.

როგორც მოველოდი, კლასელებმა და მათმა მშობლებმა ჭორაობა დაიწყეს. გავიგონე, ერთმანეთს რომ ეჩურჩულებოდნენ, ამხელა ქალია და არ იცის, რა უხდება და რა არაო. ყველაზე საშინელი კი ის იყო, რომ ბიჭების ლაპარაკი გავიგონე, აუ, ნახეთ, რა სასაცილო ქალიაო. მისი სხეულის გამოკვეთილ ნაწილებზე ღადაობდნენ. არ შევიმჩნიე, რომ გავიგონე, მაგრამ თავი ძალიან ცუდად ვიგრძენი.

მთელი ექსკურსიის მანძილზე პროტესტის ნიშნად სამარშრუტო ტაქსიდან არ გადმოვსულვარ. ქუთაისი ისე მოიარეს, არც ერთ ტაძარში შევსულვარ. ამის გამო დედაც გამიბრაზდა და მასწავლებლებიც, მაგრამ მე მაინც ჯიუტად არ გადავედი. სხვა რაღაც მოვიმიზეზე, ვითომ კლასელისგან რაღაც მეწყინა. მისგან მართლაც მეწყინა, დედაჩემს რომ დასცინოდა, მაგრამ შარი სულ სხვა რამის გამო მოვდე.

დედა დღემდე მეუბნება, ასე თუ მოიქცეოდი, არ მეგონა, ექსკურსია მთელ კლასს ჩააშხამეო. ვერ ვეუბნები, რომ სწორედ მან ჩამაშხამა თავისი უაზრო ჩაცმულობით. ამის შემდეგ როგორც უნდა მთხოვოს, მის გვერდით არასოდეს გავივლი. სანამ ნორმალურ ჩაცმას არ ისწავლის, არასოდეს მივცემ უფლებას, ჩემ გვერდით გაიაროს!

თქვენი მკითხველი

გამოხმაურება

„მასწავლებლები ჩემს ცოდნას ვერ აფასებენ“

ჟურნალ „სარკის“ 28-ე ნომერში გამოქვეყნდა წერილი — „ჩემი ნაშრომისთვის ჯილდო სხვას გადასცეს“. ამ გოგონასი ძალიან კარგად მესმის, რადგან ვიცი, რასაც ნიშნავს, როცა უსამართლოდ გექცევიან.

მე 15 წლის გოგო ვარ. კლასში ყველაზე კარგად ვსწავლობ. მეგობრებს მე ვაწერინებ დავალებებს, საკონტროლო წერას. დაფასთან რომ გადიან გაკვეთილის მოსაყოლად, მაშინაც ჩემს იმედად არიან. მასწავლებლები კი რატომღაც მათ აქებენ, ჩემზე ერთ კარგ სიტყვას არ ამბობენ. განა მათი შექება რამეში მჭირდება, უბრალოდ მიკვირს, ასე რატომ მექცევიან. სხვათა შორის, ჩემი კლასელებიც გაოცებულები არიან, მეუბნებიან, შენი ძალიან გვრცხვენიაო.

ხმას არ ვიღებ, მეშინია, კლასელებმა არ თქვან, ჩვენი შურსო, არადა გული მართლა ძალიან მწყდება. ჩემს ერთ მეგობარს საკონტროლო წერაში დავეხმარე, თითქმის ყველაფერი მე დავაწერინე. მასწავლებელმა მას ათიანი დაუწერა, მე კი — ცხრიანი. ვერაფრით მივხვდი, ქულა რაში დამაკლო. მეგობარსაც გაუკვირდა, შენ დამაწერინე და ჩემზე ნაკლები ქულა როგორ მიიღეო. თავს დაჩაგრულად ვგრძნობ. თუ სხვების დამსახურებას აღნიშნავენ, ჩემსას რატომ უკეთებენ იგნორირებას?

თქვენი ერთგული მკითხველი

„მგონია, რომ დაქალი შეყვარებულს მართმევს“

ნელიწადნახევარია, რაც ერთი ბიჭი მიყვარს. ვაღიარებ, რომ ხშირად ვჩხუბობთ, ერთმანეთს ვებუტებით, მაგრამ მერე ისევ ვრიგდებით. ის ძალიან მიყვარს და ამის შესახებ ყველამ იცის, მათ შორის — ჩემმა მეგობრებმაც.

ამას წინათაც ჩვენ შორის რაღაც გაუგებრობა მოხდა. მე გავებუტე. მინდოდა, მიმხვდარიყო, რომ ცუდად მოიქცა. ერთ დღეს მოვიდა და მითხრა, კინოს ბილეთები ავიღე, წავიდეთ და თან ვილაპარაკოთო. მასთან ერთად წასვლა ძალიან მინდოდა, მაგრამ თავი შევიკავე და ვუპასუხე, შენთან სალაპარაკო არაფერი მაქვსმეთქი. ბილეთებს დახედა და თქვა, აბა, სხვა ვინმეს წავიყვანო. გვერდით დაქალი მედგა, უცებ მას მიუბრუნდა და ჰკითხა, შენ ხომ არ წამოხვალ, მაგარი ფილმიაო.

ყურებს არ დავუჯერე, ჩემმა მეგობარმა სიხარულით ტაში რომ შემოსცხო და უთხრა, კი, როგორ არ წამოვალ, ეგ ფილმი მაგრად მაინტერესებსო. ჩემი შეყვარებული წავიდა თუ არა, მაშინვე ვუსაყვედურე, ეს რატომ გააკეთე-მეთქი. მან კი მითხრა, აბა, ის გერჩივნა, უცხო გოგო წაეყვანა, კარგი, მაშინ არ გავყვებიო. მის

მიმართ მადლიერებით ავივსე, ვიფიქრე, რომ ჩემ გამო მოიქცა ასე და მადლობაც კი გადავუხადე. მეორე დღეს მართლაც წავიდნენ კინოში. იქიდან რომ დაბრუნდა, მომიყვა, სულ შენზე ვლაპარაკობდითო.

შეყვარებულს მალე შევურიგდი, მაგრამ ახლა სხვა პრობლემა მაქვს — დაქალზე ძალიან ვეჭვიანობ. მგონია, რომ ჩემთვის შეყვარებულის წართმევა უნდა. სულ მას დაჰყვება გვერდით. ამბობს, უბრალოდ მეგობრები ვართო, მაგრამ გული მიგრძნობს, რომ მათ შორის სხვანაირი ურთიერთობაა. ამას წინათ ჩემმა სკოლელებმა პარკში ნახეს ერთად და „ფეისბუქზე“ მომწერეს, შეყვარებულს ხომ არ დაშორდი, ის და შენი დაქალი ერთად ვნახეთო.

ორივეს დავურეკე და პასუხი მოვთხოვე, მე რატომ არ გამაგებინეთ-მეთქი. მათ კი თავი იმართლეს, ქუჩაში შემთხვევით შევხვდით ერთმანეთს და პარკში გავისეირნეთო. მე შემთხვევითობის არ მჯერა. მობილური ხომ ორივეს ჰქონდა, დაერეკათ და ეთქვათ, ერთად ვართ და მოდიო. ეს იმიტომ არ გააკეთეს, რომ რაღაცას მიმალავენ.

დაქალი ხშირად აღარ მეკონტაქტება, ვატყობ, რომ გამირბის, ჩემთან ლაპარაკი არ სურს. შეყვარებული კი სულ მსაყვედურობს, ვერ მიგებ, შენთან ურთიერთობა ძალიან მიჭირსო. ამბობს, შენს დაქალთან თავს ღაღად ვგრძნობ, შენთან კი სულ დაძაბული ვარო. ჩემი ეჭვების შესახებ ვუთხარი, მაგრამ გამიბრაზდა, აქეთ მომდო შარი, რომ რაღაცეებს ვიგონებ. მათ საქციელს რაც უფრო ვუფიქრდები, მით მეტად ვრწმუნდები, რომ გული მართალს მეუბნება. არ გამიკვირდება, თუ ერთ დღეს შეყვარებული გამომიცხადებს, რომ ჩემი დაქალი უყვარს.

„სარკის“ ერთგული მკითხველი

✓ რუბრიკა მოამზადა ირინე მჭედლიძემ

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

ჯაბა კილაძე: „არ ვარ ტიპი, რომელიც „ფეშენ“ ცხოვრებით იცხოვრებს“

ამსახიობ ჯაბა კილაძეზე ხშირად ხუმრობენ, დედის მუცლიდან სცენაზე დგასო. მისი მშობლები, თემურ კილაძე და ციცინო კობიაშვილი, მთელი ცხოვრება თეატრს ემსახურებიან. ბატონი თემური მსახიობია, ქალბატონი ციცინო — რეჟისორი. ჯაბა მეორეკლასელი იყო, როცა პირველად ითამაშა სპექტაკლში და სხვა საქმეზე აღარც უფიქრია. მისი პიროვნული თუ პროფესიული ხიბლის გამო მაყურებელს ყოველთვის უხარია ჯაბას დანახვა, იქნება ეს თანამედროვე დრამა „ჯინსების თაობა“, სულელი სანდრო „შუა ქალაქიდან“, პროექტი „ცეკვავენ ვარსკვლავები“ და ა.შ. თვითონ ყველა ამპლუაში ბოლომდე იხარჯება, ბედნიერია, როცა ძლიერ პარტნიორებთან თამაშობს, მაგრამ აქვს გულისტკენაც, რომელიც უკვე წლებია გრძელდება ერთი სპექტაკლის დაუფასებლობისა და არაღიარების გამო. ამაზე თავად გვიამბობს.

„ადამიანი თავისუფალი შინაგანად უნდა იყოს. ეს აქვს მნიშვნელობა, ცოლი მყავს თუ ეს, თავისუფალი დავიბადე და ასე გავაგრძელებ ცხოვრებას“.

— ჯაბა, თეატრში სეზონი დამთავრდა, როგორ დაგეგმეთ ზაფხული?

— ალბათ ზღვისპირეთში წავალ. თეატრში სეზონი 15 ივლისს დაიხურა, მაგრამ შეიძლება ახალი სპექტაკლი დაიდგას. მარჯანიშვილის თეატრის ახალი სცენის გახსნას მოუთმენლად ველოდები, მაინტერესებს იქ მუშაობა. რეჟისორმა ავთო ვარისმაშვილმა გადაიღო ფილმი „უფრო დიდი იდიოტოკრატია“, რომლის პრემიერაც სექტემბერში შედგება. ფილმში „თავისუფალი თეატრის“ მსახიობები მონაწილეობენ. მთავარ როლს ნინო ანანიაშვილი ასრულებს, მე ექსცენტრულ პროკურორს ვთამაშობ. ნინოს პროფესიონალიზმით მთელი გადამღები ჯგუფი აღფრთოვანებულია. ამ ადამიანს უდიდესი შრომისა და თავდადების უნარი ჰქონია, უდაოდ მისაბაძი ქალია.

— ქალბატონ ნინოსთან გაქვთ სცენები?

— დიახ. ქალბატონი ნინო ბალეტში თავის ემოციას პლასტიკით გამოხატავს, ამ შემთხვევაში კი მან სუპერპროფესიონალურ დონეზე ითამაშა. თავის როლს ბრწყინვალედ გაართვა თავი.

— თქვენს ფილმოგრაფიაში მერამდენე ნამუშევარია „უფრო დიდი იდიოტოკრატია“?

— თუ არ ვცდები, მეშვიდე.

— ჩვენს რეალობას თუ გავითვალისწინებთ, მსახიობისთვის ეს კარგი შედეგია.

— დიახ, ასეა. ეს პროფესია მიყვარს და ღმერთმა დამიფაროს, ოდესმე პასიური გავხდე.

— თქვენს შემოქმედებაში საეტაპო ნამუშევრად ალბათ მაინც სპექტაკლი „ჯინსების თაობა“ ითვლება. თითქოს მასთან ერთად მოდიხართ, როგორც მსახიობი.

— 13 წელია ამ სპექტაკლს ვთამაშობთ და ჩვენი თეატრის სავიზიტო ბარათი გახდა. ამდენი წელი არც ერთ სპექტაკლს უცოცხლია. სწორად გაიგეთ ჩემი ნათქვამი: ან რაღაცის ზედმეტად გაფეტიშება გვიყვარს, ან რაღაცის არდანახვის პროფესიონალები ვართ. თეატრალურ კონკურსებზე ხანდახან ისეთ სპექტაკლებს აჯილდოვებენ, კითხულობ, ეს სად დაიდგაო. რაღაცეებს ცოტა მეტი დაფასება სჭირდება. ამდენი წელია თეატრალურ სამყაროში „ჯინსების თაობა“ არსებობს, ყოველ ჯერზე სრული ანშლაგია, ამ ნამუშევრით მთელი საქართველო გვაქვს მოვლილი და ეს ყოველივე რაღაცაზე ხომ მეტყველებს, არა?

„ეზიზღები ბავშვს ვეხასოღეს მოვეფეხები. მადღობა თამთას, ჰომ ასეთი ჯაჰგი შვილი გამიზაჰდა“.

— სპექტაკლს არც ერთი ჯილდო მიუღია?

— ასეა, ჯერ ერთი ჯილდოც არ მიუღია. სპექტაკლის 13 წლიანი ისტორია კი ამბობს, რომ მაყურებელმა შეაფასა და დააფასა. არ აქვს მნიშვნელობა, დაჯღანულ ნიღაბს მოგვცემენ თუ არა, სათქმელი ნათქვამია. დამისახელეთ სპექტაკლი, რომელიც 13 წელია იდგმება. პირველი 2 წელი ამ სპექტაკლს კვირაში 4-ჯერ ვთამაშობდით. ახლა სტაბილურად კვირაში ერთხელ ვთამაშობთ. სპექტაკლის დღეს ბილეთს ვერ იშოვი და მეტი რაღა უნდა ქნას?

— ამ 13 წლის განმავლობაში, როგორც მსახიობმა, რა ცვლილებები განიცადეთ, რა მოგემატათ, რა დაგაკლდათ?

— ვერ გეტყვით. პასუხისმგებლობა ყოველთვის დიდი მქონდა, უბრალოდ ეს ყოველივე სტაბილურობაში გადაიზარდა... პრაქტიკულად არაფერი შეცვლილა, უბრალოდ 13 წელი მომემატა.

— თქვენი ბოლო ნამუშევარია „მექანიკური ფორთოხალი“, სადაც უარყოფითი როლი გაქვთ. რა არის ამ სპექტაკლის და კონკრეტულად თქვენი როლის სათქმელი?

— ეს სპექტაკლი ავთო ვარსიმაშვილმა ენტონი ბერჯესის რომანის მიხედვით დადგა. ქართულ რეალობაზეა გადმოკეთებული და გასული საუკუნის 90-იან წლებში მომხდარ ამბებს ეხება. მასში ურთულესი პერიოდია ასახული, როცა ქუჩაში ხალხს ხვრეტდნენ, როცა გვშიოდა, გვციოდა... სპექტაკლზე მუშაობის პროცესი ძალიან საინტერესო იყო. მასში მარტო ნაძირლების ჯგუფზე არ არის აქცენტი გაკეთებული, ნაჩვენებია, რომ ის თაობა რეჟიმისა და დროის მსხვერპლი იყო.

„ამდენი ნელია თეატჰაღეჴ სამყაჰოში „ჯინსების თაობა“ ჰსებობს, ყოველ ჯეჰზე სჰული ანშღაგია, ამ ნამუშევჴით მთელი საქაჰთველო გვაქვს მოვღილი და ჯეჰ ეჰთი ჯიღღოკ ეს მიუღია. სპექტაკღის 13 ნღიანი ისტოჰია ჯი ამბობს, ჰომ მაყუჴებელმა შეაფასა და დააფასა. ეს აქვს მნიშვნელობა, დაჯღანული ნიღაბს მოგვცემენ თუ ეს, სათქმელი ნათქვამია“.

გამიმართლა, რომ მაშინ პატარა ვიყავი და ფიზიკურად ვერაფერს გავაფუჭებდი. 20 წელს გადაცილებული რომ ვყოფილიყავი, ღმერთმა იცის, რა გზას დავადგებოდი. სკოლაში რომ დავდიოდი, ვიცოდი, რომ წიგნი არ უნდა წამეღო, რადგან „ტეხავდა“. ვერ წარმომედგინა, რომ პოლიციისთვის პატივი უნდა მეცა... სხვა დრო იყო სხვა შეხედულებებითა და პრინციპებით. მაშინ ხალხს იარაღი ჰქონდა, მაგრამ არ ჰქონდა საჭმელი. ქუჩაში ეყარნენ და, აბა, კარგს რას იზამდნენ? ეს ყველაფერი ჩვენი ყველა ხელისუფლების ბრალია და დღემდე ვიმკით ამას. სპექტაკლში სწორედ ეს რეალობაა ასახული.

მე ვთამაშობ ერთ-ერთ ნაძირალას, რომელსაც ბოლოს კლავენ. სპექტაკლი წელიწადნახევრის წინ დავდგით, მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა და რატომღაც გამორჩეულად მიყვარს, კმაყოფილი ვარ.

— თქვენი კარიერა ამ ეტაპზე თეატრში უფრო აქტიურია, ვიდრე კინოსა და ტელევიზიაში. ამას როგორ ახსნით?

— ჩემი პროფესია რთულია იმ მხრივ, რომ სულ რაღაცაზე ხარ დამოკიდებული. ბევრი მეკითხება, ტელევიზიას რატომ არ უბრუნდებიო. ეტყობა, ხალხს უნდა, რომ ეკრანზე გამოვჩნდე. ამის სურვილი მეც მაქვს, მაგრამ ჯერჯერობით არანაირი შემოთავაზება არ მქონია. თუ იქნა რაიმე წინადადება, განვიხილავ, ყველაფერს არ დავთანხმდები მხოლოდ იმიტომ, რომ ტელევიზორში ვჩანდე.

— ხშირად იბეჭდება თქვენთან ინტერვიუები, თქვენ შესახებ თითქოს ყველამ ყველაფერი იცის, მაგრამ რეალურად მაინც არაფერი ვიცით. საქმის მიღმა როგორია თქვენი ცხოვრება?

— არაფერს ვასაიდუმლოებ და არც ვნიღბავ. არ ვარ ტიპი, რომელიც „ფეშენ“ ცხოვრებით იცხოვრებს. პატივს მხოლოდ ჩემი ცნობადობის გამო კი არ მცემენ, თბილისში დაბადებული და გაზრდილი ბიჭი ვარ, მთელი ბავშვობა ვორონცოვზე გავატარე, ბევრი ძმაკაცი მყავს, ჩემს ქალაქში დავდივარ, ჩემი თბილისი მიყვარს...

— წარმატების მისაღწევად რა გზა გაქვთ არჩეული?

— წარმატების მიღწევისთვის მთავარი ერთი რამ არის — შრომა, შრომა და შრომა! ამაზე უარი არასოდეს მითქვამს, გამიმართლა და არც იღბალმა მაქცია ზურგი. ჩემი ადგილი მაქვს, „თავისუფალი თეატრი“ ჩემი მეორე სახლია, ვცდილობ, ეს ყველაფერი შევინარჩუნო და ნაბიჯები წინ გადავდგა.

— თეატრალური ინტრიგები არასოდეს შეგხებიათ?

— მსგავსი რამ არ მახსოვს. თუ ჩემს ზურგს უკან ხდებოდა რამე, ეს არ ვიცი. ვერ ვიტყვი, რომ ასეთი რამ მარტო ჩვენს სფეროშია, ცხოვრება არის ასეთი. ყველგან მიმდინარეობს პოზიციებისთვის ბრძოლა. უბრალოდ თეატრალურ სამყაროს ყველა აკვირდება და ამიტომ უფრო მეტად ჩანს.

Cyan Magenta Yellow Black

— ყოფილა შემთხვევა, როცა როლების განაწილებისას „დაგჩაგრეს“?

— არ დავწვრილმანდები, მაგრამ ჩემს პროფესიაში იყო ისეთი ეტაპები, როცა გული ძალიან მტკენია. პრიორიტეტად მაშინაც ჩემს პიროვნებას მივიჩნევდი და არა — კარიერას. ახლაც ასეა. შეიძლება ცუდია, მაგრამ კარიერისტი არ ვარ.

— ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენზე წინ კოლეგებს გაატარებთ?

— თუ არ გადამაბიჯებს, რასაკვირველია, გავატარებ. რაც უფრო მეტი წარმატებული ადამიანის გვერდით იქნები, მით უფრო კარგია. მირჩევნია, მაგრებთან ვიყო თანაბარი, ვიდრე სუსტებთან — ძლიერი. როდესაც გრძნობ, რომ შენ გვერდით კარგი არტისტი დგას, ამაზე დიდი სიამოვნება არაფერია.

— რეალურ ცხოვრებაში მამის როლში როგორი ხართ?

— ჩემი შვილი, ლიზა, 7 წლისაა და მიმაჩნია, რომ ჭკვიანი გოგოა. ძალიან კარგად არის აღზრდილი და მიხარია. ამ ყველაფერში ლომის წილი დედამისს, თამთას (მომღერალი თამთა ჭელიძე, ჯაბას ყოფილი ცოლი. ავტ.) მიუძღვის.

„ბევრი მეკითხება, ტელევიზიას ხატომ არ უბრუნდებიო. ეტყობა, ხალხს უნდა, ჰომ ეკრანზე გამოვჩნდე. ჯერჯერობით არანაირი შემოთავაზება არ მქონია. თუ იქნა ხარმე წინადადება, განვიხილავ, ყველაფერს არ დავთანხმდები მხოლოდ იმიტომ, ჰომ ტელევიზორში ვჩანდე“.

სამწუხაროდ, ლიზას აღზრდაში იმხელა მონაწილეობა არ მაქვს მიღებული, რამხელაც მას. ჩემი შვილით ვამაყობ. უზრდელ ბავშვებს ვერ ვიტანთ. მიუხედავად იმისა, რომ პატარები ძალიან მიყვარს, უზრდელ ბავშვს ვერასოდეს მოვეფერები. მადლობა თამთას, რომ ასეთი კარგი შვილი გამიზარდა.

— ლიზა თქვენს სპექტაკლებზე ხშირად დადის?

— არა, მისი ასაკისთვის ჩემს სპექტაკლებზე სიარული გაუგებრობა იქნებოდა, ბავშვი არ უნდა დაამძიმო. ლიზას ტოლი რომ ვიყავი, სპექტაკლი „ოთარაანთ ქვრივი“ ვნახე. ოთარაანთ ქვრივს ვერიკო ანჯაფარიძე თამაშობდა, მამაჩემი — გიორგის. მთელი სპექტაკლი დავიტანჯე. ბოლოს გიორგი რომ მოკვდა, ვერ მივხვდი, რატომ მომიკლეს მამა... ჩემი აზრით, ყველაფერს თავისი დრო აქვს.

მარჯანიშვილის თეატრში სპექტაკლ „დეკამერონში“ ბავშვი სჭირდებოდათ. ჭოლამ მითხრა, ლიზა მოიყვანე და ვათამაშებო. მისი როლი არცთუ მნიშვნელოვანია, სპექტაკლის ბოლოს სცენაზე ადის, როგორც ბავშვური სიმბოლო. ლიზას თავისი როლი ისე მოსწონს და ისე შეიფერა, მგონი, ჩვენს ოჯახურ ტრადიციას გააგრძელებს და ამ ყველაფერში ხელს არ შევუშლი. მისი წყალობით, რაც კი კინოთეატრებში მულტფილმები გადის, ყველა ვნახე. კარგადაც სწავლობს და სასაყვედურო არაფერი მაქვს.

— არ მოვიდა დრო, ისევ შექმნათ ოჯახი, ისევ ეცადოთ იპოვოთ პირადი ბედნიერება?

— შეკვეთით ხომ არ არის ცოლის მოყვანა?! თუ გამოჩნდება ადამიანი, ვისთანაც ცხოვრების გატარება მომინდება, სიამოვნებით!

— შეიძლება თავისუფლება არ გეთმობათ და ამიტომაც არ ქორწინდებით.

— ადამიანი თავისუფალი შინაგანად უნდა იყოს. არ აქვს მნიშვნელობა, ცოლი მყავს თუ არა, თავისუფალი დავიბადე და ასე გავაგრძელებ ცხოვრებას. ოჯახური მდგომარეობის შეცვლაზე არ ვფიქრობ, თუ შემიყვარდება, ცხოვრებასაც მას დავუკავშირებ. ეს არის და ეს.

— ახლა არავინ არის თქვენს ცხოვრებაში?

— ყოველ შემთხვევაში, ცოლის მოყვანას არ ვაპირებ.

✓ ლანა კიკნაძე

მაკა ძაგანია ქართული ქეიფის ფანია

ესახიობ მაკა ძაგანიას სრულფასოვანი სადილის მომზადება, თავისი პირველი-მეორე კერძებით და ზედ დესერტითაც საკმაოდ სწრაფად შეუძლია. ხელი ისე აქვს გაწაფული, ყველაფერს ერთმანეთის პარალელურად აკეთებს, ოღონდ ერთი პირობაა საჭირო — კარგ ხასიათზე უნდა იყოს.

ნამცხვრების ცხობა მოზარდობის ასაკში დაიწყო, სადილების კეთება კი — გათხოვების შემდეგ. რეცეპტებს ბიცოლასა და ბებიისგან იწერდა და ინგრედიენტების თანმიმდევრობას, დოზებს ზუსტად იცავდა. ახლაც ასე იქცევა, ყველაფერს გრამებში წონის, კერძს საჭირო პროდუქტს არავითარ შემთხვევაში დააკლებს, რომც არ ჰქონდეს, იშოვის.

მაკას მეგობრებთან ერთად მოლხენაც უყვარს, ამბობს, რომ ხშირად ქეიფობს და თამადობაც შეუძლია.

— მაკა, ვისგან გერგოთ კულინარიის ნიჭი და ინტერესი?

— ბავშვობაში ძალიან მიყვარდა ნამცხვრების კეთება, 14 წლიდან დავიწყე ცხობა. რეცეპტებს ბიცოლასგან ვიწერდი, დეტალებში მასწავლიდა, რა როგორ გამეკეთებინა. დედამ ცხობა კი არა, ჰაერღუმელის ანთებაც არ იცის, ამიტომ ნამცხვრების კეთება ჩვენს ოჯახში უცხო ხილი იყო. როცა შვილი მეყოლა, ოჯახი მქონდა, მივხვდი, რომ კერძების კეთება საჭირო იყო. საჭმელების მომზადება ტელეფონით ვისწავლე ბიცოლასგან, ბებიისგან.

— ადრე ამ რუბრიკაში თქვენი კოლეგა ანი ტყებუჩავაც, რომელმაც გვითხრა, ჩიზქეიქის გაკეთების პროცესში მაკა ძაგანია ვიდეოთი გადავიღეო. ჩიზქეიქი არცთუ მარტივი გასაკეთებელია. კარგად გამოგდით?

— ის ჩიზქეიქი კი არა, ხაჭოს საზაფხულო ნამცხვარი იყო, რომელიც ცივად უნდა ჭამო. ავიღებთ ერთ კილო ხაჭოს და 200 გრამ კარაქს. კარაქი კარგად უნდა აიღღვიბოს, მერე ხაჭოს შევურევთ და დიდხანს მოვურევთ. ჟელატინს ერთ ყავის ჭიქა წყალს დავასხამთ, ცეცხლზე დავდგამთ და ადუღებამდე მივიყვანთ. მერე ოდნავ გავაგრილებთ და ხაჭოს მასაში შევურევთ, ერთი კვერცხი და ვანილიც უნდა. მე კაკაოსაც ვუშვრები. ამ ყველაფერს ძალიან დიდხანს ვურევთ, რომ მასა კარგად გათხელდეს. ხაჭო პირში ნამცეცებად არ უნდა გხვდებოდეს. ფორმაში ჩავასხამთ და მაცივარში გასაყინად შევდგამთ.

„სნიპფი ხელი მაქვს. შემიძლია თან საღამოთი ვაკეთო, თან — სადილი და პარალელურად ნამცხვარიც გამოვაცხო“.

ამასობაში ბლომანჟეს გავაკეთებთ: ერთ კილო არაჟანს ორ 200 გრამიან ჭიქა შაქარს ჩავაყრით. ორ სუფრის კოვზ ჟელატინს ერთ ყავის ჭიქა წყალში გავხსნით და ადუღებამდე მივიყვანთ. მერე ამას არაჟნის მასაში ჩავასხამთ და კარგად ავურევთ, რომ შაქარი ბოლომდე გაიხსნას. ორ ნაწილად გავყოფთ, ერთს ვანილს ვუზამთ, მეორეს — კაკაოს. კაკაოს ყოველთვის თვალის ზომით ვუშვრები, დაახლოებით ორი სუფრის კოვზი საკმარისია, ზედმეტს სიმწარისკენ მიჰყავს. ვანილიან ბლომანჟეს ხაჭოს მასაზე მოვასხამთ და ისევ მაცივარში შევდგამთ. რომ გაიყინება, მერე კაკაოიან ბლომანჟეს მოვასხამთ და მაცივარში დავაბრუნებთ. დაახლოებით ნახევარი საათი სჭირდება, რომ ბოლომდე გამკვრივდეს. ძალიან გემრიელია, ჰაეროვანი და კარგი საჭმელია. ვისაც გაუსინჯავს, ყველა გიუდება, ისე მოსწონს.

— ასე თამამად ჭამთ ტკბილეულს?

— კი, აბა, რა!

— დიეტები თქვენთვის უცხოა?

— უცხო არ არის. როცა ქორეოგრაფიულ სასწავლებელში დავდიოდი, იქ სხვა სტანდარტები იყო საჭირო, ამიტომ ჭამაში ყოველთვის მზღუდავდნენ. ბებიაჩემი თავის სახლში რომ წამიყვანდა, ზუსტად ერთ კვირაში ვიმატებდი. შინ რომ ვბრუნდებოდი, დედა და მამა მეუბნებოდნენ, რაც იქ ჭამე, ახლა მოიკელიო. მკაცრ დიეტაზე არასოდეს ვყოფილვარ, მხოლოდ პურ-ფუნთუშეულს თუ შევზღუდავდი.

— ეკრანი ყოველთვის ფორმაში ყოფნას მოითხოვს და ერთი კილოს მიმატებაც შესამჩნევი ხდება. ახლა თუ აკონტროლებთ წონას?

— შარშან, გაზაფხულზე, 5 კილო მოვიმატე, ოღონდ ვერ მივხვდი, რატომ, რადგან იგივე რეჟიმი მქონდა. ზედმეტი კილოგრამები საგრძნობლად შემეტყო. მერე ცოტა შევიზღუდე თავი, ღამის 3 საათზე აღარ ვჭამდი და მალე ჩავდექი ფორმაში.

— თქვენს სახლში ვინ არის მთავარი დიასახლისი?

— დედასაც ძალიან რთული სამუშაო რეჟიმი აქვს და მეც, ამიტომ ფუნქციებს ვიყოფთ. როცა მას სცალია, ის აკეთებს, როცა მე მცალია, მე ვამზადებ. დედას უფრო სადილების გაკეთება ეხება, ტკბილეულსა და ცომეულში ხელი არ უნდა ჩააყოფინო.

— დედისგან სამზარეულოში შენიშვნებს იღებთ?

— მე აქეთ ვაძლევ შენიშვნებს, ვეუბნები, ეს მწვანილი ასე მსხვილად რატომ დაჭერი, ბავშვი არ ჭამს-მეთქი. ვასწავლი, როგორ უნდა მწვანილის, ხახვის დაჭრა. დედა მსხვილად ჭრის, მე კი წვრილად დაჭრილი მიყვარს.

— სერიალში „ჩემი ცოლის დაქალები“ თქვენი გმირი, თინა, დედაზეა ჭამის მხრივ დამოკიდებული, ჩაის და ყავასაც კი დედა უმზადებს, სადილზე ლაპარაკი ზედმეტია.

— ჩემს შემთხვევაში პირიქითაა. დილით თუ ერთდროულად ვიღვიძებთ, ყოველთვის ცდილობს, მასზე ადრე ავდგე და მერე კი მომაძახებს ხოლმე, მეც ვდგებიო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყავა უნდა გავუკეთო. არის შემთხვევები, როცა თავადაც აკეთებს ჩემთვის, მაგრამ ძირითადად მაინც მე მიწევს მოდუღება.

— თქვენი შვილი, ნუცა, პრეტენზიულია კვებაში?

— ძალიან პრეტენზიულია. ფანტაზია აღარ მყოფნის, რა შეიძლება, რომ ჭამოს. სახლში ყოველთვის მაქვს წვნიანი და მინდა, ჯანსაღად იკვებოს, მაგ-

→32

Cyan Magenta Yellow Black

რამ უნდა ეჯუჯღლუნო, რომ ცოტა მაინც შეჭამოს. ამ საკითხში ძალიან მტანჯავს. აჯაფსანდალს, მწვანე ლობიოს, ბორშჩს, მაწვნის და მუაუნის სუპებს არ მიირთმევს. ლობიო ადრე უყვარდა, მაგრამ ახლა ეგეც აღარ მოსწონს. მე მაწვნის და მუაუნის სუპებზე ვგიჟდები, მაგრამ არ ვაკეთებ. არ გამოვა, მე სუპები ვჭამო, ნუცამ კი სწრაფი კვების ობიექტებში მიირთვას.

— რა კერძი არ გიყვართ?

— ეს არის ხაში. სად არ ვცადე, როგორ ნაბახუსევზე აღარ გავსინჯე, მაგრამ არ შემიძ-

„თინა ჩემგან აბსოლუტურად განსხვავებულია. მე ვარ მოქეიფე, მიყვარს ქართული სუფრები კარგი ქართული სიმღერების თანხლებით... ამას მინუსებიც აქვს — უსასრულო დამშვიდობება, პირზე კოცნები, აღარასოდეს რომ აღარ მიდიან, კარში დგახარ და არ გიშვებენ... ეს ყველაფერი ძალიან ძნელია, მაგრამ... სადღეგრძელო კარგი რამ არის. რომ გლოცავენ, მგონია, ეს დადებითი ენერგიით გმუხტავს. ქართულ სადღეგრძელოს ჩემთვის მისტიკური ძალა აქვს. კარგ ქართულ სუფრასთან კარგი მოლხენა ყველაფერს სჯობს, მშვენიერი განტვირთვაა.

— თავად შეგიძლიათ ოჯახში დიდი სუფრის გაშლა?

— როგორ არა და გამიშლია კიდეც. სწრაფი ხელი მაქვს. შემიძლია თან სალათი ვაკეთო, თან — სადილი და პარალელურად ნამცხვარიც გამოვაცხო.

— შეგიძლიათ, რომ ამ პროდუქტებისგან, რაც უცებ მოგხვდებათ ხელში, რაიმე კერძი გამოიგონოთ?

— კერძს ზუსტად იმდენი ინგრედიენტი უნდა ვუქნა, რამდენიც საჭიროა. ამისთვის წავალ მაღაზიაში, ყველაფერს მოვივლი, რომ კერძი ზუსტად ისე გავაკეთო, როგორც რეცეპტში მიწერია. ყველაფერს გრამებში ვწონი. ნამცხვარი აუცილებლად კარგი კარაქით უნდა გავაკეთო, მარგარინს საერთოდ არ ვხმარობ.

— ტორტებსაც აცხობთ?

— როგორ არა! ბისკვიტის გამოცხობა ძალიან მარტივია, ესეც ტელეფონით ვისწავლე.

— პირველივე ცდაზე კარგი გამოგიოდათ?

— თუ ერთხელ არ გამომივიდა, მეორედ ხელს აღარ ვკიდებ. არ მახსოვს, პირველ ცდაზე რამე გამფუჭებოდეს, მაგრამ არის ნამცხვრები, რომლებსაც არასოდეს გავაკეთებ, მაგალითად, ნაპოლეონს. ძალიან მიყვარს, მაგრამ მტანჯავს. ფენოვანი ცომის გაკეთება ჩემთვის ტრაგედიაა. არ შემიძლია — გააბრტყელე, კარაქი წაუსვი, დაკეცე, მაცივარში შედე, დაჯექი და ორი საათი ელოდე. ეს ლოდინი მაგიჟებს! ყველაფერს უცებ უნდა მოვრჩე. ტორტების ცხობასაც დიდხანს ვუნდები, მაგრამ ნაპოლეონთან რა შედარებაა! ჩემს შვილს ისეთ გემრიელ ტორტებს ვუცხობ, ნუცას ძალიან უყვარს.

✓ ქეთი დინოშვილი

ღია, სუნიც კი ცუდად მხდის! საჭმელზე არ ამბობენ ამას, მაგრამ მართლა მეზიზღება! სხვა რომ ჭამს, ამის ყურებაც არ შემიძლია.

— იმ კერძებიდან, რომლებიც გიყვართ და ამზადებთ, რომელიმეს რეცეპტი გვითხარით.

— გასწავლით ქათმის ღვიძლს მაიონეზით, რომელიც ძალიან გემრიელია და ყველას მოსწონს. ვიღებთ ქათმის ღვიძლს (შეგიძლიათ საქონლისა გამოიყენოთ), გავრეცხავთ, დავჭრით, პილპილს, მარილს ვუზამთ და ტაფაზე დავყრით. მას წყალი შეჰყვება, რომელიც უნდა დაიშროს, მერე ზეთს დავასხამთ და შევბრაწავთ. ორივე მხარეს კარგად უნდა შეიწვას. მერე ამ ყველაფერს ქვაბში ჩავყრით და თავსახურს დავაფარებთ, რომ ცხელი დარჩეს. ამასობაში ალყა-ალყა დაჭრილ ხახვს (ორ კილო ღვიძლს 5-6 დიდი თავი ხახვი მაინც უნდა) ღვიძლის ნამწვავში ჩავყრით და ძალიან დაბალ ცეცხლზე მანამდე მოვშუშავთ, სანამ არ გავარდისფერდება. მერე ხახვს ღვიძლს დავასხამთ, ბოლოს კი მაიონეზს ვუზამთ. კარგად ავურევთ და კერძი მზადაა. ცივად უნდა მიირთვა და ღვინოს ძალიან უხდება.

— ღვინო გიყვართ?

— ალკოჰოლური სასმელებიდან ყველაზე მეტად ლუდი მიყვარს. ღვინოს ადრე ვსვამდი, მაგრამ ახლა ჩემი ორგანიზმი ველარ იღებს.

— ოდესმე დამთვრალხართ?

— რამდენჯერაც გინდათ. ცნობილი ლოთი ვარ. ისეთი სიმთვრალე არ მაქვს, რომ მეორე დღეს არ მახსოვდეს, წინა დღეს რას ვაკეთებდი. ყოველთვის ყველაფერი მახსოვს, არც ცუდად ვხდები, კარგი სიმთვრალე მაქვს. მაგ დროს ბედნიერი ვარ, მაგრამ ნაბახუსევი კი ცუდი მაქვს. მეორე დღეს აღარ ვვარგივარ.

— თამადობაც შეგიძლიათ?

— თუ დამჭირდება, შემიძლია, მაგრამ დედაჩემის შემხედვარე, არ ვთამადობ. ის კაცებს ართმევდა ხოლმე თამადობას, მე ახლოს ვერ მივედი მასთან.

— ქართული სუფრის ტრადიციები მოგწონთ? თქვენს გმირ თინას არ უყვარს სახლში გაშლილი სუფრები, სადღეგრძელოები, მთვრალი ხალხი...

— თინა ჩემგან აბსოლუტურად განსხვავებულია. მე ვარ მოქეიფე, მიყვარს ქართული სუფრები კარგი ქართული სიმღერების თანხლებით. ამას მინუსებიც აქვს — უსასრულო დამშვიდობება, პირზე კოცნები, აღარასოდეს რომ აღარ მიდიან, კარში დგახარ და არ გიშვებენ... ეს ყველაფერი ძალიან ძნელია, მაგრამ... სადღეგრძელო კარგი რამ არის. რომ გლოცავენ, მგონია, ეს დადებითი ენერგიით გმუხტავს. ქართულ სადღეგრძელოს ჩემთვის მისტიკური ძალა აქვს. კარგ ქართულ სუფრასთან კარგი მოლხენა ყველაფერს სჯობს, მშვენიერი განტვირთვაა.

— თავად შეგიძლიათ ოჯახში დიდი სუფრის გაშლა?

— როგორ არა და გამიშლია კიდეც. სწრაფი ხელი მაქვს. შემიძლია თან სალათი ვაკეთო, თან — სადილი და პარალელურად ნამცხვარიც გამოვაცხო.

— შეგიძლიათ, რომ ამ პროდუქტებისგან, რაც უცებ მოგხვდებათ ხელში, რაიმე კერძი გამოიგონოთ?

— კერძს ზუსტად იმდენი ინგრედიენტი უნდა ვუქნა, რამდენიც საჭიროა. ამისთვის წავალ მაღაზიაში, ყველაფერს მოვივლი, რომ კერძი ზუსტად ისე გავაკეთო, როგორც რეცეპტში მიწერია. ყველაფერს გრამებში ვწონი. ნამცხვარი აუცილებლად კარგი კარაქით უნდა გავაკეთო, მარგარინს საერთოდ არ ვხმარობ.

— ტორტებსაც აცხობთ?

— როგორ არა! ბისკვიტის გამოცხობა ძალიან მარტივია, ესეც ტელეფონით ვისწავლე.

— პირველივე ცდაზე კარგი გამოგიოდათ?

— თუ ერთხელ არ გამომივიდა, მეორედ ხელს აღარ ვკიდებ. არ მახსოვს, პირველ ცდაზე რამე გამფუჭებოდეს, მაგრამ არის ნამცხვრები, რომლებსაც არასოდეს გავაკეთებ, მაგალითად, ნაპოლეონს. ძალიან მიყვარს, მაგრამ მტანჯავს. ფენოვანი ცომის გაკეთება ჩემთვის ტრაგედიაა. არ შემიძლია — გააბრტყელე, კარაქი წაუსვი, დაკეცე, მაცივარში შედე, დაჯექი და ორი საათი ელოდე. ეს ლოდინი მაგიჟებს! ყველაფერს უცებ უნდა მოვრჩე. ტორტების ცხობასაც დიდხანს ვუნდები, მაგრამ ნაპოლეონთან რა შედარებაა! ჩემს შვილს ისეთ გემრიელ ტორტებს ვუცხობ, ნუცას ძალიან უყვარს.

✓ ქეთი დინოშვილი

გია ჯაჯანიძეს ტყუილი სინამდვილად ეჩვენა

„არ ვიცი, ჩემს გრძნობას გზა მივცე თუ ასე დარჩეს“

პროფესიით ფსიქოლოგი ტელეწამყვანის, გია ჯაჯანიძის ცხოვრებაში „მზესუმზირების“ პერიოდი კარგახნის წინ დასრულდა, მაგრამ მაყურებელს ატყუებდა, რომ ტელევიზიაში მალე დაბრუნდებოდა. მისდა გასაკვირად, ერთ-ერთ ტელეარხზე შემეცნებით-გასართობი გადაცემის წამყვანობა მართლაც შესთავაზეს. ასე რომ, სექტემბრიდან ეკრანზე ისევ გამოჩნდება (თუ ისევ არ გვატყუებს!). ფანტაზიორი და არა მატყუარა — ასე უწოდებს საკუთარ თავს და თვლის, რომ მისი უწყინარი ფანტაზიები ადამიანებისთვის სასიკეთოც კი იყო.

თუმცა ასაკში შესვლასთან ერთად სიმართლისა და არამოჩვენებითობის სურვილი გაუძლიერდა. ამჟამად ერთი ქალით ძალიან არის გატაცებული, მაგრამ ამ ურთიერთობას სიყვარულს არ არქმევს, რადგან უნდა, მასთანაც გულწრფელი იყოს.

— გია, სატელევიზიო გადაცემა აღარ მიგყავთ. ახლა რითი ხართ დაკავებული, გაქვთ რაიმე გეგმები?

— ტელეეკრანზე მალე გამოვჩნდები და საზოგადოებას ჩვეულ ამპლუაში მოვევლინები. სექტემბრიდან ახალ, ძალიან საინტერესო, ძალიან სკანდალურ რაუნდს დავიწყებ. კონფიდენციალურობას ვერ დავარღვევ, ამიტომ ვერ ვიტყვი, რომელ არხზე დავიწყებ მუშაობას. რაც შეეხება გადაცემას, ის ტოქ შოუ იქნება, რომელსაც ორი წამყვანი ეყოლება, მე და კიდევ ერთი გოგონა, რომელიც ძალიან ინტელექტუალური და ლამაზია. ორი განსხვავებული ტიპაჟი ვართ. გადაცემა შემეცნებით-გასართობი

„იმდენს ვიტყუებოდი, ღამეები არ მეძინა, ვაიმე, იმან ეს არ გაიგოს, იქ რომ ეს ვთქვი, ის არ მიხვდეს-მეთქი. მთელი ღამე კოშმარებში ვიყავი. მერე გადავწყვიტე, რომ ჩემი უძილობის წამალი სიმართლე იყო. ტყუილებს აღარ ვაშბობდი და მივხვდი, ეს რა მაგარი იყო“.

იქნება და კვირაში ორჯერ გავა ღამის ეთერში. ყოფით და აქტუალურ თემებზე ვილაპარაკებთ.

დღეს ხალხს პირადი ცხოვრების აწყობა აინტერესებს. „ფეისბუქზე“ რა კითხვებსაც მისვამენ, ის ფურცელზე გადმომაქვს და ვამუშავებ. ყველა თინეიჯერს სურს, პოპულარული გახდეს და ამ თემაზეც ვილაპარაკებთ. რატომ უნდათ, რა ხიბლი აქვს ამ პოპულარობას ასეთი? მას ხომ შეზღუდვებიც ახლავს. ერთხელ ბაზარში მოხუც ქალს შევეჯაჭრე. მითხრა, ცნობილი ადამიანი ხარ და 50 თეთრზე მელაპარაკებიო. რადგან ცნობილი ვარ, ჰგონიათ, რომ ფულს ხეზე ვწყვეტ. მოკლედ, გადაცემაში სიყვარულზე, ოჯახზე, ურთიერთობებზე გვექნება თემები და აუცილებლად რჩევებსაც მივცემთ. ერთი

Cyan Magenta Yellow Black

პერიოდი მაყურებელს ვახალისებდი, ახლა კი მათ საჭირო ინფორმაციას მივცემ, რაც პირად ცხოვრებაში გამოადგებათ.

— ახლა ამ გადაცემისთვის ძალებს იკრებთ, ისვენებთ?

— კი, ვისვენებ, თუმცა კვირაში ერთი დღე რადიოში მიმყავს საავტორო გადაცემა „ადამიანი“. საათნახევარი პირდაპირ ეთერში ვარ და რადიომსმენელებს საჭირბოროტო საკითხებზე ვესაუბრები. ამას გარდა, ერთ-ერთი ჟურნალის მთავარი რედაქტორი გახლავართ. იცით, რა? ასაკის მატებასთან ერთად იმის კეთებაზე გადავედი, რაც მინდა. დამთავრდა ის დრო, ვიღაცის სურვილს რომ ვასრულებდი და ვიღაცის შემოთავაზებაზე უარს ვერ ვამბობდი.

— რა ასაკში დაასკვინით, რომ ის უნდა აკეთოთ, რაც გსურთ?

— როცა 50 წლის გავხდი, მივხვდი, რომ ის უნდა ვაკეთო, რაც ჩემს გულს გაუხარდება. როცა ვამბობდი, მორცხვი ვარ-მეთქი, სასაცილოდ არ ჰყოფნიდათ. ყველაფრის მერიდებოდა, ყველა შეთავაზებაზე ვთანხმდებოდი. ადამიანი რომ მეტყოდა, ჩემთან სტუმრად მოდიო, მინდოდა თუ არა წასვლა, მივდიოდი. ახლა უკვე თუ არ მინდა, არ მივდივარ. ერთი სიტყვით, ნირვანა მოვიწყვე.

— თქვენს ახალ გადაცემას დაუებრუნდეთ. ეკრანზე ისევ ისეთი ეპატაჟური იქნებით, როგორსაც მაყურებელი გიცნობთ?

— მე შოუს წამყვანი ვიყავი. შოუ სანახაობას ნიშნავს, სანახაობა კი ვიზუალია. ხალხმა ეს ვერ გაიგო. ჯაჯანიძე როგორ იცვამს, როგორ დადის, სირცხვილიაო, ამბობდნენ. ჩემს ცხოვრებასა და შოუს აიგივებდნენ. ისეთი ჩაცმული, როგორიც შოუში ვიყავი, გარეთ ხომ არ დავდიოდი? ან იმას, რასაც შოუში ვაკეთებდი, გარეთ ხომ არ ვაკეთებდი? მაგრამ სულ მაინც ამაზე იყო ლაპარაკი. სინამდვილეში არ ვარ ეპატაჟური. მორცხვი, მორიდებული გახლავართ. სტატიებს ვაკეთებდი, წიგნი გამოვეცი, დისერტაცია დავიცავი, ჩემთვის ვიყავი, ოღონდ იმას ვლაპარაკობდი, რასაც ვფიქრობდი...

— თუმცა მაყურებელი მოგიტყუებიათ კიდეც.

— ტყუილი ძალიან მიყვარს. შემიძლია ისტორია შევთხზა. მეგობარმა მითხრა, ადრე ხომ სახალხო მთქმელები იყვნენ, შენ 21-ე საუკუნის სახალხო მწერალი ხარო. ადამიანის ბედზე არ უნდა ითამაშო, ისე არ უნდა მოატყუო, რომ მისთვის ეს საბედისწერო აღმოჩნდეს, თორემ რაღაც ისტორიას რომ შეთხზავ, ეს დიდი არაფერია. ისე, მე მატყუარა კი არა, ფანტაზიორი ვარ.

— ოდესმე გინანიათ ტყუილის თქმა?

— არ ყოფილა შემთხვევა, რომ ჩემს ტყუილს ჩემთვის ან ვინმესთვის რაიმე დაეშავებინა, მაგრამ ისეც მომხდარა, რომ რაღაცეები მინანია. უცნაური რაღაც უნდა გითხრათ: ცხოვრების სხვადასხვა ეტაპი გავიარე და იცით, ტყუილს რატომ გადავეჩვიე? იმდენს ვიტყუებოდი, ღამეები აღარ მეძინა, ვაიმე, იმან ეს არ გაიგოს, იქ რომ ეს ვთქვი, ის არ მიხვდეს-მეთქი და მთელი ღამე კოშმარებში ვიყავი. ერთ მშვენიერ დღეს გადავწყვიტე, რომ ჩემი უძილობის წამალი სიმართლე იყო, ამიტომ ყველაფერი „დავიკიდე“, ტყუილებს აღარ ვამბობდი და მივხვდი, ეს რა მაგარი იყო.

— როცა თქვენ გატყუებენ, მაშინ რა რეაქცია გაქვთ?

— რეაქცია მაქვს ნული! გინდა და მატყუებ, გიხარია და მატყუებ! ჩემი მოტყუება ძალიან რთულიც არის და ადვილიც. ადამიანები თავიანთ ისტორიებს რომ მიყვებიან, ყველაფერი მჯერა, რადგან ეს მათ უნდათ. რაც მე ტყუილებზე მიტირია!..

ახლავე გეტყვით, როდის ვიტყუებოდი. როცა „მზეზე“ ჩვენი გადაცემა გაუქმდა, „ფეისბუქზე“ მწერდნენ, სად ხარო. ვიტყუებოდი, მალე დავბრუნდები-მეთქი. სხვათა შორის, როცა ვიტყუები, მერე ის, რასაც ვამბობ, მისრულდება. იმდენჯერ ვიცრუე, სანამ ერთ-ერთმა ტელეკომპანიამ გადაცემის წამყვანობა არ შემომთავაზა.

— რატომ დაიბურა „მზესუმზირა“?

— „მზეზე“ გადაცემები აღარ კეთდება. სხვათა შორის, გული არ დამწყვეტია. რაღაც რომ იწყება, ხომ უნდა დამთავრდეს? ზოგიერთი გადაცემა აღარ სრულდება, პროექტს დაიწყებენ და აღარ მთავრდება. რეიტინგი გვაქვსო, ამბობენ. რეიტინგი ინერციით აქვთ. კომუნისტების დროს იყო ეს მიდგომა, 30 წელი აქ ვმუშაობდიო. ასეთი დებილი როგორ ხარ, რომ სულ ერთი და იგივე ადგილზე მუშაობ 30 წელი?! აქედან გამომდინარე, სატელევიზიო გადაცემა, მაქსიმუმი, 2-3 წელი უნდა არსებობდეს. ჩვენი გადაცემა სამი სეზონი გადიოდა.

— თქვენს პირად ცხოვრებაშიც ხომ არ არის ცვლილებები?

— მუდმივად შეყვარებული ვარ და ეს სიყვარული ძალიან დიდ სტიმულს მაძლევს ჩაცმულობაში, მუშაობაში. ახლა, იცით, როგორ ვარ? არ ვიცი, ჩემს გრძნობას გზა მივცე თუ ასე დარჩეს. უკვე იმ ასაკში ვარ, საკუთარი თავის ფლობა შემიძლია და ვიცი, რა შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს დამთავრდეს ან წავიდეს, ან მე წავიდე.

— ეს გრძნობა სერიოზულია?

— მოდი, ამას გატაცება დავარქვათ.

— ისიც გატაცებულია თქვენით?

— ის ჩემით აღფრთოვანებულია, მე — გატაცებული.

— და ამას რომ წაიკითხავს, არ ეწყინება?

— მერე რა! მე კიდევ ვგიჟდები, ის რომ ჩემით აღტაცებულია. საერთოდ ტრაბახი მიყვარს. იმას კი არ ვამბობ, რომ მე მაგარი ვარ, უბრალოდ საკუთარი თავის წარმოჩინების სპეციალისტი ვარ. ერთხელ მას რაღაც დაუჯერებელი ამბავი მოვუყევი. მის თვალებში დავინახე, რომ არ დაიჯერა და ცოტა გული დამწყდა. მას ეს არ უთქვამს, პირიქით, აღფრთოვანდა, მაგრამ მივხვდი, რომ არ დაიჯერა. ერთი კვირის შემდეგ ჩემს მეგობართან წავიყვანე და ის ამბავი მეგობარმაც უამბო. მითხრა, მაშინ არ დაგიჯერეო და ბოდიში მომიხადა. ასეთი სიტუაციები ძალიან ხშირად მაქვს.

ჩემს სტუდენტებთან ვმეგობრობ. როცა მეკითხებიან, შენი ახალგაზრდობის საიდუმლო რა არისო, იცით, რას ვპასუხობ? სულ პატარებთან ვმეგობრობ-მეთქი. ახლა დასასვენებლად ვიყავი ბათუმში და ჩემს 4 სტუდენტს ლამაზი ქვედატანები ჩამოვუტანე.

— ისეთ ასაკში ხართ, დაქორწინებაზე კიდევ ერთხელ შეიძლება იფიქროთ.

— მე ახლა მოვლა მინდა. ვერც ერთ ქალს მივაყენებ შეურაცხყოფას, რომ მოსავლელად მოვიყვანო.

— თუკი შეგიყვარდებათ, მოუარეთ ერთმანეთს, რა არის ამაში ცუდი?

— უიმე, მე ისეთი შეიძლება შემიყვარდეს, არაფერი რომ არ იცის. ჩემი ერთ-ერთი ცოლი კარტოფილს რომ შეწვავდა, კარტოფილი იყო თუ ფაფა, ვერ მიხვდებოდით. ქალს იმის მიხედვით არ ვირჩევ, კერვა იცის, რეცხვა თუ საჭმელების კეთება. ეს შეიძლება მერე იკითხო. ახლა ვინმე ჩემი მოსავლელი რომ იყოს, ხომ გადავირიე! სიბერეში, თუ არ დავბრმავდი და არ გამოვჩერჩეტდი, სერიოზულ ურთიერთობაზე აღარ ვიფიქრებ.

✓ ეკა ლემონჯავა

„მზეზე“ გადაცემები აღარ კეთდება. სხვათა შორის, გული არ დამწყვეტია. რაღაც რომ იწყება, ხომ უნდა დამთავრდეს? ზოგიერთი გადაცემა აღარ სრულდება, პროექტს დაიწყებენ და აღარ მთავრდება. რეიტინგი გვაქვსო, ამბობენ. რეიტინგი ინერციით აქვთ. სატელევიზიო გადაცემა, მაქსიმუმი, 2-3 წელი უნდა არსებობდეს“.

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

რა პრობლემები აქვს გურამ ლომიძეს ყოფილ ცოლთან ამერიკაში

ომოლერალი გურამ ლომიძე ამერიკიდან საქართველოში დიდი იმედებით დაბრუნდა. ამბობს, რომ ჯგუფ „ქუჩის ბიჭების“ ცხოვრებაში აქტიური და საინტერესო ეტაპი დგება, ახალ სიმღერებს წერენ, კლიპებს იღებენ და საქართველოში ტურნესთვის ემზადებიან. ეს — რაც შეეხება აქაურ გეგმებს, ოკეანის გაღმა კი პრობლემები დარჩა, რომლებიც მის მეორე ქორწინებას ეხება. თუ პირველ ცოლთან, ხატია შამუგიასთან, განქორწინებამ შედარებით მშვიდად ჩაიარა და მასთან ურთიერთობის მოგვარება არ გასჭირვებია, ამერიკელ ქალთან ყველაფერი სხვაგვარადაა. წინ სასამართლო პროცესი აქვს, რომელმაც მისი შვილის ლიამის, იგივე გიორგის, უფლებები უნდა განსაზღვროს.

გურამი საქართველოში რამდენიმე თვით დარჩება და მერე კი ისევ ამერიკაში გაემგზავრება.

— გურამ, თქვენი საქართველოში ჩამოსვლა რას უკავშირდება?

— კარიერულ წინსვლას. ახალ ალბომზე დავიწყეთ მუშაობა, ასევე იგეგმება ტურნე საქართველოს ქალაქებში, დაახლოებით 30 კონცერტს ჩავატარებთ. მოგვენატრა ერთმანეთი, კონცერტები და მსმენელი. ჩვენ იმიტომ გავაქტიურდით, რომ საქართველოში შოუბიზნესი წინ წავიდეს. მე 2006 წელს გავემგზავრე ამერიკაში, ზურაც (ხაჩიძე) მალევე წავიდა ჰოლანდიაში. კონცერტები, შემოთავაზებები არ გვქონდა, ჩვენ ზურგს უკან კი ოჯახები, შვილები იდგნენ, მათ რჩენა უნდოდათ. შემოქმედებითი პაუზის აღება სწორედ ამის გამო დაგვჭირდა, თუმცა მსმენელს პერიოდულად მაინც ვახსენებდით თავს. ახლა იმედი გვაქვს, რომ ეს ყველაფერი გამოსწორდება.

— ვინ დააფინანსებს თქვენს ტურნეს საქართველოში?

— ეს ყველაფერი დაწერილია პროექტის სახის, რომელიც ყველა სამინისტროში შევიტანეთ და მათგან გამოხმაურებას ველოდებით. ამის გამო ზუსტ ვადებზე საუბარი გამიჭირდება. ერთი დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ 1 აგვისტოს ბათუმში, პიაცას მოედანზე, ბენდთან ერთად კონცერტს გავმართავთ. რეპერუტარი განვაახლეთ, ანი ღონღაძესთან ერთად დუეტი ჩავწერეთ და იმ სიმღერაზე კლიპიც გადავიღეთ. ასევე ჩავწერეთ ზაზა ხუბუკელაშვილის სიმღერაც, რომლის ტექსტიც ჯგუფის ბიჭებმა დავწერეთ. კლიპის გადაღებას ამ სიმღერაზეც ვგეგმავთ. გვინდა, ოქროს დისკი გამოვუშვათ, სადაც ჩვენი ძველი ჰიტების ნაკრები შევა. ასე რომ, ჩვენი განრიგი ძალიან დატვირთულია.

— ისევ ფინანსებზე უნდა გკითხოთ. ამდენი რამის გაკეთებას რა სახსრებით აპირებთ?

— ჩვენმა საზღვარგარეთულმა ცხოვრებამ ტყუილად არ ჩაიარა, საქმეები გავაკეთეთ. ამან კი იმის საშუალება მოგვცა, რომ ჩვენს საყვარელ საქმეში ფინანსები ჩაგვედო. დავიწყეთ და იმედი გვაქვს, სპონსორებიც გამოჩნდებიან და შემდეგ ეტაპებზე დაგვეხმარებიან.

„სასამართლო მიმდინარეობს აღიმენტზე და ბავშვზე უფლებების საკითხი წყდება“

— როგორ ფიქრობთ, მოენატრა ქართველ მსმენელს თქვენი სიმღერები?

— რასაკვირველია, მოენატრა, ეს ყოველ ფეხის ნაბიჯზე იგრძნობა. არ მეშინია, რომ ჩვენს კონცერტზე ხალხი არ მოვა, პირიქით, დარწმუნებული ვარ, ბევრი ჩვენი მსმენელი მოიყრის თავს. ვემზადებით, რეპეტიციებს გავდივართ. ეს ყველაფერი ძალიან დამღლელი, მაგრამ სასიამოვნო პროცესია.

„ჩემ გვეხდით ის ქალი არ დგას, ვინც მე მიყვარს“.

— ამ ხნის განმავლობაში ჯგუფის წევრების ურთიერთობები არ შეცვლილა?

— არა, დღესაც ისეთივე ახლო მეგობრები და ნათესავები ვართ, როგორიც უწინ. უბრალოდ გავიზარდეთ, ცხოვრებას და საქმეს სხვანაირად ვუყურებთ. შვილები გვყავს და ჩვენს ოჯახებზე ვზრუნავთ.

„შვილი ვეჰ ჩამმყავს საქართველოში. მან მხოლოდ ჰამდენიმე ქართული სიტყვა იცის — „მე შენ მიყვარხარ“, „არა“ და „ოტაოდენი გინება“.

— რადგან შვილები ახსენეთ, რომ თქვენი ორივე ვაჟი უმამოდ იზრდება?

— ძნელია მათ გარეშე ცხოვრება. როცა საქართველოში ვარ, მთელ დროს უფროს შვილთან ერთად ვატარებ, ამერიკაში — უმცროსთან. რასაკვირველია, მათ იმას ვერ მივცემ, რასაც სრულყოფილ ოჯახში მიიღებდნენ, მაგრამ ვფიქრობ, რომ ისინი გამიგებენ.

ჩემი ამერიკელი ბიჭი, ლიამი, იგივე გიორგი, ჩიკაგოში ცხოვრობს და 2 წლისაა. სიმართლე გითხრათ, ჩემთან მსგავსებას ვერ ვხედავ, თუმცა უკვე ეტყობა, რომ სიმღერა უყვარს. იმედი მაქვს, ჩემს გენებს გაჰყვება. უფროსი ვაჟი, ნიკუშა, დიდი კაცია, 11 წლისაა და თავის ასაკთან შედარებით საკმაოდ დამოუკიდებელია. ორივე შვილი მიყვარს და მენატრება.

— უფროსი ბიჭი იმ ასაკშია, როცა მშობლის, განსაკუთრებით კი მამის, გვერდში დგომა ძალიან სჭირდება. ამ მხრივ, ყურადღებიანი ხართ?

— აქამდე ძალიან რბილად ვექცეოდი, მაგრამ ახლა მკაცრი ვარ. მასში 100 პროცენტით ჩემს ბავშვობას ვხედავ. ზუსტად ისეთია, მის ასაკში მე რომ ვიყავი. როცა ვუყურებ, ხანდახან მეცინება. ორი ერთნაირი ადამიანის ურთიერთობა ხშირად ჩხუბშიც გადაიზრდება ხოლმე და ჩვენც ასე ვართ... (იცინის). ნიკუშასთან მომთხოვნიც ვარ და მკაცრიც.

— გაგიმართლათ, ორ კარგ ქალთან გყავთ შვილები?

— მესამეს ვეძებ... (იცინის)! ნამდვილად გამიმართლა, რომ ორი კარგი ვაჟკაცი მყავს, მაგრამ იმაში არ გამიმართლა, რომ ჩემ გვერდით ის ქალი არ დგას, ვინც მე მიყვარს.

— ისევ ცალმხრივად ხართ შეყვარებული?

— როგორ შეიძლება, რომ მე არ ვუყვარდე ადამიანს?! ის არსებობს ჩემს ცხოვრებაში, მაგრამ არის ხელისშემშლელი ფაქტორები, მაგალითად, ყურადღების ნაკლებობა.

— თქვენ ხართ უყურადღებო?

— ხშირად ვარ საზღვარგარეთ და ამის ფონზე ჩვენი ურთიერთობა ვერ ვითარდება. ქალს ყოველდღე სჭირდება ყურადღება.

— ორ კარგ ქალთან ოჯახი დაგესვრათ. როგორ ფიქრობთ, პრობლემა რაშია?

— ეს მაშინ ხდება, როცა სიყვარული ისეთი ჯანსაღი არ არის, როგორიც უნდა იყოს. ჩემი ორი ქორწინება ალბათ ამიტომაც დაირღვა.

— ამ ყველაფერს სანანული ახლავს თან?

— არაფერს ვნანობ, ორივე შემთხვევაში სწორი გადაწყვეტილება იყო. ჩვენი ოჯახური მდგომარეობა ისეთ ჩიხში შედიოდა, რომ ერთად ცხოვრება აღარ შეგვეძლო. ამიტომაც დავიშალეთ. ასე რომ არ მომხდარიყო, ისეთი მეგობრები ვეღარ ვიქნებოდით, როგორიც ახლა ვართ.

— როგორ აბალანსებთ ყოფილ ცოლებთან ურთიერთობას?

— პირველ ცოლთან ამ შედეგს ადვილად მივაღწიე, მეორესთან კი ახლა ვალაგებ ურთიერთობას.

— რა განსხვავება დაინახეთ ამერიკელ და ქართველ ცოლებს შორის?

— ბევრი განსხვავებაა, მათ შორის — ისიც, რომ ქართველ ცოლს მშობლიურ ენაზე ელაპარაკები. საქართველოში ძალიან

Cyan Magenta Yellow Black

შეგნებული ქალები არიან, ამერიკაში კი მათ დიდი უფლებები აქვთ და ამიტომაც ძალიან „ბლატაობენ“... (იცინის). ამერიკელი ქალები თავზეხელაღებულები არიან. ამ ბოლო დროს ეს ქართველ ქალშიც შეიმჩნევა და ძალიან არ მომწონს. ქალს ქალურობა უნდა ეტყობოდეს, კაცურ თვისებებს არ უნდა ამჟღავნებდეს.

— კაცურ თვისებებში რას გულისხმობთ?

— მაგალითად, ცოლი რომ დაგიჯდება და გეტყვის, იატაკია მოსაწმენდი და მოწმინდეო.

— თქვენი ამერიკელი ცოლი ასე გეუბნებოდათ?

— არა, ღმერთმა დამიფაროს! თუმცა არიან ასეთი ქალები, რომლებიც ქმრებზე მბრძანებლობენ, აბა, ჭურჭელია დასარეცხი და დარეცხეო.

„ამერიკელ ქალებს დიდი უფლებები აქვთ და ამიტომაც „ბლატაობენ“, თავზეხელაღებულები არიან. ამ ბოლო დროს ეს ქართველ ქალშიც შეიმჩნევა და არ მომწონს“.

— და ქართველი კაცი ამას ვერ იტანს...

— რასაკვირველია! წარმოიდგინეთ, ცოლს შეუძლია დარეკოს პოლიციაში და უთხრას, არ მომწონს, ჩემი ქმარი სახლში ხმამაღლა რომ ლაპარაკობსო. პოლიცია მივა და კაცს პირობებს წაუყენებს.

— თქვენ რა მიზეზის გამო დაგესვრათ ოჯახი ამერიკელ ცოლთან?

— ჩემმა მეორე ცოლმა ვერ გააცნობიერა, ვინ ჰყავდა გვერდით.

— მეორე ცოლთან პრობლემები გაქვთ?

— ერთ-ერთი პრობლემა ისაა, რომ ბავშვი ვერ ჩამომყავს საქართველოში. მან მხოლოდ რამდენიმე ქართული სიტყვა იცის — „მე შენ მიყვარხარ“, „არა“ და ცოტაოდენი გინება. სასამართლო მიმდინარეობს ალიმენტზე და ბავშვზე უფლებების საკითხი წყდება.

— მესამედ დაქორწინებასაც აპირებთ?

— ვაპირებ. კაცს გვერდით სჭირდება ქალი, ვინც ეყვარება და ვისთვისაც მთელი ცხოვრება იზრუნებს. აღარ მინდა, ოჯახი მესამედაც დამენგრეს, რადგან ამას დიდი ტკივილი მოაქვს. თუმცა ისიც უნდა ვთქვა, რომ თავისუფლება ყველაზე მაგარია. შეყვარებული ქალები სულ სხვანაირად იქცევიან, მერე, ცოლები რომ ხდებიან, რადიკალურად იცვლებიან. რა ვიცი, შეიძლება მე შემხვდნენ ასეთები.

„შეყვარებული ქალები სულ სხვანაირად იქცევიან, მერე, ცოლები რომ ხდებიან, რადიკალურად იცვლებიან. რა ვიცი, შეიძლება მე შემხვდნენ ასეთები“.

— ალბათ ახლა მაინც ზუსტად გაქვთ ჩამოყალიბებული, როგორი ქალი გსურთ გვერდით.

— ეს არ ვიცი, მაგრამ ერთ რამეს ზუსტად გეტყვით, რომ ჩემ გვერდით ძალიან ბედნიერი იქნება. სანამ დავქორწინდები, ძალიან დავფიქრდები და არ დავუშვებ, რომ ოჯახი მესამედაც დამენგრეს.

— ახლა თქვენს ცხოვრებაში მხოლოდ ერთი ქალი არსებობს?

— მე სულ შეყვარებული ვარ და ჩემი სიყვარულის ობიექტი ყოველთვის ერთია. ერთდროულად რამდენიმე ქალთან ურთიერთობა არასოდეს მაქვს.

— ყველაზე დიდ წარმატებად რას მიიჩნევთ ცხოვრებაში?

— ჩემს ორ ბიჭს და ჯგუფს, რომელთანაც მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება გავატარე.

— ინტერვიუს ბოლოს ისევ ჯგუფზე უნდა გკითხოთ, ქუჩის ბიჭებს ასაკი მოგემატათ, სახელის შეცვლას არ აპირებთ?

— რამდენიმე ადამიანმა იგივე გვითხრა, მაგრამ სახელის გადარქმევა სწორად არ მიმაჩნია. „ქუჩის ბიჭები“ არის ბრენდი და დამთავრდა! სხვა თუ დაირქმევს ამ სახელს, თორემ ჩვენ გადარქმევას არ ვაპირებთ.

— თუ ჯგუფის ყველა გეგმა შესრულდება, თქვენ და ზურა ხაჩიძე საზღვარგარეთ აღარ გაემგზავრებით?

— ჩვენ საქართველოს გარეშე ცხოვრება არ შეგვიძლია, მაგრამ არ გამოვა, რომ უცხოეთში არ წავიდეთ, მით უმეტეს, რომ მე შორეულ ამერიკაში შვილი მყავს. ჯგუფს ახლა საინტერესო ეტაპი დაუდგა, გვინდა, რომ ჩვენს ქვეყანაში ამ საქმით შემოსავალი გვქონდეს.

✓ ლანა კიკნაძე

„როგორც ჩანს, ქალაქში გაზულუქებული წყვილის შთაბეჭდილებას ვტოვებთ“

ოლიმპიური ჩემპიონი რამაზ ნოზაძე სპორტულ ცხოვრებაში ტატამს კი გამოემშვიდობა, მაგრამ შინ მაინც უწევს „ჭიდაობა“. სახლში მისულს 2 წლის გაბრიელა და 1 წლის ოლი კისერზე ეკონწიალებიან, ზოგჯერ კი ცოლის, ხატიას „მწარე“ მუშტების მოგერიება უწევს.

თავის დროზე რამაზ ნოზაძემ და ყოფილმა ტელესახე ხატია სიჭინავამ ოჯახი მართლაც სპორტული ჟინით და მონდომებით შექმნეს. მიუხედავად იმისა, რომ მათ ურთიერთობას ბევრი წინააღმდეგობა ახლდა თან, სიყვარულმა ყველა ბარიერი დააძლევინათ. ხატიასთვის ახლა ყველაზე მთავარი გამოწვევა ორი გოგოს შემდეგ ბიჭის გაჩენაა, თუმცა რამაზისთვის შვილის სქესს დიდი მნიშვნელობა არ აქვს.

ხატია: ჩვენს ურთიერთობაში განსაცდელები, პრობლემები იყო, მაგრამ ახლა ის ყველაფერი კარგად გვახსენდება, ესეც საჭირო იყო. ახლა ორივე ვამბობთ, რომ არ არსებობს ჩვენი თანაცხოვრების პერიოდი, რომელსაც ცუდად გავიხსენებთ.

ხატია: „გათხოვების შემდეგ მთლიანად შევიცვალე იმიჯი, მოუბიზნესი და ინტიგები ღიმა ნახსელში დაჩჩა“.

რამაზი: მე და ხატიას ერთნაირი ხასიათი გვაქვს, ერთნაირად ვფიქრობთ, ვაზროვნებთ, ორივეს ერთნაირი რაღაცეები მოგვწონს. ალბათ მომავალში კიდევ უფრო შევეწყობით, როგორც ცოლ-ქმარი.

— ყველაზე რთული პერიოდი თქვენს ურთიერთობაში რომელი იყო?

ხატია: როცა ერთმანეთს გაშორებულები ვიყავით. ორივე ცალ-ცალკე ვფიქრობდით, გვინდოდა თუ არა ერთად ყოფნა და ორივემ ერთდროულად დავასკვენით, რომ ერთმანეთისთვის ვიყავით შექმნილი. არსებობს ასეთი გამონათქვამი: „მეორე ნახევარი“. ბევრი ამ სიტყვის მნიშვნელობას ვერ ხვდება. მეორე ნახევარი არის ადამიანი, რომელსაც ხმის ამოუღებლად ესმის შენი. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ზუსტად ჩემი მეორე ნახევარი აღმოვაჩინე.

რამაზი: სირთულეების დაძლევა, რა თქმა უნდა, სიყვარულმა შეგვაძლებინა. როცა მივხვდი, რომ ხატია მიყვარდა, ამის შემდეგ ისიც გავაცნობიერე, რომ ყველანაირ დაბრკოლებას დავძლევდი, მიუხედავად იმისა, ეს რა იქნებოდა — ხალხის ბოღმა, ჭორიკნობა თუ ასე შემდეგ. ამ ყველაფერს რომ ჩავწვდი, ჩემი ცხოვრება უკვე ხატიასთან ერთად გავიაზრე.

— მართლა ასე უსიტყვოდ გესმით ერთმანეთის?

რამაზი: მე ხატიასი მესმის და, აბა, ერთი მაგან არ გამიგოს, რა მოუვა! ამხელა მუშტები ტყუილად კი არ მაქვს!

ხატია: მეც მაქვს მუშტები, პატარაა, მაგრამ ძალიან მწარე!

→36

— გიცდიათ ჭიდაობა?

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძის გაწმენდა, ფუნქციის ადგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება. საჭირო გამოკვლევები უფასოა! ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება 0. ძ-ნი ქეთევანი.

☎ 599-90-54-78, 234-02-38

Cyan Magenta Yellow Black

რამაზი: ჭიდაობას ხატია ვერ ისწავლის და ხანდახან ხუმრობით კი ვჭიდაობთ.

— უკვე ორი შვილის მშობლები ხართ. რა შეცვალა ამ ფაქტმა თქვენს ურთიერთობაში?

რამაზი: ჩემი და ხატიას ურთიერთობამ ძალიან დიდი ნაყოფი გამოიღო. ჩვენი ორი ქალიშვილი, გაბრიელა და ოლი, ჩემი ცხოვრების ყველაზე დიდი სიყვარულია, რა თქმა უნდა, ჩემს მეუღლესთან ერთად.

— რა გამოცდილება დაგიგროვდათ ამ ორი წლის განმავლობაში?

ხატია: ჩვენი თანაცხოვრებით რაღაცეები ვისწავლე. ადრე ძალიან ფეთქებადი ხასიათი მქონდა. ყველაფერზე შემეძლო ძალიან დიდი აგრესია გამომეხატა. თუ რამე არ მომწონდა, ამას მაშინვე ხმამაღლა, უხეშად გამოვხატავდი და არ მაინტერესებდა, შემდეგში ამას რა მოჰყვებოდა. ოჯახური ცხოვრებით ჩემს ხასიათში ერთადერთი რამ შეიცვალა — დავბალანსდი. არავინ ცხოვრობს სულ ღიმილით და კისკისით. ვიცი, ჩემს ქმარს თუნდაც ელემენტარული შენიშვნა როდის ვუთხრა. როცა ცუდ ხასიათზეა, ყოველთვის ვცდილობ, ის ელემენტარულიც არ გავაკეთო, რაც მის განწყობაზე ცუდად იმოქმედებს. როცა ადამიანი გიყვარს, ალბათ თავისთავად მოდის ყველაფერი, თორემ აქამდე ეს ჩემს ხასიათში არ იჯდა.

ხამაზი: „აბა, ვინმემ ხელი შემიშალოს, გამოვალ და ხმამაღლა განვაცხადებ, რომ მე ვარ ქართველი და ბიზნესმენობას მიშლიან!".

ყოფილა შემთხვევა, როცა მეუღლეს ჩემთვის ისეთი რაღაც უთქვამს, რასაც არასდროს არავის მოვუთმენდი. ელემენტარულ შენიშვნაზე გეუბნებით. წყვილების უმრავლესობას უთანხმოება იმიტომ მოსდით, რომ ერთმანეთისთვის ხასიათის აწყობა უჭირთ. მე კი ჩემს ქმარზე მორგებული ვარ. ჩემი მეორე ნახევარია და იმიტომ.

— წყვილის ურთიერთობაში მატერიალური მხარე რა როლს თამაშობს?

ხატია: ვიღაცას შეიძლება ეგონოს, რომ უზრუნველად ვცხოვრობთ და ყველაფერი თავზე გვაყრია. არ არსებობს ოჯახი, სადაც ყოფითი პრობლემა არ არის. ფინანსური კრიზისიც გვქონია, მაგრამ ეს ჩვენ შორის ვერასდროს გამოიწვევს უთანხმოებას. ახალდაქორწინებულები ნაქირავებში ვცხოვრობდით. პირველი შვილიც ნაქირავებში გვეყოლა.

რამაზი: როცა ადამიანი გიყვარს, ყველაფერს აკეთებ უკვე შენი ოჯახის გამო, რომ ეს პრობლემები დაძლიო, მით უმეტეს, თუ მეუღლე გვერდში გიდგას. ღვთის წყალობით, მე და ხატია ავეწყვეთ, რაღაცეებს ერთად ვაკეთებთ და ჯერჯერობით ნორმალურად ვართ.

ხატია: როგორც ჩანს, ქალაქში გაზულუქებული წყვილის შთაბეჭდილებას ვტოვებთ. ბევრჯერ მსმენია, ამათ არაფერი აკლიათო. როცა ჯვარი დავიწერეთ, 8 თვის ორსული ვიყავი და „მინივენი" გვყავდა. 8 თვის ორსული, დიდი მუცლით „მინივენით" დავდიოდი, მაგრამ ეს ჩემთვის დიდი ბედნიერება იყო, რადგან საყვარელი ადამიანის გვერდით ვიყავი. ამ პერიოდს ყველაზე კარგად ვიხსენებ. დღეს „ჯიპი" მყავს, მაგრამ ეს გარეგნული სახეა და ჩემთვის ბედნიერებას არ წარმოადგენს.

— რამაზ, ხატიამ თქვა, რომ გათხოვების შემდეგ მის ხასიათს ცვლილებები დაეტყო. თქვენ თუ შეიტანეთ ცვლილებები საკუთარ ხასიათში?

რამაზი: უფრო დავკაცდი. ოჯახი რომ დამაწვა მხრებზე, ჩემი ცხოვრება სხვანაირი გახდა. სპორტს თავი დავანებე, ცხოვრებას გადავხედე და მივხვდი, რომ სხვანაირად იყო აწყობილი. ბიჭუშკასავით აღარ ვარ. ადრე მარტო უნდა მეჭიდავა, მომეგო, ახლა ცხოვრებას უფრო კაცურად ვუყურებ, მინდა, ბევრი ვისწავლო, რაღაცეებში ჩავერთო.

— ალბათ, მამობამაც შეგცვალათ.

რამაზი: ორი გოგონას მამობა ძალიან მაგარია. სახლში რომ მიხვალ და ორივე ერთად კისერზე გეკონწიალება, ამაზე კარგი არაფერია. ცუდი მამა ნამდვილად არ ვარ, ჩემს გოგონებზე ვგიჟდები, ვაფანატებ.

ხატია: საოცრად თბილი მამაა და თბილი ოჯახი გვაქვს, ამიტომ ჩემმა შვილებმა მარტო სიტყვა „მიყვარხარ" იციან. დედაზე და მამაზე ადრე ეს სიტყვა თქვეს. როცა დამინახავენ, დედიკო, მიყვარხარო, მეუბნებიან. მამიკოს მაკოკოს ეძახიან, მაკოკო, მიყვარხარო.

— საზოგადოების ყურადღება არც ერთს გაკლიათ. ერთმანეთზე არ ეჭვიანობთ?

ხატია: არასოდეს. ჩემი ქმარი მთელ საქართველოს უყვარს, ამას თავიდანვე შეჩვეული ვიყავი და ძალიან მეამაყება, რომ მხოლოდ მე ვუყვარვარ ადამიანს, რომელიც მთელი საქართველოს გოგონებს უყვართ.

რამაზი: მე და ხატიას ისეთი ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა, ეჭვიანობის მიზეზი არც მაქვს და არც მექნება. ვიცი, რომ ხატიას ძალიან ვუყვარვარ და მეც ძალიან მიყვარს.

— ხატია, ბიჭის გაჩენას ისევ აპირებთ?

ხატია: მეორე ბავშვზე საკეისრო კვეთა გავიკეთე და ძალაუნებური პაუზა გამომივიდა. რა თქმა უნდა, ბიჭი პროექტშია.

რამაზი: ღმერთმა ქნას, კიდევ ბევრი შვილი მომეცეს, მაგრამ თუ ბიჭი არ მეყოლა, პრობლემა არაა. რა მნიშვნელობა აქვს, ბიჭია თუ გოგო, შვილი შვილია. იმის მანია ნამდვილად არ მჭირს, რომ მაინცდამაინც ვაჟი მყავდეს. ხატია უფრო „დაგრუზულია", ბიჭი უნდა. ბიჭის ყოლის მანია, მგონი, ცოტა არეული ტიპებისაა.

— შვილების აღზრდაში ვინმე გეხმარებათ?

ხატია: ძალიან ბევრი ვინმე. ჩემი უფროსი ქალიშვილი დღემდე ჩემს დასთან წევს. ძიძა მყავს, რომელიც ორივე შვილს მიზრდის და ძალიან კარგი გოგონაა. დედამთილი ხომ მეხმარება და მეხმარება. ბავშვები ნახევარი კვირა დედამთილ-მამამთილთან არიან. დედაჩემი, ფაქტობრივად, დასავლეთ-აღმოსავლეთის გზაზე ცხოვრობს, როგორც კი დამჭირდება, მაშინვე ჩემთანაა.

რამაზი: სიდედრო, როგორ შეგიძლია ამდენი სიარული-მეთქი, ვეუბნები. ძალიან კარგი, საყვარელი სიდედრი მყავს. სიტყვა არ მაქვს დამთავრებული, რომ ეგრევე მოფრინავს.

— ხატია, სილამაზის სალონი გაგიხსნიათ. ტელევიზიას დაემშვიდობეთ?

ხატია: ჩემს ქმარს ვუთხარი, რომ თბილისში სილამაზის სალონი იყიდებოდა და იყიდა ჩემთვის. მითხრა, რადგან ტელევიზიაში ვერ დაიწყე მუშაობა, მინდა, დაკავებული იყოო. ტელევიზიაში დაბრუნებას დიდი ხანია ვგეგმავ. რაღაც პროექტი მაქვს და ვეცდები, რომელიმე არხზე მივიტანო. ეს საბავშვო გადაცემა იქნება. გათხოვების შემდეგ მთლიანად შევიცვალე იმიჯი, შოუბიზნესი და ინტრიგები ღრმა წარსულში დარჩა.

— რამაზ, ბოლო დროს პოლიტიკაში აქტიურად იყავით ჩართული. თუ არ ვცდები, ეკა ბესელიას უჭერდით მხარს. თქვენი სამომავლო გეგმები ისევ პოლიტიკას ხომ არ უკავშირდება?

რამაზი: პოლიტიკაში იმიტომ ჩავერთე, რომ მებრძოლი ადამიანი ვარ, მნიშვნელობა არ აქვს, ქართველს ვინ დაჩაგრავს, ყოველთვის ქართველის გვერდით ვდგავარ და მთელი ცხოვრება ვიდგები. რაც შეეხება ქალბატონ ეკას, ის ძალიან კარგი ქალი და მეგობარია. ჩვენ ოჯახებით ვმეგობრობთ. პოლიტიკისკენ გული ნამდვილად არ მიმიწევს, ეს ჩემი სფერო არ არის. ჩემი ბიზნესები და გეგმები მაქვს. წინა მთავრობის დროს ბიზნესის კეთების საშუალება არ იყო, ახალი მთავრობა მოვიდა, ჩემს საქმეს ვაკეთებ, აბა, ვინმემ ხელი შემიშალოს, გამოვალ და ხმამაღლა განვაცხადებ, რომ მე ვარ ქართველი და ბიზნესმენობას მიშლიან!

✓ ეკა ლემონჯავა

ეკა ბერიძე: „კარგი გარეგნობა იაფი არ ჯდება"

პოპულარულმა ტელესახემ, ჟურნალისტმა ეკა ბერიძემ, ბოტოქსს და მეზოთერაპიას დიდიხნის წინ უთხრა უარი, თუმცა იყო დრო, მათ ინტენსიურად იკეთებდა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ შინაური ბუნებრივი საშუალებების სასწაულმოქმედების სჯერა. უბრალოდ ეს ყველაფერი ძვირადღირებული კრემებით ჩაანაცვლა.

ტელეწამყვანი დიდ ყურადღებას უთმობს მაკიაჟს, ჩაცმულობას, წონას და საკუთარი თავის მიმართ კრიტიკულიც არის. მისი გარეგნული იერი არავითარ შემთხვევაში უნდა იყოს სტილიდან ამოვარდნილი და, მით უმეტეს, ვულგარული. ტელეეთერში მუშაობამ მაკიაჟის სწორად გაკეთებაც ასწავლა, ზუსტად იცის, მის სახეს რა სჭირდება. გარეგნობასთან დაკავშირებით ეხმარება ქმრის რჩევებიც, რომლებსაც ყოველთვის ითვალისწინებს. უფრო მეტიც, მეუღლესთან ათანხმებს, რა მოუხდება და რა იყიდოს.

— ქალბატონო ეკა, რამდენად მოქმედებს წლების მატება ქალის შეხედულებებსა და გემოვნებაზე გარეგნობასთან დაკავშირებით?

— წლები ყველაფერზე მოქმედებს — შეხედულებებზე, გარეგნობაზე, განწყობაზე, გემოვნებაზე და ა.შ. ასაკის მატებასთან ერთად მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს ქალმა თავის თავს. სამწუხაროდ, ეს ხშირ

„ბოტოქსი ჩემს სახეს ხელოვნეს იერს აძლევდა და ამიტომ შევწყვიტე მისი გამოყენება".

შემთხვევაში ფინანსებთან არის დაკავშირებული. სწორი არ არის, როცა ამბობენ, რომ ქალს ბუნებრივი საშუალებებითაც შეუძლია თავს მიხედოს. რა თქმა უნდა, ამ ხერხითაც შეიძლება თავის მოვლა, მაგრამ კარგი კოსმეტიკა, კარგი კოსმეტოლოგი, კარგი მასაჟისტი, სპორტული დარბაზი და ა.შ. მეტ ეფექტს ახდენს.

— რა მოგწონდათ ადრე, რაც დღეს სასურველად აღარ მოგაჩნიათ?

— ჩემი თმის ფერი თავის დროზე მუქი წაბლისფერი იყო, მომწონდა და ვფიქრობდი, რომ ძალიან მიხდებოდა. ახლა მუქი თმა აღარც მომწონს და აღარც მიხდება. როგორც ჩანს, სახე იცვლება წლებთან ერთად და სხვა რამ უფრო გიხდება. ბუნებრივია, ის

Cyan Magenta Yellow Black

„ჩემი თმის ფეხი თავის ღრუზე მუქი ნაბილისფერი იყო, მომწონდა და ვფიქრობდი, რომ ძალიან მიხდებოდა. ახლა მუქი თმა აღარც მომწონს და აღარც მიხდება".

სტილი, რაც რამდენიმე წლის წინ მეცვა, დღეს მოდაში აღარ არის და ამიტომ აღარ მომწონს.

— სუნამოზეც იმაგეს თქმა შეგიძლიათ?

— სხვათა შორის, სუნამოს მიმართ უფრო სტაბილური დამოკიდებულება მაქვს. სამი წელია ერთ სურნელს ვისხამ. სუნამოს რთულად ვცვლი. ის სურნელია ჩემი, რომელსაც მე ვერ ვგრძნობ.

— ბევრი ქალი უფულობას აბრალებს, რომ თავს ვერ უვლის. თქვენი აზრით, ეს სერიოზული მიზეზია?

— ბევრი ქალი ვიცი, ვისაც ფინანსები აქვს, მაგრამ ეს მის გარეგნობაზე არ არის ასახული, მაგრამ მაინც, კარგი გარეგნობა იაფი არ ჯდება.

— ფერები გამოსატანად თქვენს განწყობას?

— საერთოდ მიყვარს ფერადი სამოსი, მიუხედავად იმისა, რომ ახლა შავი მაცვია. შავი ფერი ეთერის თვალსაზრისით არის მომგებიანი. თუ ქალს ფიგურა ხელს უწყობს და შავი ფერით რამეს არ მალავს, უმჯობესია, ზაფხულში ღია ფერების ტანსაცმელი ატაროს. თეთრი სხვა ფერებზე მეტად მიყვარს.

— ტელევიზიაში მეშაობამ ალბათ გასწავლათ, რიგორი მაკიაჟი გიხდებათ ყველაზე მეტად.

— ჩემს სახეს თვალის გამოყოფა აუცილებლად სჭირდება. ახლაც ხედავთ, რომ თვალებზე ე.წ. „სტრელკები" მაქვს. ამბობენ, ეს მოდაში აღარ არისო, მაგრამ ჩემს თვალებს იმდენად უხდება, რომ ყოველთვის გავიკეთებ. ყოველდღიურად, როგორც წესი, ძალიან მსუბუქ მაკიაჟს ვიკეთებ. ტონალურ კრემს საერთოდ არ ვხმარობ. ვისვამ პუდრს და ტუშს — წამწამებზე. ტუჩებზე მსუბუქ მბზინავ საცხს ვისვამ.

— როგორ უვლით კანს? თქვენ ხომ წლებია ვაწყვეთ საეთერო მძიმე გრიმის გამოყენება.

— მაკიაჟს აუცილებლად ვიშორებ ეთერის მერე. საერთოდ, ვცდილობ, თუ ეთერში არ ვარ, მაკიაჟი იშვიათად გამოვიყენო. კოსმეტიკის მოშორების მერე ზოგჯერ ღამის კრემს ვისვამ, კისრის გარშემო კი კანის გამამკვრივებელს. ვცდილობ, დღეში ერთხელ დავიბანო სახე, დანარჩენ შემთხვევაში სველი ხელსახოცით ვიწმენდ, შემდეგ რძით და ბოლოს ლოსიონით. სპეციალურ კოსმეტიკურ საპონს ვიყენებ კანისთვის. დილით, დაბანის მერე, დღის კრემს ვისვამ, ცალკე საცხს თვალების გარშემო და სხვა კრემებს ნიკაპისა და დეკოლტესთვის. შხაპის მერე სხეულისთვის სპეციალურ ლოსიონს ვიყენებ. თუ დრო და საშუალება მაქვს, მასაჟებს ვიკეთებ. ახლა არ მაქვს ვარჯიშის დრო, თორემ ზოგადად ცურვაზე დავდივარ. ზამთარში ვარჯიშის მხრივ ბევრად ზარმაცი ვარ, ვიდრე ზაფხულში.

— არ გიხსენებიათ ბოტოქსი ან მეზოთერაპია. ამ საშუალებებს არ იყენებთ?

— მეზოთერაპია ხუთი წელია არ გამიკეთებია, ბოტოქსი კი — უფრო დიდი ხანია. ბოტოქსი ჩემს სახეს ხელოვნურ იერს აძლევდა და ამიტომ შევწყვიტე მისი გამოყენება.

— რითი ჩაანაცვლეთ?

— ერთ-ერთი ფირმის ძალიან კარგ კრემს ვიყენებ, რომელიც მართლა იმავე ეფექტს იძლევა. საკმაოდ ძვირი ღირს.

— შეგიძლიათ გულწრფელად გვითხრათ, ბოტოქსს გარდა პლასტიკური ქირურგიისთვის მიგიმართავთ თუ არა?

— არა, მხოლოდ ტუჩები მაქვს ელეთი გადიდებული. ეს 13 წლის წინ გავიკეთე და მაშინ მითხრეს, რომ 2 წლის მერე ელე გაიწოვებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა და მუდმივი აღმოჩნდა. არ მინანია, რადგან გადამეტებულად არ არის გაზრდილი.

„ჩემს სახეს თვალის გამოყოფა აუცილებლად სჭირდება. ახლაც „სტრელკები" მაქვს. ამბობენ, მოდაში აღარ არისო, მაგრამ ძალიან მიხდება, რომ ყოველთვის გავიკეთებ".

პლასტიკური ქირურგიის მიმართ დადებითი დამოკიდებულება მაქვს. თუ ვინმეს სჭირდება, ოპერაცია უნდა გაიკეთოს, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია ზღვარის დაცვა და კარგი ექიმის შერჩევა. ბევრი ცნობილი ადამიანია პლასტიკური ქირურგიის მსხვერპლი.

— ქალის გარეგნობაში ცუდ ტონად რას მიიჩნევთ?

— ვულგარულობას არც ერთ შემთხვევაში მივესალმები. ეს შეიძლება იყოს მკვეთრი მაკიაჟი იქ, სადაც საჭირო არაა და ა.შ. ჩასაცმელი, რომელიც ქალს არ უხდება, ასევე შეიძლება ცუდ ტონად ჩაითვალოს.

— წონას შესანარჩუნებლად კვების რეჟიმს იცავთ?

— ვცდილობ, კვების რეჟიმი დავიცვა, რადგან მისი ოდნავი დარღვევაც კი აისახება ჩემს წონაზე. არადა გურმანი ვარ. მშურს იმ ადამიანების, წონაში მატების შიშის გარეშე რომ ჭამენ. ზოგისთვის ჯანსაღი კვებაა წიწიბურა მენიუში, მე კი უფრო კარგად ვინარჩუნებ წონას, როცა ცილოვან დიეტაზე ვარ — უმარილო და უცხიმო ყველზე, მოხარშულ ხორცზე, კვერცხზე, ხაჭოზე და ა.შ. დიეტაზე ყოფნა მუდმივ რეჟიმში მიწევს. ბევრ წყალს არ ვსვამ, მიუხედავად იმისა, რომ ვიცი, კანისთვის და ზოგადადაც ეს კარგია. წყალი იშვიათად მინდება.

— რთულია კარგი გარეგნობის შენარჩუნება?

— კარგი გარეგნობის მოპოვება და შენარჩუნება შესაძლებელია კომპლექსურად, როცა ბევრ რამეს ერთად აკეთებ. ტყუილია, რომ ამბობენ, შვრიის ფაფას შეჭამ და გალამაზდებიო. გარეგნობას კომპლექსური მოვლა სჭირდება.

— შეგიძლიათ აღიარეთ, რა მაგნე ჩვეები გაქვთ?

— ერთადერთი, გვიანობამდე ვერ ვიძინებ. ღამის სამ-ოთხ საათამდე კომპიუტერთან ვზივარ. როცა საქართველოდან მივდივარ, იოლად ვდგები რეჟიმში, ადრე ვიძინებ და ადრე ვიღვიძებ, მაგრამ ეს თბილისში, სამუშაო რეჟიმიდან გამომდინარე, არ გამომდის. სიგარეტს დიდი ხანია არ ვეწევი. ალკოჰოლი არ მიყვარს.

— როგორც წესი, მამაკაცის აზრი განსხვავებულია ქალის გარეგნობის შეფასებისას. ამასთან დაკავშირებით ქმრის რჩევებს ითვალისწინებთ?

— მეუღლის აზრს ვითვალისწინებ და მისი რჩევის გარეშე არც არაფერს ვყიდულობ. ყოველთვის ვეკითხები აზრს, თუ როგორ გამოვიყურები და ა.შ.

— რა დროს ატარებთ სარკის წინ?

— რაც მჭირდება. ჩემთვის მთავარია, თმა კარგად მქონდეს გაკეთებული. სარკეზე დამოკიდებული არ ვარ, მაგრამ, რა თქმა უნდა, ის საჭიროა და ვიყენებ.

— ვინ ვიყურები სარკიდან?

— გამიჭირდება ჩემი თავის აღწერა, განწყობას გააჩნია. არ მჯერა იმის, რომ სამყარო თეთრი და შავია. რომ შეიძლება იყო ძლიერი ან სუსტი. გააჩნია მომენტს. ზოგჯერ ძალიან ძლიერი ვარ, ზოგჯერ— სუსტი. სიტუაციის მიხედვით იცვლება ადამიანში თვისებების ერთი ნაწილი.

— დაბოლოს, 20 წლის ასაკში უფრო მოგწონდათ თავი თუ დღეს?

— არასოდეს მომწონს საკუთარი თავი. ჩემს გარეგნობას ყოველთვის კრიტიკულად ვუყურებ. ვერ ვიტყვი, რომ მაშინ უფრო მომწონდა ჩემი თავი ან ახლა უკეთესი ვარ.

✓ მანანა ნოდია

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

რატომ მისდევდა ქალ მძღოლს ფეხით ონისე ონიანი



„დუტამ მითხრა, საქარე მინაზე დააწერე, საჭესთან ქაჯი ზისო“

ესახიობ ონისე ონიანს ადრე ვერც წარმოედგინა, თუ ოდესმე მანქანის საჭეს მიუჯდებოდა. 39 წლის იყო, როცა მიხვდა, რომ ავტომობილის გარეშე ხუთ თეატრს შორის სირბილი აღარ შეეძლო. მართვა სამ დღეში ისწავლა, მეხუთე დღეს კი უკვე „ფორდ ესკორტის“ საჭესთან იჯდა. სწორედ აქედან დაიწყო მანქანასთან შეჩვევის ძმიმე ერთი წელიწადი. მთელი წლის განმავლობაში ცდილობდა, მასთან „საერთო ენა“ გამოენახა. ერთ დღესაც, როცა დააფიქსირა, რომ საჭესთან სიგარეტსაც ეწეოდა, მუსიკასაც უსმენდა და ტელეფონსაც პასუხობდა, მიხვდა, რომ უკვე მძღოლი იყო.

9 წლის განმავლობაში 3 მანქანა გამოიცვალა, სამივე სედანი. ორწელიწადნახევარია, რაც „მიცუბიშის“ ჯიპს მიუჯდა. ახლა არც რაჭაში, აგარაკზე სიარული უჭირს და ოჯახთან ერთად ლაბრადორიც კომფორტულად მგზავრობს.

— ბატონი ონისე, რამ გადაგაწყვეტინათ საჭესთან დაჯდომა?

— 39 წლის ვიყავი, როცა საჭესთან პირველად დავჯექი. მარჯანიშვილის თეატრშიც ვმუშაობდი, რუსთაველის თეატრალურ სარდაფშიც მქონდა სპექტაკლები და კინომსახიობთა, სამეფო უბნის და ერთი მსახიობის თეატრებშიც. ყველგან მისვლა უნდა მომესწრო თავის დროზე. უკვე ვგრძნობდი, რომ შინაგანად ვილეწებოდი, სადღაც ყოველთვის მაგვიანდებოდა. ერთ დღესაც გაჩერებაზე ვიდექი და ვთქვი, მორჩა, ხვალ მანქანა უნდა ვიყიდო-მეთქი! არც ფული მქონდა და არც მართვის მოწმობა. მარჯანიშვილზე ავტოსკოლაში ისეთ მასწავლებელთან მივედი, მართვა ზუსტად სამ დღეში მასწავლა.

— ძალიან მოწადინებული ყოფილხართ.

— ნამდვილად. საჭესთან თავიდან ძალიან დაძაბული ვიჯექი. მასწავლებელმა მითხრა, რომ დარწმუნდე, მანქანა კარგად დაგყავს, უკან დავჯდებიო. მოკლედ, გავატარე მანქანა და რა გავატარე! როგორ შეიძლება, სამ დღეში მანქანის მართვა ისწავლოს კაცმა?! ქუჩების გაგებაში არ ვიყავი!

— მანქანაც ასეე სწრაფად იყიდეთ?

— კი. უცებ აღმოჩნდა, რომ ჩემი ნათესავი „ფორდ ესკორტს“ ყიდდა. სასწრაფოდ გამოვართვი, ფული კი ერთი თვის შემდეგ მივეცი. მოკლედ რომ გითხრათ, მეხუთე დღეს უკვე მყავდა მანქანა. სულ მარტო დავჯექი და ქალაქში გავედი.

— რა სირთულეებს წააწყდით ახალბედა მძღოლი?

— მაგის მეტი რა მახსოვს! ერთ მშვენიერ დღეს თეატრალური სარდაფიდან გამოვედი. წინ ერთი მეგობარი ჩამოჯდა, დანარჩენები უკან უნდა ჩამსხდარიყვნენ. დასხედით-მეთქი, ვუთხარი. ჩაგვსხი და ჩავსხდებითო. გააღეთ კარი და დასხედით- მეთქი. გენაცვალე, მანქანას კარი არ აქვს და როგორრო... მთელი ორი კვირა რატომღაც მეგონა, რომ ოთხკარიანი მანქანა მყავდა.

— მანქანასთან დაკავშირებით შეკითხვა თუ ვგვიწყდებოდა, ჯის მიმართავდით?

— ამ დროს დუტას (მსახიობი დუტა სხირტლაძე. ატვ.) ვურეკავდი, მოდიოდა, მანქანას სასურველ ადგილზე დააყენებდა და მიდიოდა. ერთხელაც მითხრა, საქარე მინაზე დააწერე, საჭესთან ქაჯი ზისო.

— ეს რატომ გითხრათ?

— ერთ ძალიან ცხელ დღეს ბარნოვზე მივდიოდი. ჩემ წინ მიმავალმა მანქანამ ძალიან ცუდი მანევრი გააკეთა და ავაცილე, მაგრამ, ვაი, იმ აცილებას! ამ სიჩქარეში რაც კი საჭესთან ღილაკი არსებობდა, ყველაფერს ხელი ავკარი. რა აღარ ჩაირთო — შუშის საწმენდი, ღუმელი, ციმციმები... თან, კი არ ვასიგნალებდი, ბოლო ხმაზე ვყვიროდი! ხალხი გადარეული მიყურებდა. მოკლედ, მანქანის დახმარებით კი თავის დროზე მივდიოდი ადგილზე, მაგრამ მართვის პროცესი ჩემთვის დიდი ტანჯვა იყო.

— პროფილაქტიკაში სიარულიც ალბათ სწორად გიწყდათ.

— პროფილაქტიკაში პირველი ვიზიტი განსაკუთრებულად დასამახსოვრებელი იყო. მივიყვანე მანქანა და ხელოსანმა დალაგებული სახით მკითხა, თქვენს ავტომობილს ძრავი რამდენი აქვსო. ერთი-მეთქი, ვუპასუხე. არა, გენაცვალე, ძრავი რამდენი აქვსო, გამიმეორა. ახლავე ავხდი კაპოტს და გაჩვენებთ, რომ ნამდვილად ერთი ძრავი აქვს-მეთქი. დამაყარეს სიცილი. მერე კარგად ამიხსნეს, რომ თურმე გამწეობის ძალას მეკითხებოდნენ.

— ალბათ თავიდან ქალაქგარეთ გასვლაც გიჭირდათ.

— კი, მაგრამ ოდესმე ხომ უნდა გამერისკა?! ავტობანზე სიარულს თავისი მანევრების კეთება და ცოდნა უნდა. 4 თვის მძღოლი ვიყავი და რაჭაში წასასვლელად მთელი ერთი კვირა ვემზადებოდი. ყველას ვეკითხებოდი, იქამდე როგორ უნდა ჩავსულიყავი. დაგეგმე, რომ არც ერთი მანქანისთვის არ უნდა გადმესწრო, მაგრამ შორ გზაზე წავედი თუ არა, იქ დამთავრდა ჩემი შიშები.

— თავდაჯერებული მძღოლი ვახდით?

— ერთ წელიწადში უკვე თავდაჯერებული მძღოლი ვიყავი. მეგობარმა მითხრა, როცა საჭესთან სიგარეტის მოწევას დაიწყებ, მაგნიტოფონს ჩართავ და ტელეფონსაც უპასუხებ, მაშინ უკვე ტარებაც იცი. ერთ დღესაც დავაფიქსირე, რომ ამ ყველაფრის კეთება ერთდროულად შემეძლო.

— ახლა ის გვისთარით, ჯიპის შესახებ რამ გადაგაწყვეტინათ.

— რაჭაში სახლი მაქვს, ყოველ წელიწადს იქ ვისვენებ და ჯიპიც ამიტომ ვარჩიე, თან მონასტრებში მოსალოცად ხშირად დავდივარ. სადაც მინდა, ჩემი პატარა ჯიპუკა ყველგან მიდის. სედანის ტიპის მანქანები რომ მყავდა, იქ ძალაუნებურად ძაღლი სალონში უნდა ჩაგვესვა. ამ ავტომობილის საბარგულში კი ჩვენს ლაბრადორს თავისი ადგილი აქვს. უჭკვიანესი ძაღლია, მშვენივრად მგზავრობს.

— ცხრაწლიანი გამოცდილების გათვალისწინებით, როგორი მძღოლი ხართ?

— ვფიქრობ, რომ დაკვირვებული და, როგორც დუტა ამბობდა, ქაჯივით არ დავდივარ. ვცდილობ, მოძრაობის წესიც არ დავარღვიო, მაგრამ ხანდახან სრულიად შემთხვევით შემომერღვევა ხოლმე. რამდენიმე დღის წინ აკრძალულ ადგილზე მივაჩერე მანქანა და საქმეზე ერთ ადგილას შევედი. გამოვედი და სადღაა მანქანა! ძალიან ცხელოდა, ვიფიქრე, ალბათ წნევამ ამიწია და ველარ ვხედავ-მეთქი, ამიტომ რამდენჯერმე ავიარ-ჩავიარე. ბოლოს ხილის გამყიდველს ვკითხე, აქედან ავტომობილი ხომ არ წაუყვანიათ-მეთქი და კი, თეთრი ჯიპი წაიყვანესო. იმხელა შევყვირე, ბანანს ჭამდა და ხელიდან გაუვარდა. ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა „სითი პარკმა“ მანქანა მომპარა.

— კიდევ რა სახის ჯარიმები მიგიღიათ?

— სიმთვრალეზე ორჯერ მივიღე 200 ლარიანი ჯარიმა. ერთხელ მხოლოდ 3 ჭიქა მქონდა დალეული და მეორედ ძალიან მთვრალი ვმართავდი საჭეს. პატრულმა რომ გამაჩერა, მანქანის კარი გავაღე თუ არა, გადავვარდი და ასფალტზე დავწექი. იქიდან ავძახე, ალბათ ჩემი საბუთები გინდათ და ფიქრობთ, რომ მთვრალი ვარ-მეთქი. დაიხოცნენ სიცილით. მიცნეს კიდეც, მაგრამ ამით არ მისარგებლია. მას შემდეგ ნასვამი ვჯდები საჭესთან კი არა, ლიქიორიან შოკოლადსაც არ ვჭამ. მით უმეტეს, ახლა, როცა წესები გამკაცრდა.

— ახლა რა მიზეზით შეიძლება პატრულმა გაგაჩეროთ?

— რამდენჯერმე ტელეფონზე საუბრის გამო გამაჩერეს. ერთხელ ტელეფონზე ვლაპარაკობდი და პატრულმა გამაჩერა. მობილურს ხელი გავუშვი და ხელი არ ჩამომიღია, ვითომ ყურს ვიფხანდი. მოვიდა პატრული და მითხრა, ტელეფონზე ლაპარაკობდითო. არა, ბატონო, ტელეფონი საერთოდ არ მაქვს-მეთქი. მობილური სადღაც ჩასრიალდა. სულ ვფიქრობდი, ვინმეს არ დაერეკა და არ გავყიდულიყავი. მოკლედ, იმდენ ხანს ვუმტკიცებდი, არ ვლაპარაკობდი-მეთქი, მეორე პატრულიც გადმოვიდა. მას ჩემი უამრავი სპექტაკლი ჰქონია ნანახი და მიცნო. მოკლედ რომ გითხრათ, გავშინაურდით და ვუთხარი, თუ ძმა ხარ, გადმომირეკე, ტელეფონს ვერ ვპოულობ-მეთქი. მერე თავისი ბავშვის ნათლობაში დამპატიჟა, მერე მეც დავპატიჟე და ასე დავმეგობრდით.

ერთხელ ძალიან დაღლილი ვიყავი და წითელზე გავიარე. პატრულმა გამაჩერა და წითელზე გაიარეო, მითხრა. გავიკვირვე, არ არსებობს-მეთქი. დამიწყო მტკიცება და თან ეცინებოდა. ხედავთ, რა დაღლილი ვარ, ფერები ისე ამერია, წითელს და მწვანეს ერთმანეთისგან ველარ ვარჩევ-მეთქი. ბევრი ვიხორხოცეთ და არ დამაჯარიმა.

— მოძრაობის დროს ყველაზე მეტად რა ეთმობით ხელს?

— ქალი მძღოლები! მათ მიმართ ძალიან კრიტიკულად ვარ განწყობილი. კაცი როცა მოძრაობს, დისტანციას წინასწარ გრძნობს. ქალი კი მანქანის გაჩერებას ერთი საათით ადრე იწყებს. რეაქციები კაცს უფრო მეტად აქვს განვითარებული.

— ქალ მძღოლს აკრძალული სიტუაცია შეუქმნია თქვენთვის?

— როგორ არა! ერთხელ ელბაქიძეზე უნდა ჩამეხვია, ჩემ წინ ქალი მოძრაობდა, ციმციმა ხან მარცხნივ ჩამირთო, ხან— მარჯვნივ. ვერ მივხვდი, რას აკეთებდა. გავმწარდი, მანქანა თეთრ ხაზზე გავაჩერე, გადავხტი და გააჩერე-ს ძახილით ქალს ფეხით გავეკიდე, ოღონდ რატომ მეგონა, რომ დამელოდებოდა, არ ვიცი. ვერ ხარ შენ დალაგებულიო, მომძახახა და გავარდა. არსებობს რაღაცეები, რაც კაცებს კარგად გამოსდით და ქალები საერთოდ ვერ აკეთებენ, მაგრამ მაგარი ქალი მძღოლებიც მინახავს, მაგალითად, ეკა ნიჟარაძე.

— მანქანასთან დაკავშირებით ახლო მომავალში რასმე გეგმები თუ გაქვთ?

— ბოლო დროს „ტოიოტას“ ჯიპი მომმინდა. ჯერ ცოტა პრობლემები გვაქვს მოსაგვარებელი — ბათუმში ბინა აგვიშენდა, თბილისშიც ახალი ბინა შევიძინეთ და ბევრი ხარჯი გვაქვს. ერთ წელიწადში კი ალბათ მოვახერხებ და „ტოიოტას“ ჯიპს ვიყიდი.

✓ სოფიო ბოჭორიძე

Cyan Magenta Yellow Black

ვარსკვლავთსიახლენი

რიანა შოპინგზე საცურაო კოსტიუმით დადის

მომღერალი რიანა მონაკოში იმყოფება, სადაც მისი მსოფლიო ტურნე „დაიმონდსი“ დასრულდა. ფინალური კონცერტი სწორედ მონტე კარლოში გაიმართა, სადაც მსმენელს სამი საათი ლოდინი მოუხდა, სანამ მომღერალი სცენაზე გავიდოდა.

კონცერტის შემდეგ პოპ ვარსკვლავი დასვენებაზე გადაერთო. მონტე კარლოში შოპინგობს და იახტაზე რელაქსაციის საღამოებსაც იწყობს. პაპარაცებმა რიანა მეგობრებთან ერთად დაიფიქსირეს, როდესაც მონტე კარლოს მაღაზიებში შოპინგზე გავიდა. მომღერალმა არჩეული ტანსაცმლით ამჯერადაც გააკვირვა თაყვანისმცემლები. რიანა ქუჩაში შავი საცურაო კოსტიუმითა და გამჭვირვალე ბლუ-



ზონით დადიოდა. ამჯერად ქუსლებზე უარი თქვა და არჩევანი სანდლებზე შეაჩერა. მომღერლის ასეთი ჩაცმულობა დიდი განხილვის საგანი გახდა. „ამას მხოლოდ რიანა თუ გაბედავდა“, — წერს დასავლური პრესა. მოგვიანებით რიანამ ამ თემაზე კომენტარი სოციალურ ქსელში გააკეთა:

— ვგიჟდები, როცა ჩემს ჩაცმულობაზე ასე სერიოზულად საუბრობენ.

ბენ აფლეკს ოქროს კბილები გამოუჩნდა

40 წლის ამერიკელი მსახიობი ბენ აფლეკი დაცინვის ობიექტი გახდა. პაპარაცებმა ის თავის მშობლიურ კალიფორნიაში გამოიჭირეს, როცა რეჟისორ დევიდ ფინჩერს ესაუბრებოდა. როგორც ჩანს, რეჟისორის ერთ-ერთმა ფრაზამ მსახიობი ისე გაამხიარულა, რომ გადაიხარხარა და სწორედ მაშინ გამოუჩნდა ორი ოქროს კბილი.

ჟურნალ „ფორბსის“ გამოკითხვების მიხედვით, ორი ოსკარის მფლობელი ბენ აფლეკი ავტორიტეტული მამაკაცების ათეულშია შესული. უცნაურია, რომ ჰოლივუდის პოპულარულ მსახიობს იმპლატანტების ჩადგმაში, რომ ბუნებრივი კბილები ჰქონოდა, ფული დაეხარჯა, შეიძლება ის უბრალოდ მიიჩნევს, ეს მამაკაცისთვის მნიშვნელოვანი არ არის. მისი „ოქროს“ ღიმილი დიდ საიდუმლოდ რჩება.



კრისტენ სტიუარტმა რობერტ პატინსონის დაბრუნება გადაწყვიტა

ამპირული საგა „ბინდის“ ვარსკვლავს, კრისტენ სტიუარტს, სურს, რომ ყოფილი შეყვარებული რობერტ პატინსონი დაიბრუნოს. პრესაში გავრცელებულმა ინფორმაციამ, რომ პატინოსნმა როკ ენ როლის მეფის, ელვის პრესლის შვილიშვილთან გააბა რომანი, როგორც ჩანს, სტიუარტს გრძნობები გაუძლიერა და გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმისკენ უბიძგა.

23 წლის მსახიობმა თავისი გრძნობები უჩვეულოდ გამოხატა. ჰოლივუდის ქუჩებში სტიუარტის „პიკაპი“ შენიშნეს, რომელსაც თავად მსახიობი მართავდა. მანქანის წინა მხარეს კი ამშვენებდა წარწერა: „მე შენ მიყვარხარ, რობ!“. ამ ფრაზამ გაცხოველებული ინტერესი გამოიწვია. ზოგი თვლის, რომ ეს მსახიობის ფანებმა გააკეთეს, უმეტესობის აზრით კი, კრისტენ სტიუარტმა ეს თავად გააკეთა, რადგან იცოდა, ადრე თუ გვიან ამას ვინმე შენიშნავდა.

■ კრისტენ სტიუარტი და რობერტ პატინსონი

■ კამერონ დიასი

კამერონ დიასი: «ერთი წელია, კაცს არ შევხვედრივარ»

კამერონ დიასი თავისი მდგომარეობით სერიოზულად არის შეშფოთებული. მის ცხოვრებაში ყოველთვის საინტერესო მამაკაცები იყვნენ, მათ შორის — ჯარედ ლეტო, მეტ დილანი, ალექს როდრიგესი და ჯასტინ ტიმბერლეიკი. 40 წლის მსახიობი ახლა უმამაკაცობას განიცდის.

— როცა ჯასტინმა ცოლი მოიყვანა, მინდოდა, გარკვეული პერიოდი მარტო ვყოფილიყავი. არ მეგონა, თუ ჩემი მარტოობა ამდენ ხანს გაგრძელდებოდა. ერთი წელი პაემანზე არ ვყოლფილვარ და ჩემით აღფროვანებული მამაკაცის თვალები არ დამინახავს. ეს კატასტროფაა. 40 წლის ქალისათვის უმამაკაცობა არაფრით შეიძლება. ახლა ოფიციალურად ვამბობ, რომ თავდაჯერებულ და პერსპექტიულ კაცს ვეძებ. მინდა, გავთხოვდე, — ამბობს მსახიობი.

ანჯელინა ჯოლის ახალი მკერდი აქვს

მსახიობი ანჯელინა ჯოლი, რომელმაც მკერდის კიბოს რისკის გამო სარძევე ჯირკვლები ამოიკვეთა, თავისი ახალი მკერდის პრეზენტაციას ყველგან ამაყად ახდენს. ჯოლიმ საკუთარ თავს იმის უფლებაც კი მისცა, რომ შავი მაისურის ქვეშ ბიუსტჰალტერი არ ჩაეცვა და ფოტოები ისე გადაეღო.

■ ანჯელინა ჯოლი

— ანჯელინას ქალურობა ახლა უფრო თვალშისაცემია. მკერდის მოკვეთის შემდეგ მან უფრო დიდი და სავსე მკერდი გაიკეთა, — ამბობს მსახიობის ერთ-ერთი მეგობარი.

ანჯელინამ მკერდის მოკვეთის შესახებ პირველად 13 მაისს განაცხადა. ეს მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც შეიტყო, რომ ძუძუს კიბოს გენის მატარებელია. ახალი ცხოვრება ანჯელინამ ახალი მკერდით დაიწყო. თავს ძალიან ბედნიერად გრძნობს. ბრედ პიტიც კმაყოფილია ცოლის გადაწყვეტილებით.

ზაზა მარგველანის განახლებული სტომატოლოგიური კლინიკა

ტელ: 599-11-00-03
წინასწარი ჩაწერით

კბილები ერთ დღეში

www.margvelani.ge

ჯენიფერ ლოპესი მძიმე ბავშვობაზე ალაპარაკდა

ჯენიფერ ლოპესი

 პოპულარული შავგვრემანი ვარსკვლავი, ჯენიფერ ლოპესი, ცეცხლოვან ქერათმიანად გარდაისახა. ამ ექსპერიმენტს იმისთვის მიმართა, რომ ცნობილი ამერიკული ჟურნალის ყდაზე მოხვედრილიყო. 43 წლის მომღერალმა გამოცემასთან თავისი წარსულიდან ბევრი მძიმე მომენტი გაიხსენა, როცა ის თავის ორ დასთან ერთად ერთ ოთახში ცხოვრობდა.

— მე შუათანა ვიყავი და სპორტული ცეკვებით გახლდით გატაცებული. მთელ დღეებს ცეკვის სტუდიაში ვატარებდი. კოლეჯში წასვლა არ მინდოდა. დედაჩემი ამას ეწინააღმდეგებოდა და ამიტომ სახლიდან წამოვედი. ღამეებს სტუდიაში, დივანზე ვათენებდი და დანებებას არ ვაპირებდი. რამდენიმე თვის შემდეგ ევროპაში ქორეოგრაფის ადგილი შემომთავაზეს, იქიდან რომ დავბრუნდი, ლოს ანჯელესში დავიწყე ცხოვრება. თავიდან მეგაპოლისს ვერ ვიტანდი, ქალაქს, სადაც არავინ მიგასწავლის, რძე სად იყიდება. მერე თანდათან შევეჩვიე და შემიყვარდა...

მთელი ბავშვობა მშობლების მძიმე შრომას ვუყურებდი. პატარა რომ ვიყავი, მამა გვიან ღამემდე მუშაობდა, რომ ოჯახში პური შემოეტანა. დედა კი გამყიდველიც იყო და სკოლაშიც ასწავლიდა. მე იმ შეგრძნებით ვცხოვრობდი, რომ მათი იმედები არ უნდა გამეცრუებინა. ცუდად მოქცევის უფლება არ მქონდა. ძალიან ამტანი ვარ, შემიძლია დიდხანს ვიცადო, — განაცხადა 43 წლის მომღერალმა.

ევა ლონგორიას გაღატაკებული მილიონერი შეუყვარდა

ევა ლონგორიამ ცოტა ხნის წინ საჯაროდ აღიარა, რომ მას რომანი აქვს ბიზნესმენ ერნესტო არგუელოსთან. მსახიობის იმედები, რომ მილიონერის გვერდით იცხოვრებდა, არ გამართლდა, ბიზნესმენი სრული ბანკროტი აღმოჩნდა. მისი ვალი 4 მილიონ დოლარს აღემატება. 33 წლის ბიზნესმენმა თავისი ფული არასაწორად შერჩეულ პროექტებში დააბანდა და წააგო კიდეც. 38 წლის ევა ლონგორია მასზე იმდენად არის შეყვარებული, რომ საყვარელი მამაკაცის ფინანსური პრობლემები სულაც არ ადარდებს. ჰოლივუდში კი უკვე ჭორაობენ, რომ ხელმოცარულ ბიზნესმენს ევას ქონება უფრო აინტერესებს, ვიდრე სიყვარული.

ევა ლონგორია და ერნესტო არგუელო

ევამ და ერნესტომ ერთმანეთი ტელეშოუში „რედ ფორ ლავში“ გაიცნეს, სადაც ევა პროდიუსერი იყო, ხოლო ბიზნესმენი — პროექტის მონაწილე. ნაცნობობა მალე ვნებიან რომანში გადაიზარდა. როგორც ევას მეგობრები ამბობენ, ამ სიყვარულმა ევას თავი დააკარგვინა.

ჯენიფერ ენისტონმა და ჰოლი ბერიმ ქორწილის დღეები გამოაცხადეს

ჰოლივუდში დიდი საქორწილო მზადებაა. როგორც იქნა, ჯენიფერ ენისტონმა და მისმა შეყვარებულმა ჯასტინ ტერუმ ქორწინების დრო და ადგილი შეარჩიეს. ვარსკვლავური ქორწილი კალიფორნიაში დეკემბრის დასაწყისში შედგება.

— ჯენიფერი და ჯასტინი დიდხანს არჩევდნენ სასურველ ვარიანტს. ჯენიფერს ლოს ანჯელესში უნდოდა ქორწილი, ჯასტინს კი აღმოსავლეთი სანაპირო ხიბლავს და ამიტომაც კალიფორნიის ვარიანტმა გაიმარჯვა, — ამბობს ენისტონის პრესმდივანი.

ჯენიფერ ენისტონი და ჯასტინ ტერუ

ჰოლი ბერი და ოლივიე მარტინესი

44 წლის პატარძალი და 41 წლის სიძე ახლა საცხოვრებელი ადგილის შერჩევის პროცესში არიან. ჯენიფერი თავის სახლად ლოს ანჯელესს მიიჩნევს, ტერუ კი — ნიუ იორკს.

მსახიობი ჰოლი ბერი და მისი შეყვარებული ოლივიე მარტინესი შეუღლებას თვის ბოლოს გეგმავენ. მათი ქორწილი ჰოლი ბერის ორსულობამ დააჩქარა.

— ქორწილისათვის სამზადისი თითქმის დასრულებულია, ჰოლიმ შეარჩია საპატარძლო კაბა, რომელიც მის მუცელს უფრო გამოკვეთს. მათ უნდოდათ, რომ კანონიერი ცოლ-ქმარი ბავშვის დაბადებამდე გამხდარიყვნენ. ჯვარს პარიზის პატარა ეკლესიაში დაიწერენ. ცხოვრებასაც პარიზში აპირებენ, — ამბობს ინფორმაციის წყარო.

რამდენიმე წარუმატებელი ქორწინების შემდეგ ჰოლი ბერის გათხოვება საერთოდ აღარ უნდოდა, მაგრამ ამ სიყვარულმა გეგმები შეუცვალა. მსახიობი ამბობს, რომ არასდროს უნდა თქვა რაიმეზე, რომ მას ცხოვრებაში არ გააკეთებ.

დესქუაირედის თამამი ქალი



დესქუაირედის მოდის სახლის დიზაინერი ძმები დენ და დან კატენები ცნობილები არიან არასტანდარტული, თავისუფალი, თამამი მოდელებით. მათი ინტერესის სფერო ახალგაზრდა თამამი ქალები არიან. 2013 წლის გაზაფხული-ზაფხულის კოლექციაც არ აღმოჩნდა გამონაკლისი. კოლექციაში იყო ექსტრემალური მინი, პოლიციური კეპები, ჭრელაჭრელა, ყვავილებიანი ფორმები, შორტები, დახეული მაისურები, ტყავის ქურთუკები და მასიური ფეხსაცმელი. ყველაზე ლამაზი კი უჩვეულო და ასიმეტრიული კაბები გახლდათ.







როგორ გააოცა ლეგენდარული ლივერპულელი მწვრთნელის ვაჟი ზაზა ხუციშვილმა

მუსიკოსი ზაზა ხუციშვილი ხშირი საზღვარგარეთული მოგზაურობებით არც ისე განებივრებულია, მაგრამ არც ცოტა ქვეყანა აქვს ნანახი. ცოლი, ხათუნა დოლიძე, მისთვის ყველაზე კომფორტული თანამგზავრია, ამიტომაც ახსოვს ძალიან სასიამოვნოდ საქორწინო მოგზაურობა გერმანიაში, რასაც იტალიის დათვალიერებაც მოჰყვა. ამან კი ახალდაქორწინებულ წყვილს წარუშლელი შთაბეჭდილება დაუტოვა. მუსიკოსი თავის ჯგუფ „ვაკის პარკთან“ ერთად ყოველ წელს აზერბაიჯანის სტუმარია და თვლის, რომ ყველაზე კარგი მსმენელი სწორედ იქ ჰყავს.

ზაზა ხუციშვილს წლევანდელი ზაფხული უკვე დაგეგმილი აქვს — წყნეთის მახლობლად აგარაკზე გადაბარგდა, ცოტა ხნით ზღვაზე დასვენებასაც მოასწრებს და აგვისტოში გერმანელ სიძესაც უმასპინძლებს საქართველოში.

— ზაზა, როგორ იგეგმება თქვენი მოგზაურობები?

— მოგზაურობა ალბათ ყველა ადამიანის ოცნებაა და, შესაძლებლობის მიხედვით, ყველა სხვადასხვანაირად ახერხებს. სიმართლე გითხრათ, წინასწარ დაგეგმილი ჩემი საქორწინო მოგზაურობა გახლდათ, რომელიც ძალიან დიდი ხნის წინ, 2004 წელს იყო. მას შემდეგ, ჯგუფ „ვაკის პარკის“ კონცერტებს თუ არ ჩავთვლით მეზობელ აზერბაიჯანში, დაგეგმილად არსად მიმოგზაურია.

— გვიამბეთ საქორწინო მოგზაურობაზე.

— 12 დღე გერმანიაში, ჩემს დეიდაშვილთან, ბიბერახში გავატარეთ. ავტომანქანის შეძენა გვქონდა დაგეგმილი, ვიყიდეთ და თითქმის მთელი სამხრეთი გერმანია მოვიარეთ. ჩემს ცოლს სამხატვრო აკადემია აქვს დამთავრებული, იტალია ძალიან აინტერესებდა და გზად იქაც გამოვიარეთ. ვენეცია, ფლორენცია, პიზა და რომი მოვიარეთ. ხათუნა ჩემთვის ყველაზე კომფორტული თანამგზავრია.

— რა შთაბეჭდილებები დაგიტოვათ იტალიამ?

— შთაბეჭდილებები, რა თქმა უნდა, ყოველთვის წარუშლელია. თუ ქვეყანას და ხალხს მრავალფეროვან ჭრილში შევაფასებთ, ვთვლი, რომ იტალია დიდი ქვეყანაა თავისი ისტორიით, კულტურით, ხელოვნებით, ტურისტული ინფრასტრუქტურით, თანამედროვეობით, სპორტითა და მუსიკით. იტალიელები უნიჭიერესი ხალხია და ალბათ ტურისტული თვალსაზრისითაც მთელი მსოფლიოსთვის ყველაზე საინტერესო ქვეყანაა. განსაკუთრებით გერმანელი ტურისტები აქტიურობენ. იტალიაში მანამდეც ნამყოფი ვიყავი, მაგრამ მეორედ კიდევ უფრო დიდი სიამოვნებით დავათვალიერე. ფლორენციის აკადემიაში სანამ დავითის ძეგლთან მიხვალთ, მიქელანჯელოს მონების სერიაა, რომელიც უნიკალური ჰიტი, ქვის გაცოცხლების ყველაზე ნათელი მაგალითია. ამ ძეგლების ნახვისას ჩემს ცოლს ცრემლები წამოუვიდა. ფლორენციაში უფიცის ცნობილი გალერეაც ბევრისმთქმელია. რომი თავისი გრანდიოზული კოლიზეუმით, წმინდა პეტრეს ტაძრით, ვატიკანითა და სიქსტის კაპელით, რომია და მორჩა! სიმართლე გითხრათ, რომი ჩემთვის ცოტა დამღლელი ქალაქიც იყო.

— რატომ?

— სიქსტის კაპელაში რომ შედიხარ, ტურისტების სიმრავლე და ხმაური საშუალებას აღარ გაძლევს, ისეთი სიამოვნება მიიღო, როგორსაც სიმშვიდეში მიიღებდი. არანორმალურ რეჟიმში გიწევს დათვალიერება. მუზეუმების დათვალიერება 10-12 ევროზე ნაკლები არ ღირს. პირველად იქ 1990 წელს ვიყავი და მას შემდეგ ფასები საკმაოდ გაზრდილია. გარდა ამისა, სუვენირების ყიდვაზე ძალიან დიდი რიგები იდგა...

— ჩამოიტანეთ სუვენირები?

— აწ გარდაცვლილი ჩემი სიმამრი მხატვარი იყო და იტალიიდან რაღაცრაღაცეები წამოვუღე, მათ შორის, მიქელანჯელოს სიქსტის კაპელიდან ადამისა და ღმერთის შეხების ძალიან კარგი ხარისხის რეპროდუქცია ჩამოვუტანე... თუმცა ვერ გეტყვით, რომ საზღვარგარეთ საყიდლებზე სიარული მიყვარს. ამ საკითხში მოვიკოჭლეს და მეგობრები მჯობნიან. ჩემს ცოლს კი უყვარს საყიდლებზე სიარული.

— კიდევ რომელ ქვეყნებში ხართ ნამყოფი?

— 2007 წელს ინგლისში ვიყავი, ოღონდ ცოლის გარეშე. ლივერპულში „ბიტლზვიქზე“ („ბიტლზის“ კვირეულზე. რედ.) ვიყავი. ეს არის შესანიშნავი კვირეული, როცა ლივერპულში მთელი მსოფლიოს ბიტლომანები იყრიან თავს. ჩემს მეგობარ დავით დუმბაძესთან ერთად წავედი. სხვათა შორის, ჩვენთან ერთად ედუარდ სააკაშვილი და ქალბატონი სანდრა რულოვსიც იყვნენ, ისინიც ბიტლომანები არიან.

ინგლისში პირველად გახლდით. 3-4 დღე ლივერპულში დავყავით და რამდენიმე დღე ლონდონში. ეს არის ტიპური მშრომელი ხალხის ქალაქი. ლივერპულური აქცენტი ოდნავ უფრო რთულად გასაგებია, ვიდრე კლასიკური ინგლისური. ყურს რომ მიაჩვევ, მერე უკვე გესმის, რას ლაპარაკობენ. ლივერპულის ცხოვრებაში ორი ცენტრალური მოვლენაა, საფეხბურთო გუნდი „ლივერპული“ და ანსამბლი „ბიტლი“. ნებისმიერი ტაქსის მძღოლი ექსკურსიამძღოლიცაა. ყველა ტაქსზე „ბიტლზის“ ფოტოა გამოსახული. შეგიძლია გააჩერო, 40 ფუნტი სტერლინგი გადაუხადო და ყველა ადგილს მოგატარებთ, სადაც „ბიტლზის“ წევრებს რამე ჩაუდენიათ, კარგი თუ ცუდი.

— ისარგებლეთ ამ სერვისით?

— რა თქმა უნდა, ავიღეთ ასეთი ტური და საკმაოდ საინტერესო ადგილებიც მოვიარეთ. არსებობს კათოლიკური ან ანგლოსაქსური ეკლესია, რომელსაც დარბაზი აქვს და ღონისძიებები იმართება. ამ დარბაზში ჯონ ლენონმა და პოლ მაკარტნიმ 1957 წლის 6 ივლისს ერთმანეთი გაიცნეს. ეკლესიის გადაღმა სასაფლაოა, რომლის შესასვლელის მარცხენა მხარეს აბსოლუტურად უცნობი ქალი ჰელენა რიგბია დაკრძალული. პოლ მაკარტნიმ თავისი ცნობილი სიმღერის „ჰელენა რიგბის“ ტექსტი სწორედ მის საფლავზე დაწერა.

სასაფლაოზე რომ შევედით, ჩვენმა გიდმა გვკითხა, ფეხბურთი რომელს გიყვართო. მე მიყვარს-მეთქი, ვუპასუხე. აქ „ლივერპულის“ ცნობილი მწვრთნელი, ბობ ტეისლია დაკრძალულიო. ბობ ტეისლი „ლივერპულის“ მწვრთნელი მაშინ იყო, როდესაც თბილისის „დინამომ“ ამ გუნდს 3:0 მოუგო. ქართული ფეხბურთის ისტორიაში ეს ლეგენდარული თამაში იყო. მის საფლავთან რომ ვიყავით, შორტებში ჩაცმული ვიღაც ახალგაზრდა კაცი მოვიდა, გაოცებული გვიყურებდა. ვერ მივხვდით, ასე დაჟინებით რას მოგვჩერებოდა. აქ რას აკეთებთო, შეგვეკითხა. ვუთხარი, ბობ ტეისლის საფლავმა დაგვაინტერესა-მეთქი. გაჩუმდა, ცოტა ხნის შემდეგ კი მითხრა, ეს მამაჩემიაო. ვუთხარი, „ლივერპულს“ ვგულშემატკივრობდი, მაგრამ არა მაშინ, როცა თბილისის „დინამოს“ შეხვდა-მეთქი. ისიც დავაყოლე, რომ ამ თამაშზე „ლივერპულმა“ 3:0 წააგო. ნო ვეიო (შანსი არ არისო. ავტ.), მეუბნება, შანსი არ არის, „ლივერპულს“ საბჭოთა გუნდთან 3:0 წაეგოო. რადგან მწვრთნელის შვილი იყო, ყველა თამაში ხომ არ ეცოდინებოდა, მით უმეტეს, 1978 წლის შემოდგომის. შემდეგ, როცა ჩემი საფეხბურთო ცოდნა გამოვამჟღავნე, დამიჯერა. მერე ყავაზე დაგვპატიჟა, სამახსოვრო ფოტო გადავიღეთ და ასე დავშორდით ერთმანეთს.

„გერმანიაში ნებისმიერ ხესტორანში ორმ შეხვიდეთ, საკმაოდ მაღალხარისხიან პროდუქტს მიიღებთ. იტალიაში კი, თუ არ იცით, ორმელ ხესტორანში უნდა შეხვიდეთ, გაბრაზებული, შეურაცხყოფილი, მოტყუებული და მშიერი გამოხვალთ, თან ისეთ ფასს გადაგახდევინებენ, იქით აღარც გაიხედავთ“.

— სამოგზაუროდ თქვენთვის ყველაზე კომფორტული და სასიამოვნო ქვეყანა რომელია, სადაც ყოველთვის მგიხარიათ?

— ასეთი ქვეყანა ყოველთვის გერმანიაა. ჩემი დეიდაშვილი გერმანიაში, ქალაქ ბიბერახში ცხოვრობს, გერმანელზეა გათხოვილი. სიძე, პეტერ ცუფალი, ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარია. 1990 წელს დაქორწინდნენ და მას შემდეგ წელი არ გაუცდენია, საქართველოში ყოველ ზაფხულს ჩამოდის. მეც ხშირად ჩავდივარ მასთან. ისიც მუსიკოსია და ერთად რომ ვართ, ვუკრავთ კიდეც. მან ჩემი დეიდაშვილი ჩემგან გაიცნო. რომ ჩამოდის, სულ ვცდილობ, კონცერტი გავუკეთო.

ბიბერახი ძალიან კარგი სამხრეთული ქალაქია. ფოტოზე რომ ნახავ ქალაქს და რეალურადაც ზუსტად ისეთი აღმოჩნდება, ბიბერახი სწორედ ისეთია. სამწუხაროდ, გერმანიის დიდმა ქალაქებმა ეს ხიბლი დაკარგეს. დღეს გერმანიაში მეტროს სადგურები საკმაოდ უსუფთაოა, ეს კი ძირითადად ემიგრანტების ხარჯზე ხდება, რაც ძალიან მწყინს.

→43

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

სადაც ხარ, იქაური ქუდი უნდა დაიხურო. როგორც ისინი უფრთხილდებიან თავიანთ ქვეყანას, შენც ისე უნდა მოიქცე და მანქანიდან ნაგავი არ უნდა გადაყარო. ამის გამო გერმანელებს ჩასულების მიმართ აგრესია აქვთ.

გერმანიის ბევრ ქალაქში ვარ ნამყოფი. დრეზდენი მუზეუმებით განთქმულია, მაგრამ, სამწუხაროდ, იქ ვერ მოვხვდი. იქ ლეონარდო და ვინჩის რამდენიმე ტილოა დაცული. საინტერესოა ბავარიის ჰერცოგის, ლუდვიგ მეორის აშენებული სასახლეები, მათ შორის, ნოიშვანშტაინი, რომელიც ააშენა და ვაგნერს მიუძღვნა, რადგან მისი მუსიკის მოყვარული იყო. მანსარდის ტიპის სხვენი საკონცერტო დარბაზად აქცია. გერმანელები ლუდვიგის უკმაყოფილოები იყვნენ, მხოლოდ გართობასა და დროსტარებაზე ფიქრობს, დარბაზებსა და სასახლეებს აშენებს და ქვეყნის ეკონომიკასა და წინსვლაზე არ ფიქრობს. სამწუხაროდ, ეს ადამიანი ტბაში გაუგებარ სიტუაციაში დაიხრჩო და დღესაც არ იციან, დაიხრჩო თუ დაახრჩვეს.

■ ლივერპულის სასაფლაოზე ბობ ტეილლის შვილთან (შუაში) ერთად

— ჯგუფ „ჯაკის პარკთან“ ერთად მოგზაურობა როგორია?

— ძალიან სასიამოვნო და საინტერესო. ჩვენთვის ყველაზე გაკვალული, ყოველწლიური და ტრადიციული მარშრუტი ბაქო გახლავთ, სადაც კონცერტებს 2000 წლიდან ვატარებთ. წელს უკვე მე-13 კონცერტი იქნება.

„ლივერპულის ცხოვრებაში ოჩი სენტჰალეური მოვლენაა — საფეხბურთო გუნდი „ლივერპული“ და ანსამბლი „ბიტლზი“. ყველა ტაქსზე „ბიტლზის“ ფოტოა გამოსახული. ნებისმიერი ტაქსის მძღოლი ექსკურსიამძღოლიცაა, შეგიძლია გააჩერო, 40 ფუნტი სტერლინგი გადაუხადო და ყველა ადგილს მოგატარებთ, სადაც „ბიტლზის“ ნევრებს ჰამე ჩაუდენიათ, ჯანი თუ ცუდი“.

„ბიტლზ კლუბში“ „პინკ ფლოიდის“, „როლინგ სტოუნზის“, „ბიტლზის“ და სხვა შემსრულებლების ქავერებს ვმღეროდით, სადაც ინგლისურენოვანი კონტინგენტი გვისმენდა. მას შემდეგ ბაქოში ხშირად ჩავდივართ. აზერბაიჯანში ინგლისურენოვანი ხალხი ბევრია, მენავთობეები იქ იყრიან თავს. მათ „ბრიტიშ ბიზნეს გრუპის“ წარმომადგენელი ჯონ პატერსონი აერთიანებს, რომელიც ივენთებს გეგმავს. დეკემბერში ეს ხალხი შობასა და ახალ წელს ერთად ზეიმობს და მათთან ერთად ჩვენც ვართ ხოლმე. ამ კონცერტების ენერგეტიკა მერე მთელი წელი გვყოფნის. ყველაფერი, რასაც ვუკრავთ, მათ ორიგინალში აქვთ მოსმენილი. სულ ვფიქრობ ხოლმე, ჩვენი ბაქოში მიღება, ძვირფას სასტუმროში დაბინავება და კვება იმხელა ხარჯებთანაა დაკავშირებული, როგორ ვერ იპოვა ამ კაცმა აზერბაიჯანში ისეთი ჯგუფი, რომელიც ხარისხს გაუუმჯობესებს. ჩვენს კონცერტებს სხვადასხვა კომპანიის წარმომადგენლები ესწრებიან და მერე თავიანთ კორპორატიულ საღამოებზეც გვეპატიჟებიან. ბოლოს წინა კონცერტზე მეთიუ ბრაიზაც იყო, ერთმანეთი გავიცანით. საქართველოდან რომ ვიყავით, ძალიან გაუხარდა.

— ჯგუფთან ერთად მოგზაურობა ყოველთვის კურიოზებთანაა დაკავშირებული, თქვენ რას გაიხსენებდით?

— ჩვენ ერთმანეთთან უამრავი თავგადასავალი გვაკავშირებს. სანამ „ბრიტიშ ბიზნეს გრუპის“ წარმომადგენლები ჯგუფის წევრებს გაგვიცნობდნენ, პირველ ორ ჩასვლაზე თვითმფრინავის ბილეთები არ აგვიღეს, იქნებ თქვენ თვითონ ჩამოხვიდეთო. ამიტომ პირველ ვიზიტზე ინსტრუმენტები სტუდია „მაესტროს“ კუთვნილი მიკროავტობუსით წავიღეთ. ეს მართლა თავგადასავალი იყო. 2000 წელს არც ჩვენთან იყო სახარბიელო სიტუაცია, მაგრამ ბაქოში ნამდვილი საგიუეთი გახლდათ. ყოველ 20 კილომეტრში რეიდი იყო და ყველა ფულს გვთხოვდა. სულ თავბედი ვიწყევლეთ, მეორედ აქ წამომსვლელები არ ვართ-თქო. შემდეგ უკვე მატარებლით წავედით. რაც ილჰამ ალიევი მოვიდა, პოლიციაც შეცვალა და სიტუაციაც. გასტროლებზე ისეთი რეჟიმი გვაქვს, თავგადასავლების დრო ნაკლებად გვრჩება. როგორც წესი, საქართველოდან რეისები უდროო დროს, შუაღამისას ხორციელდება. ბაქოში დილის 6 საათზე ჩავდივართ, ვიძინებთ, 12-ზე ვიღვიძებთ და საქმეს ვიწყებთ.

ჯგუფთან ერთად საქართველოს ქალაქებშიც გავდივართ.

— საქართველოში მოგზაურობა რამდენად სასიამოვნოა?

— საქართველოში მოგზაურობა ჩემთვის უფრო საინტერესო იყო. ამ შემთხვევაში უფრო მეტია თავგადასავალი. ქობულეთში, ბათუმში, თელავსა და ქუთაისში არა ერთი კონცერტი გაგვიკეთებია. 10 წლის წინ საკუთარი ორგანიზებით ტური გავაკეთეთ, ძალიან ბევრ ქალაქში ვიყავით და ყველა კონცერტი სრული ანშლაგით ტარდებოდა. იმ დროისთვის ბილეთის ფასი 7-10 ლარი ცოტა არ იყო. სამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები პირადად მე მირეკავდნენ ბილეთებზე, მაგრამ ისეთი ანშლაგი იყო, ბილეთები აღარ რჩებოდა.

— ყველაზე კარგი მსმენელი საქართველოში გყავთ?

— არა. პირდაპირ გეტყვით, რომ ყველაზე კარგი მსმენელი ბაქოში გვყავს. რასაც ჩვენ ვუკრავთ, ის მუსიკა მათ თავიდან ბოლომდე ზეპირად იციან. პირველი აკორდიდან დაწყებული, მთელი დარბაზი ფეხზე დგება, ყველა ჩვენთან, სცენის წინ დგას და პირდაპირი გაგებით, ყირაზე გადადის. ქართველი მსმენელი კი მძიმეა, ყოველთვის არ მოგყვება.

— საზღვარგარეთ რესტორნებში საარეულს ანერწებთ?

— გერმანია ის ქვეყანაა, სადაც ნებისმიერ რესტორანში რომ შეხვიდეთ, საკმაოდ მაღალხარისხიან პროდუქტს მიიღებთ. იტალიაში კი, თუ არ იცით, რომელ რესტორანში უნდა შეხვიდეთ, გაბრაზებული, შეურაცხყოფილი, მოტყუებული და მშიერი გამოხვალთ, თან ისეთ ფასს გადაგახდევინებენ, იქით აღარც გაიხედავთ.

იტალიაში რესტორანში პირველად რომ შევედით, გერმანელი ტურისტები მიმტანებს ურიგდებოდნენ და ანგარიშს წინასწარ აწერინებდნენ. მე და ხათუნამ ყავა დავლიეთ და 25 ევრო გადავიხადეთ, არადა, იმ რესტორანს ფეშენებელურობის არაფერი ეტყობოდა. ალბათ დაჯდომაც მიანგარიშეს და ადგომაც. სპაგეტიც რომ აიღოთ, გემრიელად ვერ შეჭამთ. იტალიაში ძალიან კარგ რესტორანში ვიღაცის რჩევის გარეშე ვერ წახვალთ. ვერც ინგლისში მიირთმევთ გემრიელად. გერმანიაში კი ბენზინგასამართი სადგურის კაფეშიც რომ შეხვიდეთ, უკმაყოფილო იქაც არ დარჩებით. ხორცი ძალიან მიყვარს, გერმანიაში კი ხორცეულის კულტურა განვითარებულია, საუცხოოდ ამზადებენ. ღორის ბარკლები ლუდთან ერთად ხომ საოცრებაა! ლუდი ძალიან მიყვარს, გერმანულსა და ჩეხურს გამოვარჩევდი. არც ირლანდიურია ცუდი, ოღონდ შედარებით მძიმეა, დაახლოებით ერთი კათხა საკმარისია. სიცხეში სითხის მიღება ჭარბად მიყვარს.

— მოგზაურობა რიმელი ტრანსპორტით ვირჩევნიათ?

— ფრენის შიში ნამდვილად არ მაქვს. ავტომობილით შორი მგზავრობის დროსაც, თვითმფრინავშიც და მატარებელშიც ტრადიციულად ვლოცულობ და კარგად მაქვს შეგნებული, რომ ავტომობილსა და მატარებელში პროცენტულად მეტი შანსია უბედურების, ვიდრე თვითმფრინავში. როცა ბაქოში მივფრინავთ, ერთ ჭიქა ღვინოს ვსვამ და ვცდილობ, დავიძინო. გერმანიაში ყველაზე კომფორტული ტრანსპორტი მატარებელია.

— თქვენი გოგონა წაგიყვანიათ სამოგზაუროდ?

— საქართველოში — ზღვაზე და სიღნაღში. ჩვენი შვილი სუპერაქტიურია. არც ენას აჩერებს, არც თვითონ ჩერდება. უკვე აგარაკზე გადავბარგდით. ნინო-ლიზა 8 წლისაა, ძალიან საყვარელი ვინმეა, იმდენად მოსიყვარულეა, სულ სიყვარულს გვიხსნის და ჩემი და ხათუნას სიყვარულითაც ძალიან ბედნიერია. თუ დაგვინახავს, რომ ერთმანეთს ვეფერებით, ამაზე დიდი ბედნიერება მისთვის არაფერია. ასეთ დროს სულ ვფიქრობ, რაოდენ საწყენია ნებისმიერი ოჯახის დანგრევა, რადგან ბავშვი ტრავმირებული რჩება. როცა პროექტ „საუკუნის ნოსტალგიას“ ვაკეთებდით, ცოლი არ მყავდა, მაგრამ ალბათ ეს პრობლემა მაშინაც მაწუხებდა. სტეფანეს სიმღერის ასეთი ტექსტი დავუწერე:

„იცოდე, შენს დედიკოს და მე
ბევრი რამ გადაგვხდა ცხოვრების გზაზე,
დღეს უკვე წყენის უფლება არ გვაქვს,
რადგან შენ გაჩნდი ამქვეყანაზე“.

ეს სიმღერა ამ სიტყვების გამო ძალიან მიყვარს.

„ყველაზე ჯანი მსმენელი ბაქოში გვყავს. ჰასაც ჩვენ ვუკრავთ, ის მუსიკა მათ თავიდან ბოლომდე ზეპირად იციან. პირველი აკორდიდან დაწყებული, მთელი დარბაზი ფეხზე დგება, ყველა ჩვენთან, სცენის წინ დგას და პირდაპირი გაგებით, ყირაზე გადადის“.

— ყველაზე კარგი დასვენება ალბათ თქვენს აგარაკზე გამოგდით.

— ნამდვილად. წყნეთის გვერდით, ახალდაბამდე არმისული, მარცხენა მხარეს, ტყეში, კოტეჯებია. ჩვენი სახლი დიდი არაფერი, ჩვეულებრივი, ხის ტიპური კოტეჯია, მაგრამ რაღაცეების კეთება ძალიან მიყვარს და ყველაფერი ჩემი ხელითაა გაკეთებული, მათ შორის იატაკიც. ბალახის დათესვა-გაკრეჭაც მე მევალება. ხევის მხარეს ფანჩატური გავაკეთე. მოკლედ, ისე მოვაწყვეთ, რომ დასვენებით ვისიამოვნოთ. ამ ზაფხულს ჩემი სიძე ჩამოდის. ალბათ ცოტა ხნით ზღვაზეც წავალთ.

✓ სოფიო ბოჭორიძე

Cyan Magenta Yellow Black

პეტრა — იორდანიის ქვის დედოფალი

ქალაქი პეტრა დასავლეთ აზიაში, იორდანიის სამეფოში მდებარეობს. ეს არის უძველესი ქვაში ნაკვეთი ქალაქი. სიტყვა „პეტრა“ ბერძნულად ქვას ნიშნავს. სწორედ ამ საოცარი ისტორიის მქონე ქალაქში გადაიღეს ცნობილი ფილმი „ინდიანა ჯონსი და უკანასკნელი ჯვაროსნული ომი“.

პეტრა იორდანიის სიმბოლო და ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე მონახულებადი ტურისტული ქალაქია, რომელიც 1985 წლიდან იუნესკო-ს ძეგლთა დაცვის სიაშია შეტანილი. 2007 წლიდან კი თანამედროვე მსოფლიოს 7 საოცრებიდან ერთ-ერთი გახდა.

მცირე ისტორიიდან

პირველი მოსახლეობა პეტრას ტერიტორიაზე ქრისტეშობამდე 1550-1292 წლებში გაჩნდა. კლდეში ნაკვეთი ქალაქის მცხოვრებლები ქვაზე კვეთის ნამდვილი ოსტატები იყვნენ. თვითონ ქალაქი უძველესი სახელმწიფოებრივი გაერთიანების, ნაბათეანის დედაქალაქი იყო. ამ ანტიკურ ქალაქზე დიდია ბერძნული, რომაული, ეგვიპტური და სირიული კულტურის გავლენა.

პეტრა ორი მთავარი სავაჭრო გზის გადაკვეთაზე მდებარეობდა. პირველი გზა წითელ ზღვას დამსაკოსთან აერთებდა, მეორე — სპარსეთის ყურეს ხმელთაშუა ზღვის სანაპიროსთან.

კლიმატი

პეტრასათვის უდაბნოს კლიმატია დამახასიათებელი. აქ ცხელი ზაფხული და ცივი ზამთარი იცის. ქალაქის მოსანახულებლად საუკეთესო სეზონი გაზაფხული და შემოდგომაა.

ზაფხულში მინიმალური ტემპერატურა 34 გრადუსია, ზამთარი კი ქარიანი და ხშირ შემთხვევაში წვიმიანია. მიუხედავად იმისა, რომ ტემპერატურა 5-10 გრადუსამდე მერყეობს, ადგილობრივებისათვის მაინც ძალიან ცივა.

ჰელიგია

პეტრას მოსახლეობის უმეტესობა ისლამის მიმდევარია. ქრისტიანები ქალაქის მცხოვრებთა მხოლოდ 6%-ს შეადგენენ. მათი დიდი ნაწილი მართლმადიდებელია, დანარჩენი კი — კათოლიკეები.

რელიგიური თვალსაზრისით, იორდანია ტოლერანტული ქვეყანაა — თუ ქალაქის მოსახლეობა მეჩეთის აშენებას გადაწყვეტს, ფულს ყველა აღმსარებლობის მიმდევრებისაგან აგროვებს, მეზობლები ერთმანეთს ეხმარებიან.

ენა

პეტრას, ისევე როგორც მთელი სამეფოს, ოფიციალური ენა არაბულია. ბიზნესში და სამთავრობო სტრუქტურებში ასევე გავრცელებულია ინგლისური. არაბული და ინგლისური აუცილებელი ენებია, რომლებიც სკოლებში ისწავლება.

ქალაქში ფრანგულსაც გაიგონებთ. რადიოგადაცემები არაბულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზეა.

ფული

იორდანიის ეროვნული ვალუტა იორდანიის დინარი ალბათ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძვირია, რადგან 10 დინარი დაახლოებით 14 დოლარი ან 10 ევროა. საერთოდ, პეტრაში ყველაფერი ძალიან ძვირია, მაგრამ აღმოსავლური ეგზოტიკის მოყვარული ევროპელებისთვის ეს დაბრკოლებას არ წარმოადგენს.

ქალაქში უცხოურ ვალუტაზე გარკვეული შეზღუდვებია დაწესებული. უარს მხოლოდ ამერიკული დოლარის მიღებაზე არ ამბობენ, უფრო მეტიც, მაღალი დონის სასტუმროებსა და რესტორნებში საფასურის გადახდა ამერიკული დოლარებით წარმოეს.

გადაადგილება

ქვეყნის ნებისმიერი წერტილიდან ქალაქ პეტრაში მოხვედრა უპრობლემოდ შეგიძლიათ, ამიტომ ტურისტები იორდანიიდან პეტრას უნახავად არ მიდიან. იორდანიის ნებისმიერი ქალაქიდან პეტრას მიმართულებით ყოველდღიურად გადიან ავტობუსები, მინი ავტობუსები და ყვითელი ფერის ტაქსები.

ქალაქში შესვლა ფასიანია და საკმაოდ ძვირი ღირს — 90 დინარი. ბილეთის ფასში შედის ცხენით, აქლემით ან ვირით ქალაქის ცენტრალურ ნაწილამდე მიყვანა. შემდეგ 15-20 წუთის განმავლობაში უზარმაზარ კლდეებს შორის მიდიხართ, ალაგ-ალაგ ძეგლებიც შეგხვდებათ და საკმაოდ გაგიჭირდებათ გარჩევა, ეს წითელი ლოდები ბუნებამ გამოკვეთა თუ ადამიანის ხელმა.

ქალაქში გადაადგილებას ცხენით, აქლემით ან ტაქსით თუ მოახერხებთ, სხვა დანარჩენი ტრანსპორტი ადგილობრივებისათვის არ არსებობს. მათი დაქირავება ყოველ ნაბიჯზეა შესაძლებელი. რაც შეეხება ფასს, ეს უკვე პატრონებზეა დამოკიდებული, ყოველ შემთხვევაში, დანიშნულების ადგილამდე მისვლა 18 დინარზე ნაკლები არ დაგიჯდებათ.

სამზახეული

იორდანიის სამზარეულო მთელ აზიაში გამოირჩევა თავისი მრავალფეროვნებით, თუმცა მეზობელი ქვეყნების გავლენა აშკარად იგრძნობა. ნაციონალური კერძებით განთქმულია „აბუ ბარაჰის“ ქსელის რესტორნები. იორდანიული კერძებიდან უგემრიელესია მენფასი — არაუნით შეზავებული ბრინჯთან ერთად მოხარშული ცხვრის ხორცი.

იაფფასიან რესტორნებში სადილი 10 დოლარი დაგიჯდებათ, მაღალი დონის რესტორნებში ორჯერ მეტი თანხის გადახდა მოგიწევთ. კლდეში ნაკვეთი ქალაქი რესტორნების სიმრავლით ნამდვილად არ გამოირჩევა, სწრაფი კვების ობიექტები კი საერთოდ არ არსებობს. მზა საკვების ყიდვას მაღაზიებში შეძლებთ.

სასმელებიდან ჩაი ლიდერობს. ზღვის პროდუქტების მოყვარულებს აქაბაში წასვლა მოგიწევთ. აი, ვეგეტარიანელები კი კმაყოფილები დარჩებიან, შეიძლება ითქვას, პეტრა მათზე გათვლილი ქალაქია, რადგან ნებისმიერი სახის რესტორანში საკვების უმეტესობა ბოსტნეულითაა მომზადებული.

იორდანიის სამზარეულოში ბრინჯი განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს. იქიდან გამომდინარე, რომ ადგილობრივების უმეტესობა მუსლიმანები არიან, რესტორანში ლუდს თუ მოგართმევენ, რომლის ერთი კათხა 5 დინარი ღირს.

ღირსშესანიშნაობები

პეტრას საკმაოდ დიდი ტერიტორია უჭირავს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქალაქის არქიტექტურაზე დიდია ბერძნული, რომაული, სირიული და ეგვიპტური კულტურის გავლენა. აქ მდებარეობს 800-მდე მონუმენტი — შენობები, საფლავები, აბანოები, თაღოვანი ჭიშკრები, ქუჩები, თეატრები, მონასტრები, მუზეუმები.

მთავარი ქუჩა, რომელიც დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ მთელი ქალაქის გავლით იშლება, რომაელების ბატონობის დროს გაიყვანეს. ქუჩის ბოლო დასავლეთით დიდი ტაძრით მთავრდება, ხოლო აღმოსავლეთით ტრიუმფული თაღით. კლდეში გამოკვეთილი მონასტერი ედ-დეირი სიგანით დაახლოებით 50 მეტრია, სიმაღლით კი — 45 მეტრი. კედლებზე ამოტვიფრული ჯვრები იმას მოწმობენ, რომ ოდესღაც ტაძარი ქრისტიანული იყო.

აქვე შეგიძლიათ მოინახულოთ ცნობილი ტაძარ-მავზოლეუმი ელ-ჰაზნე, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე 100 წელსაა აგებული. იგი იმითაა განსხვავებული, რომ მთლიანად კლდეშია ნაკვეთი. ტაძრის შუა ნაწილში მოთავსებულია არწივის ოთხი ფიგურა, მათ მიცვალებულთა სულებზე უნდა ეზრუნათ. სიტყვა „ელ-ჰაზნე“ განძს ნიშნავს და ლეგენდის თანახმად, მეკობრეები თავიანთ განძს სწორედ აქ ინახავდნენ.

პეტრას მთელ ტერიტორიაზე ულამაზესი ლანდშაფტია — კანიონები, წითელი მთები, მაგრამ მთავარი, რაც თვალში გხვდებათ, კლდეში გამოკვეთილი სამარხებია.

დღეს პეტრას სანახავად იორდანიას ყოველწლიურად ნახევარ მილიონამდე ტურისტი სტუმრობს. მის დასათვალიერებლად, მინიმუმი, 4 ან 5 დღეა საჭირო.

ქალაქში შესაძლებელია მაღალი დონის მომსახურების მიღება. იქ სხვადასხვა ტიპისა და კლასის სასტუმროები და გასართობი დაწესებულებებია. მათთვის, ვისაც ეგზოტიკა იზიდავთ და სურთ, ღამე უჩვეულო სიტუაციაში გაათენონ, არის ბედუინების ბანაკი ძალიან მყუდრო და კომფორტული კარვებით. ეს ბანაკი მე-19 საუკუნიდან არსებობს და 350 სტუმარს იტევს.

უსაფრთხოების წესები

ადგილობრივები ძალიან სტუმართმოყვარენი და მეგობრულები არიან. მიუხედავად იმისა, რომ თავად ტრადიციული სამოსით დადიან, განსაკუთრებით ქალები და ზოგიერთი ისეთ თავსაფარსაც ატარებს, თვალების გარდა, არაფერი უჩანს, საკმაოდ თამამად ჩაცმულ უცხოელებს დისკომფორტი არ ექმნებათ.

გავრცელებულია აზრი, თითქოს მუსლიმანი ქალი სახლის ზღურბლის გარეთ ფეხს არ დგამს, მაგრამ პეტრას ქუჩებში ბევრ ქალს შეხვდებით. სუვენირებისა და სხვადასხვა ნივთების გამყიდველადაც ისინი მუშაობენ. როგორც ამბობენ, აქაური ქალები ძალიან თავნებები არიან, ქმრებს თავიანთ ჭკუაზე ატარებენ და თუ მათ მოსაწონად არ მოიქცევიან, მაშინვე სასამართლოში უჩივიან. იორდანიაში კანონით 4 ცოლის ყოლაა დაშვებული.

სასურველია, ტურისტმა ქალებმა ქალაქში გრძელმკლავიანი სამოსით იარონ, თავზე კი მანდილი მოიხვიონ. თუ კერძის მირთმევას ხელით მოისურვებთ, დაიმახსოვრეთ: საჭმელი მარჯვენა ხელით უნდა აიღოთ და მიაწოდოთ. მარცხენა ხელი უწმინდურად მიიჩნევა. რამადანის დროს მზის ჩასვლამდე ქალაქის ყველა რესტორანი დაკეტილია.

უბის ნიგნაკი

ქვეყანა — იორდანიის სამეფო;
ქალაქი — პეტრა;
ფართობი — 100 კვ.კმ;
მოსახლეობა — 30.000;
ფული — იორდანიული დინარი;
ოფიციალური ენა — არაბული.

✓ მოამზადა თათია ბოჭორიძემ

Cyan Magenta Yellow Black

აარჩიეთ პარტნიორი თვალის ფერის მიხედვით

ალბათ იცით, რომ თვალები ყველაზე ინფორმაციული წყაროა და ბევრს მეტყველებს მის მფლობელზე. თვალის ფერს შეუძლია ბევრი რამ თქვას თქვენს ხასიათზე, თქვენს შინაგან ენერგეტიკასა და იმაზეც კი, როგორი უნდა იყოს თქვენი მეორე ნახევარი. არქეოლოგიური კვლევებით დადგინდა, რომ დედამიწის მკვიდრი მოსახლეობა ოდესღაც თაფლისფერთვალება იყო. ყველაფერი მას მერე შეიცვალა, რაც ერთხელ დედამიწა კომეტას შეეჯახა და თავისი ორბიტა მთლიანად შეცვალა, მასთან ერთად კი — კლიმატი.

გამყინვარების პერიოდის დადგომასთან ერთად დადგა ადამიანის გადარჩენისა და მთლიანად მისი პოპულაციის საკითხი — თაფლისფერთვალება ადამიანების ბუნებრივი ენერგია ახლა საკმარისი აღარ აღმოჩნდა იმისათვის, რომ უზრუნველეყო ცხოვრება და კაციობრიობის რიცხობრივის ზრდა. ცოცხალი ორგანიზმების დასახმარებლად ექსტრემალურ პირობებში მუტაცია მოდის. მუტაციის შედეგად გაჩნდა ადამიანების ახალი ენერგიული „ჯიში“, რომლებიც უცებ იქცნენ ახალი საქმეების ინიციატორები, საკუთარ თავზე იღებდნენ სხვების ბედზე ზრუნვას და, რაც მთავარია, ჰქონდათ ცივი ფერების ფანტასტიკური თვალები: რუხი, ცისფერი, ლურჯი. რუხთვალება ადამიანების მოჭარბებულმა ენერგიამ დაბალანსა თაფლისფერთვალება ადამიანების არასაკმარისი ენერგია და მათ ახალ კლიმატურ პირობებში არამარტო გადარჩენის საშუალება მისცა, არამედ მათი რიცხობრივი ზრდაც განაპირობა.

ღია ფერის თვალების ადამიანებისა და თაფლისფერთვალებიანების ქორწინების შედეგად გაჩნდნენ ადამიანები, რომელთაც სხვა ტონალობის თვალები ჰქონდათ: მწვანე, მორუხო-თაფლისფერი, რუხი-მომწვანო, მომწვანო-თაფლისფერი და მორუხო-მომწვანო-თაფლისფერიც კი...

თანდათანობით ადამიანებმა დაივიწყეს გამყინვარების პერიოდი, კაცობრიობა არსებობის ახალ პირობებს შეეგუა. მაგრამ, თუ დღესაც კარგად დავაკვირდებით, ადვილად შევამჩნევთ ამ ორი ტიპის ადამიანებს შორის სხვაობას: პირველები მიილტვიან ქმედებისკენ, მეორენი კი — მიღებისკენ. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, პირველები ცდილობენ, გათავისუფლდნენ მოჭარბებული ენერგიისგან, მეორენი — პირიქით, მიიღონ დამატებითი ენერგია სხვა ადამიანების ძალის ხარჯზე. პირველებს ჩვენ ვუწოდებთ „პოტენციურ დონორებს“, მეორეებს — „პოტენციურ ვამპირებს“.

ადამიანები, რომლებსაც შერეული ტიპის თვალის ფერი აქვთ (მწვანე, მორუხო-თაფლისფერი და ა.შ.), რთული ენერგეტიკული ორიენტაციისანი არიან: მათ ვერც — დონორებს მივაკუთვნებთ, ვერც ვამპირებს. ეს ადამიანები ამჟღავნებენ ხან პირველის, ხან მეორე ტიპის თვისებას — გააჩნია, „რომელ ფეხზე ადგებიან“.

თვალის ფერის მიხედვით ადამიანების უფრო კონკრეტული დახასიათება კი ასეთია:

ცისფერი, ლურჯი, რუხი თვალები

თუ თქვენი თვალის ფერი ცივია, დაიმახსოვრეთ: ბუნება თქვენგან ენერგიის გამუდმებულ ხარჯვას მოითხოვს. ამიტომაც ლატარიის მოგების იმედი ნუ გექნებათ, ნურც გავლენიანი ადამიანების იმედი ცხოვრებაში. ბედი ყოველი გაღიმებისთვის თქვენგან ძალისა და ენერგიის მაქსიმალურად ხარჯვას მოითხოვს. ეს თქვენი ხვედრია. ეს მშვენიერია, რადგან თქვენი ენერგია — ეს არის ენერგია მიმართული მიზნისკენ, შეცვალოთ სამყარო. თქვენ ადამიანი-შემოქმედი ხართ, თქვენს ირგვლივ მოძრავი სამყარო კი მხოლოდ მასალაა თქვენი საოცარი ჩანაფიქრების განსახორციელებლად.

ადამიანები თვალის თბილი ფერით თქვენს ნებისმიერ პროექტს ჭეშმარიტებად მიიღებენ. ისინი ბედნიერები იქნებიან მხოლოდ იმით, რომ თქვენ არსებობთ — ჭეშმარიტების მატარებელი, რომელსაც შეუძლია გათავისუფლოს ისინი საკუთარი გზის მტანჯველი ძიებისგან.

თავსებადობა

თაფლისფერი თვალების მფლობელი საუკეთესო თანამგზავრი იქნება თქვენი ცხოვრების წარმატებულ გზაზე. მასთან თქვენი ენერგოცვლა იდეალური იქნება: თქვენ სიამოვნებით განაგდებთ მოჭარბებულ ენერგიას, ის სიამოვნებით და მადლიერების გრძნობით მიიღებს მას. ასტროლოგიის მიხედვით, თქვენი თვალები მზისა და ვენერას შერწყმაა სატურნის ძალით თანდართული. ამიტომ ხართ დაჯილდოებული მომხიბვლელობით, მახვილი გონებით, მგრძნობელობით, ტემპერამენტით. თქვენ კონტაქტური ხართ და უამრავი მეგობარი გყავთ. შეიძლება ვიღაცამ თქვას, რომ ფეთქებადიც, მაგრამ სინამდვილეში ადვილად ივიწყებთ წყენას. თქვენს უარყოფით თვისებად შეიძლება ჩაითვალოს ხშირი პრეტენზიები.

თაფლისფერი თვალები

თუ თაფლისფერი თვალები გაქვთ, ნუ დაისახავთ მიზანს, რომელიც თქვენგან გადაჭარბებულ ენერგიას მოითხოვს. უმჯობესია, პირველ რიგში, ფსონი ადამიანების მოხიბვლაზე დადოთ. არ ინერვიულოთ, თქვენც შეგიძლიათ შეცვალოთ სამყარო, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ საკუთარ პროექტებს სხვისი ხელით განახორციელებთ.

დაიმახსოვრეთ: ყოველთვის გექნებათ იმის შეგრძნება, რომ ძალა არ გყოფნით. შესაბამისად, მომხიბვლელობა, ჭირვეულობა და მოთმინების უნარი თქვენი ცხოვრების სამი მთავარი კოზირია. ისწავლეთ მათი ჭკვიანურად გამოყენება და გარშემომყოფები ერთმანეთს შეეჯიბრებიან, რომ ის გააკეთონ, რაც თქვენ გსურთ. დაიმახსოვრეთ, ცისფერთვალა და რუხთვალა ადამიანები ისწრაფვიან, თქვენში ენერგია ჩადონ. თქვენ შეგიძლიათ ან მიიღოთ, რითაც შვებას იგრძნობთ, ან უარი თქვათ, რითაც მათ სატანჯველს მოუვლენთ. იმისათვის, რომ არ დაუშვათ მოვლენების განვითარების მეორე ვარიანტი, ყურადღება მიაქციეთ თქვენს მომხიბვლელობას. არ დაუშვათ, რომ იყოთ მოუვლელი, როგორც სამოსში, ასევე ვარცხნილობაში, თუ ეს ტაქტიკური ხაფანგი არ იქნება. ყურადღება მიაქციეთ მეტყველებას: ეარგონული სიტყვები არ მოგიხდებათ, გამოიყენეთ, მხოლოდ ზედმიწევნით შერჩეული ფრაზები, რომლებიც თქვენს იმიჯზე იმუშავებს.

თავსებადობა

თაყვანისმცემლების ზღვაში ცხოვრების თანამგზავრი აირჩიეთ შემდეგი პრინციპით: ვის შეუძლია თქვენთვის მეტი გაიღოს. მოითხოვეთ თუნდაც ყველაზე მსუბუქი მსხვერპლი, ოღონდ სისტემატურად. ეს რჩეულის თქვენთან ცხოვრებას გაახანგრძლივებს. მეტად საიმედო, ფუნდამენტური პარტნიორი ოჯახის შესაქმნელად თქვენთვის, რაღა თქმა უნდა, იქნება ცისფერთვალა ან რუხი ფერის თვალის მქონე.

მწვანე თვალები

მწვანე თვალები ორი ფერის თანაბარი შეხამებაა — ლურჯისა და ყვითლის. თქვენ ორი თანაბარი სიძლიერის ენერგეტიკას ფლობთ — დონორისა და ვამპირის. განსხვავებით მორუხო-თაფლისფერი თვალების მქონეთაგან, თქვენ უკიდურესობაში არასოდეს ვარდებით და ცხოვრებაში ყოველთვის ოქროს შუალედს ეძებთ. ამიტომაც, თუ თქვენ ზურმუხტისფერი თვალის ფერი გაქვთ, ცხოვრებაში თქვენი მიზანია დაეთანხმოთ საკუთარ თავს. რაზეც უნდა ფიქრობდეთ, რასაც უნდა აკეთებდეთ, თქვენთვის აუცილებელია ამაყობდეთ საკუთარი აზრებითა და ქმედებებით. თქვენთვის მნიშვნელოვანია, საყვარელი ადამიანები თქვენით კმაყოფილები იყვნენ. ზუსტად იცით, რა თვისებებს უნდა ფლობდეთ თავად და ის ადამიანები, ვინც თქვენს ირგვლივ არიან — მეგობრები, შეყვარებული, მეუღლე თუ სხვა. თუ ადამიანი თქვენს მოთხოვნებს აკმაყოფილებს, მაშინ მისი ერთგული იქნებით მთელი ცხოვრება. მაგრამ ვაი მას, ვინც თქვენს მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებს, მაშინვე (ხშირად მიზეზის გარეშეც) იძენთ მტრებს.

თავსებადობა

იმისათვის, რომ ქორწინებაში მყოფმა ცხოვრება გაიმარტივოთ, გირჩევთ, ცხოვრება თქვენნაირ მწვანეთვალებას დაუკავშიროთ, ასევე მათ, ვის თვალის ფერში მწვანე ტონი ფიგურირებს. თქვენი თვალის ფერი ვენერასა და ნეპტუნის ენერგიის შერწყმაა. გიყვართ გულწრფელად და გამორჩეულად ერთგული ხართ მის მიმართ, ვისაც ცხოვრების თანამგზავრად აირჩევთ. მეგობრები გაფასებენ საიმედოობისა და სიკეთის გამო, მტრებს კი არ უყვარხართ თქვენი პრინციპულობისა და მყარი ხასიათის გამო. თქვენ კარგი მსმენელი და თანამოსაუბრე ხართ. სტაბილური ბრძანდებით, მაგრამ წარმოსახვის უნარს მოკლებული — არა. საერთოდაც, თქვენ მიეკუთვნებით ყველაზე წარმატებულ ადამიანთა კატეგორიას.

✓ მოამზადა ირმა გოგინაძემ

Cyan Magenta Yellow Black

გრილი ძილი ზაფხულის ცხელ ღამეებში

ასეული სიცხის გამო აქტუალურია უძილობის პრობლემა. კომფორტული ტემპერატურა საძინებელი ოთახისთვის 18-24 გრადუსია. თუ ამის უზრუნველყოფას ელექტროელსაწყოებით ვერ ახერხებთ, მაშინ ეცადეთ, დღის განმავლობაში სქელი ფარდები ჩამოაფაროთ, რათა ოთახები გადახურებისგან დაიცვათ. კარგი იქნება, თუ ძილის წინ რამდენიმე წუთით სუფთა ჰაერზე ფეხით გაისეირნებთ.

სიცხეების დროს უპრიანია, თუ დროებით კორექტივებს შეიტანთ დღის რეჟიმშიც — დასაძინებლად იმაზე გვიან დაწვებით, ვიდრე ჩვეულებრივ. როგორც წესი, ზაფხულში ორგანიზმი ბუნებრივად გადადის განსხვავებულ რეჟიმზე და ძილის ნაკლები მოთხოვნილება აქვს.

შეინარჩუნეთ სიმშვიდე

არ ღირს ზაფხულში დაძინებამდე ცოტა ხნით ადრე ორგანიზმის დატვირთვა — ვარჯიში, დალაგება. ამ შემთხვევაში დაძინება კიდევ უფრო გაგიჭირდებათ. სპეციალისტების აზრით, მშვიდი და წყნარი ძილის უზრუნველსაყოფად ერთ-ერთი მთავარი კარგი გუნება-განწყობა გახლავთ. არავითარ შემთხვევაში დაწვეთ დასაძინებლად გაღიზიანებული, გაბრაზებული, რადგან ეს უძილობის ხელისშემწყობი ფაქტორია.

საძილე აბების ნაცვლად

თუ დაწოლამდე ცოტა ხნით ადრე შედარებით მძიმე საკვები მიირთვით, დაძინება გაგიჭირდებათ, მაგრამ არც ცარიელი კუჭით ლოგინში ჩაწოლაა კარგი. ჯობია, მიირთვათ მსუბუქი სალათი, ხილი, მაწონი, იოგურტი და ამ ტიპის სხვა საკვები.

გაგრილდით!

ძილის წინ ზაფხულში სასურველია, გრილი აბაზანა მიიღოთ.

იმისათვის, რომ სიცხეში უკეთესად ისუნთქოთ და ადვილად დაიძინოთ, შეგიძლიათ ბამბის დიდი ტამპონი პიტნის ზეთში დაასველოთ და თქვენს ლოგინთან ახლოს დადოთ.

ხელისა და ფეხის თითების რამდენიმეწუთიანი მასაჟი დაგამშვიდებთ და მშვიდად დაძინებაში დაგეხმარებათ.

პროდუქტები, რომლებიც დაძინებაში გვეხმარება

თევზი და თხილი — შეიცავენ ცხიმმჟავა ომეგა 3-ს, რომელიც ჰორმონ მელატონინის გამომუშავებას უზრუნველყოფს.

თბილი რძე თაფლთან ერთად და ტკბილეული (მაგალითად, ვაფლი) — დამამშვიდებელი მოქმედება აქვთ და ორგანიზმს მოდუნებაში ეხმარებიან.

პროდუქტები, რომლებიც დაძინებაში ხელს გვიშლის

ყავა — 4 საათის შემდეგ არ არის რეკომენდებული მისი დალევა. ასევე სასურველი არ არის მცენარეული ჩაი.

ციტრუსები — ძილის წინ არც მათი ჭამაა სასურველი, რადგან მატონიზირებელი თვისება აქვთ და ზოგიერთი კვლევის მიხედვით, ორგანიზმში ჰორმონ მელატონინის გამომუშავებას ამცირებს.

მარილიანი საკვები — ყურადღება მიაქციეთ, რას ჭამთ და სვამთ დღის მეორე ნახევარში. მოერიდეთ მარილიან კერძებს, რადგან ისინი ორგანიზმში წყლის შეკავებას იწვევს, ეს კი წყურვილს აძლიერებს, რაც დაძინებას ხელს უშლის.

ზაფხულში ფეხებს მოეფერეთ

ზაფხულში ფეხები განსაკუთრებულ ყურადღებასა და მოფრთხილებას საჭიროებენ. როგორ დავიცვათ ისინი ცხელ პერიოდში პრობლემებისგან?

ზაფხულში, წელიწადის სხვა სეზონებთან შედარებით, ფეხებს საკმაოდ ძლიერი დატვირთვა აქვთ. ამ დროს ვენებზე ორმაგი დატვირთვა მოდის, რადგან მაღალი ტემპერატურისა და მზის სხივების პირდაპარი ზემოქმედებისას (გარუჯვა) ვენების ტონუსი მცირდება, რაც სისხლის მიმოქცევის შენელებას იწვევს, შედეგად კი შესაძლოა თრომბიც განვითარდეს. სწორედ ამიტომ მწვავდება ზაფხულში ვარიკოზული დაავადებები.

თუ ვარიკოზული დაავადება გაწუხებთ, არ არის სასურველი დიდხანს გარუჯვა. უპრიანია, თუ დილით 11 საათამდე და საღამოს 7 საათის შემდეგ მიიღებთ მზის აბაზანებს. დასვენების პერიოდში კარგი იქნება, თუ ხშირად ივლით ფეხით, ივარჯიშებთ. პროფილაქტიკისთვის კარგია ორგანიზმის სითხით მომარაგება — დღეში 2 ლიტრამდე სითხის დალევა აუცილებელია!

ატარეთ მოხერხებული და კომფორტული ფეხსაცმელი. ვიწრო და მაღალი ქუსლის მქონე ფეხსაცმლის რეგულარულად ტარება სასურველი არაა.

მიიღეთ კონტრასტული აბაზანები. ეს დაგეხმარებათ როგორც დაღლილობის მოხსნაში და შეშუპებული ფეხების დაცხრომაში, ასევე ვენების კედლებისა და კაპილარების ტონუსში მოყვანაში.

ზაფხულში სოკოვანი დაავადებების რისკიც მატულობს. ქუსლებისა და ფრჩხილის სოკოს განვითარების ალბათობა წელიწადის ცხელ პერიოდში ძალიან მაღალია. სოკოს სპორები თავს კომფორტულად გრძნობენ სველ და თბილ გარემოში.

ჰა მოვიმოქმედოთ ჰოფილაქტიკისათვის

არავითარ შემთხვევაში იაროთ ფეხშიშველმა, განსაკუთრებით აუზზე, საუნაში, ფიტნეს-კლუბში. არ ისარგებლოთ სხვისი ფეხსაცმლით, როგორი ახლობლისაც უნდა იყოს. ნებისმიერი პატარა ჭრილობის დროსაც კი სასურველია მისი ანტისეპტიკური საშუალებებით სათანადოდ დამუშავება.

გაიმაგრეთ იმუნიტეტი და დაეხმარეთ ორგანიზმს სოკოსთან გამკლავებაში. მიირთვით ბლომად ხილი, ბოსტნეული, გაიკაჟეთ ორგანიზმი, მაქსიმალურად იმოძრავეთ.

ნუ მიმართავთ თვითმკურნალობას — თუ საგანგაშო სიმპტომებმა იჩინა თავი: სიწითლემ ფეხის კანზე, ქუსლებზე ან თითებს შორის ქავილმა, შეამჩნიეთ ფეხის ფრჩხილის ფერის ან ფორმის ცვლილება, აუცილებლად მიმართეთ ექიმს და არ ჩაიტაროთ თვითმკურნალობა!

✓ მოამზადა ნათია ტოტიკაშვილმა

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

რა ვნებს თქვენს მკერდს?

ამისი ჯანმრთელობისთვის შეიძლება საშიში აღმოჩნდეს თითქოს უმნიშვნელო რამ.

სევდა და დეპრესია

მკერდი ყველაზე ჰორმონდამოკიდებული ორგანოა ქალის ორგანიზმში, ხოლო ჰორმონულ სტატუსზე გავლენას ახდენს აბსოლუტურად ყველაფერი: ცხოვრების წესი, ძილი, კვება და განსაკუთრებით სულიერი განწყობა. მუდმივი განცდები, ქრონიკული სტრესები იმუნიტეტს აქვეითებს, მასტოპათიისა და სარძევე ჯირკვლების სხვა დაავადებების რისკს რამდენჯერმე ამაღლებს.

ინფექციები

ქალის სასქესო ორგანოების ნებისმიერი ანთებითი პროცესი საკვერცხეების ჰორმონების გამომუშავებას არღვევს. სარძევე ჯირკვალი საკვერცხეებთან დაკავშირებულ დისბალანსთან მაშინვე მგრძნობიარედ რეაგირებს. მკერდში ჩნდება კვანძები, ციკლის წინ მტკივნეული ხდება. ანთებითი პროცესები სარძევე ჯირკვლების უჯრედებს საშიში ცვლილებებისა და სქესობრივი გზით გადამდები ინფექციებისკენ უბიძგებენ.

მჭიდრო ბიუსტჰალტერი

მამოლოგები გვაფრთხილებენ: შემოჭერილი ლიფი, რომელიც კანში ერჭობა, მკერდს აწვება და მოძრაობას ზღუდავს, სისხლის მიკროცირკულაციას არღვევს და სარძევე ჯირკვლების დაავადებების განვითარების პროვოცირება შეუძლია. ბიუსტჰალტერი ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს მკერდის ზომას. უმჯობესია შეარჩიოთ ლიფი, რომელსაც შიგნითა ზედაპირზე უხეში ნაკერები არ ექნება. ლიფი 12 საათზე მეტ ხანს არ ატაროთ.

ულტრაიისფერი სხივების სიჭარბე

სარძევე ჯირკვლების კანი ძალიან ნაზი, ფაქიზია. მზის სხივების თავდასხმის არეკვლა არ შეუძლია. ულტრაიისფერი დაუბრკოლებლად აღწევს ჯირკვლების ქსოვილში და ავთვისებიანი უჯერედების ზრდას ააქტიურებს. ამიტომ უმჯობესია ჩრდილში დილის 11 საათამდე და 16 საათის შემდეგ გაირუჯოთ, როდესაც მზის აქტივობა ისეთი მაღალი არ არის. მზისგან დამცავი კრემის გამოყენება არ დაგავიწყდეთ!

ინტენსიური მოძრაობები

არ დაუშვათ მკერდის მკვეთრი რხევა სპორტული მეცადინეობის (სირბილი, ხტომა, ცეკვა) დროს. ზოგჯერ ასეთი რყევების ამპლიტუდა 20 სმ-ს აჭარბებს, რაც მტკივნეულ შეგრძნებებს და მკერდის მიკროტრავმებს იწვევს. ამავდროულად გახსოვდეთ, რომ მკერდის დამჭერი იოგი ძალიან თხელია და ადვილად იწელება. ამიტომ დროთა განმავლობაში ასეთმა ინტენსიურმა მოძრაობებმა შეიძლება მკერდის ჩამოწევა-ჩამოკიდება და მისი დეფორმაცია გამოიწვიოს. მაშინაც კი, თუ პატარა მკერდი გაქვთ, სპორტული წვრთნის დროს სპორტული ლიფი ჩაიცვით — მკერდს საიმედოდ დააფიქსირებს.

ტრავმები

სარძევე ჯირკვლებს ყველაზე სერიოზული შედეგებით ემუქრება ტრავმები. საშიშია მიკროტრავმებიც, როდესაც მეტროში ან ავტობუსში მკერდზე მოგაწვნენ, შემთხვევით იდაყვი ან ჩანთა გაგკრეს. შემდეგში ჰემატომის (დალურჯება) ადგილზე შეიძლება კისტა (სითხით ავსებული ღრუ) წარმოიქმნას, ხოლო მომავალში როგორ განვითარდება მოვლენები, ამის წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია. ამიტომ მკერდის დაცვის ჩვევა გამოიმუშავეთ.

ჭარბი წონა და ძლიერ გახდომა

სტაბილური წონა დაავადებებისგან მკერდის საუკეთესო დაცვაა. ექიმების მტკიცებით, 3-4 კგ-ით წონაში მომატება სარძევე ჯირკვლების პათოლოგიის საფრთხეს მკვეთრად ზრდის. უფროა უარესია სწრაფად გახდომა, ვინაიდან მკერდის ძირითადი შემადგენელია ცხიმი, როდესაც ის ხან ქრება და ხან უკან ბრუნდება, ორგანიზმის დამცავი მექანიზმები იშლება.

ზერელე დამოკიდებულება

თქვენზე უკეთესად არავინ იცის თქვენი მკერდი. ამიტომ მისი ჯანმრთელობა, პირველ რიგში, თქვენს ძალისხმევაზეა დამოკიდებული. თავის მიმართ ყურადღებიანი იყავით და ყოველთვიურად სარძევე ჯირკვლების თვითგამოკვლევა ჩაიტარეთ. ეს როგორ ხდება?

ყოველმა ქალმა ყოველთვიურად (ციკლის დამთავრებიდან 1-2 კვირაში, ხოლო მენოპაუზის პერიოდში თვის განსაზღვრულ დღეს) მკერდი უნდა გაისინჯოს. სარკის წინ, კარგად განათებულ ადგილას დაჯექით და ვიზუალურად თქვენი სარძევე ჯირკვლები, მასზე კანის სხვადასხვა ცვლილებები (გაწითლება, შეშუპება, შეწევა და ა.შ.) დაათვალიერეთ. ერთი ხელი წელზე დაიდეთ და თავისუფალი ხელის თითებით სარძევე ჯირკვალი სპირალისებურად მოისინჯეთ. შემდეგ ხელი თავზე დაიდეთ და პალპაცია გააგრძელეთ, იგივე გააკეთეთ მეორე მკერდზეც. შემდეგ ასეთი გასინჯვა მწოლიარე მდგომარეობაშიც ჩაიტარეთ. თუ საეჭვო რამ (გასქელება, კვანძები, მტკივნეულობა, ძუძუს თავიდან გამონადენი) აღმოაჩინეთ, აუცილებლად მამოლოგს მიმართეთ.

სარძევე ჯირკვლების დაავადებების ადრეულ სტადიაზე გამოვლენას ეხმარება მამოგრაფია ან ულტრაბგერითი გამოკვლევა (თუ 35 წელზე ნაკლების ხართ).

თავს ნუ ავნებთ!

მკვნე ჩვევები დავმეთ

სარძევე ჯირკვლებისთვის №1 საშიშროებაა თამბაქოს მოწევა და ალკოჰოლით გატაცება. ეს დამღუპველი ჩვევები სისხლძარღვების მდგომარეობას აუარესებენ, ხოლო სისხლის დინების დარღვევისას მკერდი ძლიერ იტანჯება. გარდა ამისა, მოწევა კანის მდგომარეობაზე უარყოფითად აისახება.

ამორტს ნუ გაიკეთებთ

სარძევე ჯიკვლებისთვის განსაკუთრებულ საშიშროებას წარმოადგენს აბორტი. განაყოფიერებიდან მაშინვე იწყება ჰორმონული გარდაქმნები, რომლებიც ორგანიზმს ბავშვის გასაჩენად ამზადებს, ხოლო მკერდს — მის გამოსაკვებად. აბორტის შემდეგ ჰორმონულ სისტემაში უთანხმოება ხდება. განსაკუთრებით საშიშია ფეხმძიმობის შეწყვეტა ადრეულ ასაკში, პირველი ბავშვის გაჩენამდე.

✓ მოამზადა ანა გაგოშიძემ

ვამარცხებთ ცელულიტს

ცელულიტისგან გათავისუფლება შეიძლება, მაგრამ მიდგომა უნდა იყოს კომპლექსური. აუცილებელია დიეტა, ვარჯიში, რეგულარული თვითმასაჟი და, რა თქმა უნდა, სამკურნალო გადახვევა.

ასეთი პროცედურები კანის ტონუსს ამაღლებს, ლიმფის დინებას აჩქარებს, ზედმეტი ცხიმისა და ტოქსინებისგან გათავისუფლებას ეხმარება. ყველასთვის ხელმისაწვდომი გადახვევა შეგიძლიათ სახლში ადვილად ჩაიტაროთ. ძვირადღირებული კოსმეტიკური საშუალებების შეძენა არ მოგიწევთ. დაგჭირდებათ: მცენარეული ზეთი (უმჯობესია ზეითუნის), წითელი წიწაკა, დარიჩინის ფხვნილი, გადასახვევი აპკი, ფოლგა და თბილი საბანი.

5 სუფრის კოვზი ზეთი, თითო სუფრის კოვზი დაფქული წითელი წიწაკა და დარიჩინი აურიეთ. ნარევი პრობლემურ ნაწილზე დაიდეთ. გახსოვდეთ, ცელულიტის საწინააღმდეგო საშუალებას ლიმფური კვანძების მიდამოში (მუხლების ქვეშ და საზარდულთან) არ იდებენ. ზემოდან აპკი გადაიხვიეთ, შემდეგ ფოლგა და ბოლოს თბილი საბანი დაიფარეთ.

აღნიშნული საშუალება ძალიან ძლიერია. ამიტომ გადახვევის ხანგრძლივობა 15-30 წუთია. პროცედურის შემდეგ ნარევი ჩამოიბანეთ და დამარბილებელი კრემი წაისვით.

კანის მგრძნობელობის მიხედვით, წიწაკის რაოდენობა შეგიძლიათ ცოტა გაზარდოთ ან შეამციროთ. წვა არ უნდა იყოს მეტად ძლიერი და დისკომფორტი არ უნდა გამოიწვიოს.

Cyan Magenta Yellow Black

როგორ ამოვიცნოთ ბავშვის ხასიათი

როგორ შეიძლება მივხვდეთ, თუ რა ხასიათი ჩამოუყალიბდება შვილს? ხასიათის პირველი თავისებურებები ჩვილობიდანვე ვლინდება, მთავარია, დედიკომ სათანადო ყურადღება მიაქციოს წვრილმანებს და პატარას აღზრდის პროცესში აუცილებლად გაითვალისწინოს მისი ტემპერამენტი.

სნიფები და ყოჩაღები

ეს თვისებები დამახასიათებელია ქოლერიკებისა და სანგვინიკებისთვის, რომლებიც ცნობისმოყვარეობითაც გამოირჩევიან. როგორც წესი, ასეთი ტემპერამენტის ბავშვები ადრიანად იწყებენ ცოცვას, ჯდომას, სიარულს და ლაპარაკსაც. ძალიან მოძრავი და აქტიურები არიან, რაც ხშირად მშობლების მხრიდან წუწუნის მიზეზი ხდება. პრაქტიკულად, ამ ტემპერამენტის პატარების დაოკება შეუძლებელია, ისინი მუდმივად რაღაც ახლის ძიებაში არიან. სიარულის დაწყებიდან რამდენიმე კვირაში უკვე სირბილზე გადადიან და ამ დროს დედიკოებს განსაკუთრებული ყურადღების გამოჩენა მოეთხოვებათ.

ამას გარდა, პატარა ქოლერიკები და სანგვინიკები ემოციურებიც არიან. ძირითადად მხიარულ ხასიათზე ბრძანდებიან, თუმცა არც ტირილია მათთვის უცხო. უბრალოდ, სხვა ტემპერამენტის ბავშვებთან შედარებით, მათი დამშვიდება უფრო იოლია.

მშვიდები და წყნარები

ასეთები არიან ფლეგმატიკი და მელანქოლიკი პატარები. ისინი სიდინჯითა და სიფრთხილით გამოირჩევიან. როგორც წესი, არ ჩქარობენ ლაპარაკის დაწყებას, ხანდახან 2-3 წლამდეც კი „მუნჯები“ არიან. სამაგიეროდ, როგორც კი ლაპარაკს დაიწყებენ, მათ მიერ წარმოთქმული წინადადებები პრაქტიკულად სრულიად გამართულია.

საკმაოდ თავშეკავებულები არიან და საკუთარი ემოციების გამოხატვასაც ნაკლებად ახერხებენ. ხშირად სიმშვიდეს ინარჩუნებენ მაშინაც კი, როცა შიათ. ასეთი ტემპერამენტის ბავშვები მტირალები არ არიან, მაგრამ, თუ მათ ტირილზე მშობელმა მომენტალური რეაგირება არ მოახდინა, მაშინ, იცოცხლეთ, სერიოზულ ქვითინზე გადადიან და მათი დამშვიდება საკმაოდ დიდ დროს და ენერგიას მოითხოვს.

საჯვები

ქოლერიკებსა და სანგვინიკებს კარგი მადა აქვთ. ისინი ჭამის დროსაც კი ძალიან ჩქარობენ, ამიტომ ჩვილებს ჭამის პროცესში ჩაყლაპული ჰაერის გამო ხშირად აქვთ ამოქაფების პრობლემები. შედარებით მოზრდილებს დამოუკიდებლად ჭამის სურვილი უჩნდებათ, რაც კარგია და მშობელმა ამას აუცილებლად უნდა შეუწყოს ხელი.

ფლეგმატიკებიც არ არინ ცუდი მჭამელები. ისინი კარგად იმატებენ წონაში, თუმცა უშუალოდ ჭამის პროცესი შედარებით გახანგრძლივებული აქვს.

აი, მელანქოლიკებს კი ცუდი მადა აქვთ — ცოტას ჭამენ და ხშირად ულუფას (ნორმას) არ ათავებენ. მგრძნობიარენი არიან თავად საკვებთან მიმართებაშიც — კერძი არ უნდა იყოს არც ძალიან ცხელი, არც ცივი, ამიტომ, როგორც წესი, მელანქოლიკი ბავშვის ჩვეულებრივ კვებაზე გადაყვანა დროში გახანგრძლივებულია და ხანდახან 2-3 წლამდეც კი გრძელდება.

ძილი

ქოლერიკ პატარას დაძინების პროცესი მარტივი არ გახლავთ. როგორც წესი, ასეთი ტემპერამენტის ბავშვებს უფრო ნაკლები სძინავთ, ვიდრე სხვა ტემპერამენტის თანატოლებს. ისინი გვიან იძინებენ და ადრე იღვიძებენ.

სანგვინიკების დღის რეჟიმიც არ არის დიდად სრულფასოვანი, მათი საძინებელში შეყვანა და დაძინება საკმაოდ პრობლემურია.

ყველაზე იოლად ფლეგმატიკები იძინებენ და ეს პროცესი უყვართ კიდეც. ისინი ადვილად ეჩვევიან მშობლების მიერ დაწესებულ დღის რეჟიმს და როგორც კი ძილის დრო დგება, ზედმეტი ტირილისა და ჭირვეულობის გარეშე წვებიან. სამაგიეროდ, მათთვის ადრე გაღვიძება წარმოადგენს პრობლემას, რის გამოც შესაძლოა მთელი დღე იჭირვეულონ.

მელანქოლიკებს რაც შეეხებათ, ისინი სწრაფად იღლებიან, ამიტომ ძილთან დაკავშირებული პრობლემები ნაკლებად აწუხებთ. როგორც წესი, ამ ტემპერამენტის ბავშვების დაძინების პროცესის მოახლოების ამოცნობა არ არის რთული, რადგან პატარა ჭირვეულობს, თვალებს ისრესს და ისე იქცევა, დედიკოს ახვედრებს, რომ ძილის დრო აქვს. მელანქოლიკების ჩაძინების პროცესი ხანგრძლივია და ფხიზელი ძილითაც გამოირჩევიან.

სეირნობა

ქოლერიკი პატარების გასეირნება რთული პროცესია. როგორც წესი, მათი საბავშვო ეტლში გაჩერება ძნელია, მუდმივად მოძრაობას ითხოვენ. იმავეს თქმა შეიძლება სანგვინიკებზეც. თუ პატარა უკვე დამოუკიდებლად დადის, წარმოუდგენელია, ის 2 წუთით მაინც ჩაჯდეს საბავშვო ეტლში.

მელანქოლიკებისა და ფლეგმატიკების სეირნობის პროცესი კი სასიამოვნოა. მათ მოსწონთ საბავშვო ეტლი, არ ცდილობენ ამოსვლას და დამოუკიდებლად სიარულს.

ჰისთვის უნდა იყვნენ მზად მშობლები

როცა სანგვინიკები იზრდებიან, იოლად ექცევიან თანატოლების გავლენის ქვეშ, თუმცა ერთი კარგი თვისება აქვთ — საკუთარი კომუნიკაბელურობის ხარჯზე მათი გადმობირება შეუძლიათ. სანგვინიკს წყენა გულთან ახლოს მიაქვს, მაგრამ, თუ მხიარულ ხასიათზეა, მის ირგვლივ ხალისი და ხმაურია.

მოზარდ ქოლერიკს არ ჰყოფნის საკუთარი ემოციების კონტროლის უნარი, მაგალითად, უჭირს ქუჩაზე გადასვლა, ავიწყდება ქუჩის ორივე მხარეს გახედვა და ამიტომ ამჯობინებს, დედიკოსთან ხელჩაკიდებულმა გაიაროს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქოლერიკები თამამები არიან და ხშირად ავიწყდებათ საფრთხის შესახებ, რომელიც შესაძლოა მათმა დაუდევრობამ გამოიწვიოს. ამ ტემპერამენტის პატარებისათვის მნიშვნელოვანია თანატოლებთან ხშირი, რეგულარული ურთიერთობა.

ფლეგმატიკ პატარებს რაც შეეხებათ, ისინი მოკლებული არიან ინიციატივის გამოჩენის უნარს, მაგრამ მათი ინტერესთა სფერო ფართოა. მათთვის მეგობრობა და ერთგულება ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ცხოვრებაში. არაკონფლიქტურობის გამო ფლეგმატიკი ნებისმიერ კოლექტივში უპრობლემოდ იმკვიდრებს თავს, მაგრამ ახალ ნაცნობებთან ურთიერთობა თავიდან ცოტა უჭირთ. დედიკოებმა ეს უნდა გაითვალისწინონ და თუ აუცილებლობა არ მოითხოვს, საბავშვო ბაღისა და სკოლის ხშირი ცვლისგან თავი შეიკავონ.

მგრძნობიარე მელანქოლიკი იოლად ტრავმირებადი ნატურისაა და დედიკოს მთელი ცხოვრება უხდება მისი „დაცვა“. ასეთი პატარები მოზარდობის პერიოდში ხშირად იკეტებიან საკუთარ თავში. მათ საბავშვო ბაღში სიარულიც ნაკლებად მოსწონთ.

მშვიდ და წყნარ ატმოსფეროში მელანქოლიკს შეუძლია დიდხანს გაირთოს თავი ხატვით, ძერწვით. ის საკმაოდ დინჯია. ეს კი მშობლის მხრიდან ხშირი შენიშვნების საბაბი ხდება. დედიკო უნდა ეცადოს, რაც შეიძლება გაუფართოვოს შვილს ინტერესთა სფერო, ატაროს სხვადასხვა წრეზე, ისეთი ტიპის თამაშები ეთამაშოს, რომლებიც ბავშვში მოტივაციას გააღვიძებს. მელანქოლიკების მშობლებს უნდა ახსოვდეთ, რომ მათი შვილისათვის მთავარი მშვიდი გარემოა, ღიმილი და შექება კი აღზრდის მთავარი მეთოდი.

თუ ზემოთ ნათქვამს მშობლები ყურადღებას მიაქცევენ, ჩვილობიდანვე კარგად დააკვირდებიან შვილების ქცევებს, მაშინ მათთვის ძნელი არ იქნება იმის ამოცნობა, თუ როგორ ხასიათი უყალიბდება პატარას, როგორი აღზრდის მეთოდი უნდა გამოიყენონ მასთან და რას უნდა მიაქციონ უმთავრესი ყურადღება.

✓ მოამზადა ნათია ტოტიკაშვილმა

Cyan Magenta Yellow Black

ჩემი მშვენიერი ლედი

მიშა ცინცაძე: „გადამეტებული ჯამბაზობა გოგოსთან არ გამომადგა“

„ყომედი შოუს“ შედარებით ახალი სახე, მიშა ცინცაძე, ცხოვრებაში ოთხჯერ იყო შეყვარებული. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჯერ 26 წლისაა, ადვილი მისახვედრი იქნება, რომ ეს რომანები ხანგრძლივი არ ყოფილა. ბოლო სიყვარულს ერთი წლის წინ გამოემშვიდობა და ახალი გრძნობის მოლოდინშია. იუმორისტი თვლის, რომ ყველა ურთიერთობამ რაღაც ასწავლა, თუმცა ყველა ქალთან ახალ-ახალ შეცდომებს მაინც უშვებდა. ახლა უკვე იცის, როგორი ქალი სურს გვერდით და სჯერა, რომ თავის ნამდვილ მეორე ნახევარს აუცილებლად იპოვის. მისი მშობლები კი ძალიან აქტიურობენ, ველარ ითმენენ, უნდათ, მიშა დროულად დაოჯახდეს და მათ შვილიშვილი აჩუქოს.

— მიშა, რაც ეკრანზე გამოჩნდით, თქვენ მიმართ გოგონების ინტერესმა იმატა?

— თაყვანისმცემელი გოგონების რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა, რასაც ძირითადად „ფეისბუქის“ საშუალებით მივხვდი, მაგრამ უფრო ბავშვები, მე-8, მე-10 კლასის მოსწავლეები აქტიურობენ, მათ თაობაში ბევრად პოპულარული ვარ. ჩემი ასაკის გოგონებიც მწერენ.

— რას გწერენ?

— უბრალოდ მეცნობიან. რამდენიმე მათგანს შევხვდი კიდეც, მაგრამ ჩვენ შორის უფრო მეგობრული ურთიერთობა ჩამოყალიბდა. მივხვდი, რომ სოციალურ ქსელში ადამიანი სხვანაირია და რომ ნახავ — სხვანაირი. თუ როგორი, ამას უბრალოდ ვერ ავხსნი, გამგები გაიგებს.

— ანუ მათგან არავინ მოგეწონათ ისე, რომ შეგყვარებოდათ?

— არა. საერთოდ ოთხჯერ მიყვარდა. თითოეული რომანი წელიწადნახევარი მაინც

„იუმორის გრძნობით უნდა იყოს დაჯილდოებული. მუსიკასთან შეხებაც აუცილებლად უნდა ჰქონდეს. სერიოზული უნდა იყოს. ამჩატებულ გოგოებთან კონტაქტს ვერ ვამყარებ“.

გრძელდებოდა. ფლირტიდან რატომღაც ეგრეევე სერიოზულ ურთიერთობაზე გადავდიოდი.

— რატომ სრულდებოდა ეს ურთიერთობები?

— არ ვიცი, მიზეზი ყოველთვის სხვადასხვა იყო. ვერ ვიტყვი, რომ ოთხივე გოგო სხვადასხვანაირი გრძნობით მიყვარდა. როცა მიყვარს, მიყვარს! ჩემთვის ამ გრძნობას ეტაპები არ აქვს. ყველა გოგო ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდებოდა. ბოლო შეყვარებულს ერთი წლის წინ დავშორდი.

— დაშორება არ გიძნელდებათ?

— დაშორება ყოველთვის ძალიან მიჭირს, მაგრამ რაღაცეებით გადამაქვს. ვერ ვიტყვი, რომ ამ ურთიერთობების დასრულებაში რომელიმეს განსაკუთრებულად მიგვიძღოდა ბრალი. ოთხივე შემთხვევაში ორივე მხარე ვიყავით დამნაშავეები.

— როგორ იქცევით, როცა შეყვარებული სართ?

— გოგოსთვის მისი საყვარელი სიმღერის ქავერი გამიკეთებია და გამიგზავნია. ინტერნეტი უკვე იძლევა იმის საშუალებას, რომ ცეცხლიანი ფიალით ხელი არ დაიწვა და გოგო სხვა რაღაცეებით მოხიბლო. კართან ყვავილების, შოკოლადების დადება არ მიყვარს და არც სერენადების მღერა მჩვევია. საკმაოდ რომანტიკული ვარ, მაგრამ ამის გამოხატვა არ შემიძლია. როცა მიყვარს, ჩაფიქრებული და გულჩათხრობილი ვხდები.

— რა გასწავლათ მშვენიერ სქესთან ურთიერთობამ, ჩასწავლით, რა სურთ ქალებს?

— მიუხედავად იმისა, რომ ურთიერთობებში საკმაოდ გამოცდილი ვარ, ქალი ჯერ კიდევ ვერ ამოვხსენი, მაგრამ ეს უფრო საინტერესოა ჩემთვის. სიყვარულივით ისიც დიდი ფენომენია. სიყვარული რა არის, ამაზე კონკრეტული აზრი არ გამაჩნია. ეს იმდენად დიდი რამ არის, ვერც შეცდომებს გამოვლევთ და ვერც გავაკონტროლებთ. რაც უფრო ბევრს ვსწავლობ, მით უფრო სხვანაირ და ახალ-ახალ შეცდომებს ვუშვებ. ყველა წარუმატებელი სიყვარულისგან ადამიანი რაღაც გაკვეთილს მაინც იღებს, შემდეგ კი ცდილობს, ეს ყველაფერი გამოიყენოს. შეიძლება დაშვებული შეცდომა არ გავიმეორო, მაგრამ ამის გარდა ათასი რამ არსებობს, რაც შეიძლება შეგეშალოს, თუმცა პატიებაც შესაძლებელია.

— თქვენ ადვილად პატიობთ?

— არა. ქალს ღალატს ვერასოდეს ვაპატიებ!.. ზუსტად ვიცი, ჩემი მეხუთე შეყვარებული ვინ იქნება.

— ჩვენც გვითხარით, ვინ არის.

— ჯერ არ არსებობს, მაგრამ ზუსტად მაქვს დასახული, როგორ გოგოს შევიყვარებ. პირველ რიგში, იუმორის გრძნობით უნდა იყოს დაჯილდოებული. მუსიკასთან შეხებაც აუცილებლად უნდა ჰქონდეს. სერიოზული უნდა იყოს. ამჩატებულ გოგოებთან კონტაქტს ვერ ვამყარებ. ბუნებრივია, რომ პირველ ეფექტს გარეგნობა ახდენს, მაგრამ შემდეგ წინა პლანზე შინაგანი სამყარო იწევს. ყოფილა შემთხვევა, როცა გოგოს სულიერებას ფიზიკურობისთვისაც გადაუჭარბებია. ლამაზი გოგოც მინახავს, რომელშიც ისეთი რამ აღმომიჩენია, მისკენ აღარც კი გამიხედავს.

ჩემი რჩეული სიკეთით აღსავსე და კდემამოსილი უნდა იყოს. ზედმეტად თავისუფალი გოგონები არ მიყვარს. არც ძალიან დაკომპლექსებული უნდა იყოს და არც ძალიან აღვირახსნილი.

— ურთიერთობებში გახსნილი ადამიანი სართ?

— არსებობენ ადამიანები, ვისთანაც დისტანცია მიჭირავს. გოგოსთან ურთიერთობაში ყოველთვის ვცდილობ, რომ ის გავხსნა და ორივე თავისუფლად ვიყოთ. ცოტა უცნაურად გასაგები ადამიანი ვარ და მას ჩემი გაგება უნდა შეეძლოს.

— ეს უცნაურობა რითი გამოიხატება?

— ისეთი უცნაური და საზიზღარი თვისებები მაქვს, ჩემი მომავალი მეუღლე ჯერ ამას უნდა შეეგუოს. ადამიანისგან თუ რამე მეწყინა, მივახვედრებ, რომ ნაწყენი ვარ, მაგრამ — რატომ, ამას თვითონ უნდა მიხვდეს. ამის გამო გოგოსთან ურთიერთობაში პრობლემებიც შემქმნია, ორივე გაურკვევლობაში აღმოვჩენილვართ.

— რიცა ვიყვართ, ამას ადვილად ეუბნებით თუ მასთან გულახდილი საუბარი გიჭირთ?

— ამასაც წინასწარ ვერ განვსაზღვრავ. ერთი გოგოსთვის თუ ძალიან ჩვეულებრივად მითქვამს სიტყვა „მიყვარხარ“, მეორისთვის ვერაფრით გამიბედავს. ალბათ ესეც გოგოზეა დამოკიდებული. სუსტ სქესთან ურთიერთობის წამოსაწყებად ცოტა დრო მჭირდება. თუ გოგოს ჩემთან თავიდანვე ხალასი, ღია და გახსნილი ურთიერთობა აქვს, მეც ვიხსნები.

— ბიჭისა და გოგოს ურთიერთობაში მთავარი რა არის?

— მთავარი მაინც ნდობაა. ყოფილა შემთხვევა, გოგოს მოვუტყუებივარ კიდეც. ძალიან ემოციური ვარ და ასეთი რაღაცეები რთულად გადამაქვს, მაგრამ ქალს ამას არ ვაგრძნობინებ. როცა მიყვარს, ცოტა ეჭვიანი ვხდები.

— ეჭვიანობა აკრძალვებსაც გულისხმობს?

— მაგალითად, დაბადების დღეებზე სიარულს არ ავუკრძალავ, მაგრამ შეიძლება

„ჩემი რჩეული სიკეთით აღსავსე და კდემამოსილი უნდა იყოს. ზედმეტად თავისუფალი გოგონები არ მიყვარს. არც ძალიან დაკომპლექსებული უნდა იყოს და არც ძალიან აღვირახსნილი“.

ვთხოვო, იმ კონკრეტული ადამიანის დაბადების დღეზე არ წავიდეს, რომელიც არ მეპიტნავება. გოგოს თუ ვეყვარები, ამას აუცილებლად გამიგებს.

— მშვენიერ სქესთან ურთიერთობაში თემირი თუ გეხმარებათ?

— იუმორი მხოლოდ გოგოსთან ურთიერთობაში კი არა, ძალიან ბევრ რამეში მეხმარება, მაგრამ აქაც ნორმის დაცვაა საჭირო. გოგომ თუ ჩათვალა, რომ არასერიოზული ხარ, ყველაფერი დამთავრებულია.

— ასეთი შემთხვევა გქონიათ?

— მქონია, როცა ურთიერთობაში გამოუცდელი ვიყავი. გადამეტებულად ვჯამბაზობდი და მერე მივხვდი, რომ იუმორი გოგოსთან მხოლოდ რაღაც დოზით უნდა გამომეყენებინა, რადგან მათ მაინც „დასტოინი“ ბიჭები მოსწონთ.

— თქვენი ჯიზელითთ თუ იქცევი ყურადღებას?

— ბოლო დროს წვერი მოვუშვი და, სხვათა შორის, ბევრმა აღნიშნა, რომ მიხდება, ალბათ გოგონებსაც მოვწონვარ.

— გოგოზე რა სტილის ჩაცმულობა მოგწონთ?

— მთავარია, მოიხდინოს და სტილს უკვე დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. გული რატომღაც ფერხორციანი გოგონებისკენ უფრო მიმიწევს. მოუვლელი ქალი უფრო არ მომეწონება, ვიდრე ცუდად ჩაცმული. არ მომწონს დაჭმუჭნული ტანსაცმელი, ფრჩხილებზე ნახევრადგადაცლილი ლაქი...

— 26 წელი ის ასაკია, რიცა მშობლები შვილებს დაოჯახებას სთხოვენ. თქვენები არ გაჩქარებენ?

— ჩემი მშობლები უკვე შიშობენ, რომ შეიძლება უცოლოდ დავრჩე. უფრო მეტად მამაჩემი აქტიურობს, მეუბნება, ცოლი მოიყვანე დროულადო. შვილიშვილი ძალიან უნდა. დედაჩემისთვის კი უკვე სულ ერთია, ცოლად ვის მოვიყვან, ოღონდ კი ჩემს ცხოვრებაში ვინმე გამოჩნდეს.

✓ სოფიო ბოჭორიძე

Cyan Magenta Yellow Black

არმსტრონგის აღიარება

ყოფილმა ამერიკელმა ველომრბოლელმა ლენს არმსტრონგმა ფრანგული გაზეთ „დე მონდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ „ტურ დე ფრანსის“ მოგება დოპინგის გამოუყენებლად პრაქტიკულად შეუძლებელია. სახელგანთქმული

ველომრბოლელის თქმით, საფრანგეთის გზებზე გამართული რბოლა სპორტსმენის გამძლეობის გამოცდაა, რომელშიც უმთავრესი როლი ჟანგბადს ენიჭება.

თავად არმსტრონგს შვიდჯერ აქვს მოგებული „ტურ დე ფრანსი“ (1999-2005 წწ). 2012 წლის შემოდგომაზე ის ანტიდოპინგური კანონმდებლობის დარღვევაში ამხილეს, რის გამოც ყველა ტიტული ჩამოერთვა და ცხოვრების ბოლომდე დისკვალიფიკაცია მიესაჯა, მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისათვის სპორტული კარიერა უკვე დასრულებული ჰქონდა.

„ტურ დე ფრანსის“ ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით, არმსტრონგის ტიტულები ვაკანტური დარჩა. ასევე ამერიკელმა ველომრბოლელმა ორგანიზატორებს უნდა დაუბრუნოს ის საპრიზო თანხები, რომლებიც მან საფრანგეთის გზებზე რბოლებში გამარჯვებისთვის მიიღო. თავად ლენსმა განაცხადა, რომ რბოლას ნებისმიერ შემთხვევაში უნდა ჰყავდეს გამარჯვებული, თუმცა არმსტრონგისთვის ჩამორთმეულ ტიტულებზე დღემდე არავის გამოუთქვამს პრეტენზია.

✓ მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ველომრბოლელს შარდით „გაუმასპინძლდნენ“

„ტურ დე ფრანსის“ მრავალდღიანი ველორბოლის მონაწილე გუნდის ბრიტანელ მრბოლელ მარკ კავენდიშს რბოლის დროს შარდი შეასხეს. ამ ინფორმაციას გუნდის მენეჯერ პატრიკ ლეფევრის სიტყვებზე დაყრდნობით ბრიტანული გამოცემა „გარდიანი“ ავრცელებს. 10 ივლისს „ტურ დე ფრანსზე“ რბოლის მე-11 ეტაპი გაიმართა, რომლის დროსაც სპორტსმენებს 33 კილომეტრიანი დისტანციის გავლა მოუხდათ.

ლეფევრმა განაცხადა, რომ კავენდიშს ასეთმა უმსგავსო საქციელმა გული დასწყვიტა.

— ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ველოსპორტის მოყვარულები წესიერი ადამიანები იყვნენ. ამ ფაქტის გამო ვინმეს კონკრეტულად ვერ დავადანაშაულებ, ვინაიდან დისტანციის გასწვრივ 100-დან 200 ათას ადამიანამდე იდგა, — განაცხადა გუნდის მენეჯერმა.

„გარდიანის“ თქმით, შესაძლოა ბრიტანელ მრბოლელს ასეთი სახით გადაუხადეს სამაგიერო იმ ინციდენტისთვის, რომელიც 9 ივლისს მოხდა: ფინიშის ახლოს ბრიტანელი მრბოლელი მეორე გუნდის, „Argos-Shimano“-ს ჰოლანდიელ მრბოლელ ტომ ვეელერს დაეჯახა, რის შედეგადაც ჰოლანდიელი დაეცა. კავენდიშმა ამით ისარგებლა და ფინიშის ხაზი მესამემ გადაკვეთა. რბოლის დასრულების შემდეგ კი ბრიტანელმა მეტოქეს მოუბოდიშა.

„ტურ დე ფრანსის“ მიმდინარე რბოლაში კავენდიშმა ერთ-ერთი ეტაპი (მეხუთე) მოიგო. 2011 წელს ბრიტანელ ველომრბოლელს მოგებული აქვს მსოფლიოს ჩემპიონატი ტრასაზე რბოლებში.

„ბარსელონას“ პრეზიდენტი ჟურნალისტებს ქალების ტუალეტში დაემალა

ეს ინციდენტი 9 ივლისს ესპანეთის ფეხბურთის სამეფო ფედერაციის შენობაში მოხდა. ფედერაციის ასამბლეის სხდომის დასრულების შემდეგ იქ მყოფი ჟურნალისტების დიდი უმრავლესობა ესპანური კლუბის „ბარსელონას“ პრეზიდენტ სანდრო როსელისგან კომენტარის მიღებას ცდილობდა. „ბარსელონას“ პრეზიდენტმა კი მათგან თავის დაღწევის ორიგინალურ ხერხს მიაგნო — ქალებისთვის განკუთვნილ ტუალეტს შეაფარა თავი. ამ ინციდენტის ამსახველი ვიდეოჩანაწერი „იუთუბ“-ზეა განთავსებული. როდის გამოვიდა ქალების ტუალეტიდან როსელი, ამის შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება.

სანდრო როსელმა „ბარსელონას“ პრეზიდენტის თანამდებობა 2010 წლის ივლისში დაიკავა. 2003-2005 წლებში ის კლუბის ვიცეპრეზიდენტი იყო, რომელსაც მაშინ ჟოან ლაპორტა ხელმძღვანელობდა. გუნდში მოსვლამდე როსელი სპორტული მენეჯმენტით იყო დაკავებული.

პროფესიონალი მებრძოლები ქუჩურ ჩხუბში დამარცხდნენ

ორეული ორთაბრძოლების სტილის ბრაზილიელი მებრძოლები, 32 წლის მაიკელ ფალკაო და 22 წლის კაუი მენა, ქუჩის ჩხუბის დროს გაილახნენ. ინციდენტის შედეგად მენამ გონება დაკარგა და უმძიმეს მდგომარეობაში ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში მოათავსეს. ფალკაოს კი უმნიშვნელო დაზიანებები აღმოაჩნდა და საავადმყოფოდან მაშინვე გაწერეს.

კონფლიქტი ავტოგასამართი სადგურის მაღაზიაში დაიწყო. ფალკაო იქ საყიდლებზე შესულ ერთ-ერთ გოგონასთან მივიდა და ხანმოკლე საუბრის შემდეგ მას ლოყაში გაარტყა საფულე, რომელიც იმ მომენტში ხელში ეჭირა. გოგონამ მეგობარ ქალთან ერთად მაღაზია სასწრაფოდ დატოვა და მალე 3 მამაკაცის თანხლებით დაბრუნდა, რომლებმაც სპორტსმენებს ხელჩართული ჩხუბი გაუმართეს.

მაღაზიაში დაწყებული ჩხუბი გარეთ გაგრძელდა. ერთ-ერთმა თავდამსხმელმა ხის ჯოხი გამოიყენა, რომელიც ჯერ ფალკაოს ჩასცხო, შემდეგ კი — მენას. სწორედ ამის შემდეგ დაკარგა სპორტსმენმა გონება. მიუხედავად იმისა, რომ მენა ძირს უგონოდ ეგდო, თავდამსხმელებს მისი ცემა არ შეუწყვეტიათ.

სხვათა შორის, ფალკაო ადრეც მოხვედრილა მსგავს სკანდალში. 2010 წელს მას ბრალად ყოფილი მეგობარი გოგონას ცემა წაუყენეს, რის შემდეგაც შერეული ორთაბრძოლების ტურნირების უმსხვილესმა კომპანიაUFC-მ ბრაზილიელ მებრძოლთან კონტრაქტი გაწყვიტა.

კარიერის განმავლობაში ფალკაოს 37 ორთაბრძოლაში აქვს მონაწილეობა მიღებული, აქედან 31 მოიგო, 5-ში დამარცხდა, ხოლო ერთი ორთაბრძოლის შედეგი გაუქმდა. ფალკაო საშუალო წონით კატეგორიაში (84 კგ-მდე) მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს ფლობდა, რომელიც 2013 წლის თებერვალში ალექსანდრ შლემენკოსთან ბრძოლაში დამარცხებით დაკარგა. ამის შემდეგ მას ორთაბრძოლებში მონაწილეობა აღარ მიუღია.

მენა 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში ასპარეზობს. კარიერის განმავლობაში 7 ორთაბრძოლა აქვს მოგებული. ჯერჯერობით ის რინგზე არ დამარცხებულა.

Cyan Magenta Yellow Black

რიგი დავუშვიშვილოთ ყირიყანა

ეგობარი გულღია საუბარში გიწვევთ. თქვენც გულწრფელად ყველაფერს უყვებით. შემდეგ კი თქვენი ნათქვამი სხვებთან საუბარში გაიჟღერებს. ეს, რა თქმა უნდა, არ გსიამოვნებთ, გაბრაზებთ კიდეც, მაგრამ მეგობრობის გაწყვეტა არ ღირს, მით უფრო, თუ მეგობარი ცუდი პიროვნება არ არის, მაგრამ უბრალოდ ასეთი ხასიათი აქვს. ეცადეთ, თქვენი პირადი ცხოვრების დეტალებზე საუბრისგან თავი შეიკავოთ. მეგობართან შეხვედრისას საუბარი თქვენთვის საჭირო კალაპოტში წარმართეთ და შეინარჩუნეთ.

თავად დაუსვით მეტი კითხვები მის ცხოვრებაზე, გაუზიარეთ ახალი ამბები საერთო ნაცნობების შესახებ. შეხვედრის წინ გონებაში სასაუბრო თემების სია მოამზადეთ. თუ თქვენი პირადი ცხოვრების დეტალების შესახებ კითხვებს პირდაპირ დაგისვამთ, ნუ გაჩუმდებით, ზედაპირულად უპასუხეთ და საუბარი მაშინვე მოულოდნელ, ნეიტრალურ თემაზე გადაიტანეთ: „ვენ წარმოიდგენ, გუშინ ვის შევხვდი, ჩვენს თანაკლასელს“. ან კიდევ: „ინტერნეტში შესანიშნავი კულინარიული საიტი ვიპოვე. იქაური რეცეპტით უკვე ქათმის ღვეზელი მოვამზადე“. საუბარი უშუალოდ თქვენს პირად ცხოვრებას არ უნდა ეხებოდეს.

თუ უცებ აღმოაჩენთ, რომ დაგროვილ პრობლემებსა და განცდებზე გაჩუმება გიჭირთ, დღიური აწარმოეთ. ამგვარად, თქვენი პირადი ცხოვრება სხვა ადამიანების განსჯის საგანი აღარ გახდება.

წყენისგან თავისუფლდებით

ფსიქოლოგთა აზრით, წყენა, გულის ტკენა ყველაზე დამანგრეველი გრძნობაა. პირველ რიგში, ის ჯანმრთელობას აზიანებს. მძიმე შედეგებს, მათ შორის კიბოსაც კი იწვევს. გთავაზობთ რამდენიმე მეთოდს, რომლებიც ამ გრძნობის დაძლევაში დაგეხმარებათ.

ხვალ იფიქრეთ

თუ პრობლემა მეტად რთულია, თავი სწორედ ახლა რატომ უნდა გადატვირთოთ? დილა საღამოზე უფრო ბრძენია. ამიტომ დასაძინებლად დაწექით იმ აზრით, რომ დილით ყველაფერს გაარკვევთ. ძალიან ხშირად, წყენა მეორე დღეს თავისით გადის. თუ ეს არ მოხდა, მაშინ სხვა მეთოდი მოსინჯეთ.

ნეიტრალი უცნობს

ზოგჯერ ადამიანს უძნელდება იმის ზუსტად ფორმულირება, კონკრეტულად რაზე განაწყენდა. ეცადეთ, თქვენი ემოციები სიტყვებით შეამსუბუქოთ. წარმოსახვით მეგობარს წერილი მისწერეთ. სიტუაცია, თქვენი ემოციები აღწერეთ, რისხვა გადმოფრქვიეთ. ესაუბრეთ, რისი გაკეთება იყო საჭირო, წყენა რომ გამქრალიყო. უკვე წერილის წერის პროცესში დამშვიდდებით. შეიძლება განაწყენების ყველა წვრილმანი გაიგოთ ან უბრალოდ გულზე მოგეშვებათ.

ფიტნესში გაატარეთ

თქვენს გარშემომყოფებში შეარჩიეთ რამდენიმე ადამიანი, რომელთა აზრი თქვენთვის ნამდვილად მნიშვნელოვანია. ეს შეიძლება იყოს მეუღლე, ერთგული მეგობარი და მორჩა, სხვისი აზრი აღარ გაინტერესებთ. მაშასადამე, არ განაწყენდებით.

იარიყებზე უარი თქვით

ხშირად ამა თუ იმ ადამიანის კერპს თავად ვქმნით. თანამშრომელს გალანტურ კავალრად მივიჩნევთ, მეზობელს — ბუნჩულა დათუნიად, სტომატოლოგს — სუპერპროფესიონალად, მაგრამ, როდესაც თანამშრომელი კარში გასვლისას უხეშად გიბიძგებთ, მეზობელი თქვენი ფიგურის ნაკლზე ბოროტად გაიხუმრებს, ხოლო ექიმის მიერ ჩადებული პლომბი მაშინვე ამოვარდება, ბრაზი გვეუფლება, ვინაიდან ამ ადამიანებმა ჩვენი იმედები არ გაამართლეს.

უთანეითობა გაარჩიეთ

თუ რაღაც სიტუაციის შემდეგ წყენა დაგეუფლათ, ეცადეთ, „დამნაშავეს“ დაელაპარაკოთ. ესაუბრეთ თქვენი გრძნობების შესახებ, რა არ გსიამოვნებთ და გულს გტკენთ. ფსიქიკური ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად მეტად მნიშვნელოვანია საუბარი იმაზე, ურთიერთობებში რა ხდება.

ფსიქიკური თავდაცვის საშუალებები

ნეგატიური ემოციები ამოაფრქვიეთ. თუ წყენა, ბრაზი, განრისხება მოგერიათ, თქვენი შთანთქმის უფლება არ მისცეთ. ნეგატივი თქვენ შიგნით შავი ნაკადის სახით წამოიდგინეთ. შემდეგ ქვევით, ფეხებისკენ მიმართეთ და გარეთ გამოდევნეთ.

შინაგანი ნვის ძიავა

ნებისმიერი ემოცია, ეს არის ენერგია, რომელიც შეიძლება რაიმე სასარგებლოზე დაიხარჯოს. ნეგატივის განცდის დროს ქუჩაში გადით და სწრაფი ნაბიჯებით ისეირნეთ. მაგრამ უსიამოვნო მომენტებსა და შურისძიებაზე არ იფიქროთ. უბრალოდ წარმოიდგინეთ, რომ უარყოფითი ენერგია — ეს არის საწვავი ავზში. ყოველ თქვენს ნაბიჯზე მისი დონე სულ უფრო და უფრო მცირდება, ხოლო თქვენ ძალა უფრო მეტად გემატებათ. როდესაც „საწვავი“ დამთავრდება, ცოტა დაისვენეთ და საქმე ჩვეულებრივად გააგრძელეთ.

ცუდი განწყობა თუ დეპრესია?

ახლა მოდაშია დეპრესია. უგუნებობას, სევდას, დროებით ცუდ განწყობას მაშინვე დეპრესიის იარლიყს მიაკრავენ ხოლმე. სად გადის ზღვარი უბრალოდ ცუდ განწყობასა და დეპრესიას შორის?

უსიამოვნებების შემდეგ ცუდი განწყობა — ეს ფსიქიკის ადეკვატური რეაქციაა, მაგრამ პასუხი კითხვაზე, ცუდი განწყობა დეპრესიაში დროის რა მონაკვეთში გადაიზრდება, ამაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არსებობს.

დეპრესიის საგანგაშო სიმპტომებია:

თვითშეფასების დაქვეითება, ცხოვრების მნიშვნელოვანი ფაქტორების მიმართ ინტერესის დაკარგვა;

შრომისუნარიანობის მნიშვნელოვნად დაქვეითება, აპათია;

უძილობა ან პირიქით მეტისმეტი მძინარობა.

თუ ცხოვრებაში მსგავს სიმპტომებს ხშირად აქვს ადგილი, ეს საბაბია დასახმარებლად ფსიქოთერაპევტს მიმართოთ. მაგრამ, თუ ამგვარი ფორმით თავს დამტყდარ უარყოფით მოვლენებს განიცდით, დაფიქრდით და პრობლემის გადაჭრის გზები ეძებეთ. ამავდროულად თქვენი ცხოვრების მნიშვნელოვანი დეტალების მიმართ ინტერესს ნუ დაკარგავთ. ეს არ არის დეპრესია, არამედ მოვლენებზე ინდივიდუალური რეაქციაა.

ყველა ადამიანს განსხვავებული ფსიქოემოციური დონე გვაქვს. ერთსა და იმავე სიტუაციაში მყოფი ორი ახლობელი ადამიანი განსხვავებულად განიცდის. ერთი ცხარობს, ემოციებს აფრქვევს და ნახევარი საათის შემდეგ მომხდარი უკვე აღარ ახსოვს. მეორემ ამ მოვლენაზე შეიძლება ორი დღე იფიქროს და გააანალიზოს. ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს არა დეპრესიასთან, არამედ სტრესის მიმართ ჩვეულებრივ ადამიანურ რეაქციასთან.

პოზიტიურად ვახჩოვნებთ

ზრების გავლენით ბევრი რამის მიღწევა შეიძლება და პირიქით შეიძლება თავს ავნოთ. მოკლედ, ჩვენს აზრებზე დამოკიდებულია ჩვენი ბედიც და ჯანმრთელობაც. თუ მუდამ ფიქრობთ, რომ ყველაფერი ცუდად გაქვთ, დაიღალეთ, თქვენი საქმე კარგად არ არის, ბერდებით და ა.შ. ამგვარად უბედური, ავადმყოფური სიბერისთვის თავს თავად აპროგრამებთ. თითქოს მარტივია: კარგზე იფიქრე და ბედნიერი გახდები. სინამდვილეში აზრების, შეხედულებების შეცვლა ძნელია. შეგიძლიათ პრობლემა ასე გადაწყვიტოთ:

ბლოკნოტში ყოველდღიურად ჩაწერეთ თქვენი აზრები ჯანმრთელობაზე, ცხოვრებაზე, დღეგრძელობაზე. დაწერეთ ყველაფერი, რაც თავში მოგივათ. შემდეგ წაიკითხეთ და უარყოფითი შეფასებები გადახაზეთ, ხოლო პოზიტიური აზრები მტკიცებულებებად აქციეთ. რამდენჯერმე გადაწერეთ და ყოველდღიურად, სარკის წინ ხმამაღლა წარმოთქვით. ნახავთ, შედეგი მოლოდინს გადააჭარბებს!

✓ მოამზადა ანა გაგოშიძემ

Cyan Magenta Yellow Black

ჰა უნდა ვიცოდეთ, ჰოცა ინფექციების სეზონი დგება

ცაფხული და ადრეული შემოდგომა თავისი პიკნიკებით, შვებულებებით, ქორფა ხილითა და ბოსტნეულით, ნაწლავებისთვის ყველაზე საშიში დროა. შიგნით მოხვედრილი ინფექციის გამომწვევები კუჭის მთელ ორგანიზმს წამლავენ. იწყება დიარეა და სხვა უსიამოვნო მოვლენები. როგორ მოიქცეთ?

ხშირად ინფექციების შედეგების დიკვიდაცია დამოუკიდებლად შეიძლება, მაგრამ მძიმე შემთხვევებში, როდესაც მუცელში ძლიერი ტკივილი აღმოცენდება, ტემპერატურა ძლიერ მაღალია და დიარეა სამი დღის შემდეგ არ გადის, აუცილებლად ექიმს მიმართეთ. დროს როგორ მოვიქცეთ დასაწყისში?

1. პირველ რიგში, გაუწყლოება და მინერალური მარილების დაკარგვა თავიდან უნდა აიცილოთ. საჭიროა ბევრი სითხის მიღება. სასურველია ჩირის კომპოტი, მწვანე და შავი ჩაი (ყველაფერი უშაქროდ), უგაზო მინერალური წყალი. აფთიაქში შეიძინეთ სპეციალური პრეპარატები, რომლებიც ასეთი შემთხვევებისთვის აუცილებელ მიკროელემენტებს შეიცავენ.

2. ბაქტერიების მიერ გამომუშავებული ტოქსინებისგან გასათავისუფლებლად, აქტიური ნახშირი და თეთრი თიხა (1 ჩაის კოვზი 1 ჭიქა წყალზე) მიიღეთ. ეს გააკეთეთ 2-5 დღე, რათა ორგანიზმი კარგად გასუფთავდეს.

3. 1-2 დღე არაფერი ჭამოთ. როდესაც სიმპტომები შემცირებას დაიწყებს, ბრინჯის ნახარში მიიღეთ, შემდეგ მცირე მოცულობის თხევადი ბრინჯის ფაფა ჭამეთ.

4. მცენარეული საშუალებებიდან დაგეხმარებათ ფარსმანდუკის ან გვირილის ნაყენი (1 ჩაის კოვზ ნედლეულს 1 ჭიქა მდუღარე დაასხით). ნახევარი ჭიქა დღეში 3-4-ჯერ მიიღეთ.

კატეგორიულად არ შეიძლება!

ნებისმიერი ანტიბიოტიკის მიღება ექიმის დანიშნულების გარეშე.

დიარეის შეჩერება სხვა ძლიერი წამლების დახმარებით — თხევადი ფეკალური მასით ორგანიზმი ბაქტერიებისა და ტოქსინებისგან თავისუფლდება. თუ მას სრულად შეაჩერებთ, შესაძლებელია ორგანიზმის ძლიერი მოწამვლა და ნაწლავების ანთება. უმჯობესია უფრო მსუბუქი მცენარეული საშუალებები: მოცვის გამხმარი კენკრა, მუხის ქერქის სუსტი ნახარში (1/2 ჩაის კოვზს 1 ლიტრი მდუღარე დაასხით), მურყანის გირჩების ნაყენი (1 სუფრის კოვზი 1 ჭიქა წყალზე).

ოყნის დახმარებით ნაწლავების გამორეცხვა. ეს სიტუაციას მხოლოდ გააღრმავებს, სასარგებლო და მავნე მიკროფლორას შორის ბალანსი კიდევ უფრო მეტად დაირღვევა.

დიეტა: წითელი და მწვანე

მრფერი დიეტა ორგანიზმის გაწმენდაში, წონაში დაკლებაში დაგეხმარებათ, ამასთანავე გამაახალგაზრდავებელი ეფექტი აქვს.

სპეციალისტთა მტკიცებით, ნივთიერებები, რომლებიც ხილსა და ბოსტნეულს წითლად ღებავენ, დაბერების პროცესს ანელებენ, კიბოს უჯრედების ზრდას აბრკოლებენ, სისხლძარღვების ელასტიკურობას არეგულირებენ, ძლიერი ანთების საწინააღმდეგო მოქმედება გააჩნიათ. გარდა ამისა, წითელი ფერის ნაყოფი იმუნიტეტის გაძლიერებას ეხმარება, სისხლს წმენდს, სტრესის დაძლევას ხელს უწყობს.

მწვანე პიგმენტი ქლოროფილი უჯრედებს გარემოს აგრესიისგან იცავს, ორგანიზმიდან ტოქსიკური ნივთიერებების გამოდევნას ეხმარება და დაზიანებულ მემბრანებსაც კი აღადგენს. ეს ნივთიერება ტვინის უჯრედებში ჟანგბადის უფრო ხანგრძლივად დაცვა-შენახვას უზრუნველყოფს.

დაიცავით ნესები

დიეტოლოგთა აზრი „წითელი და მწვანე“ დიეტის ხანგრძლივობის შესახებ ცოტა განსხვავებულია. ერთი ნაწილის აზრით, კვების ასეთი რაციონის დაცვა შეიძლება ერთ თვემდე. მეორე ნაწილი ამტკიცებს, რომ არაუმეტეს 7 დღისა, გამეორება შეიძლება მხოლოდ ორი კვირის შემდეგ, მაგრამ ყველა სპეციალისტი თანხმდება ერთში: გახდომა შეგიძლიათ 4-7 კგ-ით. მშვენიერი შედეგია. ხოლო დიეტის ვადა თავად დაადგინეთ, მხედველობაში მიიღეთ თქვენი თვითშეგრძნება.

წითელი: პომიდორი, ჭარხალი, წითელი ბულგარული წიწაკა, წითელი გრეიპფრუტი, წითელი თავხვეული კომბოსტო, ქლიავი, ალუბალი, წითელი ხურტკმელი, ჟოლო, მარწყვი, წითელი ვაშლი, მსხალი და ა.შ.

მწვანე: კიტრი, ოხრახუში, კამა, პიტნა, ნებისმიერი მწვანილი, ნებისმიერი კომბოსტო, მწვანე ბარდა, მწვანე ხახვი, მწვანე ყურძენი, კივი, მწვანე ვაშლი და ა.შ.

დღის რაციონში მრავალფეროვნებისთვის გამოიყენეთ ერთი ნაჭერი შავი პური, ასევე შერჩევით: 1 კვერცხი, 100 გრამი მოხარშული თევზი ან მაგარი ყველის ნაჭერი.

თუ 45 წელს გადაცდით, რაციონში დაუმატეთ 100 გრამი უცხიმო ცილოვანი პროდუქტი. სალათის შესაკმაზად გამოიყენეთ 1-2 სუფრის კოვზი მცენარეული ზეთი ან უცხიმო არაჟანი. დესერტად შეგიძლიათ 1-2 ნატეხი შავი შოკოლადი. დაბოლოს სასმელი: იდეალურია მწვანე ჩაი და კარკადე. თქვენი სურვილით შეანაცვლეთ.

წითელი და მწვანე პროდუქტი შეგიძლიათ მიირთვათ შეუზღუდავად და ნებისმიერი სახით: სალათები, ბოსტნეულის წვნიანი, მეორე კერძი, სასმელი.

ყურადღება! მიუხედავად იმისა, რომ დიეტოლოგები თვლიან, წითელი და მწვანე დიეტა კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მუშაობას აუმჯობესებს, ნივთიერებათა ცვლას ნორმალურს ხდის და აშკარად გამოხატული უკუჩვენება არ აქვს, თუ კუჭთან ან ნაწლავებთან პრობლემები გაქვთ, საკონსულტაციოდ ექიმს მიმართეთ.

მითხარით, რას ჭამთ...

ყოველ „კალორიულ ბომბს“ თავისი ღირსეული კონკურენტი მოეძებნება.

ბევრი საკვები, რასაც სიამოვნებით მივირთმევთ, მავნეა როგორც ფიგურისთვის, ასევე ჯანმრთელობისთვისაც. იპოვეთ მათი ალტერნატივა. განსაკუთრებით, თუ ზედმეტი წონისგან გათავისუფლება მტკიცედ გადაწყვიტეთ, ხოლო დიეტაზე ყოფნა და სპორტდარბაზში ვარჯიშებით გასავათება არ გსურთ. პირველ ეტაპზე თქვენი დღიური რაციონის კალორიულობა შეამცირეთ. „მძიმეწონიან“ საკვებზე უარი თქვით და დაბალკალორიულ კვებას მიეჩვიეთ. მთავარია, არა რაოდენობა, არამედ ცხიმების ხარისხი. გაითვალისწინეთ, რომ ზოგიერთი პროდუქტი ფარულ ცხიმებს შეიცავს. ისინი განსაკუთრებით ბევრია ძეხვეულის ნაწარმში, ნახევარფაბრიკატებში, ქვეპროდუქტებში, ბულიონებში. ასეთ საკვებს მოერიდეთ.

ალტერნატიული მიდგომა

საუზმე

დილით ერთი ნაჭერი თაფლწასმული პური ცხიმიანი ფუნთუშას მაგივრად, მთელი დღით მხნეობით დაგმუხტავთ.

არ შეიძინოთ იოგურტი დანამატებით და შენახვის ხანგრძლივი ვადით. ის ნაკლებად სასარგებლოა, ვიდრე სწრაფფუჭებადი „ცოცხალი“ იოგურტი.

კარაქი 75%-მდე ცხიმიანობით, სისხლში ქოლესტერინის დონეს ზრდის. უმჯობესია ბუტერბროდზე უცხიმო ხაჭო წაუსვათ.

სადილი

კარტოფილი ფრი შეიცავს გაუგებარი წარმოშობის ცხიმებს. უმჯობესია, კარტოფილი ხახვთან ერთად თავად შეწვათ.

ჰოთ-დოგი წონაში მატებას ხელს უწყობს. ფასტფუდების გარეშე არ შეგიძლიათ? მიირთვით ბურგერი ქათმის კატლეტითა და ბოსტნეულით.

უპირატესობა მიანიჭეთ პიცას მჭლე შაშხითა და პომიდვრით და არა — სუპერკალორიულ პიცას.

ვახშამი

ფიგურისთვის ზიანის მიუყენებლად შეგიძლიათ მიირთვათ მსუბუქი კოქტეილ-სალათა ზღვის პროდუქტებით, ხორცის პროდუქტებით მომზადებულის მაგივრად.

მაღალკალორიული, უმად შებოლილი ძეხვი მადას აღვიძებს. შეგიძლიათ ნაკლებკალორიული ინდაურის ფილეთი შეცვალოთ.

ნახემსევა

ჩიპსები მხოლოდ კალორიებია. მათ მაგივრად მარილიანი ჩხირები ახრამუნეთ. 100 გრამში სულ რაღაც 5 გრამი ცხიმია, იმავე რაოდენობის ჩიპსებში — 25 გრამი.

ძირითადი კვების შუალედებში დესერტით პირის ჩატკბარუნება გიყვართ? პრობლემა არ არის. კარგია პასტილა, მარმელადი ან ჟელე და არა — შოკოლადის პასტა.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ

Cyan Magenta Yellow Black

მსოფლიოში ყველაზე დიდი და პატარა ფეხები ერთმანეთს შეხვდნენ

მსოფლიოში ყველაზე დიდი და ყველაზე პატარა ფეხების მქონე ადამიანები ერთმანეთს შეხვდნენ. დიდი ფეხების პატრონი 31 წლის მაროკოელი მამაკაცი ბრაჰიმ ტაკიოლაჰა, პატარა ფეხების კი — 19 წლის ინდოელი გოგონა ჯიოტო აგმე. ის მამაკაცთან შედარებით ნამდვილ თოჯინას ჰგავს.

ჯიოტო სულ 58 სმ სიმაღლისაა, რაც ბრაჰიმის ფეხის სიგრძეს (37,5 სმ) ბევრით არ აღემატება. მამაკაცი 2,46 სმ სიმაღლისაა. 31 წლის გიგანტს ფეხსაცმელს სპეციალურად უკერავენ, ქალს კი ბავშვის ყველაზე პატარა ზომის ფეხსაცმელი აცვია. ისინი ერთმანეთს იმიტომ შეხვდნენ, რომ საზოგადოებისათვის თავიანთი ფეხების მკვეთრი სხვაობა ეჩვენებინათ.

ფეხბურთი ტალახში

შოტლანდიის ქალაქ ბლემორში ყოველწლიური მსოფლიო ჩემპიონატი — ფეხბურთი ტალახში გაიმართა. მასში მონაწილეობა 25-მა გუნდმა მიიღო და შოტლანდიურმა გუნდმა გაიმარჯვა. ჩემპიონატში დაიშვებიან სპორტსმენები 17 წლის ზემოთ, როგორც კაცები, ისე ქალები. 24 წუთის განმავლობაში (ამდენ ხანს გრძელდება მატჩი), ფეხბურთელებს არ ჰქონდათ ფეხსაცმლის გამოცვლის უფლება.

ეს თამაში ფინეთში დაიბადა. ფინელები მიიჩნევენ, რომ სპორტის აღნიშნული სახეობა საუკეთესო საშუალებაა ზამთრის სათხილამურო რბოლისთვის მოსამზადებლად.

2 წლის ბიჭმა ინტელექტის მაჩვენებლით ბარაკ ობამას აჯობა

2 წლის ბრიტანელი ადამ კირბი ნიჭიერთა საერთაშორისო ასოციაციის, „მენსას“ ყველაზე პატარა წევრი გახდა. მისი თანატოლები ლაპარაკს სწავლობენ, ადამი კი უკვე წიგნებს კითხულობს. მას განსაკუთრებით უყვარს შექსპირი, ზეპირად იცის გამრავლების ტაბულა და იაპონური, ესპანური და ფრანგული ენების ანბანი. მისი აიქუ-ს მაჩვენებელი 14-ია, რითაც ბევრ პოლიტიკურ ფიგურას აჯობა, მათ შორის — აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამასაც.

ბიჭუნას მშობლებმა დინ და კერი კირბებმა შვილის განსხვავებულობა მას შემდეგ შეამჩნიეს, რაც პატარამ დამოუკიდებლად დაიწყო პამპერსის გამოცვლა და წიგნების კითხვა. ადამს 2 თვის ძმა ჰყავს, რომელიც, მშობლების აზრით, უფროს ძმაზე გაცილებით ჭკვიანი იქნება.

1955 წელს გამოშვებული „მერსედესი“ 4 მილიონად გაიყიდა

უკვე არაერთხელ დამტკიცდა, რომ გასული საუკუნის მანქანებში გაცილებით მეტს იხდიან, ვიდრე თანამედროვე, უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილ მოდელებში. ამის ნათელი მაგალითი 1955 წელს გამოშვებული „მერსედეს-ბენც 300 SL“-ია. ეს სპორტული მანქანა არიზონას შტატში, ქალაქ სკოტსდეილში გამართულ აუქციონზე რეკორდულ ფასად, 4.062.000 დოლარად გაიყიდა. იშვიათი ავტომობილის მფლობელის ვინაობა უცნობია.

1954-1957 წლებში „მერსედესმა“ 300 SL-ის 1.400 ეგზემპლარი გამოუშვა. ამასთან, 29 მათგანი მხოლოდ ალუმინისგან გახლდათ დამზადებული. აუქციონზე გაყიდული ავტომობილიც სწორედ ერთ-ერთი მათგანია. მისი საწყისი ღირებულება 3.000.000 დოლარი იყო. სპორტულ ავტომობილს 212 ცხენის ძალა აქვს და 260 კმ/სთ სიჩქარეს ავითარებს.

40 წელი ერთსა და იმავე ჰერანგში

დალასში მცხოვრები პენსიონერი ფიზკულტურის მასწავლებელი დეილ ირბი ინტერნეტვარსკვლავი მას შემდეგ გახდა, რაც 40 წლის მანძილზე გადაღებული მისი 40 ფოტო გამოქვეყნდა. საქმე ის გახლავთ, რომ დეილი 1973 წლიდან მოყოლებული პენსიაზე გასვლამდე გადაღებულ ყველა ფოტოზე ყავისფერ ჟილეტსა და ერთსა და იმავე ღია ფერის პერანგშია აღბეჭდილი.

ირბის თქმით, მას უფრო ხშირად სპორტულად ეცვა. როდესაც 40 წლის წინ პიჯაკში სურათის გადაღება დასჭირდა, გარდერობში მხოლოდ ჟილეტი და პერანგი აღმოაჩნდა. 2 წლის შემდეგ მასწავლებელმა შენიშნა, რომ წინა წლებში ერთსა და იმავე ჟილეტსა და პერანგში გადაუღია სურათები და გადაწყვიტა, ტრადიცია გაეგრძელებინა, რაც ზუსტად 40 წელი გაგრძელდა.

Cyan Magenta Yellow Black

სიგარეტისგან გასათავისუფლებლად კაცმა გალია ჩამოიცვა

თურქეთის ქალაქ კიუტახიაში მცხოვრებმა 42 წლის იბრაჰიმ იუჯელმა სიგარეტისთვის თავის დასანებებლად თავზე გალია ჩამოიცვა. რკინის ბადე წვრილად ნაქსოვია და იკეტება. ერთი გასაღები ცოლს აბარია, მეორე — შვილს.

იბრაჰიმი ბოლო 26 წელია, აქტიური მწეველია. ამ ხნის განმავლობაში მან არაერთხელ სცადა სიგარეტისათვის თავის დანებება, მაგრამ არ გამოუვიდა, ამიტომ ორიგინალურ ხერხს მიმართა — საუზმის მერე თავზე გალიას იხურავს, გასაღებს ცოლ-შვილს უტოვებს და სამუშაოზე მიდის.

— მამაჩემი ფილტვების კიბოთი გარდაიცვალა და არ მინდა, მისი ბედი გავიზიარო, — ამბობს იბრაჰიმი.

მწეველი კუ

ჩინეთის ქალაქ ჩანჩუნში მცხოვრები ცნობილი შეფმზარეულის, ტანგის საყვარელმა კუმ სიგარეტის მოწევა დაიწყო. პატრონი მას უკვე რამდენიმე კვირაა აკვირდება.

თავდაპირველად კუ გადაგდებული სიგარეტის ნამწვავებს პოულობდა და ეწეოდა, ხოლო, როცა მისი პატრონი მოწევას დაიწყებდა, კუ ჩურჩულის მაგვარ ხმებს გამოსცემდა. ტანგმა ეს შეამჩნია, მოკიდებული სიგარეტი შესთავაზა და... უკვე რამდენიმე კვირაა, კუ ოფიციალური მწეველია!

ტანგის არ მოსწონს, რომ სიგარეტის ხარჯი გაუორმაგდა და შველას ვეტერინარებს სთხოვს, რადგან კუს ნიკოტინდამოკიდებულად მიიჩნევს.

წყვილს სახლში 55 ლამა ჰყავს

თუ ადამიანების უმეტესობას სახლში ძაღლი ან კატა ჰყავს, ამერიკელ წყვილს, გერი და კატრინა კაპასონებს, ცხოველების მთელი ფერმა აქვთ, თანაც ძროხების, ღორების ან ქათმების კი არა, არამედ ლამების.

ნიუ იორკის შემოგარენში მცხოვრებ ცოლ-ქმარს 55 ლამა ჰყავთ, რომლებსაც საკუთარი შვილებივით უვლიან. ლამებს სახლში შესვლა, მაცივარში ცხვირის შეყოფა და ოჯახთან ერთად ტელევიზორის ყურებაც კი აქვთ ნებადართული.

— ლამების გამოკვება ძვირი სულაც არ ჯდება, ამიტომ არ გამოვრიცხავ, უახლოეს მომავალში მათი რიცხვი კიდევ რომ გაიზარდოს, — ამბობს კატრინა.

კაპასონები იმ 30.000 ადამიანს შორის არიან, ვისაც სახლში ლამა ჰყავს. შეგახსენებთ, რომ ლამას საშუალო სიმაღლე 6 ფუტია, ხოლო წონა 125 კილოგრამს შეადგენს.

ჩემპიონმა 69 ჰოთდოგი 10 წუთში გადასანსლა

ნიუ იორკში ჰოთდოგების ჭამის ყოველწლიური კონკურსი ჩატარდა. 29 წლის ამერიკელი ჯოი ჩესნათი კი ზედიზედ მეოთხედ გახდა ამ შეჯიბრის ჩემპიონი. ამ ჯერზე გამარჯვებულმა 69 ცალი ჰოთდოგი 10 წუთში შეჭამა და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. მან პირველი ადგილი და 10.000 დოლარი ფულადი პრიზი მოიგო. ჯოიმ 2009 წელს დამყარებული რეკორდი გააუმჯობესა, მაშინ მან 10 წუთში 68 ჰოთდოგი შეჭამა.

ქალების კონკურსში კი 37 ჰოთდოგით სონია თომასმა გაიმარჯვა. თავისი პირადი რეკორდი დაამყარა ჩესნათის მოწინააღმდეგე იაპონელმა ტაკერუ კობაიასიმ, რომელმაც 10 წუთის განმავლობაში 64 ცალი ჰოთდოგის შეჭმა შეძლო. 9 წუთი ჩესნათი, კაბაიასი და კიდევ 17 მონაწილე თანაბარ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, ბოლო წუთს კი ჩესნათი გახდა ფავორიტი.

110 წლის კაცმა დაბადების დღე ვისკით აღნიშნა

ბრიტანეთის ყველაზე ხნიერმა მამაკაცმა, რალფ ტარანტიმ 110 წლის იუბილე ვისკით აღნიშნა. რალფის თქმით, ის განსაკუთრებულს არაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ დიდხანს ეცოცხლა. პირიქით, 70 წლამდე აქტიური მწეველი იყო და დღემდე იღებს ალკოჰოლს. 101 წლის მხცოვანი სხვისი დახმარების გარეშე უვლის თავს და ძალიან გაკვირვებულია, თუ რატომ ინტერესდება პრესა მისი პიროვნებით ასე ძალიან.

2012 წელს ტარანტი და მისი მეუღლე ფელისი ბრიტანეთის ყველაზე წარმატებულ წყვილად აღიარეს. ფელისი 103 წლის ასაკში გარდაიცვალა გასულ წელს. მათ ერთად 79 წელი იცხოვრეს. რალფს 2 შვილი, 7 შვილიშვილი, 11 შვილთაშვილი და 3 შვილთაშვილის შვილი ჰყავს.

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

ქმარი სწორად აირჩიეთ?

1. როცა ქმარს სხვა მამაკაცებს ადარებთ, ფიქრობთ, რომ...

ა) ის ყველაზე მომხიბვლელი და ჭკვიანია.

ბ) არაფრითაა სხვაზე ნაკლები.

გ) ხან მგონია, რომ საუკეთესოა, ხან კი — საშინელებაა.

დ) ბევრად ნაკლებია სხვებთან შედარებით.

2. ვინ არის თქვენს ოჯახში ლიდერი?

ა) რა თქმა უნდა, ქმარი.

ბ) თანაბარუფლებიანები ვართ.

გ) ხან — ის, ხან — მე, გააჩნია, რა საკითხი წყდება.

დ) რა თქმა უნდა, მე!

3. ერთობლივი შვებულება გაქვთ. ვინ წყვეტს, როგორ და სად ჯობს გამგზავრება?

ა) მე ვთავაზობ, საბოლოო გადაწყვეტილებას კი მეუღლე იღებს.

ბ) ერთად ვწყვეტთ. ხარჯებსაც, საორგანიზაციო საკითხებსაც თანაბრად ვინაწილებთ.

გ) ბევრს ვკამათობთ და იშვიათად მივდივართ კომპრომისზე.

დ) გადაწყვეტილებს მე ვიღებ, ქმარი კი მემორჩილება.

4. როგორ ატარებთ თავისუფალ დროს?

ა) უფრო ხშირად დაქალებთან ერთად. ქმარი ძალიან დატვირთულია და არ მინდა, ხელი შევუშალო.

ბ) ვცდილობთ, ყოველი თავისუფალი წუთი ერთად გავატაროთ.

გ) ხანდახან დროს ერთად ვატარებთ, მაგრამ უფრო ხშირად ერთმანეთისგან დასვენება გვირჩევნია.

დ) თუ სხვა საინტერესო პერსპექტივა არ მესახება, ქმართან ერთად გასართობად მივდივარ.

5. სანამ მომავალ ქმარს გაიცნობდით, სხვას ხვდებოდით. ახლა, როცა უკვე გათხოვილი ხართ, შემთხვევით ყოფილ სატრფოს შეხვდით, რა ემოცია გექნებათ?

ა) არანაირი ემოცია. ქმარი მიყვარს და სხვა არ მაინტერესებს!

ბ) ყოფილ სატრფოსთან დღემდე მეგობრული და თბილი ურთიერთობა მაქვს.

გ) ჩემს გრძნობებში ვერ გავრკვეულვარ. თითქოს აღარაფერში მჭირდება, არადა, გული მწყდება, რომ დავშორდით.

დ) გული ისევე ამიჩქარდება, როგორც მაშინ, პირველად რომ შევხვდით ერთმანეთს.

6. ქმარი ყოფილ სასიყვარულო თაყვანისცემლებზე გიყვებათ ხოლმე?

ა) დიახ და ეს არ მსიამოვნებს.

ბ) არა.

გ) ხანდახან ერთად ვიხსენებთ ჩვენს ყოფილ შეყვარებულებს.

დ) ერთი გაბედოს!

7. რა პრეტენზია აქვს ყველაზე ხშირად თქვენ მიმართ მეუღლეს?

ა) თვლის, რომ სუსტი და უსუსური ვარ.

ბ) პრეტენზიები არ მახსენდება, ძირითადად მაქებს.

გ) მიაჩნია, რომ ძალიან პრეტენზიული ვარ.

დ) მსაყვედურობს, რომ ძალიან უხეში ვარ.

8. ფიქრობთ, რომ თქვენი ქორწინება შეცდომაა და უმჯობესია, თუ დაშორდებით?

ა) არასოდეს!

ბ) არა.

გ) ხანდახან ასეც ვფიქრობ.

დ) ამაზე ხშირად ვფიქრობ.

დაითვალეთ, რომელი ვარიანტი ჭარბობს თქვენს პასუხებში.

შედეგები:

„ა“ ვარიანტი —თქვენ არამარტო ერთგული ცოლი ხართ, არამედ ქმრის მხურვალე თაყვანისმცემელიც. უსიტყვოდ ემორჩილებით ყველა მის გადაწყვეტილებას და ყველაფერში ენდობით. იმიტომ ხომ არ აირჩიეთ ის, რომ გირჩევნიათ, ვინმეს ჩრდილქვეშ იმყოფებოდეთ, ვიდრე თავად ბრწყინავდეთ? აზრი იმის შესახებ, რომ შესაძლოა თქვენი მეუღლე სულაც არ შეგეფერებათ, არასოდეს მოგდით თავში. შესაძლოა, გეშინიათ ვარდისფერი სათვალის მოხსნა და მოვლენებისთვის ფხიზლად შეხედვა. რა გაეწყობა, ეს თქვენი არჩევანია, თუმცა თქვენი გადაწყვეტილება სწორი იმ შემთხვევაში იქნება, თუ ქმარი სათანადოდ შეაფასებს და დააფასებს ყველაფერს, რასაც თქვენ მისთვის აკეთებთ.

„ბ“ ვარიანტი — თქვენი კავშირი ჰარმონიულია, რადგან ორივე თანაბარი უფლებებით სარგებლობთ ოჯახში. შესაძლოა, ამიტომაც აირჩიეთ სწორედ ეს მამაკაცი ცხოვრების თანამგზავრად, რომ თქვენთვის მთავარია, გვერდში გყავდეთ თანამოაზრე, რომ პრობლემები ოჯახში სწრაფად და გონივრულად გვარდებოდეს, რომ არ იყოს კონფლიქტები და კრიზისული სიტუაციები. ერთი მხრივ, ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ კრიზისებისა და კონფლიქტების გარეშე ოჯახში ურთიერთობა გაყინულია და არ ვითარდება. იფიქრეთ ამაზე. ნუ გეშინიათ კამათისა და უთანხმოების, ნუ ცდილობთ, ნებისმიერი ხერხით ჩაახშოც მცირე უთანხმოებები. იმის გამო, რომ ერთხელ არ დაეთანხმეთ, ქმარი არ მიგატოვებთ. პირიქით, თავადაც თამამად დაიცავს საკუთარ აზრს, რაც დაგეხმარებათ, ჩვეულ კომპრომისზე წასვლის ნაცვლად მიხვიდეთ ახალ, საინტერესო გადაწყვეტილებამდე და ურთიერთობის ახალ ეტაპზეც გადახვიდეთ.

„გ“ ვარიანტი —გარშემომყოფები იშვიათად აღნიშნავენ, რომ თქვენ ერთმანეთისთვის ხართ შექმნილნი და ეს სიმართლეა. თქვენ თავადაც ბოლომდე ვერ გარკვეულხართ საკუთარ ურთიერთობებში. ალბათ, უფრო სარწმუნო იქნება ვიფიქროთ, რომ თქვენ ეძებდით და იპოვეთ მამაკაცი, რომელიც თქვენზე ძლიერი და დამოუკიდებელი იქნებოდა. მიუხედავად ამისა, მაინც არ ხართ მზად, მთლიანად დაემორჩილოთ მას და სწორედ ეს ხდება მიზეზი ოჯახში გაუთავებელი უსიამოვნებების. თითოეული თქვენგანი თავისკენ ექაჩება საბანს და დათმობას არც აპირებს. რატომ არ ცდილობთ ერთმანეთთან დაახლოებას, როცა ასე ბევრი გაქვთ საერთო? ყურადღებით შეხედეთ ერთმანეთს და გარწმუნებთ, ბევრ საერთოს აღმოაჩენთ. ბევრ პრობლემას კი იმით მოაგვარებთ, თუ დათმობას ისწავლით. დასაწყისისთვის იხელმძღვანელეთ პრინციპით: “მე — შენ, შენ — მე“.

„დ“ ვარიანტი — ცოლი კი არა, ნამდვილი ბოსი ხართ. კბილებით ხართ ჩაბღაუჭებული ლიდერის პოზიციას და ქმრის მხრიდან ყველა ინიციატივას ჩანასახშივე სპობთ. შესაძლოა, სწორედ ეს გაკავშირებთ მასთან. მიუხედავად იმისა, რომ გამუდმებით წუწუნებთ მეგობრებთან, რომ ქმარი კი არა, ჩვარი გყავთ. ქვეცნობიერად ყოველთვის თქვენზე სუსტი მამაკაცი გინდოდათ გვერდში გყოლოდათ. ნებისმიერ შემთხვევაში, აუცილებელია იცოდეთ, რომ კაცი, რომელიც ყველაფერში გეთანხმებათ — ეს სასჯელი კი არა, საჩუქარია თქვენნაირი ადამიანისთვის. თქვენზე ძლიერ მამაკაცთან, უბრალოდ, ვერ იცხოვრებდით. დაფიქრდით, იქნებ თქვენი მეუღლე იმიტომ კი არ ასრულებს ყველა თქვენს ახირებას, რომ სუსტია, არამედ იმის გამო, რომ ძალიან უყვარხართ. ეს კი, გარწმუნებთ, საკმარისი მიზეზია იმისათვის, რომ უფრო ალერსიანი და თბილი გახდეთ მის მიმართ.

სუდოკუ

წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები იხ. გვ. 78

სუდოკუ არის იაპონური თავსატეხი, რომელმაც ბოლო დროს ევროპაშიც მოიკიდა ფეხი. მისი ამოხსნისთვის საკმარისია ლოგიკური აზროვნების უნარი. თავად ამოხსნის პროცესი კი დიდ სიამოვნებას გპირდებათ.

№ 1

6					7			9
		8		1			7	
	9		2					3
	1				4			5
3				6			2	
		7	8			9		
		2				4		8
	6		3			1		
		5			8			6

№ 2

5		3		7		8		
	1						9	
		6	4					2
4			5		6		8	
1				2	3			
		8			7			1
	7			8		9		
2		5				1	6	
		4			5			3

სუდოკუ შედგება 9-9 ჰორიზონტალური და ვერტიკალური სვეტისა და 9 ბლოკისგან. შევავსოთ ცარიელი უჯრები 1-დან 9 ციფრებით ისე, რომ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სვეტებსა და ბლოკებში ერთი და იგივე ციფრი არ განმეორდეს.

Cyan Magenta Yellow Black

უყვარხართ ადამიანებს?

ტესტის კითხვებს „დიახ“ ან „არა“ უპასუხეთ.

1. თვლით, რომ ყოველთვის გაფასებენ ადამიანები, რომლებთანაც გიწევთ ურთიერთობა.

2. შეგიძლიათ მეგობრებთან თქვენი ჰობის შესახებ ისაუბროთ და არ მიაქციოთ ყურადღება იმას, იზიარებენ თუ არა ისინი თქვენს გატაცებას.

3. ყველაზე ბრძნულია, ღირსების გრძნობა შეინარჩუნო მაშინაც კი, როცა სხვაგვარად მოქცევის ცდუნება ძალიან დიდია.

4. თვლით, რომ, თუ სხვის საუბარში შეცდომებს ამჩნევთ, უნდა შეუსწოროთ.

5. როცა უცნობებს ხვდებით, საკმაოდ გონებამახვილი, უშუალო და მომხიბვლელი უნდა იყოთ, რომ მათზე შთაბეჭდილება მოახდინოთ.

6. თუ ვინმესთან წარგადგინეს და მისი სახელი კარგად ვერ გაიგონეთ, უნდა სთხოვოთ გამეორება.

7. დარწმუნებული ხართ, რომ პატივს გცემენ იმის გამო, რომ არასდროს აძლევთ სხვას უფლებას, თქვენზე იხუმროს.

8. ყოველთვის ყურადღებით და მობილიზებული უნდა იყოთ, რათა გარშემომყოფებმა არ დაგცინონ და სასაცილოდ წარმოგაჩინონ.

9. თუ გონებამახვილ ადამიანთან გაქვთ საუბარი, ჯობს, არ ჩაებათ შეჯიბრში, მიაგოთ საკადრისი პატივი და საუბარს გაემოეთიშოთ.

10. ადამიანი უნდა ეცადოს, რომ მისი განწყობა შეესაბამებოდეს იმ კომპანიის განწყობას, რომელშიც ის იმყოფება.

11. ყოველთვის უნდა ეხმარებოდეთ მეგობრებს, რადგან თქვენც შეიძლება მათი დახმარება დაგჭირდეთ.

12. თვლით, რომ არ ღირს სხვებისთვის დიდი სამსახურის გაწევა, რადგან ცოტა თუ დაგიფასებთ გაკეთებულს.

13. ჯობია, სხვები იყვნენ თქვენზე დამოკიდებული და არა — პირიქით.

14. ნამდვილი მეგობარი ცდილობს, მეგობრებს დაეხმაროს.

15. ადამიანმა უნდა წარმოაჩინოს თავისი საუკეთესო თვისებები, რომ ღირსეულად მოექცნენ და შეაქონ.

16. თუ ისეთ ანეკდოტს ისმენთ, რომელიც უკვე იცით, მოსაუბრე უნდა შეაჩეროთ.

17. როცა ისეთ ანეკდოტს ყვებიან, რომელიც უკვე გაგონილი გაქვთ, ზრდილობა უნდა გამოიჩინოთ და მთელი გულით გაიცინოთ.

18. თუ მეგობართან მიგიპატიჟეს, თქვენ კი კინოში წასვლა გსურთ, ამას რაიმე საბაბით თავი უნდა აარიდოთ, მაგრამ არ გაამხილოთ რეალური მიზეზი, რათა მეგობარს გული არ ატკინოთ.

19. ნამდვილი მეგობარი ყოველთვის ითხოვს, ახლობლები ყურადღებით მოეპყრან მაშინაც კი, როცა ეს არ სურთ.

20. ჯიუტად არ უნდა დაიცვათ საკუთარი შეხედულება, როცა ვინმე საწინააღმდეგო აზრს გამოთქვამს.

თუ კითხვებზე 13, 14, 20 „დიახ“ უპასუხეთ, დანარჩენს კი „არა“ 5 ქულა დაიწერეთ, სხვა შემთხვევაში — 0 ქულა. შეაჯამეთ შედეგები და ტესტის პასუხები წაიკითხეთ.

შედეგები:

85-100 ქულა — არაჩვეულებრივი შედეგია, გარშემომყოფებს უყვარხართ და გაფასებენ.

75-80 ქულა — კარგი შედეგია. შეიძლება ყველას არ უყვარხართ (ეს შეუძლებელიცაა), მაგრამ იმათ, ვისაც აფასებთ და ვისთან ურთიერთობაც გსიამოვნებთ, ნამდვილად უყვარხართ.

65-70 ქულა — საშუალო მაჩვენებელია. თქვენ ხასიათის ადამიანი ხართ, აქედან გამომდინარე, გარშემომყოფების თქვენდამი დამოკიდებულებაც ადეკვატურია.

0-60 ქულა — ცუდია, გარშემომყოფები გაგირბიან. ეს ალბათ ბევრ რამეზე მეტყველებს. დაფიქრდით, რა უნდა შეცვალოთ საკუთარ თავში, რომ სიტუაცია გამოსწორდეს.

ტესტი მამაკაცებისათვის

რას გამცნობთ ქალის ნიჯთები?

1. თქვენი აზრით, რანაირი ჩანთა შეეფერება მის ხასიათს?

ა) ზურგჩანთა.

ბ) ექსკლუზიური, ხელით შექმნილი.

გ) საქმიანი ქალის ჩანთა.

დ) მოდური ჩანთა შოპინგისთვის.

2. როგორც წესი, წვეულებებზე როგორი ფეხსაცმლით დადის?

ა) სპორტულ ფეხსაცმელში.

ბ) ყოველდღიურში.

გ) ლამაზ „ბოსონოჟკებში“.

დ) კლასიკურ ფეხსაცმელში.

3. რა შეიძლება გაჩუქოთ დაბადების დღეზე?

ა) ახალი ბლოკბასტერი.

ბ) ეს სიურპრიზი იქნება.

გ) წიგნი, რომელზეც დიდი ხანია, ოცნებობ.

დ) არ არის გამორიცხული... კაქტუსი.

4. რა უკეთია მაჯაზე?

ა) საათი, რომელიც მიკროკომპიუტერს ჰგავს.

ბ) უისრებო და უციფერბლატო საათი.

გ) შვეიცარიული საათი.

დ) უბრალო, სადა საათი.

5. როგორც წესი, რას მიირთმევს საუზმეზე?

ა) ჰამბურგერს.

ბ) ტორტის ნაჭერს ან ნამცხვარს.

გ) ხილს.

დ) ჩიფსებს.

6. როგორია მისი საყვარელი ჭიქა?

ა) ისეთი, როგორიც „ნესკაფეს“ რეკლამაშია.

ბ) ხელოვნების ნამდვილი ნიმუშია.

გ) დახვეწილი ფორმის ფაიფურის ჭიქაა.

დ) ჩვეულებრივი ჭიქაა.

7. რას ინახავს ბალიშის ქვეშ?

ა) სასიყვარულო რომანს.

ბ) საყვარელ სათამაშოს.

გ) ფლეერს.

დ) მაღვიძარას.

დაითვალეთ, რომელი ვარიანტი ჭარბობს თქვენს პასუხებში.

შედეგები:

„ა“ ვარიანტი — წვეულებების სიმპათიური მოყვარული, იუმორის გრძნობითა და ცოტა რომანტიკოსი — აი, ვინ სჭირდება მას. გაპატიებთ, თუ ვარდების თაიგულს არ აჩუქებთ, მაგრამ გვირილებსაც თუ არ მიართმევთ, ძალიან განაწყენდება. არაფერს იტყვის, თუ გაიგებს, რომ არასოდეს წაგიკითხავს პრუსტი, მაგრამ თუ მის დაბადების დღეზე მთელი კომპანიის გამხიარულებას ვერ შეძლებთ, მაშინ... სერიოზულად დაფიქრდება, რამდენად ესადაგებით ერთმანეთს...

„ბ“ ვარიანტი — ის ზღაპრულ პრინცზე ოცნებობს, გაფართოებული თვალებით უყურებს ვესტერნების დაკუნთულ გმირებს, მეორე წუთში კი შეიძლება მეზობლად მცხოვრები პანკი შეუყვარდეს. ასეთი „გაუგებრობები“ მას მთელი ცხოვრება გაჰყვება. არამიწიერი სიყვარულის ძიებას ის მუდმივად მამაკაცების მოდგმის უცნაურ წარმომადგენლებამდე მიჰყავს. როგორც ჩანს, თქვენ ერთ-ერთი მათგანი ხართ. საეჭვოა, თქვენი ურთიერთობა ხანგრძლივი იყოს, სამაგიეროდ, მერე ორივეს ბევრი რამ გექნებათ გასახსენებელი.

„გ“ ვარიანტი — იმისათვის, რომ მისი კეთილგანწყობა მოიპოვოთ, დამოუკიდებელი და ჭკვიანი უნდა იყოთ. სიამოვნებს, როცა ისეთ თემებზე ელაპარაკებით, რომელთა შესახებ არაფერი გაეგება. ეს აძლევს მიზეზს, რომ თქვენით იამაყოს, რაც მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. აუცილებლად მოდურად უნდა გეცვათ და დახვეწილი მანერები გქონდეთ. თუ თქვენეული „გაკვეთილები“ მობეზრდება, ან შეიტყობს, რომ პრესტიჟულ სამუშაოზე მამამ მოგაწყოთ, გარანტიას გაძლევთ, თქვენდამი ინტერესს დაკარგავს.

„დ“ ვარიანტი — არ უყვარს მამაკაცები, რომლებიც ყველას ზემოდან უყურებენ და გაურბის მათ, ვისაც ბევრი ფული აქვს. ლამაზი მამაკაცებიც არ მოსწონს, ისინი, რომლებიც ყოველ წუთს შეიძლება ცხვირწინ აეცალონ. მას უბრალო, უპრეტენზიო მამაკაცები მოსწონს. მათ გვერდით თავს მშვიდად გრძნობს. თუ თქვენც ასეთი ტიპის ხართ, თქვენი ურთიერთობა შეიძლება საკმაოდ ხანგრძლივი და მყარი იყოს.

Cyan Magenta Yellow Black

წამლები სამზარეულოში

ბევრ ოჯახშია პატარა აფთიაქი ექსტრემალური შემთხვევებისთვის, მაგრამ ყველა სიტუაციის გათვალისწინება შეუძლებელია. როგორ მოვიქცეთ, თუ აუცილებელი საშუალება ხელთ არ გვაქვს? ასეთ შემთხვევაში ჩვენი დამხმარეა პროდუქტები, რომლებიც პრაქტიკულად ნებისმიერ სამზარეულოშია მაშინაც კი, თუ მაცივარი ცარიელია.

მარილი ერთ-ერთი ყველაზე ხელმისაწვდომი წამალია. ის ანთების საწინააღმდეგო უნივერსალური საშუალებაა. მარილს პრაქტიკულად უკუჩვენება არ აქვს, თუ, რა თქმა უნდა, ბოროტად არ გამოიყენებთ.

საჭმელი სოდა, რომელსაც ცომის გასაფუებლად და ჭურჭლის გასარეცხად იყენებენ, ბევრ სიტუაციაში (გულძმარვიდან დაწყებული დამწვრობით დამთავრებული) ასევე ნამდვილი ხსნაა.

სანელებლები ბევრ ეთერზეთსა და ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებას შეიცავს. მათ ყოველდღიურ კვებაში მრავალფეროვნება შეაქვთ და ამავდროულად უნიკალური წამალია. შეიძლება არ გქონდეთ კურკუმა ან ილი, მაგრამ შავი წიწაკა და დაფნის ფოთოლი უსათუოდ გექნებათ.

მცენარეული ზეთები (მზესუმზირის, ზეითუნის, სიმინდის) შეიძლება სამკურნალო მალამოს ან კომპრესის მოსამზადებლად ფუძე ნედლეული გახდეს. ზეთი თავისთავად სამკურნალო საშუალებაა.

ჩაის ფოთლებსა და მათ სამკურნალო თვისებებს შეიძლება მთელი წიგნი მიეძღვნას. მაგრამ არის ძირითადი შემთხვევები, როდესაც პირველი დახმარების აღმოჩენა შეუძლიათ და ეს ყველამ უნდა იცოდეს.

სამზარეულო ჭურჭელი ზოგიერთ შემთხვევაში სააფთიაქო მოწყობილობას ცვლის და კარგი დამხმარე საშუალებაა.

ყველაზე სასარგებლო მარილი

ნებისმიერი მარილის ძირითადი შემადგენელი ნატრიუმის ქლორიდია. იოდდეფიციტურ ზონებში მცხოვრებლებს, ამ სასიცოცხლოდ აუცილებელი ელემენტის ნაკლებობის შევსებაში იოდიზირებული ან ზღვის მარილი ეხმარება.

დაუმუშავებელი ე.წ. ქვა მარილი (მსხვილი კრისტალებით) ზღვის მარილის თანაბრად, ყველაზე ნატურალურია. მათში არსებული ჩვენთვის აუცილებელი მინერალების წყალობით, ნებისმიერი სამკურნალო და კოსმეტიკური პროცედურებისთვის გამოიყენება.

წვრილად დაფქული თეთრი მარილი გასუფთავებული და გათეთრებულია. ასეთი მარილი გამოსაყენებლად მოსახერხებელია. მაგრამ ჯანმრთელობისთვის არასასარგებლო ქიმიურ დანამატებს შეიცავს. ამავდროულად კერძის დამლაშების რისკიც არსებობს.

დიეტური მარილი მათთვისაა, ვინც ნატრიუმის მოხმარება აუცილებლად უნდა შეზღუდოს. ასეთ მარილში ის ნაწილობრივ მაგნიუმითა და კალიუმით არის შეცვლილი.

სასწრაფო დახმარება

საყოფაცხოვრებო ტრავმები, დამწვრობა და სხვა უსიამოვნებები ხშირად ხდება. თუ საჭიროა სასწრაფოდ მოქმედება, ექიმის დახმარებამდე ხელთ არსებული საშუალებები გამოიყენეთ.

1. თერმული დამწვრობის დროს, პირველ რიგში, კანი ცივი წყლის ჭავლის ქვეშ გააგრილეთ. მძიმე შემთხვევებში ტკივილგამაყუჩებელი მიიღეთ და სასწრაფოს დაელოდეთ. თუ დამწვრობა მცირეა, სველ კანზე საჭმელი სოდა მოაფრქვიეთ, ზემოდან ცივი, სველი ქსოვილი დააფარეთ ან ჩაის ცივი პაკეტი დაიდეთ. ის ტკივილს, შეშუპებას აქრობს და დაზიანებული კანის დასნებოვნებას თავიდან აგაცილებთ.

2. ძლიერი ქავილი, შეშუპება და კანის გაწითლება ალერგიის, მზით დამწვრობის ან მწერის ნაკბენის დროს გაქრება, თუ მტკივნეულ ადგილზე სოდიან ხსნარს წაისვამთ (1 ჩაის კოვზი სოდა 1 ჭიქა წყალზე).

სოდა გულძმარვას აქრობს, მაგრამ ყველამ არ იცის, რომ 0,5 ჭიქა წყალში გახსნილი 0,5 ჩაის კოვზი სოდა უეცარი არითმიის შეტევის მოხსნას ეხმარება. მაგრამ, როგორც პირველ, ასევე მეორე შემთხვევაში ის წამალი არ არის, არამედ მხოლოდ სასწრაფო დახმარების საშუალებაა.

სანელებლები ანების მაგივრად

მიხაკის 2-3 კოკორს (ან 1 ჩაის კოვზ ფხვნილს) 1 ჭიქა მდუღარე დაასხით. ნაყენი მუცლის შებერილობასა და ნაწლავებში დისკომფორტს ხსნის, ხოლო, თუ კოკორს დაღეჭავთ, კბილის ტკივილი გაყუჩდება.

ქინძის თესლების ჩაი (1 ჩაის კოვზი 1 ჭიქა წყალზე) ალერგიის უსიამოვნო სიმპტომებისგან (ქავილი, ცრემლდენა, ყელში ფხაჭნა) ათავისუფლებს.

სალბის ნაყენი (1 ჩაის კოვზი 1 ჭიქა წყალზე) კონიუნქტივიტის დროს თვალებში ანთებასა და ქავილს აქრობს.

დარიჩინის ფხვნილი ანთების საწინააღმდეგო კარგი საშუალებაა. შეგიძლიათ მცირე რაოდენობით ჭრილობაზე მოიფრქვიოთ, თუ სპირტი ან წყალბადის ზეჟანგი არ გაქვთ.

სასარგებლო გამოსავლები

აღნიშნული მეთოდი, რომელიც პირის ღრუსა და მთელ ორგანიზმს აჯანსაღებს, მრავალი საუკუნეა აიურვერდას მედიცინაში გამოიყენება. ეს მარტივი მეთოდი კბილებისა და ლორწოვანის პრობლემების, პირიდან ცუდი სუნისა და ენაზე ნადების დროს ეფექტურად ეხმარება. ეს არის ნატურალური არარაფინირებული მცენარეული ზეთი, რომელიც ანთების საწინააღმდეგო ბუნებრივი საშუალებაა. ასევე პირის ღრუში არსებულ შხამებსა და მავნე მიკრობებს შთანთქავს, მთელ ორგანიზმზე სასიკეთოდ მოქმედებს. გამოსავლებად გამოიყენება მზესუმზირის ან ზეითუნის ზეთი, ინდოეთში კი შირბახტის ზეთს მოიხმარენ. პროცედურა ძალიან მარტივია და არავითარ სპეციალურ მომზადებას არ საჭიროებს.

0,5 სუფრის კოვზი ზეთი პირში გამოივლეთ, კარგად „შემორეცხეთ“ კბილები, ღრძილები, ენა და ლოყების ლორწოვანი. გამოვლების საერთო ხანგრძლივობა 15-20 წამია. იგრძნობთ, რომ დასაწყისში ზეთი გასქელდება, შემდეგ ისევ გათხელდება. ბოლოს ზეთი აუცილებლად გადმოღვარეთ, არ ჩაყლაპოთ. მასში ბევრი ტოქსინია. თუ პროცედურა სწორად ჩატარდა, ის თეთრი ან რუხი ფერის იქნება. ასეთი გამოვლების ჩატარება რეკომენდებულია ყოველდღიურად.

ჩაის აფთიაქი

შავი ჩაი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სასმელია დედამიწაზე. დიდი ხანია ცნობილია, რომ ჩაის ფოთოლი სამკურნალო ნივთიერებების ნამდვილი ჭაა.

ფერმენტაციის პროცესში ჩაი არამხოლოდ ფერს, არომატსა და გემოს იცვლის, ასევე ახალ თვისებებსაც იძენს. შავი ჩაი მდიდარია პოლიფენოლებით, რომლებსაც გამოხატული ანტიბაქტერიული მოქმედება გააჩნიათ. მისი ტანინი — დუბილური მჟავა, ანთების საწინააღმდეგო კარგი საშუალებაა. მასში უფრო მეტი კოფეინია, ვიდრე ყავაში. ამიტომ ჩაი შესანიშნავად ატონიზირებს. ჩაი ასევე შეიცავს თეოფილინსა და თეობრომინს. მათ სისხლძარღვების გამაფართოებელი და შარდმდენი ეფექტი აქვთ.

დაბალი წნევის დროს ყავის მაგივრად ცხელი შავი ჩაი დალიეთ. წნევას ნელა და მსუბუქად ამაღლებს, ასევე სისხლძარღვებს ნორმალურ ტონუსს დიდხანს უნარჩუნებს.

შავი ჩაი რძით კარგი შარდმდენი საშუალებაა. რძე კოფეინის მოქმედებას ანეიტრალებს, რომელიც კალციუმს რეცხავს.

მაგარი ჩაი ნაწლავების მუშაობის ნორმალიზაციას ეხმარება და მასში ლპობის პროცესებს ებრძვის, მაგრამ ამავდროულად კუჭის წვენის მჟავიანობას ამაღლებს. ამიტომ გასტრიტისა და წყლულის დროს უკუნაჩვენებია. შავი ჩაი ტოქსინების მოქმედებას ანეიტრალებს. ამიტომ საკვებისმიერი მოწამვლის პირველ ორ დღეს, რეკომენდებულია მეტი ჩაის დალევა.

ჩაის ნაყენი მოქმედებს, როგორც ანთების საწინააღმდეგო და ჭრილობის მოსაშუშებელი საშუალება. ჩაის ნაყენით ჭრილობის მობანა და მასზე ჩაის კომპრესის დადება შეიძლება.

მაგარი თბილი ჩაის გამოვლება ან რამდენიმე ფოთლის დაღეჭვა პირის ღრუში მავნე ბაქტერიების რაოდენობას მნიშვნელოვნად ამცირებს. შედეგად, უსიამოვნო სუნი ქრება და კბილის ნადების წარმოქმნა ფერხდება.

✓ მოამზადა ანა გაგოშიძემ

Cyan Magenta Yellow Black

გვჰასუხობს ექიმი



— ვარ 27 კვირის ორსული. ექიმზე მითხრეს, რომ ბავშვს ჭიპლარი აქვს შემოხვეული. რამდენად საშიშია?

— ნაყოფის კისერზე ჭიპლარის შემოხვევა ნაყოფის ჰიპოქსიის საშიშროებას ქმნის. განმეორებით ჩაიტარეთ ექოსკოპიური კვლევა, რათა დარწმუნდეთ, რომ არ ხდება მარყუჟის მოჭიმვა. სასურველია კარდიოტოკოგრაფიის ჩატარება, რაც გვიჩვენებს აქვს თუ არა ნაყოფს ე.წ. უნგბადის ნაკლებობა.

— რომელ პროდუქტშია დიდი რაოდენობით რკინა? დამიდგინეს რკინადეფიციტური ანემია.

— ხორციდან რკინის 6% შეიწოვება, კვერცხიდან და თევზიდან — 2-ჯერ ნაკლები, ხოლო მცენარეული საკვებიდან — მხოლოდ 0,2%. მცდარია მოსაზრება, რომ ვაშლი, ბროწეული, სტაფილო, ჭარხალი, გარგარი რკინის საბადოა. უნდა მიიღოთ ექიმის დანიშნული პრეპარატები, მხოლოდ კვებით პრობლემას ვერ მოაგვარებთ.

— ჩემს ქმარს აქვს ცე ჰეპატიტი. თუ გადადის სექსუალური გზით?

— ცე ჰეპატიტი სქესობრივი გზით იშვიათად გადადის, თუმცა რისკი არსებობს.

— ვარ ორსული, კბილები მტკივა და გამოფუჭდა. შეიძლება მიკმართოთ სტომატოლოგს?

— რა თქმა უნდა, შეგიძლიათ და აუცილებელიც არის. ოღონდ ორსულობისას არ შეიძლება დარიშხანის პრეპარატების გამოყენება. შესაძლოა, მუცლის მოშლა გამოიწვიოს. ადგილობრივი ანესთეზია ნებადართულია. ყველაზე მეტად მისაღებია ულტრაკაინი და უბისთეზინი — ნაკლებტოქსიკურია და მინიმალურად გადის პლაცენტურ ბარიერს.

— ჩემს შვილს ყიფლიბანდი ხშირად უფეთქავს, მაგრამ ამ დროს მშვიდადაა. საშიში ხომ არ არის?

— ყიფლიბანდის ე.წ. ფეთქვა, ანუ პულსაცია ნორმალურია, თუ ბავშვი არ ტირის, ჭამს და მშვიდად სძინავს, არაფერი აწუხებს. თუ ბავშვს უჭირს თავის დაჭერა, თვალებს აელმებს, ჭირვეულობს ან ზედმეტად ძილიანობა აღენიშნება, აქვს ღებინება, ყიფლიბანდი ამობურცულია, ასეთ შემთხვევაში მიმართეთ ნევროპათოლოგს.

— ვარ 15 წლის გოგო. სახეზე მაქვს გამონაყარი. რომელი მალამო გამოვიყენო?

— ეს, სავარაუდოდ, აკნეა, ვითარდება გარდატეხის ასაკში, როცა სასქესო ჰორმონების გამო ცხიმოვანი ჯირკვლების გაძლიერებულად ფუნქციონირებს. არსებობს მალამოები, ნიღაბები, ლოსიონები, მაგრამ ისინი დერმატოლოგმა უნდა შეარჩიოს. ცხიმიანი კანი მუდმივ მოვლას საჭიროებს. უნდა შეზღუდოთ ნახშირწყლები და ცხიმი, მიიღეთ რძის პროდუქტები, ხილი, ბოსტნეული. პირი დაიბანეთ დღეში ორჯერ ცხიმიანი ან პრობლემური (აკნესადმი მიდრეკილი) კანისთვის განკუთვნილი საპნით.

— გამიგია, რომ თირკმელში კენჭი ვისაც აქვს, მისთვის ლუდის დალევა კარგია. ეს მართალია?

— მცირე ზომის კენჭის გამოსაძევებლად ხშირად ურჩევენ ლუდის დალევას, რადგან ლუდს აქვს მსუბუქი ანტისპაზმური და დიურეტული (შარდმდენი) მოქმედება, რის გამოც ის ზოგჯერ ეხმარება ამ პროცესს ან უბრალო დამთხვევაა. მაგრამ ლუდი ხშირად დამაზიანებლად მოქმედებს საშარდე გზებზე.

— ვარ 27 წლის გოგო. სამსუქნის კომპლექსი მაწუხებს, კალორიების დონე მინიმუმამდე დავიყვანე, მაგრამ არ მშველის. რა გავაკეთო?

— ადამიანი როცა ჭამს, რა თქმა უნდა, წონაში იმატებს, მიღებული და დახარჯული კალორიები უნდა აკონტროლოთ. მხოლოდ და მხოლოდ ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვით შეძლებთ წონაში დაკლებას.

თუ გსურთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული კითხვის გაგზავნა, აკრიფეთ ასო თ და გაგზავნეთ კითხვა ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან. 1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.

თმის ნიღაბს სწორად იკეთებთ?

ნიღბები თმისთვის შეიძლება გამოიყენოთ როგორც სამკურნალო მიზნისთვის, ასევე როგორც მოსავლელი საშუალება. შეგიძლიათ მაღაზიაში შეიძინოთ ან სახლში მოამზადოთ. გაგაცნობთ მათი გამოყენების წესებს.

1. სახლის პირობებში მომზადებულ ნიღბებს ყველაზე ხშირად მშრალ, ოდნავ ტენიან თმაზე იდებენ თავის დაბანამდე. ხოლო მზას — დაბანის შემდეგ სველ თმაზე.

2. კრემისმაგვარი ნიღაბი მეჩხერკბილებიანი სავარცხლით უნდა წაისვათ.

3. თხევადი ნიღაბი თავის კანში შეიზილეთ, შემდეგ თმის მთელ სიგრძეზე აკურატულად გაანაწილეთ.

4. ნიღაბის დადებისას განსაკუთრებული ყურადღება თმის ბოლოებს დაუთმეთ.

5. შინაური ნიღბების ეფექტის გასაძლიერებლად, თმაზე ჯერ პოლიეთილენი დაიფარეთ, ზემოდან — პირსახოცი.

6. ნიღბის ხანგრძლივობა მითითებულია ინსტრუქციაში ან საფუთავზე. აღნიშნულზე მეტხანს დატოვება არ შეიძლება. ხოლო შინაური მსუბუქი მკვებავი და დამატენიანებელი ნიღბები 40 წუთი და მეტიც შეგიძლიათ გაიჩეროთ.

7. ნიღაბი ჯანმრთელ თმაზე შეგიძლიათ 3-4 კვირაში ერთხელ დაიდოთ, ხოლო დაზიანებული თმისთვის რეკომენდებულია კვირაში 1-2-ჯერ.

მკურნალი დაფნის ზეთი

დაფნის ზეთი გამოიყენება მრავალი დაავადების სამკურნალოდ (მუხლების ტკივილიდან ნევრალგიამდე). მისი სახლში მომზადება ადვილია.

30 გრამ გამხმარ დაფნის ფოთოლს (უმჯობესია ახალი მოსავლის) 1 ჭიქა მზესუმზირის ან ზეითუნის ზეთი დაასხით. 10 დღე ბნელ ადგილას დადგით.

მიღებული ზეთი მოქმედებს, როგორც ანთების საწინააღმდეგო, ჭრილობის მოსაშუშებელი და გამთბობი საშუალება. შეგიძლიათ მტკივნეულ სახსრებზე კომპრესი გაიკეთოთ, ბრონქიტის დროს გულმკერდი დაიზილოთ და დერმატიტის დროს კანზე წაისვათ.

დაფნის ზეთი შესანიშნავია თვითმასაჟისთვის, განსაკუთრებით ტრავმის, დაუჟეჟილობისა და დაჭიმვის შემდეგ აღდგენის პერიოდში.

დაფნის ზეთს ტკივილგამაყუჩებელი ეფექტი აქვს და სისხლით მომარაგებას აუმჯობესებს.

შეგიძლიათ არომატულ ლამპაში სამკურნალო ზეთი ჩაუმატოთ. დაფნის სუნი საჭმლის მონელებას აუმჯობესებს, შრომისუნარიანობას ამაღლებს და შენობაში პოზიტიურ ატმოსფეროს ქმნის.

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

1. ასო ღ-ს სახელწოდება; 2. კოლხი მედეას მამა; 3. ფულადი ჯილდო; 4. კუდიანი ვარსკვლავი; 5. მიმართვისას, მოწოდებისას ხმარებული შორისდებული; 6. სასიგნალო ტივტივა წყალზე; 7; ...-ვეგასი; 8. სიმებიანი ხემიანი საკრავი; 9. დიდი გარმონი; 10. პატარა სატვირთო-სამგზავრო ავტომობილი; 11. ფინური აბანო; 12. ცეცხლის ანადენი; 13. ლუთერანული ეკლესია; 14. დარტყმა ქვემოდან კრივში; 15. სუსტი არაყი; 16. ახირებული სურვილი; 17. კორეული ავტომობილი; 18. სპექტაკლის პირველი წარმოდგენა; 19. მამალი ცხვარი; 20. რისამე სრულყოფის განსახიერება; 21. სკანდალური გამოხდომა; 22. ბიზანტიის დედოფალი; 23. ალგორითმული ენა; 24. ხორციანი კორკოტი; 25. ... ტრიოლე; 26. თავადაზნაურთა ტიტული დასავლეთ ევროპის ზოგ ქვეყანაში; 27. ზამბახი; 28. იაპონიის იმპერატორთა ტიტული; 29. ორ წელიწადში ერთხელ გამართული საერთაშორისო გამოფენა ან ფესტივალი; 30. სურათი ზღვის ხედით; 31. რისამე განვითარების ხარისხი; 32. ბრაზილიელი ზანგების ცეკვა; 33. ს. თაყაიშვილის კინოროლი; 34. პურეული მცენარე; 35. ენა, ..., სარწმუნოება; 36. სისხლძარღვის კედლის შინაგანი გარსი; 37. ძველებური ხალხური წარმოდგენის მონაწილე; 38. გასეირნება ბავშვის ენაზე; 39. ბალანი, ბეწვი; 40. ... ემე; 41. შლამის თევზი; 42. ჰორიზონტალური შვერილი შენობის კედლის თავზე; 43. ქოჩრიანი თუთიყუში; 44. საზეიმო საბალო ცეკვა; 45. წყლიანი ადგილი უდაბნოში; 46. ნიავი; 47. თონეში გამომცხვარი ტკბილი პური; 48. მამაკაცის სასიმღერო ხმა; 49. კუზიანი ხარი; 50. მალტის დედაქალაქი; 51. ჭადრაკის ფიგურა; 52. არსაკიძის მეტსახელი; 53. რუსეთში მოღვაწე სერბი ქიმიკოსი; 54. იტალიური ღვეზელი; 55. ქალაქი საფრანგეთში; 56. ცომის ასაფხეკი ნიჩაბი; 57. უმაღლეს სასულიერო პირთა თავსარქმელი; 58. ულუფა, წილი; 59. ხეებით დაფარული სივრცე; 60. ლუი XV-ის ფავორიტი ქალი; 61. ... კუინჯი.

სიტყვა-კოდი

1	2	3	4	5	6

განმეორებითი გამაფრთხილებელი ჩხვლეტა ფარიკაობაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული კოდიანი სკანვორდის პასუხები

1. აგა; 2. აია; 3. იდეა; 4. გო; 5. პანაცეა; 6. კოპიტი; 7. პიცა; 8. ფიასკო; 9. ფანი; 10. უსტარი; 11. აკაცია; 12. ეკა; 13. ანგელოზი; 14. ასხი; 15. სოია; 16. ტრიტონი; 17. ჭარ; 18. ოდა; 19. რატომ; 20. მენისკი; 21. ტომ; 22. მუსკატი; 23. ემი; 24. ტიარა; 25. მადრინალი; 26. ეტა; 27. მასიმო; 28. მადა; 29. დოინა; 30. ღა; 31. ლანდო; 32. მანუეტი; 33. კლიო; 34. რონალდო; 35. კოლომია; 36. ადესა; 37. მისანი; 38. ილი; 39. ემისარი; 40. ომეგა; 41. პირანია; 42. გრო; 43. ერგი; 44. რიწა; 45. წეკო; 46. დოკერი; 47. ლუარა; 48. აკაუუ; 49. აკოლადა; 50. ბუცეფალი; 51. ნიბლია; 52. იაგო; 53. კოდალა; 54. ჟერიკო; 55. ნიკალა; 56. ნიკორა; 57. ნატანები; 58. უბანი; 59. მანტია; 60. ეკალი; 61. რკო; 62. ბარელი; 63. ელი; 64. ბოი. **სურათებზე:** გრეტა სკაკი; ტომ უილკინსონი; კრისტოფერ უოკენი; მარია ბელო.

ჯოდი: ვაჯეტი

Cyan Magenta Yellow Black

მწვანე სკანვორდი

1. ამერიკელი კინორეჟისორი
2. სამიანი ნარდში
3. იუპიტერის თანამგზავრი
4. მუცელი, კუჭი
5. საეპისკოპოსო
6. მოსამართლე ძველად
7. შეძახილი კონცერტზე
8. მდინარისპირა წყარო
9. ქაშანური
10. კერძი ხორცითა და ბოსტნეულით
11. სომალის დედაქალაქი
12. საფოსტო ნიშანი
13. ...-ზოსიმე, სულხან-საბას ძმა
14. ნაპოლეონის მარშალი
15. ... გარდნერი
16. მომჟავო კურკოვანი ხილი
17. სცენაზე ჩასაძრომი ჭრილი
18. იგავი
19. თავაზიანი მიმართვა იაპონიაში
20. ... კოპერნიკი
21. მტაცებელი ცხოველი
22. იტალიელი ფერმწერი
23. ყვავილი
24. ... პაჩინო

წინა ნომერში გამოქვეყნებული მწვანე სკანვორდის პასუხები

1. ონტოფო; 2. ნო; 3. ტო; 4. კიი; 5. ტიტიკაკა; 6. ლულა; 7. მარაბუ; 8. ნოკია; 9. „მუშა“; 10. სუვარი; 11. სეინერი; 12. ალა; 13. სტენდი; 14. კავალერი; 15. ადლი; 16. მარწყვი; 17. აჯა; 18. აბრა; 19. რუ; 20. ყია; 21. სკამი; 22. არა; 23. მანერა; 24. ია; 25. მისტერ.

სურათებზე: წითელი; შავი; მწვანე; ლურჯი.

Cyan Magenta Yellow Black

ხახვის ფურცელიც სასარგებლოა

ბევრის აზრით, ხახვის ფუჩეჩი ჩვეულებრივი ნაგავია. სინამდვილეში მას ბევრი სარგებლობის მოტანა შეუძლია. ხახვის გარეთა ფურცელში ბევრი ვიტამინი და მიკროელემენტია, არანაკლები, ვიდრე ხახვის წვნიან რბილობში, ხოლო ზოგიერთი ნივთიერება უფრო მეტიც კი არის. მაგალითად, კაროტინი (ორგანიზმს აძლიერებს და მის დამცავ ძალებს ამაღლებს), ფლავონოიდები (ანთების საწინააღმდეგო თვისებები გააჩნიათ) და ფიტონციდები (მიკრობებს ანადგურებს). ხახვის ფურცლიდან შეიძლება სამკურნალო ზეთისა და მალამოს დამზადება, ინჰალაციის გაკეთება.

გთავაზობთ ჰამდენიმე ჰეცეპტს

იმუნიტეტის გასაძლიერებლად და გაციების სამკურნალოდ მოამზადეთ ნახარში. 1 სუფრის კოვზ დაქუცმაცებული ფუჩეჩს და 1 ჩაის კოვზ ძირტკბილას ფესვების ფხვნილს 2 ჭიქა წყალი დაასხით და 20 წუთი ადუღეთ. შემდეგ 2 სუფრის კოვზი ასკილის დაქუცმაცებული ნაყოფი დაუმატეთ და კიდევ ერთი წუთი ადუღეთ. მზა ნახარში თბილ ადგილას 2 საათით დადგით და შეფუთეთ. შემდეგ გაწურეთ. დღეში 3-ჯერ, 1/3 ჭიქა მიიღეთ.

ხველის საწინააღმდეგო. 10 საშუალო ზომის ხახვის ფურცელს 1 ლიტრი მდუღარე დაასხით და ადუღეთ, სანამ წყლის ნახევარი არ აორთქლდება. ნაყენი მარლაში გაწურეთ. 0,5 ჭიქა დღეში 3-ჯერ, თბილი მიიღეთ.

ხახვის ფურცლის ელექსირი, იმუნიტეტს ამაგრებს, გულს აჯანსაღებს, თირკმლებს, ღვიძლსა და სისხლს წმენდს. ერთი ჭიქა გარეცხილი ხახვის ფუჩეჩი საღამოს თერმოსში ჩაუშვით, 0,5 ლიტრი მდუღარე დაასხით. 10 წუთი თავღია დატოვეთ, შემდეგ თავსახური დაახურეთ. დილით ნაყენი გაწურეთ და მთელი დღის განმავლობაში მცირე ყლუპებით დალიეთ. დღიური დოზა 100 მლ. დარჩენილი ნაყენი მაცივარში შეინახეთ. დალიეთ სამი კვირა. ერთი კვირა შეისვენეთ და ისევ გაიმეორეთ.

შხაპი სიცამაზისა და ჯანმრთელობისთვის

ყოველდღიურად კონტრასტული შხაპი მიიღეთ. ამით მუცლის მოცულობას და ზედმეტ წონას შეამცირებთ. გარდა ამისა, ეს პროცედურა შინაგანი ორგანოების ჯანმრთელობაზეც კარგად მოქმედებს.

დილით, გაღვიძების შემდეგ, მსუბუქი ვარჯიში გააკეთეთ — რამდენჯერმე გაიჭიმეთ, დაიხარეთ, ჩაჯექით, ხელები და ფეხები აქნიეთ. შემდეგ საბაზანოს მიაშურეთ. შხაპი მაქსიმალური სიმძლავრით ჩართეთ, რათა სარგებლობა ნახოთ არამხოლოდ წყლის ტემპერატურის კონტრასტისგან, ასევე წყლის ძლიერი ჭავლის სასიამოვნო მასაჟისგან. დასაწყისში წყალი უნდა იყოს ცხელი (მაგრამ არ უნდა წვავდეს). გადაივლეთ მთელ სხეულზე. მუცელზე წყლით მასაჟი საათის ისრის მიმართულების გაიკეთეთ. წყლის ნაკადი ხან — ახლოდან, ხან შორიდან მიუშვით. 20-30 წამი ცხელი წყლის ქვეშ დადექით, შემდეგ გრილით შეცვალეთ. მაგრამ, გახსოვდეთ, ცივი წყლის გადავლება ყოველთვის უნდა გაგრძელდეს 2-3-ჯერ ნაკლებად. რამდენიმე ციკლის შემდეგ პროცედურა გრილი წყლით დაამთავრეთ. მაგრამ, თუ შხაპს საღამოს იღებთ, მაშინ პირიქით, თბილი გადავლებით დაამთავრეთ. ცივი ამხნევებს, თბილი — ადუნებს. შხაპის შემდეგ პირსახოცით კარგად გაიმშრალეთ.

ცოტა ხნით ფუტკარი გახდით

ეს მარტივი სუნთქვითი სავარჯიშო დაღლას ხსნის, გონებას ანათებს, ფილტვებს ასუფთავებს, შრომისუნარიანობა სწრაფად დაგიბრუნდებათ.

სკამზე მოხერხებულად დაჯექით. ზურგში გაიმართეთ, ხელები სხეულის გასწვრივ ჩაუშვით. ყველა კუნთი მოადუნეთ, თვალები დახუჭეთ და მზით გასხივოსნებული აყვავებული მინდორი წარმოიდგინეთ. ჩვეულებრივ ჩაისუნთქეთ, ხოლო ამოსუნთქვისას გაბმულად წარმოთქვით ბგერა „უ“. მოკლედ, ფუტკარივით იბზუილეთ. ასეთი ჩასუნთქვა-ამოსუნთქვა 10-15-ჯერ შეასრულეთ. გულმკერდსა და ყელში ვიბრაციას შეიგრძნობთ. სავარჯიშოს შესრულების შემდეგ შეიძლება ბრონქებში დაგროვილი ნახველი ამოვიდეს, ამიტომ კარგად ამოახველეთ.

სხვათა შორის, არსებობს კიდევ ერთი, ფუტკრის მიბაძვითი გამამხნევებელი სავარჯიშო — მსუბუქი რბენა ადგილზე ხელების (როგორც ფრთების) სწრაფად ქნევით. ეს სავარჯიშო სისხლის დინებას აუმჯობესებს და მხრებში დაძაბულობას ხსნის.

ქარგვა ფსიქიკისთვის სასარგებლოა

ასეთი საქმიანობა ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ქარგვის დროს წყენას და ნაღველს ივიწყებთ, აზრები წესრიგში მოდის. მოხატულობაზე მუშაობამ შეიძლება ფსიქოლოგთან ვიზიტი შეცვალოს. მკვლევართა მტკიცებით, ქარგვა ნეგატიური მოვლენებისა და განცდების დაძლევაში ეხმარება. რატომ უნდა მიეცეთ თვითგვემას? უმჯობესია თქვენი ტკივილი ლამაზის შექმნისკენ მიმართოთ და ამით სიამოვნება მიიღოთ.

მეცნიერთა აზრით, ქარგვის დროს თითის ბოლოებზე განლაგებული ნერვული დაბოლოებების სტიმულაცია ხდება. ამ წერტილების რეგულარული მასაჟით ადამიანის სხეულის მრავალი ორგანო აქტიურდება. ქარგვა განსაკუთრებით სასარგებლოა თავის ტვინისთვისაც. ასოციაციურ, ხატოვან აზროვნებას, ფერების შეხამების უნარის გამომუშავებას ეხმარება. ასე რომ, ქარგვა შეიძლება გამაჯანსაღებელ პროცედურად ჩაითვალოს.

ქოქოსი აღამაზებს

ეს ეგზოტიკური ხილი ნამდვილი საჩუქარია კანის, თმისა და სხეულისთვის. კოსმეტოლოგები და დიეტოლოგები დიდი ხანია წარმატებით იყენებენ ქოქოსის რძეს, ზეთსა და ნაქლიბს (ბურბუშელას) წონაში დასაკლებად და კანის მოსავლელად. საკვებში ქოქოსის ნაქლიბის დამატება კალორიების სწრაფად დაწვას და ორგანიზმიდან შლაკების გამოდევნას ეხმარება.

ასევე ძვირფასია ქოქოსის ზეთი. გამოკვლევებით დამტკიცდა, რომ ის სისხლში ინსულინის დონეს არეგულირებს და დიაბეტისა და ათეროსკლეროზის განვითარებას ებრძვის.

ქოქოსის ზეთი კანს ასწორებს, მის ტონუსს, სიგლუვესა და ელასტიკურობას ამაღლებს. ასევე კანს კვებავს, ატენიანებს, არბილებს, წვრილ ნაოჭებს აქრობს.

შეგიძლიათ ქოქოსის ზეთი დაუმატოთ კრემში, რომელსაც მუდამ ხმარობთ. 10-15 მლ კრემში 5 წვეთი ზეთი დაუმატეთ და კარგად აურიეთ. კარგ ეფექტს იძლევა, თუ ზეთს მშრალი და მტვრევადი თმისთვის განკუთვნილ შამპუნში დაუმატეთ (100 მლ შამპუნზე 5 წვეთი ზეთი). სანამ შამპუნს თმაზე წაისვამთ, ფლაკონი შეანჯღრიეთ.

✓ მოამზადა ანა გაგოშიძემ

Cyan Magenta Yellow Black

ქართული ანეკდოტები

— ექიმო, გრიპი მაქვს, როგორ მოვიქცე?
— ცოტა იქით უნდა გაინიო.

— ეს ვიცი, ეს მოვუხეხო ცოლს. სვამს, ეწევა, გვიან მოდის.
— დაარიგე, რომ ასე აღარ მოიქცეს.
— ეს გაჭრა.
— მაშინ გაეყარე.
— ეს მიდის.
— მაშინ სცემე.
— მეჩქვა.

„სამი დღით“ სტუმრად მოსულ სიდედრს ორი თვის მერე სიძე ეუბნება:

— როგორც ვიცი, თქვენ კარგი მეხსიერება გაქვთ!

— კი, გადასარევი. რაშია საქმე?

— რაშია და, ამას წინათ რომ მითხარით, თუ კიდევ მოიქცევი ასე, მეორე დღესვე წავალ აქედანო, გახსოვთ?

— კი.

— ჰოდა, გამახსენე ერთი, მაშინ როგორ მოვიქეცი.

❖ ❖ ❖

ავტობუსში მჯდომი ბიჭი მის გვერდით ფეხზე მდგარ ხანშიშესულ ქალს ეკითხება:

— ბებო, ეს ავტობუსი საბურთალოზე გამიყვანს?

— არა, შვილო!

ბიჭი წამოხტა და ავტობუსიდან ჩავიდა. ქალი დაჯდა და კმაყოფილმა ჩაილაპარაკა:

— მე კი გამიყვანს.

❖ ❖ ❖

თოვლის პაპამ ქუთაისელი ბავშვის წერილი მიიღო, ამ ახალ წელს პატარა ძმა ან და გამომიგზავნეო.

თოვლის პაპამ პასუხი მისწერა, დედაშენი გამომიგზავნე და გამოვატანო.

❖ ❖ ❖

— თქვენთვის ორი ამბავი მაქვს, კარგი და ცუდი, — ეუბნება ოპერაციის მერე ექიმი პაციენტს.

— კარგით დაიწყეთ, ექიმო.

— ოპერაციამ კარგად ჩაიარა, გართულება არ მოჰყოლია.

— ცუდი რა არის?

— ის ფეხი არაფერ შუაში ყოფილა, თურმე მეორე უნდა მოგვეჭრა.

❖ ❖ ❖

— მოქალაქევ, თქვენ ბრალი გედებათ თაღლითობაში, რომ ხალხს ატყუებთ და გასაახალგაზრდავებელ წამალს სთავაზობთ. პირველად როდის გაყიდეთ ეს წამალი?

— 1903 წელს, ბატონო მოსამართლევ!

❖ ❖ ❖

მთვრალი დილაადრიან მიბანცალდა სახლში და ხედავს, მისი ბინიდან ტომარაა-კიდებული ქურდი გამოძვრა.

— სტოპ! დაგიჭირე! — დაუყვირა ენის ბორძიკით.

— არ დამღუპო, ბატონო და აგერ ვტოვებ ყველაფერს, — შეეხვეწა ქურდი.

— მოიცა, ჩემი ცოლი სახლშია?

— კი, სძინავს.

— თუ გინდა, გაგიშვა, ერთი მასწავლე, რაფრა შეხვედი ისე, რომ მაგ ქოფაკმა არ გეიღვიძა?

❖ ❖ ❖

— მამი, მე როგორ გავჩნდი? — ეკითხება შვილი კახელს.

— კვახსა ვჭამდი და შიგ გიპოვე.

— რეგვენი ხარ ამხელა კაცი! დედაჩემისთანა ლამაზი ქალი გვერდით გეწვინა და კვახ რა გაჭმევდა?!

❖ ❖ ❖

— ქალო, ამ ბოლო დროს გაკვირდები და ვერასოდეს ვხვდები, როდის გაქვს ორგაზმი, — ეუბნება ქმარი ცოლს.

ცოლი ქმარს აბაზანიდან უძახის:
— ძვირფასო, მოიხსენი სათვალე!
— რატომ, საყვარელო?
— მე უკვე მაკიაჟს ვიხსნი.



— გამაგიჟებენ ეს გოგოები! არავის უნდა გათხოვება.
— შენ რა იცი?
— როგორ არ ვიცი. ყველამ უარი მითხრა, ცოლად არ გამოგყვებიო.

— რას მიხვდები, იმ დროს შენ იქ არ ხარ და...

❖ ❖ ❖

— ღვინო არა, ქალები არა! — მკაცრად ეუბნება ექიმი პაციენტს.

— აბა მარტო დუდუკი შენ შეიკეთე, საცხა გინდა!

❖ ❖ ❖

— ძალიან მიყვარს ბუნება, — ეუბნება მზია დაქალს.

— დაგჩაგრა და მაინც?

❖ ❖ ❖

ავადმყოფი კომადან გამოვიდა და ექიმს ეკითხება:

— რა უნდა მაგ იდიოტს, გვერდით რომ გიდგას?

— ძვირფასო, რა ბედნიერებაა, რომ მიცანი! — ტაში შემოჰკრა ცოლმა.

❖ ❖ ❖

— რატომ ხარ სულ სველი? — ტუქსავს დედა შვილს.

— მე და ნიკა ძაღლობანას ვთამაშობდით.

— ის რომ მშრალია?

— ხე მე ვიყავი და...

— შეგიძლია, საიდუმლო შემინახო?
— არ მითხრა და ჯი.

✓ შეკრიბა მურმან მერკვილიშვილმა, ქეთი ხარატიშვილის ნახატები

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

კლოდ იზნერი

მკვლელობა ეიფელის კოშკზე



დასაწყისი №24-28

ვლიუზელმა ფურცელს დახედა:

„ეზლევირი
წიგნებით ვაჭრობა
ვ. ლეგრი, კ. მორი
ძველი და თანამედროვე შედევრები
კატალოგები მოთხოვნით
18, ქუჩა სენ-პერ, პარიზი“ და ღიმილით შესძახა:

— შესანიშნავია! ამ განცხადების შემდეგ კლიენტი არ მოგაკლდებათ, ედოქსი კი ბანკში ანგარიშს გაგიხსნით!

— ვნახოთ, — თქვა ვიქტორმა, — თქვენ ის მითხარით, ახალი თუა რამე?

— კაცი, რომელიც ეიფელის კოშკზე ასევე ფუტკრის ნაკბენმა იმსხვერპლა, ამერიკელი კავენდიში აღმოჩნდა. ფუტკრის ვერსია ყველას აწყობს, მათ შორის — პოლიციასაც. ისიდორ, ხომ მართალს ვამბობ?

— ზედმეტად მარტივი მიდგომა მე არ მომწონს, — მიუგო გუვიემ, — არადა, ორმა იდენტურმა სიკვდილმა და იმ ანონიმურმა წერილმა მართლა ბევრი თავსატეხი გააჩინა.

— აქ ერთ საინტერესო რაღაცას წავაწყდი, — თქვა კლიუზელმა, გაზეთი აიღო და კითხვას შეუდგა, — „იუწყებიან, რომ სუსტი ჯანმრთელობის მქონე ცალკეულ ინდივიდებს სიფრიფანაფრთებიანების კბენის შედეგად შეიძლება ეპილეფსია განუვითარდეთ. სიკვდილის ერთადერთი შემთხვევა ერთმა აფრიკელმა ექიმმა სამი წლის წინ დააფიქსირა, როცა ფუტკრის კბენით გამოწვეულმა ტეტანუსმა ხუთი წლის ბავშვი იმსხვერპლა“.

— ტეტანუსმა? — მოიღუშა ვიქტორი, — ექსპერტი არ ვარ, მაგრამ... მაგას ხომ საინკუბაციო პერიოდი აქვს?

— მეც მანდა ვარ! ავადმყოფობა, როგორც წესი, ერთი-ორი კვირის შემდეგ ვლინდება, ანუ ჩვენს შემთხვევაში ტეტანუსი გამორიცხულია, რადგან სიკვდილი მყისიერად დადგა. რჩება ორი რამ: ან საქმე მართლა მკვლელობასთან გვაქვს, რაზეც ანონიმური წერილიც მიანიშნებს, ანდა იდუმალი ეპიდემიის პირველ გამოვლინებასთან. ორივე შემთხვევაში ხელისუფლებას პანიკის ეშინია, გამოფენა არ ჩაიშალოს, შედეგად კი მათ ინტერესებს ხალხის უსაფრთხოება ეწირება.

— მგონი, თქვენი მსჯელობა ზედმეტად ცინიკურია, — შენიშნა ვიქტორმა.

— მუსიე ლეგრი, პრესის დანიშნულება სიმართლის ღაღადებაა, სიმართლე კი ხშირად და მრავალთათვის მწარე მოსასმენია, — კლიუზელმა „პასპარტუ“ მოიმარჯვა, — აი, რა წერია: „ჯონ კავენდიში 20 ივნისს ლონდონიდან ჩამოვიდა და „გრანდ-ოტელის“ 312 ნომერში გაჩერდა. ოთხი დღის შემდეგ, ნასადილევს, ის...“

ვიქტორი მას აღარ უსმენდა — ფართოდ თვალგახელილი მოგონებების გაცოცხლებას ცდილობდა. ჯონ კავენდიში... „გრანდ-ოტელი“... ნომერი... არა, ეს შეუძლებელია!

— „გრანდ-ოტელში“? რომელში? — შესძახა მოუთმენლად.

— ასეთი ერთია, კაპუცინების ბულვარზე, სადაც მდიდარი კლიენტები ჩერდებიან, — მიუგო ოდნავ გაკვირვებულმა კლიუზელმა და პოლიციელს გადახედა, — რა ხდება, მუსიე ლეგრი?

— არა, არაფერი. მარიუსს გადაეცით, რომ მალე დავბრუნდები.

ქოზეფისა და კენძის ირგვლივ მყიდველები ირეოდნენ. როცა ერთიანად გალუმპული ვიქტორი მაღაზიაში შევიდა, ორივემ იმ იმედით შეხედა, მოგვეხმარებაო, მაგრამ შეცდნენ — ვიქტორმა გაურკვევლად ჩაილაპარაკა რაღაცა და მაღლა ავიდა...

სველი ტანსაცმელი გამოიცვალა, მერე კენძის ოთახში შევიდა და მუხის მაგიდას მიუახლოვდა: „ფიგარო კოშკზე“ იქ აღარ იდო! შემდეგ რამდენიმე უჯრა გამოსწია და იმ გაზეთს მიაგნო, რომელსაც ეძებდა: „R.D.V.J.C. 24-6 12.30 გრანდ-ოტელი №312“.

ვიქტორმა მუშტები შეკრა და ციფრებს დააკვირდა. 312. შეცდომა შეუძლებელი იყო — კენძი ჯონ კავენდიშს შეხვდა!

„ის ღიპიანი კაცი, მონოკლით ხელში, კენძისთან გრავიურების საყიდლად რომ მოვიდა, ნუთუ კავენდიში იყო? ეს რომელ საათზე მოხდა? თერთმეტის ნახევარზე? თერთმეტზე? თორმეტის ნახევარზე ნამდვილად არა, რადგან ამ დროს კენტის სანაპიროზე შემწვარ კარტოფილს ვჭამდი, მერე კი ესპლანადაზე წავედი“...

როგორც კი ვიქტორმა კიბე ჩამოათავა, დაინტრიგებული კენძი წინ გადაუდგა:

— რა ხდება, რამე პრობლემებია?

— ისეთი არაფერი. უჩემოდ ისაუზმეთ.

— მერე ქოლგა?

— წვიმამ უკვე გადაიღო, — მიუგო ვიქტორმა და გარე კარს მიაშურა.

ვიქტორი რესტორანში იჯდა და, რაკი უკვე შეუკვეთა, ფიქრებს მისცემოდა.

„კენძი, რას ნიშნავს ყოველივე ეს? ვის შეხვდი კაფე „დე ლა პეში“? რატომ შედგა შენი შეხვედრა ჯონ კავენდიშთან მის სიკვდილამდე რამდენიმე საათით ადრე? შენ ნამდვილად იცი, რომ ის მოკლეს, მაგრამ ჩემთან ამაზე ხმას არ იღებ. რატომ? იქნებ შემძლებოდა შენი დამშვიდება, შენი დახმარება, შენთვის რამე ალიბის მოფიქრება...“.

ოფიციანტმა სინით შეკვეთილი საჭმელ-სასმელი მოიტანა და ვიქტორის მაგიდაზე გადმოაწყო.

— მუსიე, დესერტად რა მოგართვათ?

— ნაყინი და ყავა, თუ შეიძლება.

ვიდრე ოფიციანტი მესამედ მოვიდოდა, ვიქტორმა ორი გაზეთი გვერდზე გაშალა და კითხვას შეუდგა ჭამა-სმის პარალელურად.

ამერიკელი ნატურალისტი კავენდიში მსოფლიო გამოფენაზე საგარეო საქმეთა მინისტრმა მოიწვია. თავისი სიკვდილის დღეს ის საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერი და გეოგრაფიული საზოგადოების წევრი უნდა გამხდარიყო. დაიბადა ბოსტონში. ფარმაკოლოგიისათვის საჭირო მცენარეების ნიმუშების მოსაგროვებლად მალაიზია, კამბოჯა, სიამი, ბირმა მოიარა, რასაც ლონდონში წაკითხული საჯარო ლექცია მოჰყვა. ამერიკაში დაბრუნების შემდეგ მთავრობის დავალებით ალასკის მცენარეთა და ცხოველთა კლასიფიკაციას შეუდგა...

ვიქტორმა გაზეთები დაკეცა, მოხმობილ ოფიციანტს დანახარჯი გადაუხადა და რესტორანი დატოვა.

ფიქრებში წასული ვიქტორი ნელა მიუყვებოდა ოსმანის ბულვარს.

კენძიმ ვინმე J.C.-ს „გრანდ-ოტელის“ 312 ნომერში შეხვედრა დაუნიშნა... სავარაუდოდ, ქალს — ჟოზეფინას, ჟანას, ჟენევიევას... ამაში რომ დარწმუნებულიყო, დედაქალაქის ყველა პორტიე უნდა გამოეკითხა, თან რამდენიმე „გრანდ-ოტელის“ და არა ერთადერთის, როგორც ეს ანტონენს ეგონა (აბა, ხომ არ იცრუებდა?).

რეალობას ტრამვაის ზარმა დაუბრუნა. მიმოიხედა. მოშორებით ტაძარი ნოტრ-დამ-დე-ლორეტი შენიშნა. ამან მაშინვე ტაშა გაახსენა და გეზი ყვავილების კიოსკისკენ აიღო...

ამაკაცის ხელმა ქალიშვილს პატარა თაიგული გაუწოდა.

— გმადლობთ. ჩემი მისამართი როგორ გაიგეთ?

— მარიუს ბონემ მითხრა. გაბრაზდით?

— რატომ? უნდა გავბრაზებულიყავი?

— არა, მაგრამ... რუსი ქალები ზოგჯერ კაპასები არიანო და...

— რა სისულელეა! — შეაწყვეტინა ტაშამ, — პირიქით, ძალიან დამყოლები ვართ.

— ძალიან კარგი.

— ვიქტორ, მოდით, სადმე წავიდეთ. აქვე, ახლოს, ერთი ბარი მეგულება და...

— სიამოვნებით. მე გეპატიჟებით.

— ძალიან კარგი, — გაუღიმა ქალიშვილმა, — მაშინ, თუ არ შეწუხდებით, ქვევით დამელოდეთ და მეც ახლავე ჩამოვალ.

ბარსონს მარსელი ერქვა. ვიქტორმა კონიაკი შეუკვეთა, ტაშასთვის კი, მისივე სურვილით, რომაული ნამცხვარი.

— სუსნია ყოფილხართ, — დაამატა ღიმილით, როცა მარსელი თვალს მიეფარა.

— მერე როგორი!

ვიქტორმა თავი თავისუფლად იგრძნო. ისიც კი გაიფიქრა, მგონი, ტაშას ადრევე ვიცნობდიო.

— თქვენ და მარიუსი უკვე დამეგობრდით? — შეეკითხა მას შემდეგ, როცა მარსელის მოტანილი ნამცხვარი დააგემოვნა.

Cyan Magenta Yellow Black

— გიკვირთ?

— ცოტათი. თქვენ ცხოვრების წვრილმანებშიც ერკვევით, მას კი გაზეთის გარდა არაფერი აინტერესებს.

— მართალი ხართ. აი, თქვენ კი დამოუკიდებელი ხართ და ორიგინალური, თან კარგი მხატვარი. თქვენი ტილოები ძა...

ვიქტორმა ფრაზა ველარ დაასრულა — მათ მაგიდას გოლიათი მიუახლოვდა, რომელსაც მარცხენა თვალი ჩალურჯებოდა:

— მადმუაზელ ტაშა!

— დანილო! რა მოხდა, იჩხუბეთ?

— შეიძლება? — უცნაური სუბიექტი პასუხს არც დალოდებია, ვიქტორის გვერდით ისე ჩამოჯდა, რამაც ამ უკანასკნელის უკმაყოფილება გამოიწვია, — გუშინ, გამოფენაზე, სასადილო შესვენების დროს სენიასთან წავედი, „ბორის გოდუნოვის“ დიდ არიაში რომ გვევარჯიშა. ცხადია, ისევ ტყავებში ვიყავი გახვეული და როცა ჩემი ტესიტურასთვის გაქანების მისაცემად ხელჯოხი მოვიქნიე, ვიღაცა ქალმა იკივლა, დასცხეთ ეშმაკსო. ამაზე სამი სამართალდამცავი მეტაკა, მაგრამ მაგრად დავხვდი და სიფათებში გვლიჯე. აქ უკვე მთელი მარსის ველი აივსო ჟანდარმებით და რაღა უნდა მექნა? მოკლედ, მაგრად მჟეჟეს, მერე კი, როცა თავიანთ შეცდომას მიხვდნენ, ბოდიშები მიხადეს. ხვალ ისევ ჩემს გამოქვაბულს დავუბრუნდები, — დაასრულა მიკნავლებული ხმით.

ტაშამ ისინი ერთმანეთს წარუდგინა. გაიგო რა, რომ ვიქტორი წიგნებით მოვაჭრე იყო, დანილო გამოცოცხლდა:

— შემთხვევით დამხმარე ხომ არ გჭირდებათ? ლიტერატურა ჩაბულბულებული მაქვს.

— გმადლობთ, უკვე გვყავს.

— ერთი ლუდი, ქაფის გარეშე! — განაცხადა მარსელმა და დანილოს წინ სავსე კათხა დაუდგა.

— მე წავედი, — წამოდგა ტაშა, — ბევრი საქმე მაქვს.

ვიქტორი შვებით დაემშვიდობა სერბს და ქალიშვილს დაედევნა.

— მაგას კარგად იცნობთ? — შეეკითხა, როცა დაეწია.

— ჩემი კარის მეზობელია.

— თქვენთან შემოდის ხოლმე?

— არ ვუშვებ. მეშინია, „ფაუსტიდან“ რომელიმე არია არ იმღეროს.

— ნუთუ არ მოგბეზრდათ მაგ სოროში, თანაც ასეთი ტიპის მეზობელთან ცხოვრება?

— ცხადია, „გრანდ-ოტელის“ ლუქსში ცხოვრებას ვამჯობინებდი, — მიუგო ქალიშვილმა.

„რაღა მაინცდამაინც იქ?“ — შეფიქრიანდა ვიქტორი, ხმამაღლა კი თქვა:

— ჩვენს წიგნის მაღაზიაში როდის შემოივლით? თქვენთვის გუსტავ დორე და იერონიმ ბოსხი შემოვინახე. რაც შეეხება „კაპრიჩოსს“, მოცდა მოგიწევთ, ხელოსანთანაა გარეკანის შესაკეთებლად.

— როგორმე შემოგივლით. აი, ფიაკრიც! წავედი!

ვიქტორმა მომდევნო ფიაკრთან მიირბინა:

— მაგას გაჰყევი! ჩქარა!

ფიაკრს ამოფარებულმა ვიქტორმა დაინახა, როგორ შევიდა ინდური სტილით ნაგებ შენობაში ტაშა. უკან არ გაჰყოლია, იქვე, ჩრდილში დადგა და ლოდინი დაუწყო.

მონსოს ამ ახალ კვარტალს ვიქტორი არ იცნობდა, მაგრამ გაგონილიც ჰქონდა და თავადაც ხედავდა, მდიდრებისთვის რომ იყო განკუთვნილი.

ანაზდად მისკენ მომავალი მამაკაცი შენიშნა, რომელიც კამერდინერს ჰგავდა და ორ ავღანურ ნაგაზს მოასეირნებდა.

— მაპატიეთ, — დაიწყო ვიქტორმა, როცა კამერდინერი საკმაო მანძილზე მიუახლოვდა, — მე ლიმოჟიდან ჩამოვედი და ცოტა გზა ამებნა. აი, ეს სახლი ვის ეკუთვნის?

— მანდ გი დე მოპასანი ცხოვრობს.

— მწერალი?

— დიახ, მუსიე.

— ჩემმა ცოლმა თქვა, გენიოსიაო. განსაკუთრებით მისი „ქუნთრუშა“ მოსწონს. აი, ის მეორე სახლი ვისია?

— „ფუნთუშა“, მუსიე, — შეუსწორა კამერდინერმა, — ის ბატონ დიუმა-შვილს ეკუთვნის.

— აა, „დამა ჰორტენზიებით“...

— კამელიებით, მუსიე, კამელიებით.

— ბოლო შეკითხვა. იმ უცნაურ შენობაში ვინ ბინადრობს, შაჰის რეზიდენციას რომ ჰგავს?

— კონსტანტინ ოსტროვსკი, ხელოვნების ნაწარმოებების ცნობილი კოლექციონერი. ბულვარის მეორე მხარეს კი, აგურის შენობაში, ბატონი მეისონიე ცხოვრობს, რომლის მსახურიც ანუ კამერდინერი თავად გახლავართ. მაპატიეთ, უნდა წავიდე... კალიოპა! პოლიკარპ! აბა, შინისკენ!

კამერდინერი, თავისი ძაღლებიანად, მალე მიეფარა თვალს, ვიქტორმა კი ინდური სასახლის მასიური კარის თვალთვალი განაგრძო.

ცოტა ხნის შემდეგ იქიდან ტაშა ხერსონი გამოვიდა და კურსელის ბულვარისკენ გაემართა. „გავყვე? ამჯერად არა. ოსტროვსკის გაცნობა უფრო მაინტერესებს“, — გაიფიქრა ვიქტორმა.

ორ ახლემ ვიქტორის სავიზიტო ბარათით ხელში ჰოლი დატოვა, დაუპატიჟებელმა სტუმარმა კი იქაურობის თვალიერება დაიწყო.

კედლები სურათების ორიგინალებითა და სხვადასხვა სახის იარაღებით იყო სავსე. ერთგან ჩარჩოში ჩასმული ნაბეჭდი ეკიდა „ფიგარო კოშკზედან“:

„დღის გმირი: კონსტანტინ ოსტროვსკი.

რა ცოცხალი ინტერესით მივადევნეთ...“

ვიქტორმა მეტის წაკითხვა ველარ მოასწრო: ჰოლში ტანსრული მამაკაცი შემოვიდა, დაახლოებით 50 წლის, მონოკლით შეიარაღებული.

„ეს ხომ ისაა! — შეცბა ვიქტორი, — კენძის ესტამპები! კაფე „დე ლა პე“! ისაა, ის!“.

— რით შემიძლია გემსახუროთ, ძვირფასო ბატონო... — ოსტროვსკიმ სავიზიტო ბარათს დახედა, — ლეგრი?

— ეს თქვენ ხართ დღის გმირი? — კითხვა შეაგება ვიქტორმა და „ფიგაროზე“ მიანიშნა.

— საკუთარი პერსონით! და ამით ჩემი ეგო ისევე იბერება, როგორც ბაყაყი ლაფონტენის იგავ-არაკიდან.

ვიქტორი ჩარჩოსთან მივიდა და იმ სტრიქონებს ჩააყოლა თვალი, კოლექციონერს რომ ეხებოდა. „...უდო აიკერი, „ბერლინერ ცაითუნგის“ რედაქტორი. ჯ. კოლოდი, ტურინი. ჟ. კულკი, პრაღა, ჟურნალისტი. ვ. ალიბერი, სასულე ორკესტრის დირიჟორი. მადლენ ლეზური, შარტრი. კენძი მორო, პარიზი. ზიგმუნდ პოლაკი, ვენა, ავსტრია...“.

— პასუხს ველი, მუსიე ლეგრი, — მოესმა ოსტროვსკის ხმა.

ვიქტორი მისკენ შეტრიალდა, თვალები დახარა და ჩაილაპარაკა:

— მე... კენძი მორის დავალებით მოვედი...

— კენძი მორი? მაპატიეთ, სახელებს ძნელად ვიმახსოვრებ... აზიელია?

— იაპონელი.

— ეს უკვე საინტერესოა, თუმცა არაფერს მეუბნება. იქნებ ზიგფრიდ ბინგთან ვნახე, აღმოსავლური ხელოვნების ნიმუშებით რომ ვაჭრობს, პროვანსის ქუჩაზე?

— მან თქვენ უტამაროს ესტამპები მოგყიდათ.

— ადვილი შესაძლებელია. მე კოლექციონერი ვარ და უამრავ ადამიანს ვხვდები. თქვენც ხომ არ შემომთავაზებდით რამეს?

— ჰო, მაგრამ... ეს ცოტა საჩოთირო თემაა...

— იქნებ ფიქრობთ, რომ მოპარულს ვიყიდი?

— არა, არა! როგორ გეკადრებათ! უბრალოდ, რამდენიმე იშვიათი ნივთი მაქვს და გახმაურების გარეშე მსურდა გაყიდვა.

— მაშინ სასტუმრო ოთახში შევიდეთ და იქ ვისაუბროთ. ჩაიზე რას იტყვით? როგორც მუსლიმანები ამბობენ, ცხელ ამინდში ცხელ ჩაის არაფერი ჯობია.

— როგორც გენებოთ.

ოსტროვსკიმ სტუმარი ანტიკვარიატით სავსე რამდენიმე დარბაზში გაატარა და სასტუმრო ოთახში, უფრო დარბაზში შეუძღვა. აქაურობაც, ცხადია, უძველესი და უძვირფასესი ნივთებით იყო სავსე, რომელთა ჩამოთვლაც არ ღირს, მკითხველს რომ სავსებით ბუნებრივი მადა არ აღვუძრათ და, უფრო უარესი, შურით არ ავავსოთ.

— აქაც უამრავი შედევრია, — შენიშნა ვიქტორმა.

— არაფერიც! ვიღაც-ვიღაცა ფინაჩი ხელოსნები თავიანთ ნადღაბნს უზარმაზარ ფასად მასაღებენ, თავად კი იაპონურ ფაიფურს ყიდულობენ ლუვრთან არსებულ მაღაზიებში! არც კი იციან, ეს სალონი რომ ჩემი ძვირფასი მცენარეებისთვის შეიქმნა და არა მათი მაკულატურისთვის! არა, ზოგი კარგიც ურევია შიგადაშიგ... დავსხდეთ.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

✓ **თარგმნა გურამ ჩხეტიანმა, ქეთი ხარატიშვილის ნახატი**

Cyan Magenta Yellow Black

www.facebook.com/Tinatinbonney
თინათინ ბონი

ეიფორია

დასაწყისი №7-28

მესამე ნაწილი

3 დღე ქორწინებამდე

სრული სიგიჟე ხდება. გოგოები ვერ შეთანხმდნენ კაბებზე და ბოლოს ლიმონისფერი გადაწყვიტეს, ვისაც როგორი უნდა. არმანის კაბა ჩამომდის დღეს საღამოს, მოსარგებად ერთი დღე რჩება. დედა-ჩემი და მანანა დეიდა მაინც ჩაერივნენ დარბაზის მოწყობაში და ამიტომაც ძირითადი დრო წნევიანებმა სახლში გაატარეს. თამარამ სულ შეცვალა მენიუ და სამნაირი მაკარონი ჩატენა. მამაჩემი დედაჩემს უვლიდა. რაული თამარას აშოშმინებდა. მე კი შვებულება მომცეს და გამაჯანსაღებელ პროცედურებს ვიკეთებდი. კაი დამასაჟებული და გალამაზებული ვარ. მზად ვარ, მარანძანას ცოლი გავხდე. სოლარიუმშიც გავირბენ დღეს, სულ ცოტას გავირუჯები. ვდგები და ვიცვამ. დროზე გავალ და ყველაფერს დროულად მოვრჩები. რეკავს მობილური.

— და, და.

— რას შვები, ლენ? — სანდროს ხმაც კი სიგიჟემდე მიყვარს.

— ვიცვამ და საქმეზე გავდივარ.

— გეხვეწები, ჯერ ჩემთან ამოიარე.

— კაი, ოღონდ ცოტა ხნით.

— გელოდები მაშინ.

ვიცვამ, მსუბუქად ვიხატები, ვაჭმევ ზოსის და გავრბივარ სახლიდან. დედა, რამდენი საქმე მაქვს!

სანდრო კარს მიღებს ხალათში. ღადაობს ხო ეს? ამისთვის დამიძახა? არა, განა უარზე ვარ, მაგრამ ძალიან ბევრი საქმე მაქვს! გვაქვს!

— სანდრო, რისთვის ვარ აქ?

— შემოდი და მერე იზუზუნე, — მეუბნება ცინიკურად.

შევდივარ. კარს კეტავს.

— მიდი საძინებელში.

ფრთხილად შევდივარ საძინებელში. საწოლზე დევს ჩემი საქორწინო კაბა. თვაილათის ბოლო მაქვს გამოყოლილი, ეტყობა და ჩამესმის „POP ETC - Speak Up“. კაბა ულამაზესია!

— სანდრო, შენ არ უნდა გენახა!

— რატომ? არ მითხრა ახლა, ცუდის ნიშანიაო.

— ასე ამბობდა ბებიაჩემი!

— ბებიაშენი ალბათ იმასაც ამბობდა, ქორწინებამდე არავის აკოცოო.

— არა, მაგას არ ამბობდა, — მეცინება.

— ჩაიცვი.

— რა ვქნა?

— კაბა ჩაიცვი.

— შანსი არაა!

— ლენა, ხვალ არ განახავ, წინა დღეს და პირველი ღამე ჩვენი უკვე გვქონდა. მინდა, რომ ახლა გაგხადო საქორწინო კაბა.

— სანდროოო...

— მინდა, — მეუბნება მკაცრად.

— კარგი. გადი ოთახიდან!

სანდრო გადის. ვიღებ კაბას და ვტკბები მისი სილამაზით. ვერც კი ვხვდები, რა შეიძლება ღირდეს. ვიხდი ტანსაცმელს, ვიდებ კაბას ტანზე და ვიხედები სარკეში. რა სილამაზეა. ძალიან ფრთხილად ვიცვამ. თმას ვიშლი და ვიხედები სარკეში. ძალიან ლამაზი ვარ. მგონი, პირველად ვთქვი ეს.

— სანდრო, შემოო.

სანდრო შემოდის და კარს ეყუდება. ალბათ სწორად აღვნიშნე, ძალიან ლამაზი ვარ.

— სიტყვები არ მყოფნის.

— ძალიანაც კაი.

სანდრო ხალათს იხდის და ძირს აგდებს. ვგიჟდები, როცა მხოლოდ ბოქსერი აცვია. თანაც თეთრი, ამ ნატიფ, გარუჯულ სხეულზე.

— კაბა არ დააზიანო! — ვეუბნები სიცილით.

— ძალიან ფრთხილი ვიქნები გახდისას, რასაც გახდის მერე აღარ გპირდები.

სანდრო მიახლოვდება და კისერში მკოცნის. სარკისკენ ვტრიალდებით. მე საქორწინო კაბაში, სანდრო — ბოქსერში. ალბათ ასე რომ წავიდეთ ქორწილში, ძალიანაც ეფექტური იქნება. სანდრო კაბის შესაკრავს მიხსნის და ფრთხილად მხდის. ვდგავარ ტანგაში (ნეტა, რატომ ჩავიცვი?) და ლიფში.

— ასე ხო საერთოდ ულამაზესი ხარ! — სანდროს თვალები ენთება.

— მადლობა, ბატონო მარანძანა.

ვაპირებ ლიფის გახსნას და სანდრო მაჩერებს.

— ნუ ჩქარობ.

— ათასი საქმე მაქვს კიდევ, ხო იცი!

— ნუ ჩქარობ...

— კარგი. რაღაც გაქვს შენ ჩაფიქრებული, — თვალებს ვჭუტავ.

— თუნდაც, — ამბობს ღიმილით, — საწოლზე დაჯექი!

— რას მბრძანებლობ?

სანდრო წარბს წევს და ეგრევე ვემორჩილები. აბრეშუმის წითელ შარფს იღებს უჯრიდან და კისერზე იხვევს. ეს რაღა უბედურებაა?

— ცოტაც მოითმინე.

— ვითმენ. უბრალოდ მაინტერესებს, რომელ კინოში ნახე ეს.

— შემარგებ, რასაც ვაპირებ?

— კარგი, ხო, ბოდიში.

— ადექი.

ვდგები. ხელს მკიდებს და კაბინეტში გავყავარ. ვემორჩილები. კაბინეტში შევიდავრთ, სანდრო კედლის თაროს უახლოვდება და მასზე მოთავსებულ კამერას რთავს. რას? კამერას?

— სანდრო, რას აკეთებ?

— სულ მინდოდა, წინააღმდეგი ხარ?

— ამმ...

რეალურად, რატომაც არა? კიდევ ერთი მტკიცებულება იმისა, რომ მას ვენდობი და მთელი ცხოვრება მისი მინდა, ვიყო.

— არ ვარ წინააღმდეგი.

— იმედი მქონდა, რომ არ იქნებოდი. საერთოდ, დაივიწყე, რომ იქ დევს.

სანდრო მიახლოვდება და ტუჩებში მკოცნის. ხელს მკიდებს და მის საწერ მაგიდასთან მივყავარ. გული ამოვარდნაზე მაქვს. ხელის ერთი მოსმით ყველაფერს ძირს ყრის. მაგიდაზე ვჯდები.

— ლენ, მიყვარხარ და გპირდები, რომ ჩვენი ცხოვრება არასდროს იქნება მოსაწყენი.

— ვიცი, სანდრო, მთელი გულით ვიცი და მეც მიყვარხარ.

— მინდა, გითხრა, რომ ყველაფერი გაპატიე, აბსოლუტურად ყველაფერი. არასდროს წამოგაძახებ შენს შეცდომებს. მეყვარები მუდამ ისეთი, როგორც ხარ ან იქნები.

— ნაოჭიანიც და გასიებულიც? ან გამელოტებული?

— მელოტი ქალები გყავთ ჯიშში? — მეკითხება შეშინებული.

— არა, — გემრიელად ვიცინი.

ტუჩებში მკოცნის.

— სანდრო, მინდა, გითხრა, რომ მეც ყველაფერი დავივიწყე, რაც მანამდე იყო. შენგან მხოლოდ კარგი მახსოვს და მეყვარები მაშინაც, ეგ კუნთები რომ ჩამოგეკიდება.

— კაი ახლა, ნუ კლავ ეროტიკას.

— კაი, ბოდიში! — ვიცინი.

— შენ რომ არ შემხვედროდი, ვერც კი წარმომიდგენია, როგორი იქნებოდა ჩემი ცხოვრება.

— ვერც მე. შენ კი მონახავდი ვინმეს, — თვალს ვუკრავ.

Cyan Magenta Yellow Black

— შენც მონახავდი, — ამბობს სიცილით.
— ჩვენ ტოქ შოუს ვიწერთ აქ თუ ეროტიკას?
— დავუბრუნდეთ მაშინ მთავარ საქმეს.
სანდრო შარფს იხსნის კისრიდან და თვალებს მიკრავს.
— რატომ უნდა ვიყო სიბნელეში?
— უბრალოდ, ისიამოვნე შეგრძნებებით.
ვწვები ზურგზე. ეს მაგიდა ცოტა მოუხერხებელია და ურჩევნია, რასაც აპირებს, ძალიან კარგი იყოს. ირთვება მუსიკა, რომელიც საერთოდ მადუნებს. ვგრძნობ სანდროს ნაზ შეხებას ჩემს წვივზე. მისი თითები ნაზად სრიალდება ჩემს თეძომდე. რა გამიმართლა! ფიქრს ვწყვეტ და მხოლოდ მუსიკა ჩამესმის. მის კოცნას და შეხებას კი ჭჯუიდან გადავყავარ.
მიბნედილი ვაგდივარ მაგიდაზე. სანდრო ბოქსერს იცვამს. მე დღეს ვეღარაფერს გავაკეთებ.
— ისეთი სახე გაქვს, კმაყოფილი უნდა იყო, — მეუბნება და იკრიჭება.
— ხვალ არ დაგინახო, რო გამეკარო კილომეტრზეც კი! ერთი დღე დამრჩა საქმეების მოსასწრებად.
— გპირდები. არ გშია?
— ვაიმე, ვკვდები.
— წამო იქით, გაგიკეთებ რამეს.
ვაიმე, სამოთხეში ვარ, მგონი. ვიცვამ სანდროს ხალათს და გავდივარ დიდ ოთახში. ტელევიზორს ვრთავ, სანამ სანდრო სამზარეულოში ბოდიალობს. დენ ბალანის კლიპი, ჩიკა ბომბა.
— სანდრო, ეს ნანახი გაქვს?
— კი, — სანდრო სენდვიჩს მაწვდის.
უცებ გვერდით ხტება და დენ ბალანის გაჯავრებას იწყებს. გიჟივით ვიცინი და ვცდილობ, სენდვიჩი არ დამივარდეს.
თან ვღადაობ, რო ვერც გაიგებ, რას მღერის და სექსაპილნად აშტერდება კამერას.
სანდრო გადის სამზარეულოში, უკან თავისი სენდვიჩით და ღუდით ბრუნდება.
— ჩვენ ზეგვე მივფრინავთ, ქორწილიდან?
— კი, პირდაპირ.
— იქ სანამ ვიქნებით, შენი შვილი არ ვნახოთ?
სანდროს სახე ებადრება.
— კარგი იქნება.
— მშვენიერია, — ვკბეჩ სენდვიჩს.
— კიდე რამე ხო არ გინდა?
— ვაიმე, შენ შემოგევლე, არაფერი აღარ მინდა, — ვეუბნები ხველებით.
სანდრო იცინის და გემრიელად კბეჩს სენდვიჩს.
— ნეტა, აზისის ის კლიპი არ გაიჩითება? რაღაც „ჰაიდე ნა მორეტო, სკაჩეტ ბეენვეტო“.
— აუ შენ რეებს უყურებ, — სანდრო ღუდის ქილას იყუდებს.
— შევჭამ და წავალ მე.
— სად მიდიხარ?
— კაბას გავიტან გადასაკეთებლად.
— წაგიყვან მე.
— სანდრო, მე თვითონაც შემიძლია რამის გაკეთება.
— კარგი, კარგი, დახმარება მინდოდა.
— შენ გირჩევნია, რას იცვამ, ის გადაწყვიტო.
— აუ, მე დიდი ხანია გადავწყვიტე.
— მერე?
— რა მერე?
— მე არ უნდა ვნახო?
— არა.
— სანდრო!
— არა.
— სანდრო! სანდრო! სანდრო! სანდრო!
— არა.
— სანდრო! სანდრო! სანდრო! სანდრო! სანდრო! სანდრო! სანდრო! სანდრო! სანდრო! სანდრო! სანდრო! სანდრო! სანდრო! სანდრო! სანდრო! სანდრო! სანდრო!
— თავი მეტკინა!
— მანახე!
— რა განახო?
— რასაც იცვამ.
— კარგი! — შეწუხებული სანდრო სკამიდან დგება.
— გელოდები, — ტახტზე ვკალათდები.
სანდრო გადის. მე კი სენდვიჩს შევექცევი და კლიპებს ვუყურებ. რას შვრება ამდენ ხანს? ვთიშავ ტელევიზორს და სანდროს სტერეოსისტემას ვრთავ. ვიქექები სიმღერებში. „Jeremih - F* you the time“. დღევანდელ დღეს უხდება. სანდროს ნაბიჯების ხმა მესმის და მისკენ ვტრიალდები. ხმას ვერ ვიღებ. სანდროს აცვია თეთრი პერანგი, რუხი დავარდნილი შარვალი, იმავე ქსოვილისა და ფერის ჟილეტი და იასამნისფერი ჰალსტუხი უკეთია. ფეხშიშველია. დგას და კმაყოფილი მიყურებს. მე კი გადებილებული ვდგავარ. მეც და ჩემმა საპატარძლო კაბამ შეგვიძლია გავიაროთ, ეს ისეთი სანახაობაა.
— მოგწონს? — მეკითხება საყვარლად.
— მომწონს? — ხალათს ვიხდი და ძირს ვაგდებ.
სანდროს კმაყოფილს ეღიმება.
— მე მეგონა, დაღლილი იყავი.
— ვიყავი, მაგრამ ამის გახდაში უნდა დაგეხმარო.
სანდრო მიახლოვდება და ტუჩებში მკოცნის. არავისთან ვყოფილვარ ასე კომფორტულად შიშველი. სანდრო ბეჭზე მკოცნის. ჰალსტუხს ვუხსნი და სკამზე ვკიდებ.
— რა ღამაზი ხარ, — მეუბნება და ხელზე მკოცნის.
ჟილეტს ვხდი და სკამზე ვკიდებ. სანდრო ტახტზე ჯდება. მის ზემოდან ვთავსდები და ნელ-ნელა ვუხსნი პერნაგის ღილებს.
ძლივს გამოვეტიე. იმედია, მიმიღებს მკერავი. დიდი არაფერი მინდა, ოდნავ სიგრძეზეა სამუშაო. ნანუკამ ასი მესიჯი მომწერა, თაიგულის ასარჩევადაა და ვერ წყვეტს. მე კი სანდროს გახსენებაზე სულ მაყრიალებს. რა ბედნიერი ქალი ვარ!
კაბა დაიტოვეს. გამოვქანდი სოლარიუმში. მერე ფრჩხილებს გავიკეთებ და შაკუნას შევუთანხმდები „პრიჩოსკაზე“. სულ სანდროზე მეფიქრება. ლენა, გეყოფა! წადი, მიხედე საქმეს. ავდივარ დედაჩემთან. ვამშვიდებ, რომ ყველაფერი რიგზეა. გავდივარ თამარასთან, ვსინჯავ ხუთნაირ პასტას და ვირჩევ იქიდან სამს. ვხვდები ნანუკას, ვუდასტურებ, რომ თაიგული მომწონს. გავრბივარ გოგოების კაბების სანახავად. ყველაფერი ასიანზეა.
ღამის პირველი საათია. ამდენი არ მივლია მთელი ცხოვრება. ყურებში აიპოდის ყურსასმენი მაქვს და ვუსმენ „Duck Sauce - Big Bad Wolf“. გიჟივით ავრბივარ კიბეზე. ლიფტიც არის, მაგრამ მაინც ენერგიაზე ვარ. გასაღებით ვაღებ კარს. სანდრო ტახტზე წევს და იტალიურ გაზეთს კითხულობს.
— მეგონა, აღარ მეკარებოდი კილომეტრზე, — მეუბნება ცინიკურად.
— ხვალიდან, — ვეუბნები და მაისურს იატაკზე ვაგდებ.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ეს იცოდით?

❖ ძველბერძენი ისტორიკოსი და გეოგრაფი სტრაბონი შავ ზღვას კოლხიდას ზღვად მოიხსენიებდა.

❖ ფილოსოფოსი ციცერონი ამბობდა: „ჩვენთვის ძვირფასი არიან მშობლები, შვილები, ახლობლები, მაგრამ ყველაფერი ეს თავს იყრის ერთ სიტყვაში — სამშობლო“.

❖ ევროპული ვალუტის — ევროს გამოშვებას დიდი სკანდალი მოჰყვა, რადგან მისი პირველი კუპიურების ვარიანტებზე დაშვებულ იქნა შეცდომა — გერმანია გამოსახული იყო ორ ნაწილად (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა).

❖ სინგაპურის მერიაში ოფიციალურად არსებობს სამაჭანკლო განყოფილება, რომელსაც ადგილობრივები „მარტოსულებს, სასოწარკვეთილებსა და მახინჯებს“ უწოდებენ.

❖ 1980 წელს ბუტანი ერთადერთი ქვეყანა იყო, რომელსაც ტელეფონები არ ჰქონდა.

❖ მსოფლიოში დღემდე აღმოჩენილ ქალაქებს შორის ყველაზე ძველი იერიქონია.

❖ ავტომობილის მძღოლები საგზაო შემთხვევების დროს უფრო მეტ ირემს კლავენ, ვიდრე მონადირეები.

❖ მსოფლიოში ყოველწლიურად 63 მილიონი ავტომობილი იწარმოება.

❖ თუ საკვები არ აქვს, ზოგიერთი სახის ჭიაყელა საკუთარ სხეულს მიირთმევს.

❖ სოლიტერი 18-20 წელი ცოცხლობს.

❖ ვირთხას შეუძლია ისე ჩამოხტეს ხუთსართულიანი შენობიდან, რომ არანაირი დაზიანება არ მიიღოს.

Cyan Magenta Yellow Black

განსხვავებული საქმე

ლელა ცუცქირიძე

ესე მოხდა, რომ თავისუფალი დრო გამომიჩნდა. სულ გადარბენებში ვარ, სულ საქმეებში, სულ ფუსფუსში ფუტკარივით.

— ზზზზ, — მივფრინავ.

— ზზზზ, — მოვფრინავ.

მერე ისევ მივფრინავ, მერე ისევ მოვფრინავ და ვიღლები, გენაცვალე, სად შემიძლია ამდენი?

— აი, რას აკეთებ ამისთანას? — მეკითხება ჩემი გაუთავებელი „ვაიმე, რამდენი საქმე მაქვს, ვაიმე, როგორ დავიღალე, ვაიმე, აღარ შემიძლია“ და მსგავსი მოთქმით შეწუხებული ეთო.

ეგ მყავს გამოჭერილი — ჩემი მეგობარი, მეგობარზე და ოჯახის წევრზე უფრო მეტიც. ოჯახის წევრს რას ეუბნები და ეზუზუნები იმდენს, რამდენსაც მეგობარს. მე, მით უმეტეს, ვის უნდა ვეზუზუნო — სახლში სამი თაობა ვართ, სამივე ქალი — ბებია, დედა და მე და სამივე ერთმანეთზე უარესი ისტები. არა, პოლიტიკურად ამისტები და იმისტები კი არა, უბრალოდ, ზუზუნისტები. სანამ მე დავიწყებ ზუზუნს, ეგენი იწყებენ ორ ხმაში. მე კი მაგათი ზუზუნის მოსმენას მირჩევნია, ეთოს დავუსკუპდე სახლში და თავად ვიზუზუნო. ეთოა ის მეგობარი, რომელიც მიძლებს და რომელსაც ყველაფერს ვუყვები: სიზმრიდან დაწყებული დილის შხაპით, საუზმით და ა.შ. გაგრძელებული. პარალელურად, რა თქმა უნდა, ვზუზუნებ. აბა, სხვასთან ვისთან უნდა დაიცალო, თუ არა ასეთ მეგობართან — ერთი ბაღის, ერთი სკოლის, ერთი კლასის...

ეს მერე გაიყო ჩვენი გზები ცოტა ხნით, როცა უმაღლესში ჩავაბარეთ, მე — პოლიტექნიკურში, ეთომ — თეატრალურზე და მაშინაც სულ მასთან მივრბოდი. აბა, რომელი ინჟინერი მე ვიყავი, თანაც გვირაბების გამყვან-სპეციალისტი?! ბებიაჩემის ბრალი იყო, ჩამივარდა მუხლებში — ოღონდაც ბაბუას პროფესია გააგრძელე, მის სულს ვენაცვალე-შემოვევლე, აი, ეს ბიბლიოთეკა უქმად არ გადაიყაროს წყალშიო — მიმაყენა კედელთან. რა თქმა უნდა, დასახვრეტად არა, წიგნების წასაკითხად, თუმცა იმ წიგნების წაკითხვას დახვრეტა მერჩივნა.

ისე, ბედი ხომ გინდა ადამიანს, ზოგს ექიმი წინაპარი ჰყავს, ზოგს მსახიობი, ზოგს ჟურნალისტი და მარტო ჩემი იყო გვირაბების მშენებელი. მართალია, ბაბუაჩემმა დიდი საქმე გამიკეთა და სწორედ მის გამო არ ვთქვი უარი საგვარეულო პროფესიაზე, მაგრამ, აი, მე, გოგო, რა შუაში ვიყავი გვირაბებთან, არაფრით მესმოდა.

— აბა, ბიჭი არ გვყავს ოჯახში და... — თვალები ეცრემლებოდა ბებიას ჩემს პროტესტზე, — ბაბუაშენი ხომ სიმწრისგან საფლავში გათხრის გვირაბს და მე მოვკვდები, ბებია, ეს სურვილი რომ არ შემისრულო.

ჰოდა, მეც შევუსრულე: ჩავაბარე, დავამთავრე, ავიღე დიპლომი, ჩავსვი ჩარჩოში და ჩამოვუკიდე საწოლის თავთან, ბაბუაჩემის სურათის გვერდით.

გვირაბები, ერთადერთი, ბავშვობაში გამყავდა და ისიც ქვიშაში. რა კოშკებს ვაშენებდი, რა სრა-სასახლეებს... სრა-სასახლეები, რა თქმა უნდა, მე მეკუთვნოდა, ვიჯექი და უფლისწულს ველოდებოდი. სიმართლე რომ ვთქვა, ახლაც ველოდები, მაგრამ ჩემი მოსაწონი უფლისწული დღემდე ბუზისტოლადაც კი არ მოჩანს ჰორიზონტზე.

როგორი უფლისწული მინდა? როგორი და გადასარევი! მე ვიყო „პრინცესა მუხუდოს მარცვალზე“ და ყველაფერს ის აკეთებდეს. მე ვიჯდე დედოფალივით და ის ყველა სურვილს მისრულებდეს...

— შენ უფლისწული გინდა თუ ოქროს თევზი? — აინტერესებს ეთოს.

— ოჰ, რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, ყველა სურვილის შესრულება შეეძლოს და თანაც აუცილებლად, ხაზს ვუსვამ: ა-უ-ცი-ლებ-ლად უნდა მემსახუროს. ვერ ვიტანთ, ცოლები რომ ემსახურებიან ქმრებს. მაგალითად, ისე, როგორც შენ. ღმერთო ჩემო, თავმოყვარეობა არ გაქვს ამხელა ქალს.

ეთოს ეცინება. ჩვენში დარჩეს და კიდევ კარგი, ხშირად ეცინება და ყურადღებას არ აქცევს ჩემს პრეტენზიებს, თორემ როგორი ასატანი ვარ... თანაც რომ არ ვშორდები? გათხოვებამაც არ უშველა — ისევ სტიკერივით ავეწებე. შევურბენ ხოლმე, დავუჯდები, ჩავუსახლდები. ყველაფერი უნდა ვიცოდე, მისი ამბავი, მისი ქმრის, მისი ოჯახის წევრების, იმათი დეიდაშვილების, ბიძაშვილების, მეზობლების, იმათი დეიდაშვილ-ბიძაშვილების და ა.შ. პარალელურად კი უნდა ვიზუზუნო, აბა, როგორ?!

ახლაც არ ვარღვევ ტრადიციას, სახლში ვუზივარ და მოვთქვამ.

— აი, რას აკეთებ ამისთანას, შეგიძლია მითხრა? — მკითხა ისევ ეთომ.

— ვაიმე, არ მკითხო! — გავაპროტესტე ვითომ, სინამდვილეში კი ერთი სული მაქვს, მოვყვე, რამდენი საქმე მქონდა თუნდაც დღეს, რა გადაღლილი ვარ და როგორ არ მაწყენს კარგი დასვენება.

არა, ჯობია, დასვენებაზე ხმა არ ამოვიღო, თორემ თავად აზუზუნდება:

— კარგი დასვენება ვის აწყენს, ერთი მითხარი? — და სიტყვასიტყვით გაიმეორებს ჩემს ნათქვამს, თუ როგორ გადაიღალა, რამდენი საქმე აქვს და როგორ არ აწყენს კარგი დასვენება. აი, იმაზე მეტადაც კი, ვიდრე მე.

სად მაქვს ეთოს ზუზუნის თავი? და საერთოდ, მეგობრებო, არავის ზუზუნის თავი არ მაქვს, საკუთარის გარდა, სად შემიძლია? ამიტომ ნება იბოძეთ და თქვენთვის, ჩუმად იზუზუნეთ. მე მეპატიება, მართლა ვიღლები და იმიტომ.

— ერთი მითხარი, რა გღლის? — გამომცდელად შემომხედა ეთომ.

— ვაიმე, რას ჰქვია, რა მღლის? რა მღლის და... — მოვემზადე, ღრმად ჩავისუნთქე, ამოვისუნთქე და...

ჯანდაბას! დავრჩი ასე მოსუნთქული. ღმერთო, გამახსენე, რა მღლის? სახლის საქმე არა, მოსამსახურე მყავს, რომელსაც დედაჩემი არ ენდობა და ყველაფერს ხელმეორედ აკეთებს. აქედან გამომდინარე, სახლს ორი ქალი ალაგებს და მესამე ანუ, მე, რაღა საჭირო ვარ? საჭმელსაც არ ვაკეთებ — დედაჩემი იწყებს და მერე ბებიაჩემი ამთავრებს, დედაჩემის გაკეთებული არ მოსწონს. მუშაობით მე არ ვმუშაობ და რა საქმე, რა დაღლა?

— რა გღლის-მეთქი, აბა, მითხარი, — არ მომეშვა ეთო.

— ვაიმე, იმდენი რამ, საიდან დავიწყო, არ ვიცი, — ვუთხარი ხმამაღლა და გულში კი: „ჯვარი მწერია, ჯვარი მწერია, მინდა ახლა მე საქმე და ტრიალი?!“ არ მინდა! ასე ყოფნა მირჩევნია, უზრუნველად.

გამიმართლა და ორი კერძო სახლი მერგო მემკვიდრეობით ბაბუისგან და ბაბუის უშვილო ძმისგან, თანაც პრესტიჟულ ადგილზე. ერთი გაქირავებულია, მეორე — მრავალსართულიან კორპუსად გადაქცეული. მოკლედ, აღა გეურქასავით ბინების პატრონი ვარ. და რა საქმე უნდა მქონდეს? სალონი, ცურვა, ფიტნესი, შოპინგი... აი, ამან მომიღო ბოლო, აქეთ-ქით სიარულმა! აღმოვაჩინე უცებ.

— რა მღლის და თუნდაც სიარული, — შევაპარე ეთოს.

— სად? — რა საძაგელი გოგოა, ყველაფერი უნდა მათქმევინოს, რომ მერე შეტევაზე გადმოვიდეს.

— სად და სალონში, ცურვა-ფიტნესზე, შოპინგზე... — როგორც იქნა, ამოვთქვი და უცოდველი კრავივით შევხედე. ეს გამოხედვა სარკის წინ მაქვს დამუშავებული.

— არ გრცხვენია? — მკითხა ეთომ, — აი, სულ არ გრცხვენია, ამას რომ ამბობ?

— რატომ უნდა მრცხვენოდეს? — გავიკვირვე. სადღაც გულში კი შემრცხვა, მაგრამ ხმამაღლა ხომ არ ვიტყოდი? — შენ გგონია, ეს დამღლელი არაა? როგორ გეკადრება...

— და რატომ დადიხარ? — ჩამეძია ეთო.

— რას ჰქვია, რატომ დავდივარ? — შევიცხადე, — ქალი ყოველთვის ფორმაში რომ უნდა იყოს, ეს, რა, ახალი ამბავია შენთვის?

— და მე რაღა უნდა ვთქვა დაღლაზე,

Cyan Magenta Yellow Black

ხომ არ იცი? ყველაფერი ჩემი გასაკეთებელია სახლშიც და გარეთაც.

— მე რა ვიცი, რა უნდა თქვა? — მაშინვე კონტრკითხვა შეუგებე, — მაგაზე, სანამ ვასიკოს გაჰყვებოდი, მანამდე უნდა დაფიქრებულიყავი. „ჩემი ბიჭი, ჩემი ბიჭი“... აი, შენი ბიჭი! თავიდანვე ხომ ეტყობოდა, მოსამსახურედ რომ გაგიხდიდა.

— აი, ზუსტად მაგას ვეტყვი ვასიკოს, რომ მოვა, — დამემუქრა ეთო.

— ოჰ, უთხარი, მისთვის არ მითქვამს თუ რა? — სულაც არ შემშინებია ამ მუქარის.

მიუხედავად იმისა, რომ ვასიკოსთან მუდმივი პრეტენზიები მაქვს, ის მეც და ჩემს შენიშვნებსაც დიდსულოვნად გვიტანს. ეგ რაა, ორიოდე დღე რომ არ გამოვჩნდე, მგონი, დისკომფორტსაც განიცდის.

მაინც როგორ შეუყვარდა ეთოს ასეთი ტირანი? მოვა, მოზანზარდება სახლში ცხრათავიანი დევივით და დაიბუხბუხებს ერთი თავით:

— ეთო, მშია, დროზე მაჭამე!

— ახლავე, — ყველა საქმეს გადადებს ეთო და სამზარეულოში გარბის.

— ეთო, ტელევიზორი ჩართე! — დაუბუხბუხებს მეორე თავით.

— ახლავე, — ეთო ტელევიზორის პულტისკენ მირბის.

— ეთო, წყალი გამოიღე მაცივრიდან! — დაიბუხბუხებს მესამე თავით და ეთო მაცივრისკენ გარბის.

— შენ არ შეგიძლია რამე გააკეთო? ცოლი გყავს თუ მოსამსახურე? — ვიცავ ჩემს მეგობარს.

— შენ ის გირჩევნია, კონდიციონერის პულტი მომიძებნო, — ახლა ჩემი დასაქმება უნდა.

— მეტი დარდი არ მაქვს, შენ მოგემსახურო, — ვეუბნები და არ ვინძრევი, — ისედაც დაღლილი ვარ, მთელი დღე გადარბენაზე ვიყავი.

— აუ, ახლა ზუზუნი არ დაიწყო, თორემ გადაგიშვებ ფანჯრიდან, — მაფრთხილებს.

— გაბედე, აბა! — არ მომწონს ფანჯრიდან გადაშვების პერსპექტივა.

— მიდი, სიგარეტზე მაინც ჩამეგზავნე, ყიდვა დამავიწყდა, — ახლა სხვა საქმეს მავალებს.

— მეტი დარდი არ მაქვს, — სულ ვგიჟდები, — შენ კი არა, ქმარი რომ მყავდეს, იმას არ ჩავეგზავნები სიგარეტზე.

— გაგახსენებ მაგ სიტყვებს, როცა იქნება! — მემუქრება.

— ელოდე მაგ დღეს, — არ ვეპუები, — აქეთ მომემსახურება ყველა.

მერე ეთოსთან გავდივარ:

— ამას როგორ უძლებ, მართლა არ გაქვს თავმოყვარეობა, — თან ფულს ვუჩურთავ ხელში და ჩუმად ვეუბნები, — მიდი, მაინც არ მოგასვენებს და ამოუტანე სიგარეტი, ლუდიც და რა ვიცი, კიდევ თუ რამე გინდათ.

ახლაც, სანამ მე და ეთო ვარკვევდით, რომელს უფრო მეტი საქმე გვქონდა და რომელს უფრო გვჭირდებოდა დასვენება, ვასიკო შემოზანზარდა ორ, ჩემთვის უცხო მამაკაცთან ერთად.

— ვა, აქ ხარ, საქმიანო? — გადმომხედა და მაშინვე დამასაქმა, — მიდი, რაღაც ამოვიტანეთ და გაინძერი ახლა შენც.

— მეტი დარდი არ მაქვს, — ჩავუარე ცხვირაწეულმა.

— თქვენ ნატალია არ ხართ? — მკითხა ამ დროს ერთ-ერთმა მამაკაცმა.

— დიახ, — გაოცებულმა შევხედე, — თქვენ, რა, მიცნობთ?

— როგორ არ გიცნობთ, რაც ჩვენ გვირაბები გაგვიყვანია ერთად, — გაეცინა.

— გვირაბები? — გამიკვირდა. ამან რა იცის ჩემი გვირაბების ამბავი?

— ერთ კურსზე ვიყავით. თქვენ შეიძლება — არა, მაგრამ მე კარგად მახსოვხართ, თან ძალიან კარგად.

დავაკვირდი. ასეთი სიმპათიური კურსელი თუ მყავდა, როგორ არ მახსოვს? ვაიმე, რა თვალები აქვს, რა გამოხედვა!

— მართლა? და რატომ გახსოვართ? — მთელი ჩემი სიკეკლუცე ჩავაქსოვ-ჩავაგვირისტე ღიმილში და განაბული დაველოდე პასუხს, რომელიც, რა თქმა უნდა, ასეთი იქნებოდა:

— განა შეიძლება არ მახსოვდეს გოგონა, რომელიც იმდენად მომწონდა და უფრო მეტიც, მიყვარდა, რომ ამის თქმასაც ვერ ვუბედავდი? რომელსაც მხოლოდ შორიდან ვეტრფოდი და ვუთვალთვალებდი?

იმან კი:

— მთელ ფაკულტეტზე მარტო თქვენ იყავით გოგო და ძალაუნებურად დაგიმახსოვრებდით, აბა, რა იქნებოდა, — და გაეცინა.

აუჰ, ეს ვინ ყოფილა! ამის თქმას სულ არაფერი ეთქვა, არ ჯობდა?

— უ-ჰუ-ჰუუ, — აბუხბუხდა ვასიკო.

— ჰმ, — გადავხედე ორივეს ამრეზილმა, მერე სამზარეულოში გავედი, სადაც ეთო უკვე ტრიალებდა და, მგონი, ჩვენი მეგობრობის მანძილზე პირველად შევთავაზე:

— მითხარი ახლა, მე რა გავაკეთო, მოგეხმარები.

— რაა?! — პირი დააღო ეთომ.

— მოგეხმარები-მეთქი, რა იყო. მეცოდები უბრალოდ ამ ბაყბაყდევის ხელში, — სხვა მიზეზით გავამართლე ჩემი მონდომება. აბა, იმას როგორ ვეტყოდი, იმ ტიპთან, ჩემს კურსელთან მინდა თავის მოწონება-მეთქი. ამის გამხელა საკუთარი თავისთვისაც არ მინდოდა.

— სასწაული, — თქვა ეთომ და სასწრაფოდ კარტოფილის გათლა დამავალა, რასაც ჩემი ინიციატივით პიცის მომზადებაც მოყვა.

— თვალებს არ ვუჯერებ, — გაოცებული იმეორებდა ეთო, მაგრამ მისი გაოცება არაფერი იყო ვასიკოს გაოცებასთან შედარებით, როცა სუფრაზე პიცა ციმციმ შევაციმციმე და გამოვაცხადე, რომ ჩემი მომზადებული იყო.

— შანსი არაა, — არ დაიჯერა ვასიკომ, — შენ და პიცა?!

— მე, სხვათა შორის, ყველაფრის გაკეთება ვიცი, თან გადასარევად, — გამოვაცხადე კიდევ ერთხელ და თვალი ჩემი კურსელისკენ გავაპარე.

მართალია, წეღან ძალიან გავბრაზდი მის ნათქვამზე, მაგრამ, ნუ, რა ვქნა, თვალს ვერ ვაშორებ. როცა ვსწავლობდი, მაშინ მეუბნებოდა ბებიაჩემი, შვილო, თვალები გაახილე, ამდენი ბიჭი ერთად შეიძლება ვეღარც ნახო, თანაც ბაბუაშენს როგორ გაუხარდებოდა, სიძე თუ მისი პროფესიის იქნებოდაო, მაგრამ ვინ უგდებდა ყურს?

„ჰოდა, ახლა რომ ავუსრულო სურვილი ბებიაჩემს, ვითომ რა, ცუდი იქნება?“ — გავიფიქრე და ჩემს აქამდე უცნობ კურსელს პიცა დიდსულოვნად შევთავაზე:

— მიირთვით.

— აუ, პიცა არ მიყვარს, რა, — იუარა უცერემონიოდ.

ეს ნახეთ, რა! უმადური! მადლობა თქვას, პიცა თუ შევთავაზე. არ უყვარს ბიჭს თურმე! ისე გავბრაზდი, სიამოვნებით დავამხობდი მთლიან პიცას თავზე, მაგრამ ამის მაგივრად რატომღაც ვკითხე:

— კი მაგრამ, აბა, რა გიყვართ?

— რა და კარგი, გემრიელი, მამაპაპური ხაჭაპური, — ისე მითხრა, აშკარად მომთხოვა, გამეკეთებინა.

„თავხედი!“ — გავიფიქრე, სამზარეულოში გავვარდი და ჩანთას დავავლე ხელი.

— მივდივარ! — გამოვუცხადე ეთოს და ახლა კარისკენ გავვარდი.

— სად მიდიხარ? — უკან გამომყვა გაოცებული და შეწუხებული ეთო, — კარგი რა, ნატ, რა გეწყინა, ვერ მივხვდი. ადამიანს ხაჭაპური უფრო უყვარს, ვიდრე პიცა, ჰოდა თქვა. იციან კაცებმა ასე და სიტყვებს კი არა, ტიპს მიაქციე ყურადღება, თან რა სიმპათიურია...

— სიმპათიური რომაა, სწორედ მაგიტომ მივდივარ, — ჩავილაპარაკე.

— რაა? ვერაფერი გავიგე, — რა სულელი გოგოა, ვერაფერს ხვდება!

— რა ვერ გაიგე, ეთო, ნუ გამაგიჟე! — გავუბრაზდი, — წავალ ახლა და... მოკლედ, ერთი ადგილი ვიცი, ზღაპარ ხაჭაპურებს აკეთებენ.

— მერე? — გაუკვირდა ისევ.

— მერე ის, რომ ვიყიდი და ამოვიტან. ახლა ნამდვილად ვერ დავაცხობ, — მეგონა, ახლა მაინც მიხვდებოდა, მაგრამ შენც არ მომიკვდე.

— მაშაყირებ თუ რა გჭირს? — გაბრაზდა ჩემზე, — როდის იყო, ხაჭაპურზე მირბოდი? რომ გთხოვო, წყლის ჭიქას არ მომაწვდი.

— შენ არა, მაგრამ იმას კი, — ვუთხარი უსირცხვილოდ.

— ვის იმას? — დაფიქრდა და რაღაცას მიხვდა, — ვაიმე, იმ ტიპის გულისთვის ჩადიხარ? შენ?! ვაიმეეე! — მიეყუდა კედელს, — ყველაფერს წარმოვიდგენდი და ამას ვერა. და აბა, დაღლილიო, საქმეო, არავის მოვემსახურებიო, მე დამცინი ვასიკოზე და აჰა, შენ თავად რას აკეთებ?

— ოო, კარგი, რა, ეთო, კარგი, რა, — ჩავიბურტყუნე, — წავედი, მოკლედ და მალე მოვალ. თან კიდევ რამეს გამოვაყოლებ, ნეტავ, რა უყვარს?

ეთოს პასუხს აღარ დავლოდებივარ, კიბეებზე ფართხაფურთით დავეშვი.

განა არ ვიცოდი, რომ ასე არ უნდა მოვქცეულიყავი, ძალიან კარგადაც ვიცოდი, მაგრამ თურმე მართლა რას გაუგებ ქალებს? იმას აკეთებენ, რაზეც მანამდე კატეგორიულად ამბობენ, არ გავაკეთებთო, რაზეც სხვებს დასცინიან და შენიშვნებს აძლევენ. ხომ გადასარევად ეტყობა ამ ტიპს, რაც იქნება, ალბათ ვასიკოზე უარესი, პრეტენზიული და ქალების მომსახურებას მიჩვეული, მაგრამ თვალები... და გამოხედვა...

სულაც აღარ მახსოვდა, რომ ცოტა ხნის წინ ჩემს გაუთავებელ საქმეებზე და დაღლაზე ვეზუზუნებოდი ეთოს. პატარა გოგოსავით გასულელებული მივქროდი საუკეთესო ხაჭაპურის მოსატანად. მე მგონი, პირველად მივდიოდი ჩემთვის ასე განსხვავებულ საქმეზე.

Cyan Magenta Yellow Black

sms-ები გამოაგზავნეთ ოთხშაბათიდან. sms-ის გამოგზავნის ბოლო ვადაა შაბათი, 20 ივლისი 17 საათი.

გავიცნობ ქალს შეხვედრებისთვის

1. სამეგობროდ გავიცნობ თბილისელ, ლამაზ 25-35 წლამდე ქალს, ცოლს გაშორებული ვარ. 599008105. ლუკა
2. შეხვედრებისთვის გავიცნობ წესიერ ქალს. ვარ 27 წლის, ცოლიანი, დასაქმებული, მყავს მანქანა. 555163585
3. სამეგობროდ გავიცნობ ლამაზ ქალს. ვარ ქუთაისელი. 557654785. გიო
4. ვარ თბილისელი, სამეგობროდ გავიცნობ 30-45 წლამდე ქალს. 555937379. ბაჩი
5. ვარ 27 წლის, თბილისელი ბიჭი. შეხვედრებისთვის გავიცნობ ლამაზ, ქალიშვილ გოგოს. მყავს მანქანა. 551536749
6. ვარ 38 წლის, თბილისელი, დასაქმებული მამაკაცი. სამეგობროდ გავიცნობ 45 წლამდე ქალს. 593908100. ზურა
7. შეხვედრებისთვის გავიცნობ გოგოს. ვარ სპორტული აღნაგობის. 598687587. ლაშა
8. ვარ სპორტსმენი, სიმპათიური ბიჭი. შეხვედრებისთვის გავიცნობ 35 წლამდე თბილისელ გოგოს. 557632073
9. შეხვედრებისთვის გავიცნობ თბილისში მცხოვრებ 32 წლამდე მიმზიდველ გოგოს. ვარ 30 წლის, სიმპათიური მამაკაცი. 555458589
10. შეხვედრებისთვის გავიცნობ 40 წლამდე ქალს. ვარ 30 წლის, დასაქმებული, თბილისელი მამაკაცი. შემეხმიანეთ საღამოს 6 საათის შემდეგ. 557600136
11. გავიცნობ 25-35 წლმდე თბილისელ გოგოს შეხვედრებისთვის. ვარ 29 წლის, დასაქმებული ბიჭი. 551202570. იკა
12. გავიცნობ ქალს შეხვედრებისთვის. 5905387337
13. გავიცნობ ლამაზ, მიმზიდველ, ქვრივ ან ქმრიან 35 წლამდე ქალს, თბილისში მცხოვრებს. ვარ ცოლიანი. 595999214
14. ვარ 35/180/83 ევროპული სტილის, თბილისელი მამაკაცი. შეხვედრებისთვის გავიცნობ ასევე ევროპული სტილის ქალს, განურჩევლად ასაკისა. 557317378
15. ანონიმურობის სრული გარანტიით, ხანგრძლივი ურთიერთობისთვის გავიცნობ იმერელ, მხოლოდ ქვრივ, სერიოზულ ქალს 35 წლამდე. ვარ 39 წლის. 557994113. ჯონი
16. სამეგობროდ გავიცნობ ქართლში მცხოვრებ სუსტი აღნაგობის, 45 წლამდე ქალს. ვარ 35 წლის. 599207289
17. ვარ 35 წლის, შეხვედრებისთვის გავიცნობ 25-დან 40 წლამდე ქალს, განათხოვარს ან ქმარშვილიანს. 557270990. ვალერი
18. სამეგობროდ გავიცნობ გოგოს, ვცხოვრობ კახეთში. 555346527
19. გავიცნობ გოგოს შეხვედრებისთვის. ვარ სიმპათიური ბიჭი. 598175003. დათო
20. ვარ სიმპათიური, სპორტული აღნაგობის, 44 წლის სერიოზული მამაკაცი. შეხვედრებისთვის გავიცნობ ქალს, რომელსაც სურს შეიძინოს სანდო და ერთგული მეგობარი. 593638594
21. ვარ 45 წლის, თბილისელი მამაკაცი. სამეგობროდ გავიცნობ ლამაზ ქალს. 591944220. პაატა
22. სამეგობროდ გავიცნობ თბილისელ გოგოს. 558420758. დიმა
23. ვარ 30 წლის, ვცხოვრობ თბილისში. შეხვედრებისთვის გავიცნობ თბილისში მცხოვრებ განათხოვარ 38 წლამდე ქალს. 555488044. თემური
24. გავიცნობ 36 წლამდე თბილისელ ქალს სერიოზული ურთიერთობისთვის. 555677253
25. შეხვედრებისთვის გავიცნობ ზესტაფონის ან ჭიათურის რაიონში მცხოვრებ, გულით ლამაზ 38 წლამდე ქალს. ვარ მეგობრული ადამიანი. 557451540
26. გავიცნობ გათხოვილ გოგოს შეხვედრებისთვის, დროის გასატარებლად. 007. 555563487. ალექსი. დაამესიჯეთ.
27. სამეგობროდ ან ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ დიდმკერდიან, მეგრელ, 40-55 წლამდე, პუტკუნა, ლამაზ ქალბატონს. ვარ 40 წლის მამაკაცი, თბილისელი. 557172135. გულნატკენი
28. გავიცნობ მაღალ, ლამაზ გოგოს 25-40 წლამდე ასაკის, სამსახურიანს და ბინიანს. მე გახლავარ მაღალი, სიმპათიური, სპორტული აღნაგობის, უმაღლესი განათლებით, 40 წლის კაცი. უცოლო. მაქვს სამსახური და მანქანა. ჯერ სამეგობროდ, მერე გადავხედავთ გრძნობებს. 558484595
29. შეხვედრებისთვის გავიცნობ ქალს, წყნარს, გინდ პუტკუნას, თბილისელს. ვარ 35 წლის, ყველაფრით უზრუნველყოფილი. 551105345
30. ვისაც ნამდვილი მეგობარი ბიჭი გსურთ, დამიკავშირდით 30 წლამდე თბილისში მცხოვრები გოგოები, ვისაც სითბო და ყურადღება გაკლიათ. პირადულზე პირადად. 557956113. პ.ს. არ ინანებთ.
31. გავიცნობ 30 წლამდე თბილისელ მანდილოსანს ხანგრძლივი ურთიერთობისთვის. ვარ 30 წლის, 183 სმ, სპორტული აღნაგობის. 557676683. გიორგი
32. ვარ 40 წლის სიმპათიური, თბილისელი მამაკაცი. სერიოზულად და უანგაროდ ვიმეგობრებ ასაკით უფროს ქალბატონთან. 555639450
33. ნებისმიერ თემაზე სასაუბროდ შეხვედრებისთვის გავიცნობ 28 წლამდე გოგოს. ვარ თბილისელი, 28 წლის. გოჩა. 555372334. გელით.
34. გავიცნობ ქუთაისელ გოგოს შეხვედრებისთვის. 557691366. დათო
35. გავიცნობ 40-50 წლის მაღალ, თხელი აღნაგობის, ლამაზ, ინტელიგენტ ქალბატონს სერიოზული ურთიერთობისთვის. 557718745. გიორგი
36. გავიცნობ რუსთავში ან თბილისში მყოფ კარგი გარეგნობის გოგოს სერიოზული ურთიერთობისთვის. 598971157
37. გავიცნობ თბილისში ან რუსთავში მყოფ მანდილოსანს სერიოზული ურთიერთობისთვის. 577761900. ნიკა

გავიცნობ ქალს ოჯახის შესაქმნელად

1. ვარ თბილისელი, მოსიყვარულე, 32 წლის მამაკაცი, გავიცნობ მხოლოდ თბილისელ, ლამაზ, ოჯახის გოგოს 22-24 წლამდე ოჯახის შექმნის მიზნით. 557649491. ბაჩო
2. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 35 წლამდე ქალს. ვარ 40 წლის, ეროვნებით აზერბაიჯანელი, მაქვს საკუთარი სახლი. 557343697
3. ვარ 64 წლის მამაკაცი, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 38 წლამდე ქართველ ქალს, რომელსაც არ ჰყავს და უნდა რომ ჰყავდეს ბავშვი და იყოს დიასახლისი. 595469342
4. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ბინიანს ან რაიონში მცხოვრებს. ვარ 43 წლის მამაკაცი. 551537165
5. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 27 წლამდე შრომისმოყვარე, არამსუქან, გაუთხოვარ გოგოს, რომელსაც მოსწონს ნასწავლი, სერიოზული ბიჭი. ვცხოვრობ ქუთაისში. 557330621
6. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 20-30 წლამდე სიმპათიურ გოგოს, თუნდაც განათხოვარს, უმჯობესია რუსი ან უკრაინული წარმომავლობით. 557634138
7. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ სერიოზულ, თბილისში ბინით უზრუნველყოფილ ქალბატონს, 42 წლამდე, თუნდაც განათხოვარს, ოღონდ შვილების გარეშე. 557409121
8. სამეგობროდ ან ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ დიდმკერდიან, მეგრელ, 40-55 წლამდე, პუტკუნა, ლამაზ ქალბატონს. ვარ 40 წლის მამაკაცი, თბილისელი. 557172135. გულნატკენი
9. ახალგაზრდა, სიმპათიური, თბილისელი, მარტოხელა მამაკაცი ოჯახის შექმნის მიზნით გაიცნობს თბილისში მცხოვრებ 25-35 წლამდე მანდილოსანს. 558270100
10. ვარ 31 წლის მამაკაცი, კარგი ხასიათის, კარგი სულის, მორწმუნე ადამიანი, ვმუშაობ და ვცხოვრობ თბილისში. ბედნიერი ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ მანდილოსანს. 558580565
11. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 30 წლამდე გოგოს. 555374019

გავიცნობ მამაკაცს ოჯახის შესაქმნელად

1. ვარ 54 წლის ქალბატონი, ეკლესიური, ვცხოვრობ თბილისში, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 60 წლამდე, ეკლესიურ, თბილისელ, მარტო მცხოვრებ, დასაქმებულ, სიმპათიურ მამაკაცს. 558410324
2. ვარ 39 წლის, სერიოზული, განათხოვარი ქალბატონი. მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ სერიოზულ, დასაქმებულ და ეკლესიურ მამაკაცს. 593456802

გავიცნობ კაცს შეხვედრებისთვის

1. ვარ ლამაზი და მიმზიდველი, 30 წლის ქალი. გავიცნობ 40-50 წლამდე სერიოზულ და დასაქმებულ მამაკაცს სამეგობროდ. 558522007

მიყვახხარ, მენატრები

მე მარტოობით დაღლილ-დატანჯულს, მომენატრა ხმა შენი წმინდა, შენი ალერსი და სიყვარული, უშენოდ ჩემში ხომ მუდამ წვიმდა. ანუ გ.გ.

თუ გსურთ, ახლობელს მიელოცოთ ჰაიმე ან გაუმხიროთ თქვენი გრძნობები ჟურნალ „სარჯის" მეშვეობით, აკრიფეთ ასო „M", შემდეგ – ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე 2017 ჯეოსელის და 93887 მაგთის აბონენტებმა. გაცნობის განცხადებებში მიუთითეთ თქვენი ტელეფონის ნომერი. თქვენი ტექსტი დაიბეჭდება „სარჯის" უახლოეს ნომერში. sms უნდა გამოგზავნოთ 20 ივლისის 17 საათამდე.
ერთი sms-ის ღირებულებაა 1 ლარი. ნერვიული, რომელიც 3-ზე მეტ სმს-ში იქნება მოთავსებული, არ დაიბეჭდება!
ერთი აბონენტისადმი მინერვიული ორ ბარათზე მეტი არ დაიბეჭდება

Cyan Magenta Yellow Black

ბოსტნეულის წვნიანი

მასალა:
ზეითუნის ზეთი — 4 ს.კ.
პრასი (დაჭრილი) — 2 ჭიქა
წვრილად დაჭრილი ნიორი — 2 ს.კ.
სტაფილო (მრგვლად დაჭრილი) — 2 ჭიქა
კარტოფილი (გათლილი და კუბიკებად დაჭრილი) — 2 ჭიქა
მწვანე ლობიო — 2 ჭიქა (დამტვრეული)
ბოსტნეულის ბულიონი — 2 ლ
პომიდორი (გაფცქვნილი და დაჭყლეტილი) — 4 ჭიქა
დამარცვლული სიმინდი — 2 ტარო
პილპილი — 1/2 ჩ.კ.



ოხრახუში (აკეპილი) — 1/4 ჭიქა
ლიმონის წვენი — 1-2 ჩ.კ.
მარილი — გემოვნებით

მომზადება: სქელ-ძირიან ქვაბში დაბალ ცეცხლზე ზეითუნის ზეთი გაცხელეთ. დაუმატეთ პრასი, ნიორი და მარილი. თუშეთ, სანამ დარბილდება (დაახლოებით 7-8 წუთი). დაუმატეთ სტაფილო, კარტოფილი, მწვანე ლობიო და გააგრძელეთ თუშვა. ბოლოს დაუმატეთ ბულიონი, ალს აუწიეთ და წამოადუღეთ. როცა წამოდუღდება, წვნიანს დაუმატეთ პომიდორი, სიმინდის მარცვლები და პილპილი, დაუწიეთ ალს, დააფარეთ თავსახური და ადუღეთ, სანამ ბოსტნეული არ მოიხარშება. შემდეგ გადმოდგით ცეცხლიდან, დაუმატეთ ოხრახუში და ლიმონის წვენი, შეაზავეთ მარილით. მიირთვით ცხელი.

ლობიოს რაგუ

მასალა:
ხმელი ლობიო — 450 გ
ზეითუნის ზეთი — 1/2 ჭიქა
ხახვი (აკეპილი) — 2 თავი
პომიდორი — 680 გ
ოხრახუში (დაჭრილი) — 1 ჭიქა
დაფქული ძირა — 1 ს.კ.
დაფნის ფოთოლი — 2 ცალი
წყალი — 2 ჭიქა
მარილი, პილპილი, ზეითუნის ზეთი (მოსასხურებლად) — გემოვნებით

მომზადება: ქვაბში ზეითუნის ზეთი ჩაასხით და გააცხელეთ. ცხელ ზეთში ჩაყარეთ ხახვი და 5 წუთი თუშეთ. დაუმატეთ გაფცქვნილი და დაჭყლეტილი პომიდორი, ოხრახუში, ძირა და დაფნა. ცეცხლზე კიდევ 5-10 წუთი გააჩერეთ. შემდეგ ჩაუმატეთ წყალი, ჩაყარეთ წინასწარ დამბალი ლობიო და ხარშეთ 45 წუთი (თავდახურული). შემდეგ მოხადეთ თავსახური, დაუმატეთ მარილი, პილპილი და დაბალ ცეცხლზე კიდევ 10-15 წუთი გააჩერეთ, სანამ ლობიო კარგად არ მოიხარშება.

ქვაბიდან ამოიღეთ დაფნის ფოთოლი, დანარჩენი მასა ლანგარზე გადაიტანეთ და ზემოდან ზეთი მოასხურეთ.

სოკოს ცივი ფინდიუ

მასალა:
დაკონსერვებული სოკო — 1 ჭიქა
სამარხვო მაიონეზი — 1 ჭიქა
ლიმონის წვენი — 1 ს.კ.
სოუსი „ტაბასკო“ — 150 გ
მწვანე ხახვი (დაჭრილი) — 2 ს.კ.
მარილი, პილპილი — გემოვნებით

მომზადება: ინგრედიენტები ბლენდერში მოათავსეთ და დააქუცმაცეთ. შეაზავეთ მარილითა და პილპილით. მიირთვით მოშუშულ ბოსტნეულთან და სუნელებიან პურთან ერთად.

პომიდვრის და სიმინდის სალათი

მასალა:
პომიდორი — 2 ცალი (დიდი) ან 1 კგ პომიდორი ჩერი
დაკონსერვებული სიმინდი — 1 ჭიქა
რეჰანი — 2-3 ძირი
ძმარი „ბალზამიკო“ — 2 ს.კ.
ზეითუნის ზეთი, მარილი — გემოვნებით

მომზადება: პომიდორი გარეცხეთ, დაჭერით, დაუმატეთ რეჰანის ფოთლები და შეურიეთ სიმინდი. მოასხით „ბალზამიკო“ და ზეითუნის ზეთი. მოურიეთ და მაცივარში 1 საათით შედგით.

სალათა სიმინდით

მასალა:
კიბოს კისრები — 240 გ
დაკონსერვებული სიმინდი — 1 ქილა
კვერცხი — 3 ცალი
ხახვი — 150 გ
მაიონეზი, მარილი, პილპილი — გემოვნებით

მომზადება: ხახვი აკეპეთ, კიბოს კისრები კუბიკებად დაჭერით. კვერცხი მოხარშეთ და მსხვილ სახეხზე გახეხეთ. სასალათეში აურიეთ ხახვი, კიბოს კისრები, კვერცხი, დაკონსერვებული სიმინდი, შეაზავეთ მარილითა და პილპილით, მოასხით მაიონეზი, მოურიეთ და სალათაც მზადაა.

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

სარწმუნოებაში ეჭვი ყველაზე დიდი საფრთხის მატარებელია

ცხოვრება დიდმოწამისა ქალწულისა ირინესი

დღეს შევეცდებით, წარმოგიდგინოთ დიდმოწამე ირინეს ცხოვრება-მოღვაწეობა, თუ რა ძალა აქვს რწმენას. როდესაც რაღაც საკითხები მოუგვარებელი და მიუღწეველი გვრჩება, ეს სარწმუნოების ნაკლებობის ბრალი უფრო მეტადაა, ვიდრე სხვა რამისა, ამიტომაც გადავწყვიტეთ, მოგითხროთ წმინდა ირინეზე, რომელიც, ვთვლი, რომ ცოცხალი სარწმუნოების ცოცხალი მაგალითია.

წმინდა ირინე დაიბადა მეოთხე საუკუნის პირველ ნახევარში ქალაქ მაგედონში ღვთისმოსავი და, ამასთან ერთად, უმდიდრესი ადამიანების ლიკინიოსისა და ლიკინიას ოჯახში. წმინდანის მშობლებს მეტი შვილი არ ჰყავდათ, ამიტომ ადვილი წარმოსადგენია, თუ რა უზრუნველი ცხოვრება ექნებოდა წმინდანს ბავშვობაშიც და საერთოდ.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ქალაქი მაგედონი დიდი ალბათობით უნდა ყოფილიყო სპარსეთში, რადგან მოგვიანებით ჩანს, თუ როგორ გაიგო წმინდა ირინეს შესახებ სპარსეთის იმდროინდელმა მეფემ და ბრძანა, ახლავე აქ მომგვარეთ, რათა სული ამოვხადო წამებითო. ეს ყოველივე იმის მაუწყებელია, რომ სპარსეთის მეფეს არანაირად არ ექნებოდა მომხდარზე გავლენა, განსასჯელი მისი სამეფოს მკვიდრი რომ არ ყოფილიყო.

დაბადების ადგილი გავარკვიეთ, დაბადების თარიღიც სავარაუდოდ ცნობილია. ახლა კი თანმიმდევრულად მივყვეთ წმინდანის ღვთივსათნო ცხოვრების აღწერას.

წმინდა ირინეს თავდაპირველი სახელი ყოფილა პენელოპე. ბავშვობიდან იყო შემკობილი ყველანაირი სათნოებით, ყველაფერთან ერთად ფიზიკური მშვენიერებითაც. სწორედ ამიტომ წმინდანის მამას გოგონასთვის ცალკე აუშენებია სასახლე და ქალიშვილთან ერთად კიდევ 13 მასავით მშვენიერი გოგონა შეუსახლებია იქ იმ იმედით, რომ მისი ქალიშვილი დაცული იქნებოდა ამა თუ იმ შემთხვევითი განსაცდელისაგან. სასახლეში ყველა ჭურჭელი ოქროსგან იყო დამზადებული და ძვირფასი ქვებით მოჭედილი. როცა წმინდა ქალწული ირინე თავის თანატოლებთან ერთად იქ დასახლდა, ექვსი წლის ყოფილა.

სხვა აღმზრდელების გარდა სასახლეს ღვთივგაბრძნობილი ხუცესიც ემსახურებოდა, სახელად აპელიანოსი, რომელიც წმინდა ირინეს მამის ლიკინიოსის თხოვნით საღვთო რჯულზე ესაუბრებოდა გოგონებს.

ერთ დღეს სასახლეში მტრედი შემოფრინდა, რომელსაც ნისკარტით ზეთისხილის ხის ტოტი ეჭირა. მიფრინდა და, ყველასგან მოულოდნელად, ზეთისხილის ტოტი იმ ოქროს მაგიდაზე დადო, რომელზეც ირინე საუზმობდა. იგივე შემთხვევა კიდევ განმეორდა, ოღონდ ამჯერად არწივი შემოფრინდა და ყვავილების გვირგვინი დადო წმინდანის მაგიდაზე. მაღლე ყვავი მოფრინდა სასახლის სარკმელთან და ნისკარტით გველი ეჭირა, რომელიც ასევე წმინდანის მაგიდაზე დატოვა.

მსგავსი შემთხვევები სერიოზული საფიქრალი გახდა სასახლეში მცხოვრებთათვის. ყველას ერთი აზრი უტრიალებდა თავში, ნეტავ, რას უნდა ნიშნავდეს ეს ყოველივეო. პასუხი მიიღეს მხოლოდ აპელიანოსისაგან, რომელმაც უთხრა გაკვირვებულ ირინეს: „მტრედი არის სიმბოლო გონების, განსწავლულობის, სისპეტაკისა და სიბრძნის. ზეთისხილის ტოტი ნიშნავს გასაოცარ ამბებს და, ამასთან ერთად, მინიშნებას ნათლობის შესახებ. არწივს რაც შეეხება, იგი არის ფრინველთა მეფე. მან მოგართვა სამეფო გვირგვინი, რომლითაც მომავალში გამოგარჩევს თვით შემოქმედი. ხოლო ყვავი და გველი არის მოსალოდნელი სიბნელე, სიმწარე, მწუხარება ტანჯვის გამო“.

ეს იყო მოკლე განმარტება აპელიანოსის მიერ და მინიშნება მოახლოებულ მოწამეობრიობაზე ქრისტეს სიყვარულის და აღიარების გამო. ახლა მოკლედ იმის შესახებ, თუ როგორ გახდა ახალგაზრდა პენელოპე შემდგომში წმინდა ირინე. საოცარია, მაგრამ თვით უფლის ანგელოზებს დაურქმევიათ პენელოპესათვის ირინე. თვით ანგელოზების მოწოდება ყოფილა, რომ პენელოპე მონათლულიყო პავლე მოციქულის საყვარელი მოწაფის, წმინდა ტიმოთეს მიერ და ურიცხვ ქრისტიანთა მეოხი და მფარველი გამხდარიყო.

როცა ეს ყოველივე აღსრულდა, წმინდანმა ხმამაღლა განაცხადა, რაც კი მამის საქციელში მიუღებელი იყო. უკვე აღარ მორიდებია, მამის არასწორ საქციელს დაპირისპირებოდა და ყველა ის ვითომდა ქრისტიანული ქმედებები, რომლებიც წარმართული უფრო იყო, ვიდრე ქრისტიანული, მიუღებელი და საძულველი გახდა წმინდა ქალწულმოწამე ირინესათვის.

როცა წმინდანის მამამ ნახა, რომ ქალიშვილი მისთვის უკვე წინააღმდეგობას წარმოადგენდა, გადაწყვიტა საკუთარი შვილის წამება, რათა ამ ფორმით ეამებინა ადგილობრივი წარმართი ხელისუფლებისათვის. მისი აზრით, შვილის დასჯა საკმარისი აღმოჩნდებოდა, რათა სხვებს აღარ გასჩენოდათ ირინეს დასჯის სურვილი ქრისტეს სარწმუნოების აღიარების გამო.

წმინდანის მამამ ბრძანა, გაუხედნავი ცხენებისთვის გამოებათ ირინე და მთელი ქალაქი შემოეტარებინათ თრევით. სასწაულმა როდი დააყოვნა და იმის ნაცვლად, რომ ცხენებს ეთრიათ წმინდანი, თვით ლიკინიუსი მოკლეს ფლოქვების დარტყმით და მან იქვე განუტევა სული. წმინდანს კი ისღა დარჩენოდა, საკუთარი მამის გამო ელოცა და შესთხოვა უფალს მამის მკვდრეთით აღდგინება.

მართლაც შეისმინა უფალმა ქალწულის ვედრება და ამდენი ხალხის დასანახად მკვდრეთით აღადგინა ცხენების მიერ დაჩეხილი მამამისი. ამ ამბის შემსწრე სამი ათასი ქრისტიანი შეემატა ეკლესიას და მათ შორის თვით წმინდა ირინეს მამა ლიკინიუსიც. მან საერთოდ თქვა უარი სახელმწიფო სამსახურზე, თვითონაც იმ სასახლეში გადაბარგდა, რომელიც შვილისთვის ააგო და მთელი სიცოცხლე სინანულსა და მოღვაწეობაში გაატარა.

წმინდა ირინეს მამის, ლიკინიუსის გარდაცვალების შემდეგ სპარსეთის მეფე სედევიასი გახდა. მან იძულებით მოსთხოვა წმინდა ირინეს, უარი ეთქვა ქრისტიანობაზე და მსხვერპლი შეეწირა ადგილობრივი კერპებისთვის. დაემუქრა, რომ სხვაგვარად შეუბრალებელი იქნებოდა მის მიმართ, მაგრამ სასტიკი უარი მიიღო წმინდა ირინესაგან.

განრისხებულმა მეფემ ბრძანა, წმინდანი ქვეწარმავლებით სავსე ორმოში ჩაეგდოთ და იქ მოეგებოდა გონს, მაგრამ არც ეს განსაცდელი აღმოჩნდა საკმარისი წმინდა ირინეს შესაშინებლად, როგორც ამას მტარვალი იმედოვნებდა. ამის შემდეგ წმინდანს ფეხები მოახერხეს და საკანში დატოვეს გამოკეტილი, საიდანაც, ყველას გასაკვირად, თვით უფლის ანგელოზმა სრულიად უვნებელი გამოიყვანა. ამან კიდევ უფრო განამტკიცა არა მარტო თვით წმინდა ირინე, არამედ ამის მნახველი რვაასი მორწმუნე შეემატა ქრისტეს ეკლესიას.

მეფე სედევიასს თავისი შვილი სავორი დაუპირისპირდა ტახტისთვის ბრძოლაში. ერთ დღესაც წმინდა ირინე შემთხვევით შეხვდა მაგედონში წმინდანის საგამზრდელოში სავორს, მეფის ვაჟს და მასთან ერთად მეფის წინააღმდეგ ამბოხებულებს, რომლებიც ურწმუნოების გამო გამხეცებულები იყვნენ და იმის ნაცვლად, რომ პატივი მიეგოთ ახალგაზრდა ქალისათვის, როგორც კი შეიტყვეს, რომ ქრისტიანი იყო, მაშინვე განიზრახეს მისი სამაგალითოდ დასჯა. წმინდა ირინეს ზურგზე აჰკიდეს სილით სავსე ტომარა და აიძულებდნენ, ამბოხებულებთან ერთად ფეხით ევლო და ეს საშინელი ტვირთი ეტარებინა.

უფალი არასოდეს ტოვებს თავის შვილებს განსაცდელში და ისევ მოევლინა მხსნელად წმინდა ირინეს. მაშინ, როცა სავორი და მასთან ერთად ამბოხებულები წმინდანს დასცინოდნენ და ქრისტიანობის გამო აბუჩად იგდებდნენ, მიწამ პირი დააღო და ათი ათასი კაცი ისე გაუჩინარდა, აზრზეც კი არ მოსულა არავინ. იმ დროს არა, მაგრამ მოგვიანებით მეფე სავორიც ურწმუნოების გამო ღვთის რისხვამ იმსხვერპლა.

წმინდა ირინე ისევ იქმოდა უამრავ სასწაულს, რისი მოწმეც ათასობით ადამიანი ხდებოდა ყოველდღე. რამდენიმეწლიანი მოღვაწეობის შემდეგ ერთ დღეს წმინდანი შეხვდა მეფე ნუმერიანოსს, რომელიც მეფე სავორის ნათესავი იყო და თავისი წინამორბედების მსგავსად თვი-

Cyan Magenta Yellow Black

„ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ, ᲠᲐᲪ ᲑᲐᲕᲨᲕᲨᲘᲐ, ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲗᲣ ᲐᲠᲐᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲜᲐᲠᲔᲙᲚᲘᲐ“

■ ᲛᲐᲛᲐ ᲒᲘᲝᲠ�გᲘ

ᲣᲕᲘᲚᲘ ᲣᲤᲚᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲬᲧᲐᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲭᲣᲥᲐᲠᲘᲐ, ᲐᲛᲐᲕᲘ ᲓᲠᲝᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲯᲒᲕᲐᲠᲘᲪ. ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘ ᲛᲐᲛᲔᲑᲘ ᲐᲛᲑᲝᲑᲜᲔᲑᲜ, ᲠᲝᲛ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲘᲡ ᲪᲮᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲒᲖᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘ ᲐᲦᲠᲗᲜᲔᲑᲐᲐ, ᲠᲐᲪ ᲛᲐᲠᲢᲘᲕᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲗ. ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡ ᲪᲣᲓ ᲛᲘᲓᲠᲔᲙᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘᲡᲘᲡ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲡᲘᲛᲙᲐᲪᲠᲔᲑᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲐᲘᲠᲩᲘᲡᲞᲘᲠᲔᲑᲘᲡ, ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲔᲑᲐᲡ ᲐᲘᲓᲣᲚᲔᲑᲔᲡ, ᲠᲐᲪ ᲣᲙᲣᲨᲔᲓᲔᲒᲘᲡ ᲘᲬᲕᲔᲕᲡ. ᲐᲛ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ, ᲘᲛᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲐᲐ, ᲗᲣ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲪᲮᲝᲕᲠᲝᲡ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲗᲐ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲗᲐᲠᲘᲗ ᲘᲝᲐᲜᲔ ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲢᲐᲫᲠᲘᲡ ᲓᲘᲯᲙᲐᲜᲝᲖᲘ, **ᲛᲐᲛᲐ ᲒᲘᲝᲠ�გᲘ** (ᲡᲮᲘᲠᲗᲚᲐᲫᲔ) ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲡ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲠᲩᲔᲕᲔᲑᲡ ᲐᲫᲚᲔᲕᲡ.

— ᲛᲐᲛᲐᲝ, ᲣᲠᲩᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲘ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲐᲢᲔᲡᲘᲐ. ᲠᲐᲡ ᲣᲠᲩᲔᲕᲓᲘᲗ ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘ ᲐᲛ ᲙᲣᲗᲮᲘᲗ?

— ᲛᲝᲛᲔᲕᲐᲠᲗ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲔᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲐᲜ ᲠᲩᲔᲕᲐᲡ ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡ ᲐᲦᲖᲠᲓᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗᲐᲓ ᲓᲐ ᲬᲣᲬᲣᲜᲔᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲣᲤᲚᲘᲡ ᲐᲜᲒᲔᲚᲝᲖᲛᲐ ᲩᲐᲐᲥᲠᲝ ᲐᲒᲘᲖᲒᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲪᲔᲪᲮᲚᲘ ᲓᲐ ᲘᲡᲔᲕ ᲣᲜᲕᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲬᲛᲘᲜᲓᲐᲜᲐ. ᲐᲛᲘᲡ ᲛᲜᲐᲮᲕᲔᲚᲛᲐ ᲔᲞᲐᲠᲥᲘᲡᲛᲐ ᲣᲐᲠᲘ ᲗᲥᲕᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲠᲗᲣᲚ ᲐᲦᲛᲐᲡᲠᲔᲑᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲘᲦᲝ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡ ᲜᲐᲗᲔᲚᲘ.

ᲑᲝᲚᲝᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲘᲢᲔᲡ, ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲘᲠᲘᲜᲔᲡᲗᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲘ ᲛᲝᲔᲙᲕᲔᲗᲐᲗ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲗ ᲓᲐᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲜᲐᲗ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲘᲡ ᲕᲜᲔᲑᲐᲗᲐᲦᲔᲚᲕᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ, ᲬᲐᲠᲛᲐᲠᲗᲣᲚ ᲛᲔᲤᲔᲔᲑᲘᲡ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲘᲠᲘᲜᲔᲡ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ ᲘᲬᲕᲔᲓᲐ. ᲬᲛᲘᲜᲓᲐᲜᲡ ᲗᲐᲕᲘ ᲛᲝᲰᲙᲕᲔᲗᲔᲡ 330 ᲬᲚᲘᲡ 5 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲢᲘᲚᲘᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲦᲕᲗᲘᲡ ᲒᲐᲜᲒᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲪ ᲗᲐᲕᲛᲝᲙᲕᲔᲗᲘᲚᲡ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲐᲡᲤᲚᲐᲕᲔᲑᲣᲚᲡ ᲨᲔᲣᲬᲧᲕᲔᲢᲘᲐ ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲝᲙᲕᲓᲐᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲭᲐᲠᲑᲔᲑᲣᲚᲐᲓᲐᲪ ᲙᲘ ᲩᲐᲜᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲜᲣ ᲓᲐᲒᲒᲐᲕᲘᲜᲧᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲙᲐᲪᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚ ᲐᲠᲡ ᲦᲕᲗᲘᲡᲐ�გᲐᲜ.

ᲠᲝᲪᲐ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲛᲐ ᲐᲦᲛᲗᲠᲓᲔᲚᲛᲐ ᲐᲠᲔᲚᲘᲐᲜᲝᲡᲛᲐ ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲨᲘ ᲕᲔᲦᲐᲠ ᲘᲞᲝᲕᲐ ᲬᲛᲘᲜᲓᲐᲜᲘᲡ ᲡᲮᲔᲣᲚᲘ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲓᲐᲘᲯᲔᲠᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐᲡᲗᲐᲜ ᲘᲠᲘᲜᲔᲡ ᲡᲐᲮᲘᲗ. ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲨᲘᲜᲐᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲐᲦᲐᲠᲐᲡᲝᲛᲓᲔᲡ ᲨᲔᲰᲠᲐᲕᲘᲡᲐ ᲔᲯᲕᲘ ᲘᲛᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛ ᲘᲔᲡᲝ ᲥᲠᲘᲡᲢᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘᲪ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲯᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘ ᲦᲛᲔᲠᲗᲘ. ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲡ ᲨᲕᲔᲜᲘᲡ ᲞᲐᲢᲘᲕᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲧᲒᲕᲐᲜᲘᲡᲪᲔᲛᲐ ᲐᲬ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲐᲓᲘᲡ ᲓᲐ ᲣᲙᲣᲜᲘᲗᲘ ᲣᲙᲣᲜᲘᲡᲐᲛᲓᲔ!

ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲞᲠᲝᲢᲝᲓᲘᲐᲙᲝᲜᲘ ᲛᲘᲠᲘᲐᲜᲘ. ᲐᲛᲘᲜ!

ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲗ,

ᲗᲝᲜᲐᲪ ᲬᲐᲠᲛᲐᲠᲗᲘ ᲒᲐᲮᲚᲓᲐᲗ.

ᲥᲐᲚᲐᲥ ᲙᲐᲚᲘᲜᲘᲙᲝᲜᲨᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲔᲤᲔ ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲓᲐ ᲥᲐᲚᲘᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲣᲐᲛᲠᲐᲕ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡᲘ ᲣᲧᲕᲔᲑᲝᲓᲐ ᲘᲔᲡᲝ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲐᲛᲐᲜ ᲣᲨᲝᲛᲝᲓ ᲒᲐᲜᲐᲠᲘᲡᲮᲐ ᲛᲔᲤᲔ ᲓᲐ ᲩᲠᲓᲐᲪᲔᲑᲘᲜᲐᲗ, ᲨᲘᲒ ᲩᲐᲔᲒᲓᲝᲗ ᲓᲐ ᲪᲔᲪᲮᲚᲘ ᲨᲔᲔᲜᲗᲝᲗ, ᲠᲐᲗᲐ ᲤᲘᲠᲤᲚᲐᲓ ᲥᲪᲔᲣᲚᲘᲧᲝᲗ ᲛᲐᲛᲐ-ᲞᲐᲞᲐᲗᲐ ᲦᲛᲔᲠᲗᲔᲑᲘᲡ ᲛᲢᲕᲔᲠᲘ ᲥᲐᲚᲬᲣᲚᲘ ᲘᲠᲘᲜᲔ.

ᲔᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲪ ᲞᲘᲠᲕᲐᲜᲓᲔᲚᲗᲐ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲐᲓ ᲘᲛᲘᲗ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲔᲛᲐᲢᲘᲐᲜᲔ ᲐᲦᲤᲠᲗᲝᲕᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲒᲠᲗᲝᲮᲠᲝᲑᲡ, ᲗᲣ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲕᲐ ᲐᲡᲘ ᲐᲗᲐᲡᲛᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲛᲐ ᲛᲝᲜᲐᲗᲕᲚᲘᲡ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ, ᲘᲮᲘᲚᲔᲑᲘ ᲠᲐ ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲣᲕᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲛᲝᲬᲐᲛᲔ.

ᲠᲝᲪᲐ ᲛᲔᲤᲔ ᲜᲣᲛᲔᲠᲘᲐᲜᲝᲡᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲡ ᲘᲗᲕᲚᲘᲓᲐ, ᲓᲐᲘᲑᲐᲠᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲐᲡ ᲔᲞᲐᲠᲥᲝᲡᲘ ᲓᲐ ᲬᲧᲐᲚᲔᲗᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲘᲛᲔᲠᲔᲚᲘ ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲓᲐ ᲥᲐᲚᲘᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲣᲐᲛᲠᲐᲕ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡᲘ ᲘᲡᲣᲡ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲐᲦᲬᲔᲠᲓᲐ. ᲘᲛᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲪᲜᲝᲑᲘᲔᲠᲔᲑᲚᲐᲓ, ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲬᲧᲕᲔᲢᲡ ᲕᲐᲠᲡᲙᲚᲐᲕᲔᲑᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲐᲨᲘ. ᲑᲐᲕᲨᲕᲘ ᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔᲑᲡ? ᲓᲘᲐᲮ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲐᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲬᲧᲕᲔᲢᲡ ᲕᲐᲠᲡᲙᲚᲐᲕᲔᲑᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲐᲨᲘ. ᲑᲐᲕᲨᲕᲘ ᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔᲑᲡ? ᲓᲘᲐᲮ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲐᲢᲛᲘ ᲐᲠ ᲒᲕᲘᲑᲛᲝᲓᲐ ᲣᲤᲐᲚᲛᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲫᲔ? ᲐᲠᲐᲓᲐ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲘ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲠᲘ�გᲨᲘ, ᲣᲜᲓᲐ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲓᲔᲡ ᲣᲤᲐᲚᲡ ᲑᲝᲫᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲘᲙᲔᲗᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

— ᲓᲐ ᲗᲣ ᲛᲐᲘᲜᲪ, ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡ ᲐᲨᲙᲐᲠᲐᲓ ᲪᲣᲓᲘ ᲛᲘᲓᲠᲔᲙᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲔᲢᲧᲝᲑᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲘᲥᲪᲘᲡ ᲛᲨᲝᲑᲔᲚᲘ?

— „ᲑᲐᲕᲨᲘ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲩᲕᲔᲜ ᲠᲝᲛ ᲒᲕᲘᲜᲓᲐ“ — ᲖᲝᲒᲯᲔᲠ ᲣᲤᲠᲝᲡᲔᲑᲘᲡ ᲔᲡ ᲨᲔᲮᲔᲓᲣᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲕᲡᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲘᲐᲜᲘᲐ, ᲖᲝᲒᲯᲔᲠ ᲙᲘ ᲛᲔᲢᲘᲡᲛᲔᲢᲐᲓ ᲡᲣᲑᲘᲔᲥᲢᲣᲠᲘ. ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲛᲐᲗᲘ ᲞᲠᲔᲢᲔᲢᲔᲖᲘᲔᲑᲘ ᲒᲐᲣᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲛᲐᲠᲗᲝ ᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡ ᲨᲔᲣᲡᲐᲑᲐᲛᲝ ᲐᲛᲑᲘᲪᲘᲪᲔᲑᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲯᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲤᲚᲘᲡ ᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲣᲗᲐᲕᲐᲡᲔᲑᲚᲝᲑᲐ. ᲐᲠᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲔᲑᲘᲪ, ᲠᲝᲪᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲘ ᲛᲘᲓᲠᲔᲙᲘᲚᲘᲐ ᲥᲣᲠᲓᲝᲑᲘᲡᲙᲔᲜ, ᲞᲐᲗᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲡᲘᲪᲠᲣᲘᲡᲙᲔᲜ ᲓᲐ Ა.Შ. ᲠᲝ�გᲝᲠᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲰᲕᲓᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘ (ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲘᲡᲘᲜᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲡ ᲙᲐᲢᲔ�გᲝᲠᲘᲣᲚᲐᲓ ᲠᲔᲚᲘ�გᲘᲣᲠᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲛᲮᲘᲓᲕᲔᲚᲝᲛᲘᲗ ᲖᲠᲓᲘᲐᲜ), ᲠᲐᲢᲛᲝ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲠᲐᲛ? ᲠᲐ ᲘᲦᲝᲜᲝᲜ ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲚᲐᲓ? ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲠᲘ�გᲨᲘ, ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲕᲐᲪᲜᲝᲑᲘᲔᲠᲝᲗ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ: ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ, ᲠᲐᲪ ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲐ, ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲗᲣ ᲐᲠᲐᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲜᲐᲠᲔᲙᲚᲘᲐ. ᲩᲕᲔᲜ ᲒᲐᲓᲐᲕᲔᲪᲘᲗᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲕᲜᲔᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲣᲚᲛᲣᲠᲔᲑᲐᲜᲘ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲩᲐᲡᲐᲮᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ. ᲣᲤᲐᲚᲛᲐ ᲒᲕᲘᲑᲛᲝᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲕᲜᲔᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲣᲚᲛᲣᲠᲔᲑᲐᲜᲘ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲩᲐᲡᲐᲮᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ. ᲣᲤᲐᲚᲛᲐ ᲒᲕᲘᲑᲛᲝᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲕᲜᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲮᲡᲜᲔᲚᲝᲑᲐ, ᲠᲐᲗᲐ ᲐᲮᲝᲕᲜᲐᲓ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ ᲩᲐᲗᲕᲚᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲝᲗᲐᲮᲨᲘ ᲭᲐᲛᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲗᲝᲓ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲛᲐᲛ ᲔᲡ ᲘᲛᲘᲗᲝᲛ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲡᲔ ᲡᲣᲠᲡ. ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲕᲐ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, ᲛᲐᲛᲘᲡ ᲭᲘᲠᲘᲕᲔᲣᲚᲝᲑᲐᲐ. ᲐᲘ, ᲐᲮ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲬᲧᲔᲑᲐ, ᲔᲭᲕᲘᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲛᲐᲡ ᲐᲠ ᲣᲧᲕᲐᲠᲡ ᲘᲡ, ᲮᲚᲝᲚ ᲠᲝᲪᲐ ᲛᲐᲛᲐ ᲨᲘᲜ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲩᲣᲛᲐᲓ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲠᲘᲡ ᲙᲔᲗᲔᲑᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ.

ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘ ᲛᲣᲓᲐᲛ ᲛᲖᲐᲓᲧᲝᲤᲜᲐᲨᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲕᲜᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲣᲓᲔᲑᲘᲗ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲓᲔᲑᲝᲓᲜᲔᲑᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲘᲥᲪᲔᲕᲐ ᲰᲐᲢᲐᲠᲐ ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲑᲐᲦᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ. ᲡᲣᲚᲘᲐᲪ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲙᲕᲘᲠᲘ, ᲠᲝᲛ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲨᲝᲑᲔᲚᲘ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲡ, ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲔᲚᲣᲠ ᲒᲘᲛᲜᲐᲖᲘᲐᲨᲘ ᲛᲘᲘᲧᲕᲐᲜᲝᲡ ᲑᲐᲕᲨᲕᲘ. ᲠᲝᲪᲐ ᲑᲐᲕᲨᲘ 15-16 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲡᲐᲪᲨᲘ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘᲐᲓ ᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ, ᲘᲒᲘ ᲘᲝᲚᲐᲓ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲡ, ᲘᲠᲒᲕᲚᲘᲕ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲗᲔᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲔᲑᲡ ᲨᲔᲔᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝᲡ. ᲗᲣ ᲑᲐᲕᲨᲘ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲐᲓ ᲛᲖᲐᲓᲐᲐ, ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲪᲔᲗ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ, ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲨᲔᲤᲔᲠᲮᲓᲔᲑᲐ.

ᲛᲘᲕᲪᲔᲗ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲡ — ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲐᲕᲐᲙᲔᲗᲝᲗ, ᲠᲐᲗᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲡᲣᲚᲔᲑᲘ ᲣᲤᲐᲚᲡ ᲛᲘᲕᲣᲐᲮᲚᲝᲗ. ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲕᲔᲠᲩᲠᲝᲚᲝᲗ ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡ ᲘᲛ ᲕᲜᲔᲑᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲩᲕᲔᲜ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲩᲐᲕᲓᲘᲗ.

ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲕᲑᲠᲙᲝᲚᲓᲔᲗ ᲘᲛᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲪᲝᲓᲕᲔᲑᲗᲐᲜ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲐᲛᲥᲕᲔᲧᲜᲘᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛ�გᲖᲐᲕᲠᲘᲐ. ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ ᲛᲐᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲫᲐᲚᲘᲡᲮᲛᲔᲕᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐ, ᲮᲝᲚᲝ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ ᲣᲤᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲘᲐ.

— ᲑᲐᲕᲨᲕᲘ, ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡᲘ ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲐ, ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲗᲖᲔ ᲐᲖᲠᲓᲔᲑᲐ. ᲔᲡᲔ ᲘᲒᲘ ᲛᲨᲝᲑᲔᲚᲛᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲗᲐᲕᲘᲪ ᲣᲜᲓᲐ „ᲐᲦᲖᲠᲓᲗᲝᲡ“ ᲓᲐ ᲐᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲝᲡᲗ, ᲠᲝᲛ ᲕᲘᲚᲘᲗᲐᲜ ᲐᲠᲐᲤᲘᲠᲘ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲗᲝᲡ?

— ᲩᲕᲔᲜ, ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲘ, ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲕᲘᲪᲐᲕᲓᲘᲗ ᲬᲔᲡᲡ: „ᲐᲠ ᲒᲐᲓᲐᲮᲢᲔ ᲤᲐᲜᲯᲠᲘᲓᲐᲜ, ᲗᲝᲠᲔᲛ ᲓᲐᲘᲛᲢᲕᲠᲔᲕᲘ!“. ᲔᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲐ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲒᲐᲜ ᲔᲠᲗᲜᲐᲘᲠᲐᲓ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲡ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲕᲐᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲫᲐᲚᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲰᲥᲝᲜᲓᲔᲡ. ᲝᲗᲐᲮᲔᲑᲨᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲭᲐᲛᲐ, ᲘᲥ ᲐᲠ ᲭᲐᲛᲡ ᲐᲠᲪ ᲓᲔᲓᲐ, ᲐᲠᲪ ᲛᲐᲛᲐ, ᲐᲠᲪ ᲑᲔᲑᲘᲐ, ᲐᲠᲪ ᲑᲐᲑᲣᲐ, ᲐᲠᲪ ᲓᲦᲘᲡᲘᲗ, ᲐᲠᲪ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ, ᲐᲠᲪ ᲤᲘᲚᲛᲘᲡ ᲧᲣᲠᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ! ᲐᲠᲐᲡᲓᲠᲝᲡ! ᲡᲐᲙᲛᲐᲠᲘᲡᲘᲐ, ᲛᲐᲛᲐᲛ ᲡᲐᲭᲛᲔᲚᲘ ᲛᲝᲘᲢᲐᲜᲝᲡ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲝᲠᲘᲡ ᲪᲥᲔᲠᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲭᲐᲛᲝᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲬᲣᲗᲡ, ᲠᲝᲪᲐ ᲘᲡ ᲞᲐᲢᲐᲠᲐᲡ ᲐᲡᲔᲗ ᲡᲐᲥᲪᲘᲔᲚᲘᲡ ᲐᲣᲙᲠᲫᲐᲚᲐᲕᲡ, ᲑᲐᲕᲨᲘ ᲩᲐᲗᲕᲚᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲐ

„ცენტრ პოინტის“ მაქინაციური სქემა უძლიერესი იურისტების მოფიქრებულია!“

მაია რჩეულიშვილი: „ამ ამბავში დიდი დოზით გიგი უგულავა ურევია“

„რუსუდან კერვალიშვილმა საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის მობილიზებული თანხებიდან მიითვისა 1.828.806 აშშ დოლარი და 185.069 ფუნტი სტერლინგი. მაია რჩეულიშვილმა მიითვისა 1.065.159 აშშ დოლარი, ხოლო რუსუდან კერვალიშვილმა და მაია რჩეულიშვილმა მითითებული თანხის გარდა დამატებით მიითვისეს 2.023.202 აშშ დოლარი და 2.403.750 ლარი“ — ასეთია ბრალდება, რომელიც საქართველოში ცნობილ დებს, სამშენებლო კომპანია „ცენტრ პოინტის“ დამფუძნებლებს, მაია რჩეულიშვილსა და რუსუდან კერვალიშვილს წაუყენეს. თანხა, რომელსაც გამოძიება მათ ედავება, საქმის მასალების მიხედვით, თაღლითური გზით და სხვა ადამიანთა მოტყუებით არის მითვისებული. დები ბრალდებებს არ ეთანხმებიან და პრესასთან ყვებიან, რომ მათთვის ბრალის წაყენება კომპანია „დექსუსის“ ბრალია, რომელმაც აღებული ვალდებულებები ვერ შეასრულა, ბრალდების საქმეში კი „დექსუსი“ ნაკლებად ფიგურირებს.

■ მაია რჩეულიშვილი

■ რუსუდან კერვალიშვილი

მაია ჩჩეულიშვილი: „ვაპიჩებ, ჩემს ნაცნობ მოძღვრებს, ჰომღებიც ჩემ მიეჩ ამენებეულ სახღებში ცხოვჩობენ, ვთხოვო, შემიგჩოვონ შემოსატანი თანხა და ვაჩვენებ, ჩოგოჩ მაღე დავამთავჩებ ყველაფვჩს“.

საქმის მასალების მიხედვით, 2010 წლის 7 სექტემბერს „ცენტრ პოინტსა“ და „დექსუსს“ შორის საკუთრების მინდობის გენერალური ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის მიხედვითაც საკუთრების მინდობმა მინდობილ მესაკუთრეს მართვისა და განკარგვის შეუზღუდავი უფლებამოსილებით მიანდო საკუთრების ობიექტები. 2007 წლის დეკემბერში რუსუდან კერვალიშვილმა „ცენტრ პოინტ ინვესტიდან“ სესხის სახით მიიღო 400.000 აშშ დოლარი, რომლის დაფარვის ნაცვლად 2011 წლის აპრილში, საქართველოს პარლამენტის მოადგილედ მუშაობის პერიოდში, განახორციელა მისი უკანონო დასაკუთრების სამართლებრივი გაფორმება. ამისთვის კი გარკვეულ მაქინაციებსაც მიმართა. რუსუდან კერვალიშვილთან და მაია რჩეულიშვილთან შეთანხმებით, „დექსუსის“ წარმომადგენელმა, ივანე ცაგურიამ, კარგად შემუშავებული სქემის საფუძველზე განახორციელა „ცენტრ პოინტ ინვესტის“ კრედიტორთა კუთვნილი თანხის, 615.000 აშშ დოლარის მართლსაწინააღმდეგო და თაღლითური დასაკუთრება.

სწორედ ეს სამი ადამიანი აღმოჩნდა ბრალდებულის სკამზე. ცაგურიამ რამდენიმე დღე საპყრობილეშიც გაატარა. სასამართლოზე კი სამივე ბრალდებული გაათავისუფლეს და დებს — 250.000-250.000 ლარის გირაოდ გადახდა, ხოლო ცაგურიას 100.000 ლარის გადახდა დააკისრეს. მომდევნო პროცესი მიმდინარე წლის სექტემბერშია დანიშნული. შესაძლოა ბრალდებულმა პირებმა ციხეში 6-6 წელი გაატარონ.

■

„ცენტრ პოინტი ჯგუფი“ 1999 წელს დებმა კერვალიშვილებმა დააარსეს და ეფექტური სარეკლამო კამპანიის მეშვეობით მათ უამრავი კლიენტი დაარწმუნეს, რომ ფული ჩაედოთ ჯერ კიდევ არაშენებულ საცხოვრებელ კომპლექსში, ანუ „ჰაერში“. გამოძიების მასალების მიხედვით, ნაცვლად იმისა, რომ ამხანაგობის წევრებს ფული სააგენტოს საბანკო ანგარიშზე შეეტანათ, როგორც ამას ხელშეკრულება ითვალისწინებდა, კერვალიშვილების მითითებით, თანხის უდიდესი ნაწილი პირდაპირ შედიოდა „ეკრაზიის საინვესტიციო სააგენტოში“ ნაღდი ფულის სახით, რათა შემოსული თანხის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება და უკონტროლო ხარჯვა გაიოლებულიყო.

სალაროდან უკანონოდ გატანილი და გახარჯული ფულის გაწერის მიზნით, „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ დამფუძნებელთა მიერ შემუშავდა თანხის გაწერის სქემა, რისთვისაც შეიქმნა რამდენიმე ამხანაგობა. ამ სქემით დებმა დაისაკუთრეს მენაშენეთა კუთვნილი დიდი ოდენობით თანხები, რომელთა მიღების კანონიერი საფუძველი მათ არ გააჩნდათ. ფული მათ პირადი საჭიროებებისათვის განკარგეს, ახალი საცხოვრებელი ფართის მიღების მოლოდინში მყოფ მენაშენეებს კი მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი მიაყენეს. რუსუდან კერვალიშვილმა და მაია რჩეულიშვილმა შემდგომაც არაერთხელ დაისაკუთრეს მათი მართვის ქვეშ მყოფი კომპანიების კლიენტთა ფული.

■

სანამ განკარგვის უფლება „დექსუსს“ გადაეცემოდა, „ცენტრ პოინტი“ საქართველოს უძრავი ქონების ბაზრის დაახლოებით მესამედს ფლობდა. მის ბალანსზე 30-ზე მეტი ობიექტი ირიცხებოდა. მაია რჩეულიშვილი ამბობს, რომ კომპანიას პრობლემები მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დროს დაეწყო და მის გადასარჩენად დამფუძნებლებმა, არც მეტი და არც ნაკლები, მაშინდელ გენერალურ პროკურორ ზურაბ ადეიშვილს მიმართეს. ამ უკანასკნელმა კი სამშენებლო ბიზნესის გადასარჩენად დედაქალაქის მერი, გიგი უგულავა იხმო და „ცენტრ პოინტისთვის“ შესაბამისი პარტნიორის მოძებნა დაავალა. უგულავამაც „დექსუსი“ მოძებნა.

მაია ჩჩეულიშვილი: „ამ უნიჭიეჩეს ჯაცს, ბატონ ზუჩაბ ადეიშვილს, ვთხოვე დახმაჩება. მან დაავალა გიგი უგულავას. ადეიშვილს მხოლოდ ჯეთილი განზჩახვა ამოძჩავებდა, თოჩემ გამოჩიცხულია, სახელმნიფო იმ ნუთშივე დაგეხმაჩოს 5 მილიონი დოლაჩით. გიგიმ შეაჩჩია „დექსუსი“. ამ ამბავში დიდი დოზით სნოჩედ გიგი უგულავა უჩევია“.

რამდენი ადამიანი ითვლება დაზარალებულად, გამოძიებამ უნდა გაარკვიოს. „დექსუსის“ და „ცენტრ პოინტის“ მფლობელები სხვადასხვა რიცხვს ასახელებენ. ამ დიდ ოროომტრიალში კი სწორედ ის ხალხი რჩება ყველაზე დაჩაგრული, ვინც წლებია ბინას ელოდება, რომელშიც ფული უკვე გადახდილი აქვს.

მაია რჩეულიშვილის თქმით კი, სამშენებლო კომპანიის ბიზნესის ვარდნა სწორედ იმან განაპირობა, რომ კლიენტებმა ფული თავის დროზე არ გადაიხადეს. „ცენტრ პოინტმა“ „დექსუსთან“ ხელშეკრულება რამდენიმე თვის წინ დაარღვია და ამისთვის კომპენსაციად 2.000.000 ლარიც გადაიხადა.

მაია რჩეულიშვილი „სარკეს“ „ცენტრ პოინტის“ ირგვლივ დატრიალებული ამბის თავის ვერსიას უყვება:

— პრობლემები მსოფლიოში გაჩნდა სამშენებლო ბიზნესში. წარმოიდგინეთ, 300%-ით გაიზარდა არმატურისა და ბეტონის ფასები. მთელ მსოფლიოში დაიწყო სამშენებლო ბიზნესის შავი პიარი და ამან ხალხი პანიკაში ჩააგდო. ამიტომაც შემოვიყვანეთ „დექსუსი“. ვიფიქრეთ, ხალხი იქნებ ახალ კომპანიას ენდოს-თქო.

მე და რუსუდანს, იცით, როგორი ექსპერიმენტები ჩაგვიტარებია? გვეუბნებოდნენ, კი ყიდით 300 დოლარად, მაგრამ 150-მდე დამიკელიო. 150 დოლარად გაგვიყიდია და ეს მშენებლობის ფასიც კი არ არის! ფოკუსებს ვიგონებდით და ხალხს ვეხმარებოდით. უამრავ ადამიანს მივეცით ლამაზად ცხოვრების საშუალება.

მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოში იყო ერთი ლეგენდარული ჭკუის ადამიანი, ზურაბ ადეიშვილი, რომელიც ამ პროცესებში დაგვეხმარა. სტარტ აფის ფული ავიღეთ და „დექსუსს“ ჩავაბარეთ, რომ მშენებლობები გაეგრძელებინა. ამის გარდა, ჩვენ „დექსუსს“ ჩავაბარეთ 94.215.000 დოლარის ქონება. ამის შემდეგ „დექსუსმა“ ალბათ იფიქრა, რომ ბიზნესს წაგვართმევდა. ხალხს უთხრა, მაია და რუსუდანი თაღლითები არიანო. ამ კომპანიას საკუთარი სახლი მივეცი, რომ პრობლემა არ ჰქონოდა! 1986 წელს ჩემი მამამთილის ნაყიდი ოფისიც მივეცი, რომლის ღირებულება 500.000 დოლარი იყო და უამრავი სხვა ქონებაც. ახლა კი თითს იშვერენ, რომ თაღლითი ვარ!

— ანუ ამ აქციების ორგანიზატორი „დექსუსია“?

— თუ კარგად გამოიძიებენ, ალბათ მაღლაც ავლენ. აქციებს ჩვენი პრივატულ გარემოში გადაღებული სურათების პლაკატებით აწყობენ. მაგალითად, ერთ სურათში გიგი უგულავას გვერდით ვარ და ძვირადღირებული კოსტიუმი მაცვია. ეს ისეთი დიდი ფუფუნებაა, მხოლოდ მაშინ თუ ჩაიცვამ, როცა ქვეყნის პირველი პირების გვერდით ხარ... ეჭვი მაქვს, რომ უნდოდათ, ამ ბიზნესიდან გამოვეყვანეთ, როგორც თაღლითები და თვითონ გაეგრძელებინათ მუშაობა, რადგან საქართველოს უძრავი ქონების ბაზრის 70% მეჭირა.

2012 წლის 29 სექტემბერს მომწერეს წერილი, სადაც ითხოვდნენ, რომ მართვა გამეგრძელებინა 2019 წლამდე. ჩემს ბედზე გაიმარჯვა ბიძინა ივანიშვილმა, თორემ ამ ბიზნესს თვალით ვეღარ ვნახავდი! თუ ოდესმე რამეს შევქმნიდი, მათთვის უნდა მიმეცა. თუ

Cyan Magenta Yellow Black

ინტერვიუს მივცემდი ან რამე განცხადებას გავაკეთებდი, 100.000 დოლარით დავისჯებოდი. რამის გადაფორმებაზე რომ უარი მეთქვა, 100.000 დოლარი უნდა გადამეხადა და ა.შ. ეს სქემა გავუგზავნე კბილაშვილსაც და წულუკიანსაც. საქართველოს პატრიარქსაც დავუტოვე.

— „დექსუსი“ როგორ იმოქმედა ამბობთ, ზურაბ ადეიშვილი დაგვეხმარაო.

— დიახ, ამ უნიჭიერეს კაცს, ბატონ ზურაბ ადეიშვილს, ვთხოვე დახმარება. მან დაავალა გიგი უგულავას. ადეიშვილს მხოლოდ კეთილი განწრახვა ამოძრავებდა, თორემ გამორიცხულია, სახელმწიფო იმ წუთშივე დაგეხმაროს 5 მილიონი დოლარით. გიგიმ შეარჩია „დექსუსი“. ამ ამბავში დიდი დოზით სწორედ გიგი უგულავა ურევია. შეიძლება მან ზურაბ ადეიშვილისგან ეს დავალება პირად შეურაცხყოფად მიიღო. უნდოდათ, დაეშალათ ეს ბიზნესი, თორემ საიდან მოხვდებოდა თელავის „ინტურისტი“ თბილისის განვითარების ფონდში ერთ ლარად?! ხელშეკრულება გავუუქმეთ „დექსუსს“ და ბევრი ჩვენი ქონების

მახინა ჯოხძაძე: „მხარდაჭერა რომ არ ჰქონოდათ, ჯერვალიშვილები ამხელა მაქინაციებს ვერ გაბედავდნენ! 80 კომპანია მაინც არის მათი ქოლგის ქვეშ და არც ერთი არავის შეუმოწმებია. ქალი ადვოკატობაში დავბერდი და მსგავსი მაქინაციური სქემა არც გამიგია!“.

გაყიდვა ვერ მოასწრეს. ასე რომ, ჩვენი ქონება დღეს საკმაოდ დიდია. 21 მილიონის ღირებულების მხოლოდ მიწის თავისუფალი ადგილი გვაქვს და კიდევ ათასი რამ.

— ბრალდებულის სკამზე ოჯდა „დექსუსის“ წარმომადგენელი იგივე ცაგურია, რომელიც ასევე ვარაუს გადასვლის საფეხურზე გვათავისუფლეს.

— გამიხარდა, რომ გაათავისუფლეს. ცაგურია „დექსუსის“ ერთადერთი ნათელი წერტილია. ქანანაშვილი და კილაურიძე, ასევე „დექსუსის“ ხალხი, აკეთებდნენ ყველაფერ იმას, რაც მოგახსენეთ. მაშინებდნენ, ოფისში არ მიშვებდნენ!

— ამბობთ, ყველაზე მეტად მე დავზარალდიო, მაგრამ რა ქნან ამ ადამიანებმა, ვინც ბინას საყიდლად ფული გადასახადა და სახლი ასლაც არ აქვთ?

— მხოლოდ 705 ოჯახი დამრჩა დასაკმაყოფილებელი. 6.200 საიდან მოიტანეს, არ ვიცი. მამა ილია ნასიძე მეხმარება. ერთ მშენებლობას ჩაუდგა სათავეში და ფულის შემოტანას უკეთებს მობილიზებას. ვაპირებ, ჩემს ნაცნობ მოძღვრებს, რომლებიც ჩემ მიერ აშენებულ სახლებში ცხოვრობენ, ვთხოვო, რომ იგივე გააკეთონ. შემიგროვონ შემოსატანი თანხა და ვაჩვენებ, როგორ მალე დავამთავრებ ყველაფერს.

„დექსუსის“ ხელმძღვანელების, გიორგი ქანანაშვილის, ირაკლი კილაურიძისა და ივანე ცაგურიას ადვოკატი, გიორგი გვენეტაძე, ამბობს, რომ ამ ორგანიზაციამ თავისი ვალდებულებების შესრულება შეძლო, „ცენტრ პოინტმა“ კი ხელშეკრულება ჩაშალა და პრობლემების წინაშე ამიტომაც აღმოჩნდა.

გიორგი გვენეტაძე: ცაგურიამ და ქანანაშვილმა დაკითხვისას განაცხადეს, რომ 2010 წლის აგვისტოში მათ თბილისის მერიიდან დაუკავშირდნენ და მერთან სთხოვეს შეხვედრა. როცა მივიდნენ, იქ დახვდნენ გიგი უგულავა და ვახტანგ და მაია რჩეულიშვილები. უგულავამ ეს ორი მხარე ერთმანეთს წარუდგინა, თქვა, რომ რჩეულიშვილებს კომპანიის მართვასთან დაკავშირებით პრობლემები ჰქონდათ და გამოცდილების მქონე პირებს ეძებდნენ, რომ მართვაში გადაებარებინათ „ცენტრ პოინტი“. მოლაპარაკება შედგა და ამას მოჰყვა კომპანიის შემოწმება და მათთვის გადაბარება ნოტარიულად. ეს თუ უნდა ჩაითვალოს დანაშაულად „დექსუსის“ მხრიდან...

გიორგი გვენეტაძე: „ქანანაშვილი და კილაურიძე არ უარყოფენ, რომ გიგი უგულავამ დააკავშირა რჩეულიშვილებთან და არც იმას, რომ შემდეგ ზურაბ ადეიშვილთან დაიბარეს და ანგარიში ჩააბარეს, თუ როგორ მიმდინარეობდა მათი საქმიანობა“.

„დექსუსმა“ პრობლემის მოგვარება დაიწყო და არა — ფულის კეთება. სახელმწიფოსგან კი ამ პრობლემის მოგვარებაში ხელშეწყობა ჰქონდა, რაც ნამდვილად არ არის ცუდი. ქანანაშვილი და კილაურიძე არ უარყოფენ, რომ გიგი უგულავამ დააკავშირა რჩეულიშვილებთან და არც იმას, რომ შემდეგ ზურაბ ადეიშვილთან დაიბარეს და ანგარიში ჩააბარეს, თუ როგორ მიმდინარეობდა მათი საქმიანობა. შესაძლოა გიგი უგულავას და ადეიშვილის ქმედებები კითხვებს იწვევდეს, მაგრამ პასუხი მათ უნდა გასცენ, თუ რა მოტივით ხელმძღვანელობდნენ, როცა მსგავსი ჩარევა განახორციელეს.

„დექსუსმა“ არდაწყებული და დასამთავრებელი მშენებლობების 90% ააშენა და დაასრულა. ზოგს გადასცა, ზოგისთვის ვერ მოასწრო გადაცემა და ისე დაუბრუნა რჩეულიშვილებს. 200 მილიონიანი აქტივი დაუტოვა „დექსუსმა“ რჩეულიშვილებს.

სანამ ორი მსხვილი კომპანია ერთმანეთისკენ თითს იშვერს და ბრალდებებს უყენებს, ერთ დროს მათი მოიმედე ადამიანები ისევ უსახლკაროდ არიან დარჩენილი. დაზარალებულ მენაშენეთა ადვოკატი, **მარინა კორძაძეც** მათ რიცხვშია, ვინც დღემდე ელოდება ბინას, ანუ ისიც მოტყუებულია. იგი იმ თაღლითურ სქემას გვაცნობს, რომლითაც, საავარაუდოდ, დები კერვალიშვილები მუშაობდნენ:

— ბრალდებაში წერია იმ ფინანსური მაქინაციების შესახებ, რომლებსაც ეს ადამიანები ახორციელებდნენ. „დექსუსი“ ახალ ფირმებს ქმნიდა, სახელების გადარქმევა ხდებოდა, რომ სიტუაცია არეულიყო. აბლაბუდა სქემებს ქმნიდნენ, გამოძიებამ კი ეს კვანძი გახსნა და შესაბამისად დალაგდა ყველაფერი. დაითვალა შემოსავლები, ხარჯები და სხვაობა, რომელიც მითვისებულია. ეს არის 11 მილიონი დოლარი. ის თანხაა წაღებული, რითიც მშენებლობები უნდა დამთავრებულიყო. დაღუპული, განადგურებული ოჯახებია დარჩენილი. მთელი თაობა ამოწყდა ისე, რომ ბინას ვერ ეღირსა! 2004 წლიდან გადაეყარა „ცენტრ პოინტს“, მერე „დექსუსს“ და დაიხოცა ხალხი ნერვიულობისგან! ზოგი ვაგონში ცხოვრობს, ზოგი ქირით და ა.შ. ახლა დგანან დები კერვალიშვილები და ამბობენ, ჩვენც ყველაფერი დავკარგეთო. ნახეთ მათი ქონება საჯარო რეესტრში, უამრავი მილიონის პატრონები არიან!

ახლა იმ სქემას ვშიფრავ, რომლითაც მოქმედებდნენ. ისეთი მაქინაციები და სქემებია, საქართველოს მოსახლეობას მსგავსი რომ არ გაუგია!

„ცენტრ პოინტმა“ ამ მაქინაციურ სქემაში ჩართო ივანე ცაგურია, მაგრამ ამ შემთხვევაში ცაგურია ნაკლები დამნაშავეა. მთავარი აქ კილაურიძე და ქანანაშვილი არიან. დები კერვალიშვილების დანაშაულებრივ სქემაზე მოგახსენებთ: თანხა ხომ შედიოდა სალაროში. გადაწყვიტეს, ეს ფული ადგილი გზით გაეტანათ. დააარსეს ამხანაგობები. მათთან დაახლოებული ფიზიკური პირების სახელზე გააფორმეს „კაპიკებად“ ნაყიდი მიწები. მაგალითად, ერთი მიწა გაფორმებული იყო „ცენტრ პოინტის“ დაცვის უფროს ვინმე ნინიაშვილზე, რომელმაც მიწა იყიდა 8.000 ლარად და 400.000 დოლარად გაყიდა. პროკურატურამ ჰკითხა, სად წაიღეთ ეს ფულიო. შეკრეს წრე: კერვალიშვილს გამოაქვს სალაროდან ფული. მიდის, მაგალითად, ამ ნინიაშვილთან, რომლის სახელზეც მიწა აქვს გაფორმებული და ვითომ ძვირად ყიდულობს მიწას ამხანაგობის სახელით. ეს სქემა ძალიან ძლიერი იურისტების მოფიქრებულია.

— ზურაბ ადეიშვილი გვეხმარებოდა, რჩეულიშვილი ამბობს.

— ადეიშვილი ძალიან ჭკვიანი იურისტია, მაგრამ მაგათ არ დაუჯდებოდა და ამას არ გაუკეთებდა. მაგათი ადვოკატი „ბერიშვილი და კომპანია“ იყო, რომლებიც ასევე ძლიერები არიან. ივანე ცაგურია იყო „ცენტრ პოინტის“ ქოლგის ქვეშ მყოფი შპს-ების დირექტორი. როცა ეს კომპანიები მართვაში გადაეცა „დექსუსს“, რომ იტყვიან, „სმირნაზე“ ჰყავდა „ცენტრ პოინტი“, ყველაფრის უფლება ჰქონდა — გაყიდვის, გაჩუქების. მათი ვალდებულება აშენება და აშენებულის დამთავრება იყო, მაგრამ არაფერი გაუკეთებიათ. ამათი დანაშაულებრივი სქემები ერთმანეთისგან განსხვავდება, მაგრამ ორივე თაღლითია! იცით, „დექსუსი“ რას აკეთებდა? ვითომ დაუნიშნავდა ვიღაცას ხელფასს 10.000 ლარს, მაგრამ ის ვიღაც პოპკორნს ჭამდა! 5 კი არა, 500 ეპიზოდი მაინც ამოტივტივდება გამოძიებით.

მახინა ჯოხძაძე: „მთელი თაობა ამოწყდა ისე, რომ ბინას ვერ ეღირსა! დაიხოცა ხალხი ნერვიულობისგან!“.

მხარდაჭერა რომ არ ჰქონოდათ, კერვალიშვილები ამხელა მაქინაციებს ვერ გაბედავდნენ! 80 კომპანია მაინც არის მათი ქოლგის ქვეშ და არც ერთი არავის შეუმოწმებია. ქალი ადვოკატობაში დავბერდი და მსგავსი მაქინაციური სქემა არც გამიგია! აქ ისეთი დანაშაული იკვეთება, განაჩენი რომ დადგება, ვიღაცას სერიოზული ბრალი დაედება. მივაგენით იმ მიწებს, რომლებსაც თაღლითურად იფორმებდნენ. ისინი ამხანაგობების საკუთრებაში გადმოვა, გავყიდით და იმ ფულით დავამთავრებთ ჩვენს ბინებს! გვეუბნება მაია, დაგიმთავრებთო, მაგრამ 7 წელია გვატყუებს და კიდევ აღარ მოვატყუებინებთ თავს!

✓ **რუსუდან ადვაძე**

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

მამა შალვა: „ჩემს ცხოვრებაში არ ყოფილა დღე, რომ ღმერთს მივეტოვებინე“

— ქართველი ხარ?

— კი, ქართველი ვარ, არაქართველობის რამე მეტყობა?!

— არ ხარ ქართველი... შენი წინაპრები რასაც აკეთებდნენ, შენ იმავეს აკეთებ?

— კი, მამაო! ვცდილობ, კაცურად ვიცხოვრო, მეგობარს გასაჭირში არასოდეს ვტოვებ, ქართულ ტრადიციებს ვიცავ, სუფრის წესები ვიცი, რომელ სადღეგრძელოს რა მოჰყვება, ეგეც ვიცი და კიდევ რა არის ქართველობა?

— იცი, რომ როცა შენი წინაპრები ომში მიდიოდნენ, ეზიარებოდნენ?

— როცა ომი იქნება, მეც წავალ. იქამდე კი ვეზიარები.

— ისინი გააზრებულად ეზიარებოდნენ. მთელი ცხოვრება საკვირაო წირვაზე დადიოდნენ. თუ ვინმე ტაძარში არ დადიოდა, ეს დიდი სირცხვილი იყო. ქართველობა და მართლმადიდებლობა ერთმანეთთან იყო გაიგივებული. წინაპრებმა იცოდნენ, რა იყო ლოცვა, აღსარება. შენ ამას არ აკეთებ. დილით, როცა ეკლესიაში წირვა-ლოცვა აღევლინება, ამ დროს შენ შეიძლება ლოგინში იწვე და გეძინოს. უფლისთვის ყოველთვის უნდა მოიცალო...

ეს დიალოგი წლების წინ 16-17 წლის ბიჭსა და სასულიერო პირს შორის გაიმართა. ბიჭსა და მოძღვარს ერთი გზა ჰქონდათ. მოძღვარი მამა გოჩა (ცაავა) იყო, რომლის მაშინდელმა სიტყვებმაც ახალგაზრდაზე გარკვეული გავლენა იქონია. ის 16-17 წლის ბიჭი დღეს მამა შალვაა (კეკელია). ისეთ სოფელში გაიზარდა, სადაც არც ტაძარი იყო და არც მღვდელი, მაგრამ სურვილი ჰქონდა, რომ ეკლესიურ ცხოვრებას ახლოს გასცნობოდა. ჯერ სასულიერო სემინარიაში ჩაბარება გადაწყვიტა, მერე მღვდლობა. დღეს მამა შალვა ვაკის წმინდა ანდრია პირველწოდებულის ტაძრის წინამძღვარია. თავის განვლილ საერო და სასულიერო გზაზე მან „სარკესთან“ ისაუბრა.

მამა შალვა:

— უფლის მიმართ სიყვარული ყოველთვის მქონდა, მაგრამ არ ვიცოდი, ეს როგორ გამომეხატა. წარმოშობით სამეგრელოდან, სოფელ ბანძიდან ვარ, სადაც არც ეკლესია იყო, არც მღვდელი. შინაგანად ტაძრების, ჯვრების, ხატების და სასულიერო პირების მიმართ დიდ პატივისცემას მაინც ვგრძნობდი. ბაბუის გარდაცვალების შემდეგ რელიგიაზე ფიქრი უფრო მეტად დავიწყე. მაშინ 16 წლის ვიყავი, ტაძარში დავდიოდი, პირველი მარხვაც შევინახე, მაგრამ მოძღვართან ურთიერთობა არ მქონია. იმ პერიოდში გადავწყვიტე, სასულიერო სემინარიაში ჩამებარებინა. ოჯახი ჩემი გადაწყვეტილების წინააღმდეგი არ ყოფილა. სტუდენტობისას მამა გიორგი (ზვიადაძე) გავიცანი და მას ვთხოვე, ჩემი სულიერი მოძღვარი გამხდარიყო. იმ დღიდან მისი სულიერი შვილი ვარ.

— რა მოხდა გარდამტეხი თქვენს ცხოვრებაში, რის შემდეგაც სასულიერო სემინარიაში ჩაბარებაზე ფიქრი დაიწყეთ?

— მარტვილის მონასტერში ყოველ კვირას მივდიოდი. ჩემი სოფლიდან მონასტრამდე 14-15 კილომეტრი მაინც არის და ძირითადად სულ ფეხით მიწევდა წასვლა. ერთხელ მამა გოჩა (ცაავა) დამემგზავრა. საკმაო მანძილი გვქონდა გასავლელი და ბევრი ვისაუბრეთ. წლების წინ მამა გოჩასთან გამართულმა ამ დიალოგმა ჩემში დიდი გარდატეხა გამოიწვია. სარწმუნოებაზე მეტად დავფიქრდი და წირვა-ლოცვაზე სიარულიც დავიწყე.

თავიდან სამხედრო აკადემიაში ჩაბარება მინდოდა. მაშინ აფხაზეთის ომი ახალი დამთავრებული იყო და ამანაც იქონია გავლენა. მინდოდა, მეც ჯარისკაცი გავმხდარიყავი. ბაბუის გარდაცვალებაზე დედაჩემის მეგობარი რომანოზი იყო ჩამოსული. მას ვუყვებოდი, როგორ ვუვლიდი ბაბუას, ვუცვლიდი ყინულებს. მან კი მითხრა, ეს რაც გააკეთე, მხოლოდ შენ გამოგადგება, ბაბუაშენის სულს კი უფრო მეტი უნდა გაუკეთო, ლოცვები წაუკითხოო. ამიხსნა, რომ ფსალმუნებისა და სახარების კითხვა აუცილებელი იყო. ამ საუბრის შემდეგ მომივიდა აზრი, რომ სემინარიაში ჩამებარებინა.

> **„ჩვენ, სასულიერო პირები, უფალზე ვართ დამოკიდებულები, თუნდაც ფინანსურად. ჩვენ ფული არასოდეს უნდა მოვითხოვოთ, სუფთა და წმინდა უნდა ვიყოთ. უფალი როცა ინებებს და რასაც ინებებს, იმას მოგვცემს“.**

— თქვენ დიდხანს იყავით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის სტიქაროსანი. როგორ გაიხსენებდით იმ დროს?

— 1996 წელს სასულიერო სემინარიის სტუდენტი ვიყავი. ღვთის შეწევნით, მალე უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის სტიქაროსანი გავხდი. 10 წელი მომიწია იქ მსახურება, მედავითნე ვიყავი. მახსოვს, სიონის საკათედრო ტაძრის მაშინდელმა მთავარმა მედავითნემ მამა ბიძინამ (გუნია) პირველად რომ წამაკითხა საკითხავი. ზეპირად ვიცოდი და ისე ვამბობდი. ნერვიულობისგან თვალთ დამიბნელდა და ვერ ვკითხულობდი. ფსალმუნის წაკითხვის შემდეგ საკურთხეველში რომ შევბრუნდი, კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ მითხრა: „იცი, ფსალმუნი როგორ უნდა წაიკითხო? საერთოდ, როცა რაღაცას კითხულობ, ჯერ შენ უნდა გაიგო, მერე ღმერთს გააგებინო და ხალხი თავისთავად გაიგებს“. ამის შემდეგ როდესაც რამეს ვკითხულობ, სულ მისი უწმინდესობის სიტყვები მახსენდება.

სტიქაროსნობიდან და მედავითნეობიდან 10 წლის შემდეგ დიაკვნად მაკურთხეს, 3 წლის შემდეგ კი — მღვდლად. 4 წელი ხდება, რაც მოძღვარი ვარ. ერთი დამთხვევაც არის: წლების წინ, როცა პირველად დავიწყე ეკლესიაში სიარული და მარხვის დაცვა, ეს იყო შენდობის კვირა. მღვდლადაც შენდობის კვირაში ვეკურთხე.

— როგორც ვიცით, ბაბუათქვენი სტეფანე ხელაია იყო. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიასთან ნათესაური კავშირი გაქვთ?

— ზუსტად არ ვიცი, ბაბუა და ამბროსი ხელაია ერთი შტოდან იყვნენ თუ არა, მაგრამ ალბათ გარკვეული ნათესაობა აკავშირებდათ. სხვათა შორის, კიდევ ერთი მიზეზი, რამაც ეკლესიურობისკენ მიბიძგა, ბაბუასგან მომდინარეობდა. ის პატარებს სულ გვეუბნებოდა, ჩვენ ერთი წინაპარი მღვდელი გვყავდა, კომუნისტებს ტაძარი არ დაუთმო, ამის გამო ციხეში ჩასვეს და აწამესო. ის კი არ იცოდა, რომ ეს მღვდელი ამბროსი ხელაია იყო, რომელიც შემდგომში საქართველოს პატრიარქი გახდა. ბაბუამ გარდაცვალებამდე ორი კვირით ადრე სახლში ბროშურა მოიტანა, რომელზეც ამბროსი ხელაიას შესახებ ეწერა. სიკვდილამდე სულ თან დაატარებდა. როცა ის გარდაიცვალა, ბროშურა მეც წავიკითხე და ამან ჩემზე ძალიან იმოქმედა. მას შემდეგ სულ ვგრძნობ ამბროსი ხელაიასთან სულიერ კავშირს.

სხვათა შორის, ჩვენს სოფელში ძველი დროიდან მოყოლებული მღვდლები სულ ჩემი გვარის წარმომადგენლები ყოფილან. ბოლოს სასულიერო პირი მამა ანტონი (კეკელია) იყო, რომელიც ძალიან დიდი მოღვაწე გახლდათ, ავტოკეფალიისთვის იბრძოდა. სამეგრელოში ბევრი ქართულენოვანი სკოლა გახსნა. მას შემდეგ ჩვენს გვარში პირველი სასულიერო პირი მე ვარ, რაც ჩემთვის დიდი პასუხისმგებლობაა.

როდესაც სასულიერო აკადემიაში ვსწავლობდი, ამბროსი ხელაიას საფლავზე დავდიოდი და ეს ძალიან მეხმარებოდა. შეწევნას სულ მას ვთხოვდი. ახლაც ხშირად მივდივარ მის საფლავზე. ვთხოვ, რომ მღვდლობაში დამეხმაროს და სწორი გადაწყვეტილებები მიმაღებინოს. ერთხელ სიონში წირვას ვატარებდი. უცებ დავფიქრდი, რომ ვიდექი იმ ამბიონზე, სადაც წლების წინ საქართველოს პატრიარქები ამბროსი ხელაია, კირიონ მეორე იდგნენ. მათ საფლავებს გავხედე და საკუთარი თავის ძალიან შემრცხვა. დავფიქრდი იმაზე, თუ რამდენად სწორად შევძლებდი მღვდლობას. იმდენად შევშინდი, რომ ქადაგება შევწყვიტე და საკურთხეველში შევბრუნდი. ჩემი თავი იმ ამბიონზე დგომის ღირსად არ ჩავთვალე, სადაც დიდი სასულიერო მოღვაწეები იდგნენ.

— მართალია, იმ საქმე ემსახურებით, რომელიც თქვენი მოწოდებაა, მაგრამ შეგიძლიათ გვითხრათ, რთულია თუ არა სასულიერო პირის ცხოვრება?

— მღვდლობა და სასულიერო პირობა ჩემთვის ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა, მით უმეტეს, რომ ადამიანები ჩვენგან ძალიან ბევრს ითხოვენ. ერთხელ, როცა სტიქაროსანი ვიყავი, მე და რამდენიმე სტიქაროსანს მისმა უწმინდესობამ გვითხრა: „როდესაც ადამიანი სასულიერო პირი ხდება, მას მთის წვერზე დგომა უწევს და ყველა მხრიდან ჩანს. თქვენი ყველა ნაბიჯი, სიკეთისა თუ სიბოროტისა, ყველა მხრიდან გამოჩნდება. რადგანაც ყველა გაკვირდებათ, თქვენს ყველა ნაბიჯს შეიძლება ძალიან დიდი რამ მოჰ-

Cyan Magenta Yellow Black

ყვეს. შეიძლება თქვენმა საქციელმა ადამიანი ან ეკლესიაში მიიყვანოს, ანდა საერთოდ ჩამოაშოროს“. ასე რომ, სამღვდელო მოღვაწეობა ძალიან რთულია. საზოგადოების ნაწილს კი ეს მარტივი ჰგონია, რომ ეს არის მხოლოდ წესის აგება, ნათლობა, ჯვრისწერა. არადა სასულიერო პირს კიდევ უამრავი რამ ევალება. ჩვენს საქმიანობაში მთავარი ადამიანებთან ურთიერთობაა, რომლებიც აღსარებას გვაბარებენ, თავიანთ პრობლემებზე გვესაუბრებიან და სულს გვანდობენ.

ძალიან ხშირად მაქვს ისეთი შემთხვევა, რომ გარდაცვლილი პატარა ბავშვის წესის აგებაზე წავსულვარ, იქიდან კი — ახალგაზრდა წყვილის ჯვრისწერაზე. წესის აგების დროს გარდაცვლილის ოჯახის ტკივილი უნდა გტკიოდეს, ჯვრისწერის დროს კი ჯვარდაწერილთა სიხარული გიხაროდეს. წარმოიდგინეთ, რა რთულია, რომ ერთიდან მეორეზე გადაერთო, მით უმეტეს, ტრაგედიიდან ბედნიერებაზე. რაც მთავარია, არ უნდა ითამაშო და ორივე შემთხვევაში შენი რეალური განცდა უნდა ჩადო. ორი ადამიანის ბედნიერება, მათი ქორწინება მოძღვარმაც უნდა გაიზიაროს. ამავე დროს შეიძლება გულში დიდი ტკივილი გქონდეს, რომელიც წესის აგების შემდეგ დაგრჩა.

სამწუხაროდ, დღეს სამღვდელოებას განიკითხავენ. იმას კი ვერ ხვდებიან, რომ სასულიერო პირის ცხოვრება გაცილებით რთულია, ვიდრე ეს შორიდან ჩანს. ჩვენ ხშირად ღამეებს ვათენებთ ჩვენს მრევლზე ფიქრით, რომელსაც რაღაც უჭირს. ვეძებთ გზას, თუ როგორ დავეხმაროთ მათ. ეკლესიაში, გარდა სულიერი თანადგომისა, მატერიალური თანადგომისთვისაც მოდიან. ზოგს დაეხმარები, მაგრამ ყველას ხომ ვერ გასწვდები? არადა მერე ვნერვიულობთ იმ ადამიანებზე, ვისაც ვერ დავეხმარეთ.

„იმდენად შევშინდი, ქადაგება შევწყვიტე და საკურთხეველში შევბრუნდი. ჩემი თავი იმ ამბიონზე დგომის ღირსად არ ჩავთვალე, სადაც დიდი სასულიერო მოღვაწეები იდგნენ“.

■ მამა შალვა ცოლ-შვილთან ერთად

— თქვენს ოჯახზეც გვიამბეთ. ვინ არის თქვენი მეუღლე და რამდენ შვილს ზრდით?

— მყავს მეუღლე ქეთევან ხუსკივაძე და სამი შვილი. გიორგი 7 წლის არის, ნინო 4 წლის, ილია — წლისა და 3 თვის, რომელიც უწმინდესის ნათლულია. მეუღლე ამჟამად დიასახლისია, ოჯახსა და ბავშვებს უვლის. ის მთელი არსებით გვერდით მიდგას და ყველაფერში ძალიან მეხმარება. სასულიერო პირის მეუღლეობა რთულია. ერთად დასასვენებლად წასვლას ვერ ვახერხებთ, დილით რომ გავდივარ, ბავშვებს სძინავთ, ღამე მივდივარ და მაგ დროსაც სძინავთ. ასე ხშირად ხდება ხოლმე და ყველა ქალი ამას ვერ აიტანს.

ჩვენ, სასულიერო პირები, უფალზე ვართ დამოკიდებულები, თუნდაც ფინანსურად. ჩვენ ფული არასოდეს უნდა მოვითხოვოთ, სუფთა და წმინდები უნდა ვიყოთ. უფალი როცა ინებებს და რასაც ინებებს, იმას მოგვცემს. ქეთევანი ყველაფერს გაგებით ეკიდება, მიზრდის შვილებს, უვლის ოჯახს და კარგ მეუღლეობას მიწევს.

დაქორწინებამდე, როდესაც ჩვენი ურთიერთობა სერიოზული გახდა, მას ყველაფერი ავუხსენი. ფაქტის წინაშე დავაყენე და ვუთხარი, როგორი იქნებოდა ჩემი მომავალი ცხოვრება. ავუხსენი, რომ შეიძლებოდა ისე გვეცხოვრა, რომ ან არაფერი გვქონოდა, ან ყველაფერი. ამის მიუხედავად, ის დამთანხმდა და ცოლად გამომყვა.

— ადამიანები ხშირად ელოდებიან სასწაულს, რათა ირწმუნონ უფლის არსებობა. ეს რამდენად გამართლებულია?

— თუ დავაკვირდებით, ცხოვრებაში სასწაულები ყოველდღე ხდება და ეს უნდა დავინახოთ. ყველას უნდა, რომ ნახოს, როგორ სდის ხატს მირონი და ამის მერე სასწაულს იწამებს. იმას არავინ ფიქრობს, რომ ახალი სიცოცხლის დაბადებაც სასწაულია. ხალხი მიჩვეულია, რომ ასე უნდა მოხდეს. არადა წარმოიდგინეთ, რა საოცრებაა ბავშვის დაბადება, რომელიც პატარა მარცვლისგან იბადება და შემდეგ იზრდება. აგრეთვე წარმოვიდგინოთ დიდი ხე, რომელიც პატარა კურკიდან აღმოცენდება. სწორედ ამაში მდგომარეობს ღვთის მადლი და ძალა, რომელიც ყოველდღიურად ბევრ უხილავ სასწაულს გვიგზავნის, ჩვენ კი რატომღაც ხილულს ველოდებით.

— თქვენ რას მიიჩნევთ სასწაულად თქვენს ცხოვრებაში?

— მე ყოველდღე ვგრძნობ უფლის შემწეობას. არ ყოფილა ჩემს ცხოვრებაში ისეთი დღე, რომ ღმერთს მივეტოვებინე. არ ყოფილა შემთხვევა, რომ რამე დამჭირვებოდა და არ მომცემოდა. ყველაფერი იმ დროს მეძლევა, როცა ამის უეჭველი საჭიროება არსებობს. სახარებაში წერია, რომ სასწაული ურწმუნოთათვის არსებობს, რადგან ვინც მორწმუნეა, ის სასწაულს არ ეძებს. ზოგი ყოველ წუთს ათვალიერებს თავის ხატს და ელოდება, რომ მირონი წამოუვიდეს. იმას კი არ აქვს მნიშვნელობა, შენს სახლში ხატს მირონი წამოუვა თუ არა, არამედ იმას, თუ როგორი ცხოვრებით ცხოვრობ, ხარ თუ არა ჭეშმარიტი მორწმუნე და ა.შ.

შეიძლება ეკლესიაში წლების განმავლობაში დადიოდე, მაგრამ იმ დონის მორწმუნე არ იყო, როგორიც საჭიროა. ზოგჯერ ის ადამიანები ბევრად უფრო ეკლესიურები არიან, ვინც ტაძარში არ მიდიან, ვიდრე ისინი, ვინც დადიან. არის შემთხვევები, როცა და ძმას ვერ იტანს, ან სხვა ოჯახის წევრები ვერ იტანენ ერთმანეთს, გაბუტულები არიან და ამ დროს ვითომ ეკლესიურად ცხოვრობენ.

იყო მორწმუნე, ნიშნავს, რომ გულითა და გონებით გქონდეს გააზრებული, თუ რისთვის დადიხარ ტაძარში. მაგალითად, ბზობას და ნათლისღებას ტაძრები გადატენილია. ხალხი მოდის წელიწადში ერთხელ იმისთვის, რომ ეკლესიიდან ბზა ან ნაკურთხი წყალი წაიღოს. ჰგონიათ, რომ თუ სახლში ბზა და ნაკურთხი წყალი ექნებათ, მათ სულებს ამით ეშველებათ. ამ დროს თავიანთი არასწორი ცხოვრების წესის შეცვლა არ უნდათ. ეკლესიური ცხოვრება კი სწორედ იმას ნიშნავს, რომ საკუთარ თავზე გაიმარჯვო.

— თუ არა სასწაულმა, სხვა რა ძალამ უნდა მიიყვანოს ადამიანი ტაძრამდე?

— ბევრმა მიზეზმა შეიძლება მიიყვანოს. ზოგჯერ არის, რომ დიდი ბედნიერების შედეგად მიდიან ტაძარში, ზოგჯერ — უბედურების. ხდება ისეც, როცა ადამიანი უცებ აღმოაჩენს, რომ ღმერთი არსებობს და ამაზე ფიქრს დაიწყებს. ასე მიდიან ტაძრამდე, ამის გარეშე ცხოვრება კი წარმოუდგენელია. დიდი ტკივილის შემდეგ სასულიერო ცხოვრების დაწყების შემთხვევები უფრო ხშირია. როცა ახლობელი გარდაეცვლებათ, მასზე ლოცვას იწყებენ, მერე კი თანდათან ეკლესიურები ხდებიან.

— დაბოლოს, მამაო, როგორც ვიცით, ანდრია პირველწოდებულის მშენებარე ტაძრის წინამძღვარი ხართ. გვიამბეთ ამ ტაძრის შესახებ, სად და როდის აშენდება.

— მისმა უწმინდესობამ ანდრია პირველწოდებულის ტაძრის წინამძღვრად დამნიშნა, რომელიც ვაკეში, ყოფილი მეცხრე საავადმყოფოს ეზოში მდებარეობს. პრინციპში, იქ ჯერ მხოლოდ დროებითი სამლოცველო სახლია. ამ ეზოში მშენებლობა მიმდინარეობს და სასულიერო სემინარია იქ უნდა გადაიტანონ, ანდრია პირველწოდებულის ტაძარიც ამ შენობაში მოთავსდება, როგორც სამლოცველო სახლი. ზუსტად არ ვიცი, როდის გაიხსნება ტაძარი, რადგან ეს ყველაფერი გარკვეულ ფინანსებთან არის დაკავშირებული.

„ძალიან ხშირად მაქვს ისეთი შემთხვევა, რომ გარდაცვლილი პატარა ბავშვის წესის აგებაზე წავსულვარ, იქიდან კი — ახალგაზრდა წყვილის ჯვრისწერაზე. წესის აგების დროს გარდაცვლილის ოჯახის ტკივილი უნდა გტკიოდეს, ჯვრისწერის დროს კი ჯვარდანერილთა სიხარული გიხაროდეს“.

ამავე ეზოში აშენდება ფერისცვალების ტაძარი. მსგავსი ტაძარი სვანეთში, ერთერთ სოფელშია და თავისი ისტორია აქვს. ბასიანის ომის მოგების შემდეგ სვანები თავიანთ მხარეში რომ დაბრუნდნენ, ეკლესია ააშენეს, ნიშნად ქვეყნის ერთობისა, რადგან ყველა მათგანმა ერთი ქვა აიტანა. ახლა გადაწყდა, რომ ამ ტაძრის სიმბოლო თბილისშიც გადმოსულიყო და ფერისცვალების ტაძარს აშენებენ. ამ კეთილ საქმეს სათავეში ძირითადად სვანები უდგანან.

✓ **თეონა კენჭიაშვილი**

Cyan Magenta Yellow Black

ხელსაქმე

საყვავილე ხის ტოტებისგან

ამეთანხმებით, მინდვრის ყვავილები ძალიან უხდება ინტერიერს, განსაკუთრებით მაშინ, თუ მათ ორიგინალურ საყვავილეში ჩავდებთ. ასეთი საყვავილე კი შეგვიძლია ჩვენც გავაკეთოთ, თანაც სწრაფად და მარტივად.

ამისთვის დაგვჭირდება: მინის ჭიქა ან ქილა, ხის ტოტები, მწვანე საღებავი (თუნდაც გუაში), წებო, თასმა და რაიმე პატარა სამშვენისი.

ხის ტოტები დავჭრათ ჭიქის სიმაღლის შესაფერისად და სათითაოდ შევღებოთ. როცა საღებავი გაშრება, ტოტები ასევე სათითაოდ დავაწებოთ ჭიქას, ისე, რომ მთლიანად დაიფაროს. შემოვახვიოთ მწვანე ფერის თასმა (შეიძლება განსხვავებული ფერის ატლასის ლენტიც) და გამოვბაფთოთ. გაბაფთულ ადგილზე თასმას დავაწებოთ რაიმე სამშვენისი.

სულ ესაა.

გისურვებთ წარმატებას!

✓ ლელა ცუცქირიძე



წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

№ 1

5	1	6	3	8	7	4	2	9
8	2	3	5	4	9	1	6	7
9	4	7	6	2	1	3	5	8
3	8	2	9	5	4	6	7	1
7	9	4	1	6	8	2	3	5
1	6	5	2	7	3	8	9	4
6	3	8	4	9	5	7	1	2
4	5	1	7	3	2	9	8	6
2	7	9	8	1	6	5	4	3

№ 2

4	7	9	5	3	1	2	8	6
2	1	8	4	9	6	7	5	3
5	6	3	8	7	2	1	4	9
7	5	6	1	4	3	9	2	8
8	9	1	7	2	5	6	3	4
3	2	4	6	8	9	5	1	7
6	4	2	3	1	7	8	9	5
9	2	5	2	6	4	3	7	1
1	3	7	9	5	8	4	6	2

ეს იცოდით?

- მდედრი და მამრი ციცინათელები ერთმანეთის ამოსაცნობად ფოსფოროვან ნათებას იყენებენ.
- ერთი თვის განმავლობაში მუხლუხა ჭია საკუთარი სხეულის წონაზე 6000-ჯერ მეტ საკვებს ჭამს.
- ყველაზე ცნობილ ოქროს თევზს, რომელმაც 41 წელი იცოცხლა, ფრედი ერქვა.
- თუ გველი ორთავიანია, მისი თავები ყოველთვის ერთმანეთს ებრძვიან საკვებისათვის.
- სპილოს ყველაზე დიდი ეშვის წონა დაახლოებით — 103 კგ, ხოლო სიგრძე 305 სმ-ია. ეს ეშვი ეთიოპიაში აღმოაჩინეს.

- სიტყვა მუსლიმი მორჩილს ნიშნავს.
- სიტყვა დინოზავრი საშინელ ხვლიკს ნიშნავს.

- ყველაზე ლამაზი წიგნი თურქეთში შეიქმნა 1953 წელს.
- ყველაზე იშვიათი ავადმყოფობა სიცილის ავადმყოფობაა.
- რუსეთში ყველაზე დიდი ბიბლიოთეკა მწერალსა და პოეტს, ალექსანდრ პუშკინს ჰქონდა.
- ალექსანდრ პუშკინმა 29 დუელში მიიღო მონაწილეობა.

- აბრაამ ლინკოლნი სანამ აშშ-ის პრეზიდენტი გახდებოდა, ერთ-ერთი საუკეთესო ადვოკატი იყო ილინოისის შტატში. მას კოლეგებთან ერთად 5 ათასამდე საქმეზე აქვს ნამუშევარი.
- აბრაამ ლინკოლნს ნადირობაც უყვარდა და შინაური ცხოველებიც. თეთრ სახლში მისი პრეზიდენტობის დროს უამრავი კატა ცხოვრობდა, ასევე ცხვრები, კურდღლები, ძაღლი, სახელად „ფიდო“... მას ხშირად ქუჩიდან მიჰყავდა უპატრონო ცხოველები და განსაკუთრებულად უვლიდა.

- პირველი ამერიკული ნუდისტური ორგანიზაცია სამმა ადამიანმა 1929 წელს დააარსა.
- საუდის არაბეთში ქალს შეუძლია ქმარს გაეყაროს, თუ ის არ მიუტანს ყავას.
- თუ ძველ რომში ოჯახის დიასახლისი სტუმრებს ფეხზე სანდლების გახდას შესთავაზებდა, ესე იგი სადილის დრო იყო.
- რომაელ ქალებს არ ჰქონდათ საკუთარი სახელები.

- მოგზაური ქრისტეფორე კოლუმბი ქერა იყო.
- კომპოზიტორი ბეთჰოვენი ყოველთვის დამჯდარი წერდა მუსიკას.

Cyan Magenta Yellow Black

ვარსკვლავთსიახლენი

ჰოლივუდში ახალი წყვილების ბუმია

ჰოლივუდში ზაფხული ახალ რომანებთან ასოცირდება და არც წლეგანდელი ზაფხულია გამონაკლისი. ყვითელი პრესის ფურცლებზე უკვე გამოჩნდნენ ახალი საინტერესო წყვილები. ახლა იმაზე მსჯელობენ, რამდენად სერიოზული და ხანგრძლივი იქნება მათი გრძნობები და მიიტანენ თუ არა თავს შემოდგომამდე.

ჯასტინ ბიბერი და მაილი საირუსი

მაილი საირუსი და ჯასტინ ბიბერი დიდი ხანია ერთმანეთს იცნობენ. ისინი ერთი თაობის შოუბიზნესიდან მოდიან. ჟურნალმა „მაქსიმმა“ მომღერალი და მსახიობი მაილი საირუსი ყველაზე სექსუალურ თინეიჯერ გოგონად გამოაცხადა. ამ აღიარების შემდეგ ჯასტინი ძველი ნაცნობით უფრო მეტად დაინტერესდა. ახალმა ამბავმაც არ დააყოვნა და მსოფლიო ბულვარული

პრესა მალე აჭრელდა ამ რომანის შესახებ ინფორმაციით. პაპარაცებმა წყვილი ცოტა ხნის წინ ლოს ანჯელესში ერთ-ერთ ღამის კლუბში შენიშნეს. ბიბერი და საირუსი მთელი საღამოს განმავლობაში ერთად ცეკვავდნენ, სვამდნენ და უფრო მეტი სითამამით გამოირჩეოდნენ, ვიდრე სხვა წყვილები.

მაილი საირუსი ერთი თვეა, რაც ბოიფრენდს, მსახიობ ლიამ ჰემსვორტს დაშორდა. არადა მათ იდეალურ წყვილად მიიჩნევდნენ. როგორც ჰემსვორტი აცხადებს, მაილის სერიოზული ურთიერთობა და ოჯახის შექმნა არ სურს, მხოლოდ კარიერა და დროსტარება აინტერესებს.

სხვათა შორის, ჯასტინ ბიბერიც იმავეს იმეორებს, რომ მისთვის სერიოზული ურთიერთობები ნაადრევია და ალბათ ამ ნიშნით ერთმანეთს უკეთ გაუგეს.

ჯეიკ ჯილენჰალი და ალისა მილერი

ჭორებს თუ დავუჯერებთ, ჰოლივუდის სევდიან სექსსიმბოლო ჯეიკ ჯილენჰალს ახალი რომანი აქვს გაჩაღებული. მისი რჩეული ამერიკელი მოდელი ალისა მილერია. როგორც ინფორმაციის წყარო ამბობს, წყვილი რომანს არ ასაიდუმლოებს და მთელ თავისუფალ დროს ერთად ატა-

რებს — საუზმობენ და ვახშმობენ, ერთობიან, დადიან წვეულებებზე. მანამდე 32 წლის ჯეიკს რომანი ჰქონდა მოდელ ემილი დიდონატოსთან.

სელენა გომესი და ედ შიხანი

ჯასტინ ბიბერის ყოფილი შეყვარებულიც, მომღერალი სელენა გომესი, არ აპირებს ზაფხულის გატარებას მარტო. მისი რჩეული ბრიტანელი მომღერალი ედ შირანია. ამბობენ, რომ ერთმანეთი საერთო

მეგობარმა, მომღერალმა ტეილორ სვიფტმა გააცნო, როცა ედი და ტეილორი ამერიკული ტურნეთი მოგზაურობდნენ.

ახალბედა წყვილი მთელ თავისუფალ დროს ერთად ატარებს. ცოტა ხნის წინ ედმა სოციალურ ქსელში დაწერა, რომ მის გვერდით საყვარელი გოგო არ არის, თუმცა დიდი სიამოვნებით ხვდება სელენა გომესს. სელენას კი ამ რომანის შესახებ კომენტარი ჯერ არ გაუკეთებია.

ჯრისტენ სტიუარტი და მაიკლ პიტი

კრისტენ სტიუარტი კვლავ სკანდალის ეპიცენტრშია. მან ისევ არასწორად შეარჩია მამაკაცი და რომანი გააბა ცოლიან მსახიობ მაიკლ პიტთან. როგორც რეპორტიორები და პაპარაცები ამტკიცებენ, მათი გზები საფრანგეთში, პარიზის მოდის

კვირეულის დროს გადაიკვეთა — „შანელის“ ჩვენებაზე იყვნენ მიპატიჟებული, ჩვენების ბოლოს კი პრივატულ გარემოში აღმოჩნდნენ.

სერიალის „იატაკქვეშა იმპერიის“ ვარსკვლავი ცოლთან გაყრას აპირებს, მაგრამ ეს განცხადება მანამდე გააკეთა, ვიდრე კრისტენს გაიცნობდა. ეს გარემოება „ბინდის“ ვარსკვლავის საქციელს მაინც არ ამართლებს, რადგან ამ მომენტში ცოლიან მამაკაცს ხვდება.

— კრისტენი ბოლომდე კიდევ არ გათავისუფლებულა რობერტ პატინსონის მიმართ გრძნობებისაგან. მაიკლმა კი ამ დროს ხელი გაუწოდა და რთული პერიოდის გადატანაში ეხმარება. კრისტენს გადაწყვეტილი ჰქონდა, მის ცხოვრებაში გარკვეული პერიოდი მხოლოდ კარიერა ყოფილიყო, მაგრამ მაიკლთან შეხვედრამ აზრი შეაცვლევინა, — ამბობს კრისტენის მეგობარი.

მერაია ქერი ქუსლებიდან ჩამოვარდა და მხარი მოიტეხა

პოპვარსკვლავი მერაია ქერი კლიპის გადასაღები მოედნიდან პირდაპირ საავადმყოფოში აღმოჩნდა. ჰოსპიტალიზაციის მიზეზი კი მხრის დაზიანება გახდა — მომღერალი მაღალქუსლიანი ფეხსაცმლიდან გადმოვარდა.

მერაია მაღალ ქუსლებს ვერც ყოველდღიურ ცხოვრებაში ელევა და ვერც სცენაზე. მომღერალმა ამ ინციდენტის გამო ნიუ იორკში დაგეგმილი კონცერტი არ გადადო, თავის სოციალურ ქსელში კი მაღალქუსლიანი ფეხსაცმელებით გატაცება კიდევ ერთხელ დაადასტურა.

— ექიმები მიკრძალავენ მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის ჩაცმას, მაგრამ ეს ის სიყვარულია, რომელსაც მთელი ცხოვრება ვერ შეველევი. 12 სანტიმეტრიან ქუსლებზე თავს ყველაზე თავდაჯერებულად ვგრძნობ, — ამბობს მერაია ქერი.

თვეში 5 ლარიდან

ლიცენზირებული ანტივირუსი
სილქნეტისგან

Find us on: facebook

2 100 100
silknet.com/antivirus

KASPERSKY lab

eset NOD32 antivirus system